

Handwritten signature

1967



12

• 1967 1967 •

სა სა სა სა

127

გამოცემის მეთერთმეტი წელი

12

დეკემბერი

1967

თბილისი

ლიბერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო





შინაარსი

პოეზია და პროზა

- 3. კარლო კალაძე. მტკვრის მარჯვენა ფრთიდან გადავცვირი თბილისს. სოლანალოდი. თეატრი. ზუა. თოვლი მოსულა. ლექსები.
- 7. ოთარ ჩხიძე. აღმართ-დაღმართი. რომანი.
- 47. შალვა აფხაძე. ისევ მცხეთა... სონეტი. სვებიცხოველთან. ციკვა „მოგაკვდავი ბედის“ ხილვის ბაშო. ლექსები.
- 50. ბაგუ მიაშვილი. შალვა აფხაძის. კლოუნი. ლექსები.
- 51. ვიოტა კვაბლაძე. ჩემი პატარა ლანდი. რომანი. გაგრძელება.
- 102. ოთარ ვილაძე. 1. მუჟი, ძალიან მუჟი ჩრდილები... 2. ორის ბახსენება. 3. ძველი სიზღარა. 4. შენ მაღალი ხარ... 5. ქარი არხვლა ყვითელ ნათურას... 6. მე თოვლი ვეძებ... 7. მე ახლა მხოლოდ ამ თოვლით ვცხოვრობ... 8. მონღოლების ბანაკი. 9. სიზმარი. 10. შენ ამოდიხარ... 11. ბედნიერი ვარ... 12. რთველი. 13. საუბარი. 14. ცა. 15. თეთრი მინდორი. ლექსები.
- 108. თამაზ ბიგილური. დიალოგები ზამთრის ღამეში. მოთხრობები.

ხელოვნება

- 121. ნოდარ გურაბანიძე. თანამედროვე ქოროგრაფია და „ტანკოვლი ბალები“.
- მეცნიერება
- 131. რევაზ თვაჩაძე. ოცნება ეტრუსკებისთვის.
- წიგნების სამუშაოები
- 142. შოთა ძიძიგური. ქართული ენის პრობლემები XVII-XVIII საუკუნეების დასაბუთებულ ევროპის ფილოლოგიურ მეცნიერებაში.
- 148. კარლო კოხარიძე. კარგად თარგმნილი კარგი მოთხრობები.
- 151. ვუკა ბათიაშვილი. სიზაბაის სათქმელი.
- 154. ყოველი მხრიდან
- 157. შურნალ „ცისკრი“ 1967 წლის ნომრების შინაარსი.

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ასათიანი,
აკაკი ბაქრაძე,
ვივი გეგეჭკორი,
გურამ გვირდუნიანი,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო კალაძე,
ოტინა კავკარიანი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუზარ წარეთელი,
ნოდარ ფულუისკირი,
ტარიელ მანჭავიძე,
ნარბი ვილაძე,
თამაზ ვილაძე,
ლუა ჯანაშია.

მტკვრის მარჯვენა
ფ რ თ ი ღ ა ნ
გადავცქერი თბილისს

თვალის ლულვაშიაც ვატყობ ყველას, ყველას,
შაგ-შაგ ულვაშიან კაცს თუ ჭიანჭველას —
მუდამ გუმანში აქვს, მუდამ უნდა ასე
ხარაჩოებზემით შევამჩნიოთ ცაზე!
და მეც ვუცდი ამ ჯერს! — გჯერათ თუ არ გჯერათ,
ცა-ფირუზის ამ ჭერს ვთელი ჩვენს გუმბათ-ჭერად.
გაუმარჯოს გამრჯეს, ვინც აქ უჯრა-უჯრა
ჩვენს ცხოვრებას კუთხე ქვაში ამოუჭრა!

ჩრდილად რომ არ დარჩეს ჩრდილოეთის დაღი,
ყველა სვეტს და საბჯენს ცად ამალღებს თაღი,
მამ, ჩუქურთმამ სული როგორ ამოითქვას —
თუ ბოლნისის ქვას და თუ ეკლარის თლილ ქვას
არ დაშვენდა ფართო სარკმელები სახლის?!

ჩემს ლავგარდანს ახლა ფრთებს ლაჟვარდი ახლის
და სართულზე, სადღაც, მეც ერთ ჭიანჭველად
მტკვარგადმიდან გაღმა ვჩანვარ უეჭველად.
შემომცინეთ კიდევ, თუ გენიშნათ უცებ,
რომ ოჯახის კაცი ოჯახს დავფუსფუსებ!

მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ ისე, როგორც მტკვარი,
ვინ გაზომოს მალღა, რასაც ხედავს თვალი! —
თუმც მნათობთა ციმციმს სასწაულად ვთვლიდი —
იქაც რაა — კაცის ცხოვრებაზე დიდი!
მთელი სიდიადე მწვანე დედამიწის
ერთი ნამცეცია, და ეს ყველამ იცის...
რომ გავადებ ცის კარს, ვარსკვლავია თუ მზე,
ციბრუტივით ბრუნავს, ვუმზერ და არც ვუმზერ...

ვინ გაზომოს ისევ, ადრეა თუ გვიან,
ხაუკუნეს იქნებ გაელვებაც ჰქვიან!
იქნებ ერთი წამის მწუსარებად ვრჩები,
იქნებ ერთი წამის ღიმილია ჩემი —
ვით ჩარჩოში, ეტოვებ ამ სარკმელში ამ წამს,
თქვას რაც უნდა თვითონ, რას ვესწრაფვი, რა მწამს, —
სურათია ცის და სურათია დილის:
მტკვრის მარჯვენა ფრთიდან გადავცქერი თბილისს!..

სოღანლული

აქ ორთაჭალაა, მტკერისპირი, ციხე და
ჩვენს ქალაქს აქვე ამთავრებს კრწანისი.
სოღანლულისკენ რომ გადაიხედავ —
ალარაფერია გასახარისი.

აქედან ჯერ კიდევ არ მოსჩანს რუსთავი,
რომ უბირ მიწასთან სიახლემ იდავოს,
რომ თვალი არ აცდეს უფერულსავით
ალიზით შელესილ სახლებს და მიდამოს...

ზოგან ჭროლაა და ზოგან რუხია
წიადი, ჭრილობის ჟანგივით წითური,
კლდეა თუ ღრეა თუ სოღანლულია —
მტკერისპირად გდია ზურგამოზიდული.

არც „შავი სოფელი“, არც „შავნაბადა!“ —
გული აქ მინდა ჯავრს გავაბურღვინო!
გეტყვით, ასეთი ჟინი რამ დაჰბადა,
გეტყვით, უთუოდ ჩემი პურ-ღვინო!

აივანს არ ვეძებ, ხეებით შებურვილს,
და არც მდელოზე დაფენილ ჩეროებს, —
ჩვენ, სადაც მამათა სამარე გვეგულვის,
იქ ვამბობთ ჩვენს ახალ სადღევრძელოებს!

სადაა ნარეკლის ჯაგმაც არ იცის,
მაგრამ აქ სადღაც არი კალაძე! —
ის აქ დაეცა და არა კრწანისის
ველზე, ან წინანდელ ნარიყალაზე...

მაშ, ლამეე, გაჩაღდი, ფიქრთგასართველო,
აქ, სადაც თავდება ნაბიჯის კვალი,
აქ ემშვიდობება მტკვარს საქართველო
ისე, ვით ჩვენს დღეებს მღელვარე მტკვარი.

ჩვენი მოხუცი, ლაღი და გულღია
არა სჩანს... და მაინც არაა მკვდარი!
სოღანლულია, ვგრძნობ, სოღანლულია
აწ მისი სიკვდილ-სიცოცხლის კარი!

თეატრი

ძველი დრო. ძველი თეატრი. სცენა.
და მყუდრო კუთხე ჭერმონატული.
ასწიეს ფარდა, ვით ბედისწერა:
ტახტზეა ისევ ფატმან-ხათუნი.
ემშვიდობება ქმარს ხელმანდილით,
კოცნით შეუკრთა შუქი საყურეს,
კულისებში კი დგას ავთანდილი,
ისე რომ ფარდაც აღარ დახურეს!

და წუთმა ბნელი თუმც გაათენა,
არის მაცდური ქალივით ჩქარი.
იგივე ტახტი. იგივე სცენა.
დილის ბინდბუნდში იღება კარი, —
ქმარი: — აღარ ვარ მონა ალერსის,
ვნანობ, სიყვარულს რომ ვემსახურე!..
(ქალი დგას ცივად, თითქოს არ ესმის,
კრთის ყურთან მხოლოდ ოქროს საყურე...)

და ასე გადის რვაასი წელი!
სხვა დროა, სხვაა მიწა და წყალი.
არ შეწყვეტილა სპექტაკლი ძველი,
იგივე სცენა. იგივე ქალი!..
ქმარი: — აღარ ვარ მონა ალერსის,
ვნანობ, სიყვარულს რომ ვემსახურე! —
(ქალი დგას ცივად, თითქოს არ ესმის,
კრთის ყურთან მხოლოდ ოქროს საყურე...)

გ ზ ა

გზა არც ისე გრძელია, მგზავრო, ჩვენ რომ გვეგონა!
თორემ აქვე შეგვეძლო მთებით ამოგვექოლა...

ნუთუ აღმართს ჩვენი დღე მღერით აღარ აივლის? —
აკი გზისკენ მიიწევს ჩრდილიც ჩვენი აივნის,
ნუთუ აღმართს ჩვენი დღე მღერით აღარ აივლის —
ამბად მაინც გაიგონ — გადაუსწრებს გზად ვინ — ვის!..

ისეთია ჭრელი დღე. ისე თვალმატყუარა, —
მგზავრო, ერთი წამითაც არ შეჩერდეს თუ არა —

ისეთია ჭრელი დღე, ისე თვალმატყუარა,
იმ გზას, შენ რომ დაადექ — უკვე გადაუარა!

რატომ?.. ისიც ვერ იტყვის, ვისაც უთვალთვალა,
ჩაიღურის წყალიც კი ისე ჩუმად დალია,
რატომ?.. ისიც ვერ იტყვის, ვისაც უთვალთვალა...
რა ვეწნათ, მგზავრო, მე და შენ, რა ვეწნათ, თუ მართალია?!

დღეც ხომ აქვე შეგვეძლო მთებით ამოგვექოლა,
გზა არც ისე მოკლეა, მგზავრო, ჩვენ რომ გვეგონა!

თოვლი მოსულა

ს ი მ ღ ე რ ა

თოვლი მოსულა!? — რაა თოვლი, რაა ჭადარა,
ჩემს ღიმილს თოვლი ნიაგ-ქარმა შემოაყარა!


გაგუყურდები და იმედიც მაქვს ამ გულისა —
თოვლქვეშ ყოველთვის სიცოცხლეა გაზაფხულისა...

თოვლი მოსულა!? — რაა თოვლი, რაა ჭადარა,
თუ წუთის ერთმა ნაპერწკალმა კვლავ გამახარა,

ვაშლის ტოტივით აფეთქდები, ავლაქლადები,
ისე რომ ისევ შემნატროდნენ ახალგაზრდები! —

ცად გავშლი მკლავებს და იმედიც მაქვს ამ გულისა —
თოვლქვეშ ყოველთვის სულისთქმაა გაზაფხულისა!

მოთარ ჩხეიძე



მოთხანი

ეპიზოდი ერთი ქაბუჯის ცხოვრებიდან

1

ჯერ ჩიტების ხმაურმა მოსტაცა ყუ-
რადღება...

კენწეროებზე ჟივქივებდნენ ჩიტები.
ბრიალებდა კენწეროები, უკანასკნელი
სხივები აბრიალებდა. იქიდანაც აიკრი-
ფებოდა სხივები, აიკრიფებოდა ერთბა-
შადა, აიკრიფებოდა და ჩაწყდებოდა.
ვერ გაეკიდებოდნენ ჩიტები, ვეღარ გაპ-
ყვებოდნენ; იქვე ჩარჩებოდნენ კენწე-
როებში, ცოტახანს კიდევ იფიქვებ-
დნენ (სინანულითა), მერე მიიყუქებო-
დნენ, მიინაბებოდნენ.

ჯერ ჩიტების ხმაურმა მოსტაცა ყუ-
რადღება, კენწეროებზე ჟივქივებდნენ
ჩიტები, დაბლაც ჟრიაშული იღვა, ადა-
მიანები ჟრიაშულობდნენ, ჟრიაშუობ-
დნენ მერხებზე, ჟრიაშულობდნენ ფორ-
ზე; ისხდნენ თუ იდგნენ, მიეშურებოდ-
ნენ თუ მიტაატობდნენ, ხელებს იქნე-
დნენ, ხმას ააყოლებდნენ ხელთა ქნევა-
სა, სხვადასხვაგვარ ხმასა, სხვადასხვა-

გვარ სიტყვასა, ერთმანეთისთვის გასა-
გებასა თუ მისახვედრსა, ოღონდ ერთბა-
შად ჟრიაშული გამოდიოდა. ამათში შე-
ურია, ამათ მისდევდა თუ მიარღვევდა,
მაგრამ მაინც ჟივქივი უფრო ესმოდა,
იქით მიუწევდა თვალი, ხეთა კენწე-
როებს მისციებოდა.

საღლაც უნდა ჩამჯდარიყო; რა ვუ-
ყოთ თუ არ ეამებოდა ეს ჟრიაშული,
კენწეროებზე ჩიტები ჟივქივებდნენ,
გაუნელებდნენ ამა უამურობასა. გაუნე-
ლებდნენ თუ არა, სულერთია, უნდა ჩამ-
ჯდარიყო; ჩამჯდარიყო ისე, რომ თვალ-
ქვეშ მოჰყოლოდა შემოსასვლელი ქაშ-
ვეთიდანაცა, რუსთაველიდანაცა... ან
აქედან შემოვიდოდა, ან იქიდანა. რამ-
დენჯერმე სწორედ აქ გადაეყარა, გადა-
ეყარა, როცა არ უნდოდა. ახლა უნდო-
და, ეგება ახლაც შემოსულიყო ან აქე-
დანა, ან იქედანა.

მერხებზე ადგილი არ იყო, ვისაც მი-
ესწრო. მოეკალათებინა, ვისაც არა,
თავსწასდგომოდა; მასლაათობდნენ, თუ

საქმეს არიგებდნენ, რაღაცას დაობდნენ, თუ სახუმაროს იტყოდნენ, ვერ გაიგებდი ადვილად. მერე გაინაპირებდნენ ერთმანეთსა. მერხზე ადგილი მანც არ იცლებოდა, არც მოიცილებოდა. უნდა ატუხულიყო, მდგარიყო ასე მარტოდ-მარტოდა, მდგარიყო ისე, თვალქვეშ მოჰყოლოდა შემოსასვლელი ქაშვეთიდანაცა, რუსთაველიდანაცა... ან აქედან შემოვიდოდა, ან იქედანა. შემოვიდოდა თავაწეული, შეჩერდებოდა შუაგზაზედა; თავაწეული, გაღიმებული, ტუჩებგახსნილი, თითქოს რაღაცას ამბობსო, — მხარც გაეკრათ, რას გახიდულხარო, ზედაც გადაეცლოთ, ყურადღებას არავის მიაქცევდა; უსმენდა, თუ როგორ ეივთვებდნენ ჩიტები, უსმენდა და იგონებდა... ამგვარ ყოფაში გადაყრია ანაზღადა; მაშინ არ უნდოდა, ახლა უნდა, ეგება მოვიდეს, იღუპალი რამ ძალა ჰქონია ასეთ სურვილსა, როგორღაც მიუყა, როგორღაც შთააგონებს, გამოიყვანს, აიყოლებს, ატარებს თავისი გზითა: ან აქედან შემოვა, ან იქიდანა.

დაბლა ქრიაშული ღვას, ქრიაშული სხვათადასხვათა... კენწეროებზე ეივთვი კლებულობს, სულაც მისწყდება თუ გამოილია სხივები, თუ, ერთი რა არის, ერთი სხივიც აღარ შერჩა კენწეროსა.

და აი ისიც გამოჩნდა, გამოჩნდა, ვისაც ელოდა...

ერთი რა არის, ერთი სხივიც აღარ შერჩენოდა კენწეროსა; ის რომ გამოჩნდა, აკრფელიყო, წასულიყო სხივებიცა, ჩიტებიცა, მთაწმინდასა, კოჯრის მთასა და ნაძალადევის მთებზე აეკალთავებინათ. ეგება ჩიტები არც გაჰკიდებოდნენ სხივებსა, ეგება იქვე სადმე მიყუთულიყვნენ? გაჰკიდებოდნენ თუ მიყუთულიყვნენ, სულერთი გახლდათ, აღარა ეივთვებდნენ...

კენწეროს ამაოდ მისჩერებოდა, ამაოდ აეცქვითა ყურები, ამაოდ აცეცებდა თვალებსა. აღარც ჩვეულებრივი ღიმილი დასათამაშებდა სახეზე, თითქოს შემკრთალიყო თუ გაკვირვებულყო; უჩიტებოდ ის ბალი აღარ ეპიტანავებოდა, ფორამდისაც არ მიულწევია, ქაშვეთის

მხრიდან შემოვიდა და იქითვე შებრუნდა, სხარტად შებრუნდა, ქუსლზე შედგა, შებრთწილდა. ასეთ შებრუნებას ნაბიჯიც ჩქარი უნდა მოჰყოლოდა. თუნდაც სიჩქარე არ მოყოლოდა, ხალხი შთანთქავდა. საღამოვებოდა. მომატებულიყვნენ, მომრავლებულიყვნენ, მოდიოდნენ და მოდიოდნენ ქაშვეთის მხრიდან, ნინოშვილისა და კეცხოველის ძეგლების მხრიდანაცა. ქვემო მხრიდან ზომ მრავალტოტად მოეფინებოდნენ, დუდგოვდებოდნენ იქ, ფორზედა, შეიბნეოდნენ, შეიხლართოდნენ, გაიხსნებოდნენ, გაიშლებოდნენ ვინ საითა და ვინ საითა; ჰოდა, შთაინთქმოდა, ამიტომაც ამოსცდა მოუთმენლად:

— ლენტო!..

ამოსცდა და ტუჩი ჩაიკენიჭა; ასე არ უნდოდა. იმას უნდა შეენიშნა, ის მისულიყო, თავს წასდგომოდა, ამოეძახნა, — ოჰ, ფარნაოზ, შენც აქა ხარო, — ამოეძახნა და ხელი გაეწოლდა. ასე არ მოხდა; ჩიტების ბრალი იყო, ადრე გაილაღნენ. ჩიტები წასულიყვნენ, ისიც მიდიოდა, თუმცა სახელი მოეყურა; შეჩერდა, მოიხედა, არავინ ემცნაურა, ისევ გასწია და უფრო მოუთმინარი ძახილიც მისწვდა:

— ლენტო!! ლენტო!!

შავი ლაქაც შეთამაშდა, ავარდა, წამოვიდა, გამოფრიალდა შავი ხალათი თეთროსანთა შორისა, ტილოსა და აბრეშუმის სამოსთა შორისა. შუაზაფხული დამდგარიყო, ყვავილოვანიც ბევრი ირეოდა. ყვავილიც ბევრი ღღანებდა ბაღში. შავი მანც თვალში საცემი იყო, თვალს იტაცებდა:

— ფარნაოზ!..

— ჰო...

— კარგია, რომ დამეხმაურე.

— ჰა?!

— კარგია-მეთქი... არ მისადილნია, მარტო კაცი პურჩქამაშიც ბრალიაო.

— ბრალიაო...

— წავიდეთ, შევქამოთ რამეი.

შევმა დაიხია, უკან გადადგა ერთი ნაბიჯი. აქეთ-იქით თეთრები მიფრიალებდნენ.

- არა.
- რად იცი ასე?! წამო!
- აქ მირჩევნიან. საღამოა. აგრილდა. ბაღში სჯობიან.
- ბაღში იყვეს, აგერ ინტურისტის ბაღი! ისიც ვითომ ბაღია... გარეთ ხომ მაინც არის, იქაც ეგრილება, წავიდეთ, პა!!!
- წადი-მეთქი...
- წამო-მეთქი!..

ხელი ჩაავლო, გასწია, გაიყოლა. გაედევნა ფარნაოზი, გაედევნა ფეხის თრევითა, უნდილადა, მობუზულადა. თითქოს დალეულიყო, თითქოს ლენტოზზეც პატარად მოსჩანდა. ჩალაგადავლებულად ითქმოუნდნენ. მაგრამ კისერი მოედერებინა ლენტოსა, მკერდი აეწია, მხრები გაეშალა, მძიმედ მხარხევდა მომსხო მკლავებსა, ცერადაც ვახვედავდა, გეგონებოდათ, კიდევ თუ ეურჩა, აღარც აციებეს, აღარც აცხელებს, ხელში აიტაცებს, ეგრე წაიყვანსო; გეგონებოდათ და არც მოტყუვდებოდით, აგრეც იქნებოდა, მაგრამ აღარ ახირებია ფარნაოზი, მიპყვა მორჩილად; თუმცა რაღაც რომ არ მოსწონდა, აშკარადაც ემჩნეოდა სახეზე. ლენტოს სიგოროზე თუ სითამამე არ მოსწონდა: ცდილობდა, თვალი მოერიდებინა, — ვიდრე მიდიოდნენ, ასფალტს ჩასჩერებოდა, მაგიდას რომ შემოაოხსდნენ, მუშტები დაიწყო და ზედ დაჰკიდა ცხვირი. ლენტო სხვა გახლდათ, შემართულიყო, თვალებს აბრიალებდა, მკლავებს ატრიალებდა, ჩქარა, ნუ მაყოვნებთ, ოფიცინატი მალე მომგვართო.

ამწუთშიო, მოსძახოდნენ აქედანა, იქიდანა, იქიდანა, იქიდანა, მოსძახოდნენ ყოველი მხრიდანა, თითქოს ქვაბთა ხევში მოხვედრილან და გამოქვაბულნი ეხმაურებინანო. ამის გარდა სხვანიც უხმობდნენ და პასუხიც ყველასი გახლდათ: სხვანიც უხმობდნენ, დამშეულიყვენ თუ იქპაროდნენ, — ერთიც ივარაუდებოდა, მეორეცა, ორიოდ საათში უცებ, ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით ჩაიხურებოდა რესტორნები თუ კაფეები, სამწვადეები თუ სახინკლე-

ები, ჩაიგმანებოდა, ჩაიხერგებოდა, ერთ ყლუბსაც აღარავინ მოგაწვდიდა, წყურვილითაც რომ დამხრჩვალყოფი, იჩქაროდნენ, უნდა მოესწროთ; უნდა მოესწროთ სმაცა, ჭამაცა, თქმაცა, სიმღერაცა, ცეკვაცა-თამაშიცა; წყურვილიც იყო, წყურვილი უნდა მოეკლათ დასიცხულეებსა, გათანგულეებსა ზაფხულის დიდი დღითა, ქალაქის დღითა.

ამწუთშიო, მოსძახოდნენ აქედანა, იქიდანა, მოსძახოდნენ ყოველი მხრიდანა, წკრიალებდა ჭიქები, ტრიალებდა შამფურები, მიაქანებდნენ ალავარდნილ შამფურებსა; ამათ ჩაუქროლებდნენ, ამწუთშიო, ამათ დაუგდებდნენ, მიარბენინებდნენ აქეთ-იქითა; ან ერთბაშად შეცვივდებოდნენ ხვიარების თაღებში, შეცვივდებოდნენ ყიყინითა, თითქოს ეს არის — ციხე აიღესო. აიღებდნენ, მამარაო, რომელი ციხე გაუძლებდა იმ აალებულ შამფურებსა!

გამბული და დატიხრული აივანი დაეფარა ხვიარებსა. ტიხრების კარი ხვიარებში ამოყვანილიყო. ერთ იმ კართავანს გაპირდაპირებოდა ფარნაოზი. ლენტო იქით არც იცქირებოდა; ოფიცინატი რომ ჩაუქროლებდნენ, უღრენდა და უჭრიალვდა თვალებსა. ამწუთშიო, უკრეკდნენ ისინიცა, ერთი წამით მაინც ამშვიდებდნენ. ფარნაოზი ისედაც დამშვიდებული მოსჩანდა ან ერთობოდა ხვიარების თვალერებითა, — გასართობიც იყო: ტიხრები აენთოთ და ფოთოლთა შორის მოსჩანდა ნაფლეთნაგლეკები ადამიანებისა, მოსჩანდა ზურგები, მხრები, ქოჩრები, ლოყები, ცხვირები, ბზინავდა მოტვლებილი საქოჩრები, დროდადრო თვალები აბრიალდებოდა, ზოგისა ავადა, ზოგისა კეთილად, ზოგისა ბრიყვეულად თუ გამოშტერებულად.

გულგაწყალებულიც გაერთობოდა, მხატვრისთვისაც კარგი რამ იყო, მაგრამ საამისოდ ვერ მოეცალათ; ან ვინ იცის, თვითონვე ჩამსხდარიყვენ იმ

ოთარ ჩხიძე
 აღმართ-აღმართი

ხვიარებში, მიესწროთ და ჩამსხდარიყვნენ, — სხვას თუნდა დაენახა, თუნდაც არა, არაფერში გამოადგებოდა. ფარნაოზიც შესცქეროდა, ფერწერა არ ეხერხებოდა ფარნაოზსა; არ ეხერხებოდა, თორემ დიდებული რამ იყო, აგერ პირდაპირ, სწორედ გაპირდაპირებულ ხვიარებში რომ იჯდა ან იღო ვეება ცოში, საგულდაგულოდ მოზეილილი, ოღონდ უკვე გაღვივებული, გაფუებული, გადაეჩენილებული. ოთხიოდ ღრუ თუ ფოსო ამოჩენილიყო იმ გაფუებულ ცოშიცა, ვითომ თვალბიაო, ვითომ ცხვირიცა, ვითომ პირიცა, — ცომა რომ მოზელავენ, ჯვარს დააყარავენ ხელითა, გაღვივებისას გადაიშლება ჯვარი და ფოსოები შერჩება ხოლმე, — ჰოდა ვითომც იმ ჯვარის ნარჩენებიაო. რომ გაიცინებდა, თითქოს ცოში უნდა გაღვივდეს ვარცლიდანაო... შედარებებში ასე გამოვიდოდა, ფერმწერისათვის კარგი რამ იყო.

ამწუთშიო, მოსძახოდნენ აქედანა, იქიდანა, მოსძახოდნენ ყოველი მხრიდანა, ჩაუქროლებდნენ, მიაქანებდნენ და ყველაზე მეტს იმ ხვიარებში მიაქანებდნენ, აიჭრებოდნენ ყიყინითა, იქაც ეგებებოდნენ ყიყინითა.

— თქვენი წუთიცა და თქვენი საათიცა... აღარ მოგვხდებათ?!

— აგერ არა ვარ?!

თითქოს მიწიდან ამოქრავო ოფიციალტი, ხონა წამოდგა, პური, მწვანილი, საუზმეული და ბორჯომი გადმოაწყო.

— მაღლობა ღმერთსა!.. ჰო, რა გრძელი წუთები გქონიათ!.. მოვსულვართ, მოგვხედე რაღა, გვეშობა...

— აქ მაძლარი არავენ შემოდის...

— ენაც რომ არა გქონდეთ, რა გვევლებოდით?

— ეგა ბრძანე და, რა გვეშვებოდა! ენითა ვკამთ პურსა.

— ენითა?!

— მაშა! ენითა, ენითა... ყველა ენითა ჰამს.

გააღო პირი ლენტომა, გააღო და მოკუმბა, სათქმელი არ წამოუვიდა, ფარნაოზს გადაჰხედა, შენ რაღას იტყვიო,

მაგრამ ფარნაოზს არც შეუნიშნავს, არც ოფიციალტის სიტყვები ჩაუგლია დიდ რამედ; ხოლო ის იღგა გამომწვევად, თუ რამე იცით, ბარემ მითხარით, თუ არა და დაისწავლეთ ჩემი შეგონებაო.

— რას მოგვიტან? — ამოიძახა უცებ ლენტომა, ისე ამოიძახა, ამას უფრო ნიშნავდა: ღობე-ყოჩის ნუ მიედ-მოედები, შენი საქმე გახსოვდესო.

— რასაც ინებებთ... — უკვე მორჩილად მიუგო ოფიციალტი.

— რას ინებებ? — ფარნაოზს გადახედა ლენტომა.

— ჩიტის რძესა... — ცივად ჩაიღიმა ფარნაოზმა, თავი როდი აუწევია.

ოფიციალტი შემოტრიალდა.

— რაო, ჩიტის რძეს მოიტან თუ?!

— მიძახიან...

— ამწუთში-თქო, შენც მიაწოდე... — მაჯა დაუქირა ლენტომა, — ჩახოხბილი... წინანდალი... შენცა თქვი რამე. ქოთნის ღობიო ხომ არ გინდა, ნიგვზიანი, კომშიანი? გინდა? ბარემ მეც მინდა, მაგრამ... ჰო, შენ რაღა გინდა?

— არაფერა...

დუნედა თქვა ფარნაოზმა, დუნე-დუნედვე გადაიწია, საზურგეს მიაწვა, ჩაიწია, ჩაიკუნტა სკამზე.

— მოიტანე!.. — ბრძანა ლენტომა და, ოფიციალტი რომ გაბრუნდა, ფარნაოზისკენ გადაიხარა, — არაფერი მინდაო? არაფერი რა არის და იმისი ნდობა რა უნდა იყვეს?! რა გული გაგტეხია. რას მოღვენთილხარ?! გიყურებ და ვეღარ მიცნობხარ, შენ ხომ ლხინის თავი იყავი ხოლმე ჩვენს ბიჭობაში, თითქოს ისა ხარ და აღარც ისა ხარ, რამ გამოგცვალა?! თქვი, მითხარი, ეგებ უსამეველო არაფერია, მენდე, გაგიტან, ნურც უხვირო ვინმე გეგონები, ამ ქვეყნად რაღაცა მეც მომიხერხდება. ჰა?! — და მიაჩერდა, მიაცივდა თვალბებითა, მანიშნე ან მითხარო. თვალი გაუსწორა ფარნაოზმა, არც არაფერი ანიშნა, თითქოს არც არაფერი ჰქონდა სათქმელი, თითქოს უკვირდა, რას მეკითხებო; ან არც უკვირდა, არც გაეგებოდა. რა ნდობასა თუ გატანაზე ლაპარაკობდა ის, ცოტა

არ იყოს, წათამამებული ყმაწვილი. ლენტო მოიღრუბლა, ასეთ უნდობლობასა თუ ამპარტავნობას რა უნდა მეგობრობაშიო, მოიქმუნხა და არაფერი თქვა; თქმაც არ უნდოდა, თავისთავად გაცივდებოდა გული. გატეხილი პური აღარ გამოთელდებოა, ნათქვამია, მეგობრობა პურივითა ყოფილა, — ევეეე... — ხელი ჩაიქნია ლენტომა.

ამწუთშიო, მოაძახეს აქედანა, იქიდანა და ფარნაოზმაც გააღო პირი, გააღო და ეს ამოილულულა:

— ერთი ოცი თუმანი მასესხე...*

— სულ ეგ არის?! — ეშვით შეშხედა.

— სულა...

— ჰმ... — იმედი გაუტრუვედა ლენტოსა, — ოცი რა არის, ოცით რა მკვდარი დაიმარხება, მეტი თქვი... თქვი, ფული მაქვს... — მოწყვიტა, ოფიციალტი წაადგათ თავზე, წაადგათ, მაგრამ ვერ მიუსწრო, მიუხრდნენ და არც უყურებდნენ, რა მარჯვედ გადაუდგა ჩაზოხბილი, რა მოხდენილადა ზსნიდა ბოთლებსა, ესეც ამო იყო, ესეც ფული ღირდა და მექთანდ იკარგებოდა. თუმცა ჯერ ვინ იცის, ორიოდ ბოთლსაც თუ მოიხობდნენ, ყველაფერს ეშხი დაედებოდა. მანამდის სჯობდა მორიდებოდა და ისე გაიძურწა, ვერც გაიგეს. მერე ბოთლს ხელი წამოავლო ლენტომა, ჰიქები აავსო. დაცალეს. მაშინვე აავსო მეორედა, მაშინვე დაცალეს, რაღაცა წაიბურტყუნეს, ჰო, რაღაცაო, რადგან არ ისმოდა, თორემ პირველი სადღეგრძელოები თქვეს, ჩვეული სადღეგრძელოები, ყველასთვის ნაცნობი, ამიტომაც წაიბურტყუნეს, იმიტომაცა — პირში ღიღი ლუქები ეღოთ. მესამედაც წაიბურტყუნეს და მერე ფარნაოზმა ცოტა უფრო გამორკვევითა თქვა:

— მაგისი თქმაც მიჭირდა...

— გიჭირდა?!

— ძალიანა...

— რახან დასძალე, მეტი გეოქვა.

— მეტი მეტად დამძალავია... გადახდა უნდა.

— გადახდიდი, როცა იქნებოდა... რა მეჩქარება?! მე შენ გეტყვი, ხოდაბუნებს შევიძინე... რის მაქნისია?!

— ვისთვის უმაქნისია, ვისთვის ვალია, ვალი მძიმეა. ოცი იყო. დღეში თუშანი მეკმარება, ერთ თვეს გავიტან, მერე ვნახოთ...

— მერე რატომაო, ახლავე ვნახოთ. ერთ თვეს გავიტანო, ასე არ ამბობ? მერედა, რომელ ერთ თვეს გაიტან, ყველაზე მოკლე თვე თებერვალია, ისიც ოციანი როდი, ოცდარვა დღიანია. თქვენში რაო, ხომ არ დაუკლეს?! ვთქვათ და დაუკლეს, ჯერ სად არის ეგ შენი თებერვალი, როდის იქნება, ვერა ხედავ, რამსიგრძე დღეებია, აღარ მახსოვს როდის გათენდა.

ფარნაოზსაც როდიდა ახსოვს, ოდესღაც გათენდა, ჰო, ოდესღაცა; ეს მაშინ იყო, ლენტოსაგან ფულის სესხება რომ გადასწყვიტა, გადასწყვიტა და გადაბრუნდა, ძილს გავიგრძელებო, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გავიგრძელა, იბრუნა, იტრიალა, მოიღუნა, გაიშალა, მაინც ისე ვერ გამოუვიდა, ძილი დასწოლოდა. წავიდა ძილი და ასჯერ მაინც გადაიფიქრა, ვინც უნდა იყო, ოღონდ ლენტოს არა, არაფერს ვეტყვიო, ასჯერ მაინც გადაიფიქრა და ასჯერ მაინც მოიფიქრა, ლენტო იქნება თუ ვინმე სხვა, ვითომ რა ბედენააო, კიდევ გადაიფიქრა და კიდევ მოიფიქრა. დღე ღიღი იყო, ყოყმანიც ღიღი იყო. თავმოყვარეობა აყოყმანებდა, თავმოყვარეობა და კიდევ სხვა რაღაცა. ჰო, რაღაცა, სახელი რომ ვერ შეერქმია. თუმცა, რა ჰქონდა საძებარი, ასახსნელი თუ გამოსარკვევი. არ უყვარდა ის თავქარიანი ბიჭი, არც იქა, სოფელში, არც აქა, ქალაქში. იქ მაინც სოფელი იყო, პატარა სოფელი, დღეში ათჯერ გადაეყრებოდა, ერთხელ სალამს მაინც მისცემდა; აქ ქალაქი იყო, ღიღი ქალაქი, თვეში ერთხელაც ვერ შეზღვებოდა და სალამიც თუ ასცდებოდა, უფრო ერჩივნა, ბევრად ერჩივნა. არ ეკით-

* ძველი კურსით.

ხებოდა, თუ რას აკეთებდა, რასა მაქ-
ნისობდა, ეგება უკეთური საეალი აერ-
ჩია, მით უფრო უჯობდა უსალმოდაც
გადარჩენილიყო, არ შეებოდა თავისი
სახელი, ალალი ბიქის. გონიერი სტუ-
დენტის სახელი. მერე ის სტუდენტობა
უკან დარჩა, დიდი ხანიც როდია, სულ
ახლახან მოიტოვა უკანა, განწყობილ-
ბა იგივე შერჩა, მაინც არ უნდოდა ამ
ბიქის სალაში, თუმცა უფრო ხშირად
ხვდებოდა, რახან თბილისში დარჩენა
აიჩემა, რახან სამსახურის გამოძებნა
უნდოდა. ძებნა უსიარულოდ არ იქნე-
ბოდა და არც ის იქნებოდა გასაკვირ-
ველი, ვინ იცის რამდენჯერ ამოსცდე-
ნოდა, ვერიდებოდი ლოლოსაო, და-
მიხვდა ბადის ბოლოსაო. ამ ბაღში მა-
ინც ბევრჯერ შემოხვდა, ბევრჯერ ისე,
სალაში არც გამოსდგომია, — მოდიო-
და გაფაციცებული, ვერავის ამჩნევდა,
ვერაფერს არჩევდა, თავი აეღო, მისჩე-
რებოდა ბოლო სხივებში მოლივლივე,
მოქლურტულე ბელურებსა, მისჩერებო-
და და უხაროდა. ეს ხომ სოფლის მო-
ნატრება იყო, მონატრებაც იყო, რაღაც
სხვაც იყო, სუფთა გულის, სუფთა სუ-
ლის გამოჩენაც იყო... და მოლბა ფარ-
ნაოზი. ამიტომაც იფიქრა და გადაიფიქ-
რა, რამდენჯერ იფიქრა და გადაიფიქრა,
რამხელა დღე იყო ეს დალოცვილი!..

უკვე სხვას ამბობდა ლენტოი, სად-
ღეგრძელოს ამბობდა, ჭამდა და სვამ-
და მამურალივითა, ორივე ყბით ილუკ-
მებოდა ჭიქას რომ მოიპირქვევებდა,
ბუხბუხებდა მორევივითა. თავისი კერ-
ძი მალე მოტორა, ოფიციალტი იხმო,
მწვადი შეუკვთა, ცერით ცარიელი
ბოთლები დაანახა და თვალი ჩაუკრა.
მერე ის მწვადიანი შამფურებიც გაბ-
დღვანა და მაინც უქმაყოფილო იყო, მა-
ინც ბუზღუნებდა:

— ჭამ, რო მოგშივა, შეჭამ მა რას
იხამ, შეჭამ, მაგრამ გემოს ვერ ჩაატან,
თუ ოდესმე გემო გაგიგია, ვერ ჩაატან,
თუ არ გაგიგია, მაინც სულერთია: გინ-
და კონსერვისა ყოფილა. გინდა ათი
წლის გაყინული კამეჩისა, გინდა ამ-
წუთში დაკლული უშობლის მწვადი.

თუ სულერთია, გემო აღარაფერი მოხე-
ლე ყოფილა და, რაც უფრო მალე მოგე-
შორდება, მით უკეთესი იქნება. ჭევეყა-
ნა რომ შევაჯერო, ვერავის გავაგები-
ნებ, რა გემრიელია კომშიანი ლობიო;
მეც ვეღარა ვჭამ და აბა რაღა ეშმაკად
მინდა, პირში რომ მიღვას იმი გემოი?!
მიღვას, მიღვას და ვერაფრით გამინე-
ლებია, სოფელში თუ არ ჩავედი, ვერც
გავინელებ. ჩავალ... — ტუჩები ღიად
დარჩა, თითქოს კიდევ უნდა თქვასო.
თითები ჭიქისაკენ წაუვიდა. არ აუღია,
ზედ გადააწყო თითები. ჭიქა პირთამდის
აეცსო, დაუსველდა თითები. მისწვდა
ქაღალდის ხელსახოცსა, შეიმშრალა;
აღარ გადაუღვია, დაპყურებდა, ვითომ
იქ უწერიასო; — რამდენი ხანია სოფელ-
ში აღარა ვყოფილვარ... როგორ ჩავ-
სულიყავი, ხილაბანდსაც ვერ ჩავუტან-
დი დედაჩემსა, მამაჩემისა და ჩემი და-
ძმების საჩუქრებს ხომ გულშიაც ვერ
გავივლებდი, ისე ხელცარიელს მერცხ-
ვინებოდა, სოფელში თავი მომეჭრება-
მეთქი, ახლა არ მომეჭრება, წავალ... —
ჰო, თითქოს დღიურიაო, თითქოს იქა
კითხულობსო, თუმცა ხელსახოცზე მხო-
ლოდ თითების ლაქები იყო.

— მეც მინდა წასვლა... — ფარნაოზ-
მაცა თქვა, ოღონდ ისე ფიცხლად რო-
დი, დუნედა თქვა. მაინც წრფელი იყო
ეს ნათქვამიცა, წრფელი და ოდნავ ნალ-
ვლიანი; ჰო, შეიძლებოდა გამოტეხილი-
ყო, რატომაც არა; ბოროტთა და ცბი-
ერთა შორის ხომ არ იყო, სიალალის
იერი ეღო ლენტოსა, სიალალისა და სი-
საღისა. აი თურმე რანაირი ყოფილიყო,
მაგრამ კარგი თვალით რომ არ უყუ-
რებდა, ვერ გაერჩია აქამდისა. თუმცა
ნურც ევარე აჩქარდებო, ამას ჩასძახო-
და ეჭვი და სიფრთხილე თანდაყოლილი
თუ შეძენილი იმედგაცრუებებში; ნუ
აჩქარდები, სახეს ნუ აპყვები, ნუ აპყე-
ბი გამომეტყველებასა, სიალალის იერი
ყველაზე ადვილი მოსაგვრელიაო. ჰა?!
ნუ შეიცხადებ, სისხლისმსმელებიც გამ-
ხდარან წრფელნი, უსაშინლეს დამნა-
შავეებსაც მოჰკიდებიათ სიბრალული,
ჭევეყანა რომ დაუტყვევიათ, წინაპართა

ძვლები რომ ამოუბრუნებიათ, იმათაც უგრძნობიათ სინანული. ეს ვილა, რა იქნება იმათთან შედარებითა. ვითომ იმდენს რას მოასწრებდა, ისე როგორ განადირდებოდა, ერთი წუთითაც არ დთანადრებოდა გული, დედაჩემს ხილბანდიც ვერ ჩავუტანო? ჰა?! ნუ გაიკვირებო. დაე თუნდაც წუთისა იყოს ეს სიალაღე, წუთისა იყოს, უეცარი, მოულოდნელი, სწორედ ის უნდა შეიპყრო, აპყვე, აიყოლიო, ასე იწყება აღორძინება სიკეთისაო. არა?! ეჭვი მიუყრდა. — მეც მინდა წასვლა... — გაიმეორა, — მაგრამ ეტყობა, კარგახანს ვერ მომიხერხდება...

- შენ რაღატომღა?!
- მეც იმიტომა...
- ჰო?!
- ჰო...

— ვერ გამიგია... ჩემი ამბავი გამიგია, ჩემია და გამიგია. მეშვიდე კლასიდან გამოვევარდნილვარ, გამოვევარდნილვარ და არაფერი გამომიტანია. მოთმინება თუ მექნებოდა, როგორმე საშუალოს დავამთავრებდი, მაგრამ მაინც ვითომ ისეთი რა იქნებოდა, იქიდან რაღას გამოვიტანდი?! ტყუილად ვიჯდებოდი, ტყუილად გულს გავუსიებდი ჩემს მასწავლებლებსა. ჩემი თავიც შევიბრაღე და ისინიცა, მე იმათზე ჭკვიანი გამოვდექი, „განთესვა“ არ შეიძლება, რო ქაქანებდნენ და არ მიშვებდნენ სკოლიდანა, მაინც გამოვიტყე, მაინც ავითე-ეე შეიშველი თავითა და კარგახანს გზაც ვერ გავიკაფე ცხოვრებაში თავმიშველაში. შენ ასეთი რა დაგმართნია, კარგადა სწავლობდი მაშინაცა, მგონი მერეცა, არა?! ჰოდა, ვეღარ გამიგია, შენც იმიტომ რაღადა... — მხრები ასწურა ლენტომა, იყო ასე, მერე ჭიქას წამოავლო ხელი, ამ გახსენებაზე, მშობლების საღდეგრძელო იყოსო. დაღიეს. და იგივე გაიმეორა, ვერ გამიგიაო.

— შენი თუ გაგიგია, სხვისასაც მიხედები, — მიუგო ფარნაოზმა, მიუგო ისე, ლაპარაკი რომ არ უნდათ ხოლმე და ძალას ატანენ. — ვინც უნდა იყვეს, როგორც უნდა იყოს, თავშიშველი გად-

მოვარდება თუ თავჩაჩქინანი, სულერთია, ყველამ თავისი ბილიცი უნდა გაიყვანოს, ყველამ თავისი გზა უნდა გაიკაფოს, ყველამ გაკაფვით უნდა დაიწყოს. მე რა ვარ, შენ რა ხარ, სხვა რა არის! მეც ჩემს ბილიკს მივდგომივარ და ვერც მივდგომივარ. ვერც გასაკაფი მიპოვინია, საკაფავიც ვერ გამომდგომია. ფილოლოგობა ვერაფერი ისეთი ხელობა გახლავთ. ხელი ჩამავლონ და აღარ გამიშვან, უშენოდ ვერ გაძვლებთო. სხვა რამ რომ მესწავლა... თუმცა ახლაც რომ შევდიოდე უნივერსიტეტში, ისევე ფილოლოგობას ავირჩევდი, ვინანებდი და იმასვე ვირჩევდი. ასეა, ხასიათია, ბუნებაა, მიღრეკილებაა, რაღაც ბედია თუ უბედობაა.

- თუ არ მიწყენ, ეგება უხეირობად ითქმის?
- რა მოგახსენო, არ ვიცი...
- რა ცოდნა უნდა, ბაზარზე თუ გასულხარ, იქით უნდა მიდგე, საითაც მანდა უფრო დიდია, სადაც უფრო მეტი მოიგება.
- სწორედ ეგ არ ვიცი.
- მაშ რაღა გასწავლეს?!
- რა მოგახსენო...
- არა, მაინც მითხარი, რაღაცა ხომ ისწავლე, რა ისწავლე ისეთი?!
- რაც არ გამიჩინდა ეგეთ ფიქრებსა.

თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთსა, ფარნაოზი შეამაყებულებო, გაკვირვებულებო ლენტომა.

- არავინ იყო შენთან ისეთი, ვინც ასეთი ფიქრები გამოიტანა?
- ეგება იყო, ეგება იყვნენ...
- მერე?!
- რა ვუყოთ მერე, სხვადასხვა თესლმა სხვადასხვაგვარი ნერგი იცის.
- წამწყმიდა წახედულობამაო...
- ვერ წამწყმიდა.
- ბედია?
- ალბათა...
- თუნდა ბედს მოუკვლიხარ, თუნდა

ოთარ ჩხიშიძე
 აღმართ-დაღმართი

უბედობასა... ამხელა დღეში თუმანი ვინდა იმყოფინო...

ფარნაოზმა ნერწყვი გადაყლაპა, გადაყლაპა და ვერც გადაყლაპა, ღვინო მოსვა, ერთი ყლუპი მოსვა, ის გადაყლაპა ნერწყვივითა.

— წუთისოფელი ასეა...

— ...ღამე დღეს უთენებიაო, ვიცი, მეც მიმღერია, რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებიაო, ვიცი, მაგრამ სიმღერა მაინც სიმღერა არის, გულს მოგფხანს, ეგ არის და ეგა. ცხოვრება საქმეა და რაშიც ხერი არ არის, საქმედ არ ითქმის.

ჰა?! თითქოს რაღაც ისეთი თქვა ამ ბიჭმა, ზოგიერთი ლექტორი რომ აზუთხებდა და ვერც აზუთხებდა; ფარნაოზს არა, ფარნაოზს დავითნის გაზეპირებაც არ გაუჭირდებოდა, — ფარნაოზის ამხანაგებსა. ჰო, თითქოს რაღაც ისეთი წამოსცდა, უბრალოდა, მდაბიურადა, ცხადათა და ცხალზე ცხადათა, ასე იოლად არ გამოსდიოდათ იმ ლექტორებსა, თითქოს განგებ ამბობდნენ ისე, ვერაფერი გაიგონ სტუდენტებმაო.

— რომ ისაქმო, უნდა დაგსაქმონ, — ჩაიდუღუნა ფარნაოზმა, — ველოდები, სადმე მომიჩინონ ადგილი, მუზეუმი იქნება თუ ინსტიტუტი, სადაც იქნება, ოღონდ დაეჯდეს და ვიკვლიო... მაგრამ სხვები სხედან და ვიღრე ვინმე ადგებოდეს, მე ჩემი დამემართება.

— შენც ადექი და სხვა რამე მოიფიქრე.

— რა?!

— რა ვიცი!

— რაც შემიძლიან...

— რაც შეგიძლიან...

— ლექსების წერაც შემიძლიან.

— წერე! — უცნაური სიხარული აღმოხდა ლენტოსა, — წერე! უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებ.

— ვწერე...

— მერე?!

— არ მომიწონეს.

— ისე დაწერე, მოგწონონ.

— ჰმ!.. — ჩაიცინა ფარნაოზმა, —

იცოცხლე, კარგია, ისე თუ დავწერ, მაგრამ ძნელია, ძალიან ძნელია.

— სხვებს ეადვილებათ, მე ვიცი...

— მეც ვიცი, ეადვილებათ.

— შენც ისე...

— ისეც დავწერე, — თავი დახარა ფარნაოზმა, უჭირდა გამოტეხილიყო, სიტყვასაც ვეღარ გაიბრუნებდა. — ჩემი მაინც არ მოინდომეს... და ვეღარ გავიგე... ან რა გაგება უნდა! თუმცა მაინც გასაგებია... ერთი სიტყვით, ასეც დამიწუნეს, ისეც დამიწუნეს, უხეიროდ გამომივიდა და როგორც შენ ამბობ, უხეირო რამ საქმე არა ყოფილა.

— ნწ... არა ყოფილა.

— ამისი უხეიროც საქმე ყოფილა, — თავი გადასწია ფარნაოზმა, ნიკაპი წაიწვდინა, ნიკაპით მიანიშნა ზვიარბისკენა. — კალენდარი დაუღვია წინა და მისდევს ოდელია რანუნას ხმაზე.

— შენც მიჰყე, სხვა ხმაც არის...

— დივილიდალაღეც არის, მაგასაც თავისი მიმდევარი ჰყავს.

— შენც სადმე უნდა გაეჩხირო.

— ვერა... არ ჩამიტიეს.

— ნუ მოეშვები.

— ჰმ!.. პოეზია დიდი რამაა, ჭეშმარიტ პოეტად რომ დავიგულო თავი, არც მოვეშვები, მაგათ კი არა, არა, რა სათქმელია, პოეზიას არ მოვეშვები, მაგრამ ვერ დავიჯერე, ვერ ვიწამე თავი ჩემი...

— ჭეშმარიტი ვიცი, პოეზიაც გამიგონია, ერთად რა გამოდის, ვერაფერს გეტყვი, მაგრამ ლექსში რომ ხერიია, ჩემზე უკეთესად არავის ეცოდინება...

ვერაფერს მიუხვდა ფარნაოზი, ან არც გაუგონია, თვალი გაუშტერდა, უბრალო ღიმილისა თუ დაციწვის იერი გადაეფინა სახეზე. ის ვეებერთელა კაცი გამოსდებოდა ზვიარბებსა, ლამის თან გამოტანა. აქედან ოფიციატები მიეშველნენ, იქიდან მეინახენი, გასწი-გამოსწიეს ტოტები, გამოატარეს. მეინახენი გამოედევნენ წიწილებივითა, ერთმანეთს უსწრებდნენ, ძალიან წინაც ვერ წასულიყვნენ; სწორედ წიწილებმა იციან ასე, იქვე, ნისკარტთან უტრიალებენ კრუსსა, ჰიყეულა თუ ამოათრია, ჩაუ-

ნისკარტებენ, გასწი-გამოსწევენ წიავ-წიაეითა.

ლენტოს იქით არ გაუხეღია, აღარც სიტყვა გაუგრძელებია, არც ფარნაოზისათვის დაუძალებია, უსათუოდ რამე მითხარი, დამიდასტურე ან მეუარეო; ყურები მაინც დაეცქვიტა და არ გამოჰპარვია არც ერთი სიტყვა არც იმ ვეება კაცისა, არც ადევნებული წვრილფეხობისა: მომიცადეთო, ის ეუბნებოდა; მეტი რა ჩარა გვაქვს, მაგრამ უსათუოდ მოგვხედე, აქ არ ჩავტოვო გირაოდო, უხუმრებოდნენ თუ ეხვეწებოდნენ ისინი; არაო, არწმუნებდა ისა, ისინიც შელაგდნენ ხეიარებში, დარწმუნებულნი თუ შეეპყებულნი, სულერთია, უნდა მოეცადათ, ხოლო მოლოდინი მაინც მოლოდინია, გჯეროდეს, თუნდაც შეეპყებული იყვე.

ამათ თავიანთი სუფრა მოათავეს, სათქმელიც მოათავეს, ან ვერც ვერაფერი თქვეს, ვერც ხალისი მოიგვარეს, აღარც უნდოდათ ერთმანეთი; აღარც უნდოდათ და ოფიციალტი იხმო ლენტომ; იხმო და ეახლა საანგარიშოთი, ათივე თითონ ჩაუთვალა დანახარჯი და მოუმრგვალა ოცდაათ თუმნადა. ლენტომ სიცილი მორთო, იმდენი იცინა, ცრემლი ჩაუტბორდა თვალებში. სხვათა ყურადღებაც მიიქცია სიცილითა, ხოლო აზრი მხოლოდ ფარნაოზს გაეგებოდა, ვული ეკუმშებოდა, კრიჟა შეჰკეროდა, დანის წვერი ვერ გაუნსნიდა კრიჟასა. „ოცი თუმანი მეყოფა ერთ თვესაო, ჰა, ჰა, ჰა... რატომაც არ გეყოფა, კიდევაც მოგრჩება და გადასდებ შავი დღისთვისა. ჰა? გადასდებ არა? თადარიგიანმა ხალხმა ასე იცის...“ ამას ამბობდა, ეს აცინებდა ლენტოსა. რალა თქმა უნდა, ესვე ამრახებდა ფარნაოზსა. — რატომ გამოვუტყდი, რად დავესესხეო, ყველა ყველა, მაგრამ პოეზიაზე რალა მალაპარაკებდაო. გვიანლა იყო თითზე კბენანი. საყვედურსაც ვერ ეტყოდა, მადლობა მართებდა; მართებდა და უთხრა, ოღონდ ბრაზიანი მადლობა უთხრა. ლანძღვა სჯობდა იმ ბრაზიან მადლობასა, მაგრამ არად ჩაავ-

დო ლენტომა, არც გაუშვა, მაჯაში ჩაავლო ხელი, თან არა მაქვს, უნდა გამომყვე, ორი რა არის „ათი დისტიმასტკა“ უნდა მოვცეო.

აღარ მინდა, ვადავიფიქრეო. მე არ ვადამიფიქრებიაო, — და ძალით გაიყოლა.

2

ხელს არ უშვებდა, თუ გაუშვებდა, აირეოდნენ ხალხში. შესალამობულზე გამოფენილიყო ახალგაზრდობა, მიეშურებოდნენ, ყველა სადღაც მიეშურებოდა. მოსვირნე იქ არავინ იყო, სეირნობა აღარც იცოდნენ, წარვიდა, განქრა, როგორც ბევრი რამ გაჰქრა, მიეცა მივიწყებასა. ყველა მიეშურებოდა, პირი დაელო საღამოს გასართობებსა, ყველა სადღაც შთაინთქმეოდა. მერე ისევ შეწყდებოდა ქუჩაში ხალხი, მერე ისევ გამოიფინებოდა, ვაიტოტებოდა ბინებისკენა. მაშინაცა ძნელდებოდა გვერდის აქცევა თუ ავტობუსში მოხვედრა, მით უფრო ახლა, როცა ასე მიეშურებოდნენ. ავტობუსი არც უნდოდა, არც ხელს გაუშვებდა... არც გაუშვია, ატარა ეგრე გამჭირითაცა, მოედნითაცა, ეიწრო ქუჩაზანდებითა თუ ჩიხებითაცა, ერთი ხელისდადებდა ეწოში შეიყვანა და თვითონვე შეფიქრიანდა. მაშინ ხელიც გაუშვა, იქამდე მიმყოლი აღარც გაექცეოდა.

ფანჯრები გაჩაღებულყო. საღამოობით იქ იმის მეტი არავინ შედიოდა, თორემ შესასვლელი ბევრი ჰქონდა, სხვა თუ არაფერი, ზედ მისდგომოდა ბინა „ალექსანდრ ნიკოლაევიჩისა“, — როგორც უწოდებდნენ პირში, — ანუ ბუღლოვისა, როგორც ჩვეულებრივ იხსენიებდნენ ზურგთუქანა. იქ ფოტოლაბორატორია და ხმისჩამწერი სტუდია ვახლდათ, იმას განაგებდა ბუღლოვი; განაგებდა, ოღონდ საღამოობით არ შედიოდა ხოლმე, რა ვუყოთ მერე, მოენება და შესულიყო...

მოთარ ჩხიძიძე
ალმატო-ლაღმატოი



აქ დამელოდეთ, უთხრა ფარნაოზსა, კარს გაპკრა ხელი და ჯიქურ შევიდა.

ორნი დახვდნენ, ბუღლოგი და კიდევ სხვა ანუ ის ცომივით კაცი, იქ, ხვიარებში რომ დასტოვა მენიახენი, მალე დავბრუნდებო, რომ დაიმიქდა. შეგვიანებულებო, კიდევაც შეაგვიანდებოდა, აქ ასე ადვილად ვერა რიგდებოდნენ; ესენი მაინც გაუთავებელ დავაში იყვნენ, ლანძღვითა ხვდებოდნენ ერთმანეთსა, ლანძღვა-გინებით ემშვიდობებოდნენ, რომ ისევ შეყრილიყვნენ, ისევ ელანძღათ ერთმანეთი, უსინდისო ხარ, უბირული, გაუტანელი, თაღლითი და ჯიბიდანგავარდნილიო; თუნცა ვარდის კონად იგულეთ ეს გამოთქმები, უფრო პიტულო სიტყვებიც იცოდნენ, არც დაიშურებდნენ ერთმანეთისთვისა, მაგრამ ყველაფერი ხომ არ დაიწყებდა.

ეს ორნი დახვდნენ, დახვდნენ ამავე შეძახილებითა, — ერთმანეთს შესძახოდნენ, რა თქმა უნდა, რაღაც ფურცლებსაც აფრიალებდნენ, ხელიდან ხელში გადადიოდა ის ფურცლები, ხან ჩაიბმოდა ორივე წყვილი ხელი, თითქოს ფურცლებმა გადაასკვნაო. კარის კრიალზე სწორედ ეგრე ხელგადასკვნილებმა გამოიხედეს, ერთად გამოიხედეს, ერთადვე შესძახეს, არაო, ერთმანეთსავე მიუბრუნდნენ, თითქოს ვერ გაიგეს, რად მოიხედეს, თითქოს ვერ დაინახეს ან არად ჩააგდეს; უფრო ის ითქმის, არად ჩააგდესო; ამასაც არაფერი ეუხერხულა. დაქმუქნულ ფურცლებს ხელში რომ ჩაიგდებდა ბუღლოგი, გასწორებდა, გადასტკიცებდა ხელის გულზედა, — ამისთვის ძველი ამბავი გახლდათ, — გამოსტაცებდა ის ცომივით კაცი, მოჭმუქნიდა უარესადა. ეს უფრო საგულდაგულად გადასტკიცავდა, ისიც საგულდაგულად მოკუმშავდა...

ორმოცდაათი თუმანი კარგი ფულიაო, ამბობდა და ასწორებდა; ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და ორმოცდაათი თუმანიცაო, ირისხებოდა და ჭმუქნიდა. ფულიც იქვე ეწყო მაგიდაზე, დახედე რაღა, დახედეთ, თვალს ჩაუკრავ-

და ბუღლოგი. ის ზედაც არ უყურებდა; არ უყურებდა, მაგრამ დახედა, ბოლოს მაინც გასჭრა თვალის ჩაყვრამა, ან სხვა რაღამაც გასჭრა; იძალა, დახედა და იტაცა, იქვე დააგდო დაკუმშული ქაღალდი. დააგდო და გავიდა მუქართა. იატაკი იზნიქებოდა, ფანჯრები ზრიალებდა, როცა ის გადიოდა. მიდიოდა და მისდევდა მყისვე შეცვლილი თვალი ალექსანდრესი, დამცინავი, დამამციკრებელი. ისედაც ჯმუხი სახე უფრო დასჯმუხებოდა, დაქმუქვოდა, იმ ქაღალდზე უფრო; აედო და ასწორებდა, უკვე საბოლოოდ ასწორებდა. მერე მაგიდაზე გადასტკიცა ქაღალდი, შეხედა ლენტოსა, არაფერი უთქვამს, მხოლოდ ტუჩები ოდნავ ასწია, ლაშები ასწია, ორი კბილი გამოაჩინა, ეშვის კბილები, დაიღრინა და წავიდა იქითა, იმ კარისკენა, რომლის გასაღებიც არა ჰქონდა ლენტოსა, იქით არც არავის მიუწვევია. იქიდან ბუღლოგი გამოდიოდა და შედიოდა; მაშინაც შევიდა ისე, უთქმელადა. მაგრამ ეშვები რომ გამოაჩინა და გაიღრინა, ბრძანება იყო ლენტოსთვისა, დაუყოვნებლივ უნდა შეესრულებინა; და ისიც ეკვეთა იმ ფურცლებსა, ისეთივე ფურცლებსა ანუ ხელსახოცებსა, წელან რესტორანში ხელბს რომ იწმენდა... ფურცლებზე ლექსი ეწერა, ახალთახალი, შეთხზული იქვე, ხვიარებში. ულექსოდ ის აქ არც მოვიდოდა. იცნობდა, იცოდა, იქ ამაოდ უხსნიდა ფარნაოზი, ესა და ეს გახლავთო. ახ, ფარნაოზი!.. ის ფურცლები ჯიბეში იტაცა, გავარდა იქით პატარა ოთახში, უჯრიდან ფული ამოიღო ფაცაფუციოთა, კარი გამოიგდო, მაგრამ ტყუილადღა ჩქარობდა, დაკარგულიყო ასავალ-დასავალი ფარნაოზისა, დაკარგულიყო, გადაეყლაპა ცასა თუ მიწასა.

ასე იყო თუ ისე, უნდა მოეძებნა. აქვე, რუსთაველზე თუ დაბორიანლებს, ლადიძის წყლებთან დავერჭობი. სად წამივია; თუ პლენანოვზე გაუსწრია, „ამირანთან“ ავეუულები, ვერ ამცდებო; თუ სადმე კინოში შევიდა, ან თეატრში? ფული ჯიბეს არ უნდა აწყვეტ-

დეს, არ შევიდოდა; მეგობრებს თუ შეუარა? ასეთ ყოფაში ან მეგობრებს აღარ უნდათ, ან მეგობრები არ უნდათ. შინ მიიწვევენ, მარტობასა რჩებენ; შინ მივალ. თუ დაბრუნებულა, თან მივეყვები, თუ არა, დაველოდები, დილა-მდისაც რომ არ დაბრუნდეს, დაველოდები. მაგრამ ეგ „შინა“ რაღას ურქმევია, სად არის, საით არის?... ჰო, ეს უკვე საკითხავია, საკითხავია და საგონებელი... თუმცა მოიცა, ორი კვირის წინაც შეხვდნენ ერთმანეთსა, გამზირზე შეხვდნენ, შეეჩხენენ, ისე შეეჩხენენ, ვერ ვადარჩებოდნენ ვერც ცივი სალმითა, ვერც თბილი სალმითა. ვერც ვადარჩენ, ხელიც ჩამოართვეს, სოფელიც იკითხეს, იმდენიც ვაიგეს, არსაით არ მიიჩქაროდნენ და ავიდნენ მთაწმინდაზედა; ავიდნენ და დასხდნენ მთაწმინდის რესტორანში. მზეს სხივები წამოეკრიფა ქალაქიდანა, ხოლო კოჭრის, შავნაბადსა და ნაძალადევის მთათა თხემებზე ისევ ეფინა, კარგახანს ეფინა; რომ შეთერნენ, ისევე ბრიალებდა თხემები. იქა ვცხოვრობო, ამბობდა ფარნაოზი, აგერ, აქა, მზე სადაც ყველაზე მეტხანსა სძლებსო. თითს იშვერდა, არ ეშვებოდა, ვაჰხედე, დაინახე, იმათ ზევითაო; ვაჰხედა, ჰხედავდა და ისევ ახსოვს, წითლად შეღებილი წყლის აუზები რა უცნაურად ბრიალებდა სხივებში, თითქოს ხანძარი წაქცილებია მთასაო. ასე იყო, ნამდვილად ასე და უკვე აღარ უნდოდა დიდი ღარი და ხაზი: იმ აუზებს შემოირბენდა, მიიკითხავდა, მოიკითხავდა, იერუსალიმი მოუვლიათ კითხვა-კითხვითაო, ნაძალადევის მთა ვითომ რა იყო; მთაწმინდიდან ხომ ისე მოსჩანდა, თითქოს ისკუბებ და იქ დაერჭობიო, მაშინ მოსჩანდა, ჰო, მაშინა, ლენტოს თვალები რომ უწიპწიპებდა და ფარნაოზიც დამდგარიყო ტრაბახის გუნებაზე, სადაც მე ვცხოვრობ, მზე იქ ყველაზე დიდხანსა სძლებსო.

მოზომავდა და უფრო იოლად მიავნებდა, მაგრამ დაღამებულიყო კარგახანია. ლამპიონები მზეობდა ქალაქში, შუაგულში — ძლიერადა, ნაპირ-ნაპირ — ნაკლებადა, სადაც მზე ყველაზე მეტხანსა სძლებდა — ბევრად მცირედა, მიმკრთალებულადა თუ მიბნელებულადა; ჰოდა, სადაც უფრო ჩაუბნელებოდა, ფარნაოზსაც იქ იკითხავდა. არა, ასე არ ივარგებსო... ისევ აუზებს დაიდებდა ნიშნადა, იქ მოიკითხავდა, იქ იტრიალებდა, თუნდაც ბნელებულიყო, თუნდაც ელიველივა ნათელშია. ვაიფიქრა და გაქანდა. ბევრს ძვირად დაუჭდა ის გაქანება, ვის გვერდი ვაჰკრა, ვის ფეხი დაადგა, ვის შეეჩახა, საპასუხოდაც ვინ ხელი მოუღერა, ვინ მიაწყევლა, ვინ შეაგინა, არ გაუგია, არ გაუგონია, არა, თორემ ლენტო არ იყო იმათაგანი, მოთმინება და შურისძიების გადადება რომ შეუძლიათ. არ გაუგონია და არც შემთხვევია რაიმე ფათერაკი, ისე გაიჭრა მოედანზე, ისე დაერჭო „ტაქსის“ მოსაცდელთანა. თუმცა „ტაქსი“ იქ არ იცდიდა, ხალხი იცდიდა, რიგი გაჰიშლიყო. თავში მოექცა მომლოდინეთა, მაშ რაო, ბოლოს ხომ არ გამოებოდა. და არც გაუგია, ვილაც-ვილაციანი რომ აქანდნენ, თავი არაც-რაცეს, ხელები აქანავეს. ბოლო რომ მოირღვა, მიაწყდა წინასა, წინანი აიშალნენ, შეიბნენ, შეიგრიბნენ, დამორევდნენ, გაიშალნენ, გაიჭიმნენ, ლენტოც დაითრიეს და ამოიყენეს ბოლოში. ვერ მიხვდა იმ ქოთქოთის მიზეზსა; მხოლოდ ესაა, ამ ფიქრმა ვაჰკრა, — თუ ვერ შინაც არ მისულა, ნეტავი რა მიმაჩქარებსო; თუ მისულა, სად წამივარო. ჰო, ეს ფიქრი რომ წამოუტეტივდა, მაშინ დაითრიეს ბოლოსაკენა. წუთი წუთს დაემთხვა, დაჰყვა თავის ნებასა, თავის სურვილსა და არა ვინმეს თავგამოდებასა; დაჰყვა და დაელოდა, თუ როდის მიიკურწებოდა ის აფაციცებული რიგი. მოუთმინარი ხალხი, ცერებ-

ოთარ ჩხიძე
 აღმართ-დაღმართი



ზე რომ შემდგარიყო, ცმუკავდა, ტოკავდა, ბრუნავდა, ტრიალებდა, აბა საიდან გამოჩნდება მწვანე შუქი, აბა, საიდანაო...

ამასაც ერგო მწვანე შუქი, ნაძალადევისკენაო, ბრძანა და მკლავებგადაშლილი გადაწვა სავარძელზედა. ხილამდის მიმოყვანეო, ესეც დასძინა, მერე ფეხით უნდა ევლო, კითხვა-კითხვით. ასე თუ მივაგნებ, მანქანა გამაწვალებსო; ხილთან რომ მივიდნენ, პრავდის ქუჩისაკენ მიუთითა, ცოტაზე კიდევ ვაკეა, მერე შევუყვები ფეხითაო. მძლოლი აბუზღუნდა, აქაურებმა ეგრე იციან, თავიდანვე სწორე არ გეტყვიან, მერე გაგჩხირავენ შეღმართებსა და გაუვალ ჩიხებშიო.

შეჩერდიო, ბრძანა ლენტომა, თქვენც ეგრე იცით, ბოლოს მაინც თუ არ აქიჭყინდით მეკურტნეებივითა, გული არ მოგიტმენთო.

პრავდისა და ჩხიკვაძის ქუჩების კუთხეში შეჩერებულყვენენ...

— ასე ავალ? — დაკიდულ ქუჩას აპხედა ლენტომა, აპხედა სადამდისაც თვალის მიუწვდებოდა იმ სუსტ შუქებში.

— ეგრე რალა, კიბებია...

— კეთილი, დამელოდე! — მანქანიდან ჩამოვიდა ლენტო.

— დაგელოდო?! —

— დამელოდე! — ბრძანა ლენტომა. სიტყვამ დაეკესა, თვალმა გაიელვა.

ენა ჩაიგდო მძლოლმა, ძრავი გამორთო, შუქი ჩააქრო, მიყუჩდა, მიყრუვდა. ის დაკიდული ქუჩაც მიყრუებულოყო, აქა-იქა გადმოკიდული ნათურები მხოლოდ თავიანთ თავს აშუქებდნენ, ციმციმებდნენ, კეკლუცობდნენ. ზეე-ზევით თითქოს მატულობდა შუქი, გული ჩნდებოდა ქალაქისა, გაჩაღებული გული. ის იყო რომ ენთო, ბღღვრიალებდა; ლენტოს ეგონა, მთა ნათდებო. დაბლა ვარვარებდა ქალაქი, მაღლა უწევდა, თითქოს უწევდა, მაგრამ იმდენზე მაინც ვეღარა, მზე რომ ყველაზე დიდხანსა სძლებდა. იქ მთვარე ივარგებდა, ქალაქის გულში ხომ ზეირი აღარა ჰქონდა,

იქაობასაც შემოსწრომოდა, ან დაევახშმა. და გაუჭირდა ლენტოსა, ბარისკაცი იყო, მთა ეხამუშებოდა. ასდევდა დაცერებულ ქუჩებსა, მრუდე ქუჩებსა; აქეთ უხვევდა, იქით უხვევდა. ვანა იცოდა თუ საით უხვევდა, რატომ უხვევდა; აბა, რა იცოდა. ქუჩები მიათრევდა, ჩიხები მიათრევდა, ვიწრო ჩიხები, მერე რომ მხოლოდ კიბებად იქცა, უფრო და უფრო ვიწრო კიბებდა, ვიდრე სულ არ გაწყდებოდა, ვიდრე არ შეიხლართვოდა აქეთ-იქიდან გადმოკიდულ სკრამთა ტოტები, ვიდრე არ მოექცეოდა ძაღლების ალყაში. ყუფა და ვნისი იქამდისაც მისდევდა, ოღონდ იქ ნამდვილი ალყა იყო, გაუვალი, გადაუღახავი. მაღლობა ღმერთსა, ყუფდნენ. ბრღვინავდნენ კართა უკანა, აწყდებოდნენ, ფხოჭინდნენ კარებსა, მკვიდრად შეკრულ, ჩაკეტულ კარებსა. ის კარები ერთიმეორეს მისწყობოდა, რკალად შემოვლებოდა გაწყვეტილ კიბებსა ანუ ვათავებულ ჩიხსა. ნებისად სიარული აღარ მოხერხდებოდა, რკალი უნდა გაერღვია. უნდა აედო რომელიმე კარი. მაგრამ რომელი? გასარკვევი იყო. ასარჩევი იყო, — და აირჩია ყუფის მიხედვითა, ძლიერად მყეფარ კარს მოერია, სუსტს მიეტანა. ჯერ მჯიღი დაუშინა, მერე ზარიც იპოვნა. ის ძაღლებიც უფრო გაახელა, სხვებიც წამოშალა, წამოანთო და გაიხარა. სოფელშიც ასევე იცოდა ხოლმე, ასე ახელებდა ძაღლებსა, ასევე უხაროდა. „ჰეი, ვინ არის!“ — იქაც ასე გამოჰყვირებდნენ ხოლმე, ის ხარხარით გარბოდა და ახლასხვა უხანს აავნისებდა ხოლმე. კინაღამ ახლაც თავვე დაეშვა, შემოუტრუნდა, იქითა მთებს აშლიდა, მთას მთას გადააბამდა ვნისითა; ჰო, ცოტას გასწყუდა, კინაღამ დაეშვა სიცილითა. სიცილით იქაც ბევრი იცინა, გაქცევით აბარას გაიქცეოდა; მხოლოდ ეს არის. დროზე ვერ გაეპასუხა და მოესმა უფრო ბრაზიანდა, — „ხმას არ ამოიღებ?! ავუშვებ ძაღლსა!“ სამტროდ ხომ არ მოვსულვარო. „თუ სამოყვროდა ხარ, ხმას რად არ გამცემ?!“ გამიცია და ეს

არისო. „ვინა ხარ?“ ვინც უნდა ვიყვე, დიდი არაფერი სახელის პატრონი ვახლავარ, მხოლოდ ეს მიბრძანე, ფარნაოზი საითა ბინადრობსო. „ფარნაოზი! ეგრე გეთქვა...“ და კარი გაუღეს, ეზოს კარი, მიასწავლეს ოთახის კარიცა.

ეზოდანვე მიასწავლეს. ეზოს კარიდანვე, თითი მიუშვირეს და მისწავლეს ბაც ეს იყო, რა თქმა უნდა, რომელი გრძელ-გრძელი დერეფნები და დიდ-დიდი აივნები ჰქონდა შემოსავლელი. სიგრძივ ჩრდილო მხარეს პატარ-პატარა კარ-ფანჯრები ჩარიგებულყო. იქითკენ ჯერ კედელი ამოეყვანათ მიწის შესამაგრებლად, მერე დანანებოდათ, ვითომ რად უნდა მოსცდეს ამ ერთი მოვალეობისთვისაო, წამოეხურათ, წინ ჩაღანგარა გაეელოთ, ჩაეტხრათ, მომცრო კარ-ფანჯრები დაეტანებინათ და ბარე ათიოდე მდგმური დაეყენებინათ. ფარნაოზიც აქ მოეგდო ბელსა, პირველი ოთახი იმასა რგებოდა, ნაპირის ოთახი, მარტოხელა ხარ, სიცივეს ადვილად აიტანო; ზამთარში სიცივეს, ზაფხულში სიცხესა — თხელი კედლები ვერც სიცხეს იჭერდა. ავრილებულიყო, მაგრამ კართან რომ მიატანა, მაინც დაგუბებული ჰაერი ეცა ლენტოსა. კარსაც და ფანჯარასაც გაზეთები ეკიდა ფარდების მაგივრად. ერთგან, საყარს ზევით, ქუდი მოსჩანდა მეჩაისა, ქვევით — კალათი. ეს უცებ მოხვდა თვალში, უცებვე მოხვდა ფარნაოზიცა, ტახტზე იწვა, გულალმა იწვა თავქვეშ ხელეზამოწყობილი, გარინდულიყო, ჰერს მიშტერებოდა. ან არც გაეგო, ან არაფრად ჩაეგდო ძაღლების ყეფა და გადაძახილები. ხოლო იქვე ჩახველდა რომ გაეგონა, თავი წამოსწია, შეჰხედა ლენტოსა, ისე შეჰხედა, თითქოს ელოდა, ისევე ჰერისკენ მიმართა თვალეში. არც ლენტო შემკრთალა ასეთი შეხვედრითა, ვითომც აქ არაფერიო, ფული ამოიღო, კართან პატარა მაგიდა დახედა, იმაზე დააწყო.

— რაო? — ჰერს შესძახა ფარნაოზმა.
 — მაყუთი-მეთქი... ფული მოგიტანე-მეთქი.
 — თავს რად იწუხებდი?!
 — არ დამელოდე და მოგიტანე...
 — რომ მდომებოდა, დაგელოდებოდი.
 — რომ არა გნდომებოდა, არ დამეაყესებოდი.
 — ეგება გადავიფიქრე...
 — მე ხომ არ გადავიფიქრია?!
 წამოჯდა ფარნაოზი.
 — თუ არ გიცდიან, არც უნდა გაეკიდლო.
 — თუ გაგირბიან, უნდა გაეკიდლო.
 — წამოეწიო და აიძულო...
 — რატომ უნდა აიძულო?!
 — რატომაც არა, ხომ წამოეწიე, ხელთ ვიპყრია, რასაც მოინდომებ, იმას დამართებ, გასრეს, დასცინებ, გაიხარებ დასტკებში; ასე იცის გაძლიერებულმა ქედმაღლობაში. მაგრამ ჩემთან ქედმაღლობით ვერაფერს გააწყობ, ქედმაღლობა მძულს, მძულან ქედმაღლები. მე ამაყი ვარ და ვერ ვურიგდები ქედმაღლობასა. ბუნება რომ ქედმაღლობდეს, მედიდურობდეს, ბუნება იყოს, თუნდაც ღმერთი, სიცოცხლესაც არ მივიღებდი იმისგანა; სიცოცხლესაც არ მივიღებდი მეთქი, გაიგებ, გაიგებ განა?! თორემ ფული რა არის, ნამუსი თქვი, თორემ ფული ადვილი საშოვნელია ადვილი იქნება დიხაცა, თუკი საშოვარზე გადადგები, თუკი დაგეღვევა სხვა სურვილები, თუკი უღალატებ მოვალეობასა, წმინდა მოვალეობასა; მაშ როგორა გგონია?! თუ ავიღე თავზე ხელი, განა ვინმე მაჯობებს?! შენც არ მომიცდე! ერთი ხელი თუ გამოვიღე, ყველას მოგიტოვებ უკანა, შევცურდები ფუფუნების ზღვაშია. გაცუტურავ და გამოცუტურავ. მხოლოდ სიამაყე თუ დავაგდე, მვისრის-მოვისრისე და გადავუარე, წავალ და წავალ... გესმის?! შენ ის ვაამაყებს, რა-

— მაყუთი მოგიტანე... — თქვა ლენტომ.

ოთარ ჩხიძე
 ალმარო-დალმაროტი

საც სიამაყის დაცემა ჰქვინან, ის გაქედ-
მალღებს, რაც ჩემთვის სიამაყის და-
კარგვა იქნება. აი, როგორ დევშორე-
ბივართ ერთმანეთსა... გაიგე? ეგებ ვერ
გაიგე, სხვანაირადაც გეტყვი. ხოლო თუ
ცოტა რაიმეს მინც მიხვდი, აკრიფე ეგ
რალაც მოგიტანია, აკრიფე და კარგად
შეინახე, გამოგადგება.

— წინათაც კაი ლაყაფი გქონდა, —
გაიცინა ლენტომა, — არ მოგიშლია...
ნეტა რეებსა ლაპარაკობ? მესესხე, გა-
სესხე, მორჩა და გათვდა. ე ქედმაღლო-
ბაო, ე სიამაყის დაცემაო, ნეტავი რა
მოსატანია, ნეტავი რის საფანელია?!

— მაშ ვერ გაიგე?!

— ვერც გავიგე და არც გავიგე, არც
შენი ლაილი მიწდა.

— გონიერსა მწრთვნილი უყვარსო...

— ბარემ დააბოლოე, — სკამი გა-
მოსწია ლენტომა, ჩამოჯდა, მიაწვა სა-
ზურგესა. იქ ხალათი ეფინა. გამოაცალა
ფარნაოზმა, მუთაქაზე გადაფინა, —
ჰო, ვინც ანს იტყვის, ბანიც იმანვე უნ-
და თქვასო.

— ვიტყვი: უგუნურსა გულსა ჰგმირ-
დესო. მეტსაც მოგახსენებ... რომ იცო-
დე, უნდა გაიგო, რომ გაიგო, გონიერე-
ბა უნდა გყოფნიდეს, რომ იგრძნო, გუ-
ლი უნდა გაგაჩნდეს; გული და ჰქუა თუ
გექნება, მოვალეობას ეზიარები, ხოლო
მოვალეობის შეცნობა, ეს უკვე ადამი-
ანობა გახლავთ, ვაქცაობაა, ვაქცაობა
ასე შენდება; ერთიც რომ დააკლდეს,
დაიშლება, დაირღვევა, გაცამტვერდება;
ვაქცაი დაიშლება, ვაქცაები დაიშლე-
ბიან და ერი დაიშლება. ჩაიფშვნება,
ჩაქუცმაცდება.

— მე თუ ვერ გავიგე?..

— შენ, იმანა, იმანა, იმანა...

— კიდევ კარგი, მარტო მე არა ვყო-
ფილვარ შუაში. აჰა, ჩემი გაგებაც ეს
იყოს და ჩემი სტუმრობაც ამითი მომი-
თავებია, — წამოდგა, — ახლა ჩაიცვი,
წავიდეთ.

— სად წავიდეთ?!

— სადმე... ვილაპარაკოთ.

— აკი ვლაპარაკობთ.

— ჰო, ენაზე ჭალი არ მოგედება... მე

არ გამოძის, ასე არ გამოძის, — კე-
დელს მიაჩერდა, იქ რალაც განჯინის
მაგვარი იყო.

— მანდ დასალევი არაფერია, — მია-
ტანა ფარნაოზმა.

— ჰოდა, წავიდეთ.

მოუჭრა ლენტომა, მოუჭრა და კარ-
გადაც მოუჭრა, ჩაუბრუნდა მომდგარი
სიტყვა, ჩაექცა, ჩაეკარგა; მაშ რაო,
სტუმარი სწევოდა, პირის გასასველე-
ბელი არაფერი ჰქონდა და თითქოს და-
საპირქვევებლად მოექცა ქედმაღლობი-
სა და სიამაყისა, გონებისა და გულის
საკითხავი; ჰო, კინაღამ დასაპირქვევებ-
ლად მოექცაო, მაგრამ ხელი შესტაცა,
წამოიჭრა ბრაზმორეული, ხალათი გა-
დაიცვა, ფული წამოჰკრიფა, წავიდე-
თო, ბრძანა აჩქარებითა, ფაციფუციოთა
ლენტო მინც ვერ აიყოლია. ხელში
სწვდა ლენტო, ფული გამოართვა,
შეუყარა მუთაქის ქვეშა, მერე დაით-
რია, რადგან ძალაობდა ფარნაოზი, ჭირ-
ვეულობდა, რახან გისესხებია, ვსესხუ-
ლობდა უნდა დავხარჯოო, ჰოდა, დაით-
რია. დავა-კამათი უმიზნო იყო, დაით-
რია, დააქანა იმ თავქვეზდა, ჩამოიყვან-
ა ზრიალითა, თქაფათქუფითა, ძალე-
ბის გნისაში ჩამოატარა. მანქანა გვიც-
დისო, თან ამხნევებდა. მაგრამ ეს ვე-
ლარ გამოუვიდა, არც არსად მომცდე-
ლი იყო, არც არსად ჩამვლელი, ზევი-
დან ძალლების ყეფა ისმოდა, ქვევიდან
ხმაური მანქანებისა. ყეფას უნდა და-
შორებოდნენ, გუგუნს უნდა მისტანე-
ბოდნენ და წავიდნენ ისევე თქაფათქუ-
ფითა.

ხილთან ტაქსს წააწყდნენ, ჩასხდნენ,
აღმა უყვეს პირი. განსკარგულბელო,
რა თქმა უნდა, ლენტო იყო. ფარნაოზი
აღარც ეურჩებოდა, აღარც ეთანხმებო-
და, აღარც ნაწყენი იყო, ცხადია; არც
ნაამები; მხოლოდ უკვირდა, დღედლე-
ვანდელა როგორ დამიურვა ამ ბიჭმა,
როგორ დამარბენინებს თავის ნებაზეო.
არ უნდა დავხმაურებოდით, ბრალს

იღებდა. შეეჯაჩრე, ავეყვე, ვთხოვე და ზედ გადამიარაო. იყოს ასე, ეს დღე ასე იყოს, რახან ამისი დღე ყოფილა, იყოსო, ფიქრობდა და მიკუნჭულიყო, მიკუნჭულიყო და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ესმოდა ლენტოს ბუზღლუნი, ლანძღვა, ვინება თუ ყველაფერი ერთმანეთში არეული, თანაც შეზელილი ხვეწნა-მუდარაშია; ის მძლოლი მიმასწავლეო, ეხვეწებოდა ამ მძლოლსა, აი ისა, კისერზე რომ ვარსკვლავისნაირი ტყირაბი ადევსო. არ ვიცით, ეუბნებოდა, მე ვარ ახალიო თუ ის არის ახალიო; ვერ გავრჩია ფარნაოზსა, მაგრამ უარს რომ იყო, ეს კი ჩაემსოდა მკაფიოდა. ძალი ძალის ტყავს არ დახვესო; მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს ერთხელაც იქნება გადაეყრებაო. გადაეყრები თუ არა, ეგ შენ იცოდე და იმანაო, მაგრამ ე ლანძღვა რაღა არის?! ნაწვი მენავესთან ჩხუბი სად გაგონილა, ჩვენც კაცნი გექვიან, ჩვენც გული გვაქვსო. შენ რა გმართებს, შენ რას გერჩი, მხოლოდ ანდაზა ეგრეთია, ანდაზა საწყენი არ არისო. ამაზე მორიგდნენ, დაღუმდნენ, კინტი არ დაუძრავთ, ვიდრე არ გასცდნენ ღრმადელესა. თუმცა ღრმადელეს გასცდნო, რა სათქმელია, ამ სახელმა ხომ ისე გაიგანა, ნაძალადევიდან ავჭალას უწია. თანაც ეს „ნაძალადევიდანაც“ კარგა ძნელი დასადგენია, ბევრი შრომა დასჭირდება. ბევრი ისტორიკოსის, ეთნოგრაფის, არქეოლოგის, სტატისტიკოსის, პუბლიცისტის და სხვათა და სხვათა ღვაწლი შეეღვევა, ბევრი საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია დაიწერება და გაირკვევა, უსათუოდ გაირკვევა, თუ სად თავდებოდა ერთი, სად იწყებოდა მეორე, უსათუოდა, აუცილებლად; სხვა რა გასჭირდებათ, რომ ეს გაუჭირდეთ. ხოლო ამჯერად რახან ითქვა ღრმადელეს გასცდნენო, პირობითად ის ადგილები ვივარაუდოთ, სადამდისაც მაშინ მიედწია მოსახლეობასა. ეს იქნებოდა დაახლოებით ცოტა ქვემოთ იმ უსახელო მოედნისა, საიდანაც იწყება ავჭალის გზატკეცილი. ესეც გამოსაძიებელია და უსათუოდ მოთმი-

ნებით გამოიკვლევს მეცნიერება, თუ რომელ წლებში სად იწყებოდა ავჭალის ქუჩა. მაგრამ მანამდის, რას ვამბობდით? — ჰო, ღრმადელეს გასცდნო... ლურჯ ღუქანთან ჯაჩერება ბრძანა ლენტომ. სწორედ ის იყო მენაპირე ქალაქისა, თუმცა იმას იქით ასეტილიყო ოწინარები, აეყვანათ მაღალი კედლები, მაგრამ ჯერ იქ არავინ ჩასახლებულიყო. და მინც უკვე მობუზულიყო ლურჯი ღუქანი, მოკუნტულიყო, მოღუულებოდა, ხოლო მანამდის იდგა მინდორზე ჯილასავითა. თავისკენ ეწეოდა, იზიდავდა განა მხოლოდ ამველ-ჩამველესა, თვით ქალაქის გულს იზიდავდა, ხიბლავდა, იპყრობდა, ითავანებდა. ხიმშიასთანო, იტყობდნენ და გაფრინდებოდნენ, ვისაც კიდევ არ დაჰკარგოდა პირისგემოი, ხიმშიასთანო, დაიძახებდნენ და ხან საით იზამდნენ პირსა, ხან საითა, რადგან ერთი ადგილი ვერ დაედო ხიმშიასა, აგორებულყო, ხავსი ვერ მოეკიდა აგორებულ ქვასავითა; ხიმშიასთანო, შეპყვირებდნენ და ხან მეტეხის ძირთან ჩაუშვებდნენ ღუზსა, ხან დიდუბეში, ხან საბურთალოში, ხან შავსოფელში, ხან ვაკეში, ხან კუკიაში, ან ვინ მოსთვალოს, საიდან საით გადიქროლებდა, საიდან საით გაეციდებოდნენ. ქურას გააღვივებდა თუ არა, თავს დაესხმოდნენ, — გამარჯვება! — შესძახებდნენ. გაგმირავთო. ახლა აქ იქნები?... თუ დამაყენესო.

— ისევ აქა ხარ?! — ლენტო ასე შევიდა, — გამარჯვება, ხიმში!

— ვარ თუ ვარ... ვაგმირავოს! მოდი... ხმა იყო შეწუხებული თუ წყენაგამოვლილი კაცისა, ასე ივარაუდა ფარნაოზმა, მაგრამ ფეხი რომ შესდგა, შეხედა, მიუახლოვდა, მოგტყუვდიო, გაიფიქრა, რადგან წყენისა თუ ჯავრისა არაფერი დამჩნეოდა თეთრ, ფუნჩულა სახესა, ალტაცების ღიმილი გადაჰფენოდა, — რა თქმა უნდა, ასე მხოლოდ უჯავრელნი იღიმიანო. სხვას რას გაიე-

ოთარ ჩხეიძე
 ალმარო-ღაღმარო

ლებდა გულში, უეცრადვე როგორ მიხვდებოდა, ვინ იცის, რა ვარჯიშით, რა ჯაფით შეეძინა ის ღიმილი კარგა ხნის წინათა; შეეძინა, შეეთვისებინა, ჩაჰკვდომოდა სახეში, გაცხარების დროსაც აღარა სცილდებოდა. თუმცა რაღაც მწვავე, რაღაც თავისებური იერი ვადაჰკრავდა ხოლმე, შეჩვეული თვალი გამოარჩევდა, მიუხვდებოდა, შეუჩვეველს გაუჭირდებოდა, მითუმეტეს, რომ ლურჯადა სხვიოდა დარბაზი, სუფრები, დახლი, ბუფეტი, ნაირფერ ლურჯადა, ლენტოც გაულურჯადა, თვალწინ გაულურჯადა, ალბათ თვითონაც გალურჯებულყო, ლენტოცა ბზინავდა, დამხველურიცა ბზინავდა, თითქოს მალე რაღაც მოხდებოდა, თითქოს ზღაპრული მოჩვენებანი გამოჩნდებოდა.

უკანა კართით თალარში გავიდნენ. იქაც სილურჯე იყო, განსხვავებული, ჩამუჭებული, ჩაყურჭებული; მტევნები, ფოთლები მიცურავდა იმ სილურჯეში, მთელი თალარი მიცურავდა. თითქოს ტალღები აკოტავებოდა, თითქოს დაქანდა ფარნაოზი, მაგიდას დაეყრდნო, იქვე ჩაჯდა პირველივე მაგიდასთანა. და იყო ისე ფიქრშებურელი. და არ გავგებოდა, თუ რასა ფართიფურთობდა ლენტოცი, გამინაურებულებით რად ელაპარაკებოდა მედღუღეებსა, რად ჩამოერთმია დოლი მედლოისთვისა, რას უკრავდა, რას ანიშნებდა, უსწორებდა, ედავებოდა, ან რა ფურცელი იყო ის ფურცელი, მედლოე რომ ჩაჰკირკიტებდა, რა ეწერა, რას იზეპირებდა; არც გაეგებოდა, არც უკვირდებოდა, ან ვითომ რას გამოიტანდა, ლურჯადვე ბზინავდნენ ისინიცა, დუღუქის ხმაც ლურჯი იყო, დოლის ხმაცა...

ჰოდა, რაღაცას მეცადინობდნენ მედღუღეები, ვადაჰკრავდნენ თითო ჭიქახა, ისევე იკვთავდნენ. ვადაჰკრავდა მედლოეცა, უფრო ეშხიანად იღერებდა ყელსა, თითქმისაც უფრო ოსტატურად არაკრავებდა დაჰიმულ დოღზედა.

ჰოდა, უკვე ფარნაოზის მაგიდას უკრავდა ლენტოცი, გაკვირვებულიყო, ცერად

აკყურებდა ხიმშიასა, ხელს უქნევდა, ე რა არისო...

— პური, მწვანელი, გულიაში, რვა ნომერი, სხვა რა უნდა იყვეს?

— პური პურია, მაგრამ მაინც ქართული პური რატომ არ არის?! მწვანელისა რა გითხრა, მაგრამ მაინც შენებური მწვანელი არ უნდა იყვეს... კეთილი, იყვეს, მაგრამ ე „გულიაში“ რაღა დარღუბალაა, მე რა მაგისი მუშტარი მნახე?! ესეც კეთილი, ჰა, კეთილი, „რევანომერი“ მაინც რა ჭკუაში მოგივიდა?! ვანა ჩემთვის მუხრანული არა გქონდა ხოლმე?!

— მქონდა ხოლმე, ჰაიჰაი, მქონდა ხოლმე...

— მერე?!

— მერე და მერე...

— მეტი არაფერი?!

— მეტი რაღა?!

— არ გამაგიჟო!..

— ეჰ, ეგ რო მალამო იყვეს, აქამდის რატო ათასჯერ არ გავგიჟდებოდი. ესეც მეთათსერთე იქნება, ზღაპრებისა არ იყოს, ასე რომ შემომეცალა ხალხი. უხალხოდ მე რა ვარ?! უხალხოდ კაპიციც არ არის ჩემი ფასი. აღარც არაფერი მაქვს და აღარც არავინ მეკარება. ესენიც უქმად სხედან მეორე ღამეა, ღვინოსა სვამენ და გულს ასკვდიან. ან ამათი ფასი რა არის უხალხოდა?! მე რაღა, დანა რო დამკრა, წვეთი სისხლი არ გამომივა.

— რამ დავაშრო?!

— იოსებ დავითაშვილის წყაროსაკითხა...

— ძალიან თავსაც ნუ გაისაწყლებ, ეგრე მაინც არ დაშრებოდი.

— შენმა მზემ, ჩემმა მზემ, წვეთი სისხლი არ გამომივა.

— დავნაძღვედეთ? — თვალი ჩაუკრა ლენტომ, დანა აიღო.

— დავნაძღვედეთ, — ხელი შეაგება ხიმშიამა, — რაზეც გინდა... წვეთი სისხლი არ გამომივა. ეგ თქვენი პოეტი, — მედღუღეებისკენ გაიქნია თავი, — წვეთს შემარჩინდა?!

— აკი მეგობრები ვართო?!

— ვიყავით და მერე როგორი, ჰმ, შე-
სანატრი, შესამური მეგობრები ვიყა-
ვით. ათი კაცი რო მოეყვანა, წარბს არ
შევიხრიდი. აბა, შენ იციო. ვიცი-მეთქი.
შენც იცი, როგორც ვიცი. წავიდოდ-
ნენ, ჩემზე იყვესო. იყვეს-მეთქი. ფუ-
ლიც მასესხეო. ჩემი თავი შენ გენაცვა-
ლოს-მეთქი. მეტი რაღა მექნა, სხვანაი-
რი მეგობრობა გაგონილად?! მე შენ
გეტყვი, ვალი გახსენებოდეს როდისმე,
ან მე გამეხსენებინოს გადაკვრით მაინ-
ცა; არა, ეჭვადაც არა, დღესვე ჩემი კუ-
ბო ასწიე, თუ ტყუილი გამოვუტრიო. მე-
გობრები იყავითო?! ჰმ, საკითხავია, მაშ
რა ვიყავით!

— ყოფილხართ და ეგ არის...

— ვყოფილვართ და ეს არის... მაგ-
რამ მუხისა არ იყვეს, ცული რას და-
მაკლებდა, შიგ ჩემი წიბო რომ არ იყ-
ვეს გაყრილიო. ჩვენვე თუ არ დავაქ-
ციეთ ერთმანეთი, სხვა მოგვერევა?! რა
გინდა შე სულძაღლო, ხელი და პირი
იქით მიქნია, რა გინდა ძმაო და შვილო,
რას შემომჩენიხარ, რა დამიშაეებია?!
მოსულხარ, პატივი არ მომიკლია, ჩა-
ხოზბილი გინდა, ბოზბაში გინდა? მი-
ირთვი! შემწვარი ვარია, ცივად მოხარ-
შული დედალი? ინებე! ჭადი, ღომი, სა-
ცივი? იგემე! ცოცხალი, უშობელის წვა-
ლები, ნაირნაირი საწებელი, შინაური
ღვინო?.. რა გინდა, რა? ჩიტის რძე გინ-
და? მოითხოვე, გაუჩინარს გავაჩენ, სია-
მოვნებას არ მოგაკლებ, მეტი რაღა გინ-
და ამ წუთისოფელში, ერთ საწყალ
კაცსაც მეტი რაღა მოეთხოვება?!
— ის ჩვენი პოეტი... ბუღდოვის პოე-
ტი რაღა შუაშია?!

— გეტყვი, რა შუაშიც არის, ჯერ ეს
მოვითაო... მეტი რაღა მოეთხოვება-
მეთქი, ჰა! რა გინდა, მეტი რაღა გინდა,
რა თვალებს აცეცებ, რას დაეძებ, რა
დაგკარგვია?! ეს რაო, განა მტკვრის
მარცხენა ნაპირის სასადილოების ტრეს-
ტის საწყობიდან... ერთი კარგად დაუგ-
დეთ ყური... განაო მტკვრის მარცხენა
ნაპირის სასადილოების ტრესტის საწყ-
ობიდან ასეთი რამე გეგზავნებო?!
ფაქტურა მაჩვენეო. ვაჰ, ხილი იხილე,

მებაღეს რასა კითხულობ, საიდან რა
მეგზავნება, რას დაეძებ, ან ე ფაქტურა
რაღა დოზანაა!.. საქმელს გემო უნდა,
ფაქტურისაგან რა გემო უნდა მიეცეს,
ჰა?!

— მაინც ვერ გავიგე, ის რა შუა-
შია... — ლენტომ ცერი გაიშვირა მე-
დუღუქეებისაკენა. მედოლე უკვე ცოტა
ხმაწევიტა მღეროდა. იმაღლებდნენ
დუღუქებიცა.

— ვერ გავიგე და მიირთვი, ფაქტუ-
რებში ეგ მიწერიო.

— ჩემდათავად დიდი მადლობა მო-
მისხენებია, მადლობას მოგახსენებს ჩე-
მი მეგობარიცა და აკრიფე, ახვეტე, წაი-
ღე, როგორც მოგიტანია, მაგისი მჭამე-
ლიც გამოგიჩნდება. ჩვენ კი თავმდაბა-
ლი ხალხი ვართ, მხოლოდ შებრაწული
ვარია და ორი ბოთლი მუხრანული ვა-
მოგვიტანე. ეს მიეთ-მოეთი აბა რაში
გამოგვადგება, პატრონიც მოკვდომია
ბევრ ლაბარაკსა. დაეხსენ...

— გაჭირვებამ დედოფალთან დამაწ-
ვინაო...

— ჭიქა ავწიოთ, ის ვიანდაზოთ.

— ბრმა რასა სჩიოდა და ორთავ
თვალსაო.

— ეჰე, რას მოგვეშვები, ვიღრე გუ-
ლისბუხარს არ ამოიყრი.

— ხომ უნდა ვითხრა, რა შუაშიც
არის, ათჯერა მკითხე, ერთხელ არ
გითხრა?!

— აბა, ჰა!

— გუშინ იყო, რა... აქ ერთი მესტამ-
ბე დადის ხოლმე, დილაღამიან ხაშზე
გამომივლის ხოლმე, გუშინაც გამომია-
რა, ხაში იგემა და გაზეთი დამიტოვა,
ერთი თვალი გადაავლეო, ოღონდაო ძა-
ლიან გულსაც ნუ შემოასკვებო. დამა-
მშვიდა, რა... მაგრამ რაღა დამამშვი-
დებდა! თქვენცა ნახავდით... არა?! მთე-
ლი თბილისი ამასა ლაბარაკობს, თქვენ
რაო, საიდან ჩამოსულხართ?! არა, მარ-
თლა არ გაგიგიათ?! ვაჰ!.. გაზეთში რო

ოთარ ჩაბიძე
ალგარეთ-ალგარეთი

კვატივარ, არ გაგიგონიათ?! აი, მოგიტანოთ...

— ასე დახატული გვეყოფი...

— არა, იქ უნდა ნახოთ, როგორ ჩავუხატე ვართ, როგორა ვმღერი, ქვეყანა ჩემია, თბილისი ჩემია, ვითომ მე შამფური ვარ თბილისში გაყრილი, თბილისის ჩემი მწვადი გამხდარა. გაგონილა?! აქაოდა, პოეტი ვარო, ვანა ასე გაფრენაც შეიძლება!

— დაგიჟოქვს?...

— მოიცა, ვითხრა... მანამ ისინი წაიკითხავდნენ, მერე მანამ ითათბირებდნენ, დაადგენდნენ, კომისიებს გამოპყოფდნენ, უკვე ყველაფერი დალაგებული მქონდა, მაშა!.. ფაქტურები გაეაწეე და ისე დავალაგე... მოვიდნენ და ვერაფერი ნახეს, მაინც შემდღვიბეს ერთი ლაზათიანადა. ეგეც არაფერი, ეგეთები გვინახნია... მაგრამ უქმად რო დავრჩი?! უქმობას ყბედობა სცოდნია. მალე ალბათ ქადაგად დავეცემი.

— ფიქრი არ არის, ერთი წიხლი ციხეს ვერ დააქცევსო.

— ერთი ერთია, მაგრამ ბევრი ერთი, ერთი აღარ იქნება, ციხესაც დააქცევს, კაკასიონსაცა.

— ხიმშიას თუ ვიცნობ, გადაურჩება ამ ერთსაცა, იოლად როდი დანებდება ბედის ტრაილსა, ერთხელ კიდევ აუშვებს აფრებსა...

— ერთხელ კიდევ... მერე კი აღარ ვიცი. ამჯერად უნდა დავცალო ქალაქი. მცხეთაში მოვნიშნე კარგი ადგილი.

— იქ ვილა მოვა?!

— თაფლი იყვეს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო.

თითქოს წაიმღერა ხიმშიამაო, თითქოს აპყვა მედღეულებსაო, იმათაც თითქოს მოიწონესო, ჰო, თითქოსაო, მაშ რაო, მოწონებას ეგრე იოლადაც ხომ არ გამოპხატავდა იმათი გადმობრუნებული ტუჩები, დაბერილი ლოყები, დაძაგრული თვალები, მერე როგორი დაძაგრული, — „ინტურისტის“ ხელსახოცსაც ჩასჩერებოდნენ, ჰანგებს უსადაგებდნენ იქ გამოყვანილ სტრიქონებსა. დროდადრო გაუწყებოდნენ და

იფურთხებოდნენ. ხან მედლოეს უღრენდნენ, ხან მედლოე უღრენდა, ხან მედლოეს ასდევდნენ, ხან მედლოე ასდევდა. დოლსაც აყოლებდა, ხმასაც აყოლებდა, რალაცა გამოდიოდა, სწორეთ ისეთი, ბაღდადიდან მოვაო, ხიმშია რომ ამბობდა; იქიდან მოდოდა, აღმოსავლური სიო დაჰკრავდა, ბაიათებს ესადაგებოდა. მაგრამ ეს ჭერ ვარჯიში იყო, ყურის მიგდება არ ივარგებდა. ჭერ არც ეცალათ, ისევე თავისას მოსთქვამდა ხიმშია. რალა ლოპიანას დარღები, რალა ხიმშიასიო, ფიქრობდა ფარნაოზი. ჰო, ისევე თავისას მოსთქვამდა, თავისას არ იშლიდა ლენტოცა, საკმელი ჯანდაბას, სულაც არ გვინდა, პური და მწვანილი მაინც გავგიახლე, მუხრანულიც გამოგვიჩინეო. არა მაქვსო. გამოგვიჩინეო. არა მაქვსო. რევიზორი ხომ არა ვარ, მეგობართან ასე ახირება სად გავგონილაო. მეგობრისაგან არა მჭირსო?! მეგობარსაც გარჩევა უნდაო. ეგეც აღარ გამოვიგაო. არ გაგივია და გაიგეო, ამისთვისაც გვეკუთვნის მუხრანულიო. არა მაქვსო. გაქვსო. ერთი მაქვს, რას გვეყოფათო. ერთი იყვეს, ერთით დავიწყებთო. ერთით დაიწყებთ და ერთით მოათავებთო. მაშ რაო, ერთბაშად ათი ვის მოუყუდებიაო. მართლა ერთი მაქვს, მხოლოდ ერთიო. ერთი იყვესო... და გამოჩნდა ის ერთი, პურიც გამოახლდა. მწვანილიცა, ვარისი ხორციც გაჩნდა, ტყემლის საწებელიცა, თითქოს მანანა იყო, ზეციდან ჩამოვიდაო, იმ ბოთლის უცნაურობაშიც თითქოს ზეცის ხელი ერიო, — დაიცლებოდა, აიგებოდა, დაილეოდა. მოიმატებდა. თალარი უფრო ლურჯდებოდა, ჰანგიცა მკვრივდებოდა, სული ლაღდებოდა, ჩახუთული სული. დიდდებოდა თალარი, იშლებოდა, იფინებოდა მტკერის ნაპირას ორთაქალის ბაღებივითა და იესებოდა გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზებითა. ასე ეჩვენებოდა, ასე მოესმოდა ფარნაოზსა, მოესმოდა და უნდოდა აპყოლოდა, აღმოეთქვა ორბელიანისებური მუხამბაზი, ან თვითონვე დაემღერა საიათნოვასავითა, სათარასავითა, თვითონ-

ვე უნდოდა, თვითონვე, თორემ მედო-
 ლე უკვე გაბეჭვითებოთა მდგროდა რა-
 დაც ისეთსა... რატომ არ შეუტყვიათ,
 რომელი ღვინო უფრო უყვარდა გრი-
 გოლ ორბელიანსა?! რომელი უფრო
 უნელებდა დარდსა, რომელს მიჰყავდა
 ბეთანიის ეკლესიიდან მუხამბაზამდისა,
 ჰა?! მაინც რომელსაო — და გადაითვა-
 ლა ყველა ღვინო კახეთიდან აფხა-
 ზეთამდე, აფხაზეთიდან კახეთამდისა,
 ვერცერთზე შეჩერდა, ვერცერთი დაი-
 ნამდვილა, ერთიმეორეს ამჯობინა; ესეც
 არ იყოს, კაცის და გუნებო, ვინ იცის,
 ვინ რას შეეწყობო... მაინც ამ საძიე-
 ბელს ჩაჰყოლოდა ფარნაოზი, ყურს არ
 უდგებდა ლენტოსა, მხოლოდ ჭიქას თუ
 ასწევდა, ასწევდა ისიცა, ასწევდა და
 გადაჰკრავდა; არც ის გაუგია, თუ რო-
 დის გაიკრიფენ მედუღუქენი, რას მოუ-
 რიგდნენ, რას შეუთანხმდნენ ლენტოსა.
 ხმა მაინც მოაკვდა, ძველთბილისური
 ჰანგი მოაკვდა, შეიჩხა, თავი შეიბერტ-
 ყა, სიტყვა აღირსა ლენტოსა:

— შენ თუ იცი, რომელ ღვინოს ეტა-
 ნებოდა გრიგოლ ორბელიანი?
 — რა ცოდნა უნდა, წინანდლურსა...
 — ჰა?!
 — წინანდლურსა-მეთქი...

— ბიჭოს!.. — შესძახა და შეჭხარა
 ფარნაოზმა, შეჭხარა და შეურიგდა,
 შეურიგდა და თითქოს მოეწონა ის
 გრძელცხვირა ბიჭი, თმა რომ აჰქენჩ-
 როდა, გვერდზე გადაყოფილი თმაი;
 მოეწონებოდა აბა რაო, რა კარგად მო-
 უჭრა, რა დიდებულადა, მაშ სხვა რო-
 მელ ღვინოს მიეტანებოდა გრიგოლ ორ-
 ბელიანი!.. თუნდაც სხვა ყოფილიყო,
 კარგად უთხრა, კარგად ჩაუჭრა, ჩაუ-
 ქარაგმა, — ყურძნის სიყვარულითაო,
 ღობეს ეკონებოდაო, ნათქვამიაო და
 მართალიაო; წინანდლური ხომ ღობეზე
 მეტი იყო, ან თუნდაც ითქვას ღობეთა,
 დაეწაფებოდა იმ ღობესა, დაეწაფებო-
 და მწყურვალის სიყვარულისა, ნინოს
 სიყვარულისა, დაეწაფებოდა დიდი
 ნდომითა. და სიამე როდიდა სცილდე-
 ბოლა ფარნაოზის სახესა, თვალს არ
 აცილებდა, შეჰყურებდა, აგრძნობინებ-

და, მომეწონა, მომეწონაო. ლენტოსათ-
 ვის ვითომც არაფერიო, ამოისროლა.
 გაუშვა, ძალა არ დაუტანებია არც ჭკუ-
 ისთვისა, არც გულსთვისა; ის გაუშვა
 და ჩაიფიქრა, კარგა წამოგნებიაა ლო-
 ყები, შვილოსან, აგრე იცის მუხრანულ-
 მაო; მერე ენა რომ ამოიღვა, ეგეც იცის
 მუხრანულმაო. ფარნაოზიც ამასვე გუ-
 ლისხმობდა, მუხრანულის ბრალიაო.
 თუ, ჰო, თუ გული რომ მომიბრუნდა
 იმისი ბრალიაო?..

ერთ სადღეგრძელოს მეც ვიტყვიო.
 თქვიო.

— მშვენიერებას გაუმარჯოს, —
 შესძახა ფარნაოზმა, — სიმშვენიერე
 ყველაფერია, ყველაფერთა ყველაფე-
 რია, უიმისოდ ადამიანობაც არა ყოფი-
 ლა. ადამიანური მშვენიერია და მშვე-
 ნიერი ადამიანურია. რაც აღგიტაცებს,
 მშვენიერია და, რომ აღგიტაცოს, უნდა
 იყვე, თუ ვერ აღგიტაცებს, მაშ არა ყო-
 ფილხარ ან სილამაზე დაკარგულა, სი-
 ხარული ჩანელებულა, ადამიანობა მი-
 სულა გადაწყვეტაზე. მაშინ ყოფნაც
 აღარაფერი ყოფილა, რადგან რაც არის
 ყველაფერი არ არის. ყოფილა ისა, ვინც
 სიმშვენიერეს მიახლოვებია, ვისაც მოხ-
 ვედრია სხივი ამ დიადი მნათობელისა.
 ვისი სულიც გაღვივებულა. ჯანდი თუ
 ყოფილა, ზეცა თუ მოქურთმებულა,
 ერთი ფერი დასდებია ყველაფერსა.
 შექს თუ ვეღარ დაუღწევია სულამდი-
 სა, ყოფნა მხოლოდ სულდგამაა ყოფი-
 ლა, მხოლოდღა სულდგამა, სიცოცხლე
 სულდგამად გადაქცეულა; ადამიანი იქ
 მისულა, რასაც გაჰყრია დიდხანია.
 გაჰყრია და ვერც გაჰყრია, დაშორებია
 და ვერც დაშორებია, თუ სიმშვენიერე
 მოჰკლებია, თუ სიმშვენიერეს მოჰკლე-
 ბია... ნუ დაგვლეოდეს შუქი მშვენიერი-
 სა, ნუ გაგვექრობოდეს უნარი იმისი
 განცდისა, ნუ დაგვეშრეტოდეს ძალა აღ-
 ტაცებისა!..

ჭიქას ტუჩებზე შემოავლო თითები,
 თავზევით შეიტაცა, ლურჯ შუქზე გაჰ-

ოთარ ჩხიძე
 ალგაჲ-დალგაჲთი

ხედა ნუშისფერ მუხრანულსა, თვალზე დაეცა უცნაური ფერი, აუბზინა, აუციალა. იყო ასე შეპყრობილი თავისივე სიტყვითა, ღვინითა, თუ რაღაც იღუმ-ლებითა, რომელსაც ენა ვერ გამოსთქვამდა.. მერე ხელისგულზე დაიდგა ჭიქაი, დააჩერდა, ნელ-ნელა წამოსწია ტუჩები, გაიწვდინა, მიუხანლოვა, მისწვდა, ამოწრუბა და ამოისუნთქა ღრმად, ძალიან ღრმად, თითქოს ამოიხრაო. მაშინვე ღიმილი გაუწყდა ლენტოსა, ტუჩი ჩაიხვია თოხა კბილებითა, ნიკაბი გააგამოაქანა, გულში გაივლო, — „საწყალი!.. როგორ უნდა იცხოვროს?! საცოდავი!.. საამქვეყნიო პირი არ უჩანს... ბეჩავი... ბედშავი...“

— რატომ არ დალევი?! — შეუწყრა ფარნაოზი, — ჩემი სადღეგრძელო არ მოგეწონა?!

— როგორ თუ არა?! ძალიან, ძალიან მომეწონა... გაუმარჯოს იმასა, რაცა თქვი, როგორცა თქვი, ისე გაუმარჯოს. აბა, არ მომეწონა!.. — და ჭიქა რომ ასწია, ფიქრად მიაღვენა ფარნაოზმა, — „საწყალი! ვერ გაიგო... რა უნდა იყვეს მაგისი ცხოვრება?! საცოდავი!..“

ასე შეიბრალებს ერთიმეორე, შეიბრალებს და აღარ ახირებულან. უფრო თბილად ამბობდნენ თუ ამბობდნენ, თუ არა და ისხდნენ მდუმარდა, ან მხოლოდ ფარნაოზიდა ლაპარაკობდა; ჰო, ფარნაოზი, რადგან საწესო სადღეგრძელოები მოეთავებინათ, გადაეხვიათ, შორს გასულიყვნენ, ხოლო ქა, „მშენიერებასათ“ თუ სხვა ასეთებში, ლენტოს არაფერი ესაქმებოდა, სდუმდა, შეპყურებდა, ვითომდა რაო, ყურს გიგდებ გაფაციცებულო; ჰო, ასე იყვნენ ვიდრე ღვინოთი მოიკიპოდებოდნენ, მერე წამოდგნენ, ერთხელ კიდევ მოავლეს თვლი მოკარიღლებულ თალარსა, თვალს მოავლეს და ღუქანში გავიდნენ.

ლენტომ შეადგია დახლზე ჩაყვინთული ხიმშია, ფული მიუთვალა, მხარზე ხელი მოუთათუნა, გაამხნევა.

— აბა, აბა, იშვილებიდან არ დავარდე!..

— ღმერთმა დამიფაროს!.. სამადლო

ლუკმისაგან ღმერთმა დამიფაროს!.. ამ დღეს ნუ მომასწროს... — ცერი გააქანა კუთხისკენა. ექვიდაც იჯდა, იჯდა თუ იდო, რაღაც ოკრობოკრო, რაღაც ძონძებში გამოხვეული, მაგიდას ტატყი დაეცემოდა და იქით მიჰქროდა დიდრონი ლუკმები. ცხვირპირი არა ჰქონდა თუ არ გაირჩეოდა ჩამუქებულ კუთხეში, არც არა ესმოდა, ვერც გაიგებდა დანატრებული, დანატრებული, გამგებლებული, დაუძღვრებული. — ეგეთი პავაროტიკი მეორე არ იყო, ეგეთი მხარჯავიც ბევრი არ იყო... ახლა აქმევენ, მაძღარია, არა და დასუნსულებს, ეგლა არის მაგისი ბედი.

— ჰოდა არ დავარდე!

— აქლემი ისე არ დაეცემა, ვირისოდენი არ აიკიდოსო.

— აგერ, ველარ აუკიდნია..

— არც ისეთი აქლემი ყოფილა..

ბოლო სიტყვები კარებში გაჰყვათ, გაჰყვათ და ნისწყდა, შორეულმა გრუხუნმა დაპფარა, გრუხუნმა და გუგუნმა, მერე ზრიალმა, ისე გუგუნმა, ქარხნების ხმაურმა, დიდმა ხმაურმა, ძლიერმა ხმაურმა, დღისით რომ შთანთქმულა ქუჩების დღეღუგში. ქუჩები უკვე მინაბულიყო, დროდადრო წყდებოდა მოვარდნილი ხმებიცა, დროდადრო ყურდებოდა, ღუმდებოდა მთელი ქალაქი; ყურდებოდა გასაოცრად, ღუმდებოდა გასაკვირვლად, ფარნაოზისა და ლენტოსათვის გასაკვირვლად, რადგან იცოდნენ მხოლოდ მომქანცველი, მომბებურებელი, გულისგამაწვრილებელი ქალაქი და არ ახსოვდათ ასეთი მშვიდი, ასეთი ყუჩი, დროდადრო შეხამებული, მიმზიდველად შეხამებული შორეული მოძახილითა; არ ახსოვდათ და მოხიბლულიყვნენ. ფარნაოზს უნდოდა ფეხით შემოეგელო მთელი ქალაქი, ლენტოს უნდოდა — შემოეჭროსო, რახან მოხიბვლა, მოხიბვლა იყოსო, შემოეჭროლოთ მანქანითაო. სად იყო, სად არა, მანქანაც გამოტყვრა, გადაუდგნენ. შეაჩერეს, ჩაუსხდნენ, გაჰყვნენ... ოღონდ მანამდის, კინაღამ დამავიწყდა, სხვა რამეცა მოხიბლა ლენტოი ან იმ სხვა რა-

მემ უფრო მოხიბლა, ფარნაოზი რომ ხის ტოტზე დაეკიდა, აქანავდა და ავალობდა ბულბულივითა, იმან მოხიბლა. ჯერ გაიცილა, მერე ცრემლი მოერია, გაიქცა, შემობრუნდა, მიიჭრა ხესთანა, ფარნაოზთან მიიჭრა, ვერკი მიეკარა, გაქვავდა; ჰო, თითქოს გაქვავდა, ხოლო ყველაფერი რომ შეტრიალდა, ხეცა, ფარნაოზიცა, შენობებიცა, ქუჩაც რომ აღმა წავიდა, მაინც იმარჯვა, მაინც წაეტანა შეყირავებულ ხესა, მიეხვა, მიეკრა და იყო ისე, ვიდრე შეწყდებოდა ბრუნვა-ტრიალი.

და, ტრიალი რომ შეწყდა, ისევ იცინოდა ლენტოი, იცინოდა ფარნაოზიცა, ხელიხელს გადაეხვიათ, ხესაც მიხვეოდნენ და ისე იცინოდნენ... მაშინ იყო, მანქანა რომ გამოტყვრა. შიგ იმდენს ვეღარ იცინოდნენ, შოფერიც იყო, სხვაც იყო ვიღაცა, ერიდებოდნენ, ან მოჭერებულებიყვნენ, ანდა მერე სხვა რამით იქარვებდნენ გახურებულ გულსა. ეს სხვა რამე თხოვნა იყო, ლენტო სთხოვდა, ეხვეწებოდა ფარნაოზსა, ზეალ მოდი ჩემთანა, უსათუოდ მოდი, უსიკვდილოდაო, შენი „ბულბული“ უნდა ჩავწეროო. ფარნაოზიც ეთანხმებოდა მგზნებარდა, მოვალ უსათუოდაო, უსიკვდილოდაო. ისევე სთხოვდა, ისევ ეთანხმებოდა, და ასე, ვიდრე ფარნაოზი ჩავილოდა. მერე ლენტო გაჩუმდა ერთხანსა, უტხოვებთან სათქმელი არ მოაფიქრდა, მხოლოდ ერთხანს, ცოტახანს არ მოაფიქრდა სათქმელი, უცბად გაახსენდა წელანდელი გაწბილება და შოფერს ეკვთა, — კისერზე რომ ტყირბი აქვს, ის შოფერი უნდა მაპოვნინო, ახლავე უნდა მაპოვნინოო, ვალი გამყვა, უნდა გადავუხადოო. ეგეთ შოფერს არ ვიცნობ, არც სხვა ვინმეს ვიცნობ ეგეთსაო. ჩემი მორიდება გინდა, თორემ როგორ შეიძლება არ იცნობდეო. ღმერთი, ხატი, რჯულიო... რომელი დავიჯერო, რომელი გწამს მავათანაო. რჯული მაინცა მწამსო. ისემც რა ვითხარი, სამივე ერთიმეორეზე მუქთად ვაგვიყიდა და ეშმაკსა ზიარებიხარო. არ ვიცნობ, არ მიცნობ, ეგრე რატომ ვაგი-

მეტებევარო. რაღა ცნობა მინდა, ტყირბიანი შოფერი მაპოვნინე-მეთქი, ასე უბრალო რამეს გეხვეწები, ასე უბრალოზე მეუარები, განა შეიძლება რაიმე გწამდესო... კარგი, ეგრე იყვესო, მგონი მოგიყვანეთო. ეგრე იყვეს კი არა, ეგრე არისო. არც იქ მიგიყვანივარ, სადაც უნდა მიმიყვანოთ; ეს სადარბაზო კარი ბულდოგისა ვახლავთ, მე ჩიხები უნდა მომატარო, ზურგიდან მომაყენოო. ვიწრო მოსავლელოა, ვავიჭედებით, გვეჩქარებაო. მოჩქარეს მოუვეციანდესო, იცი-ნოდა, ხელებს იფშენეტდა ლენტოი. აღარ იცოდნენ, რა ეთქვათ, რა ელონათ, რა წყალს მისცემოდნენ. ბედად მეორე მანქანა გამოტყვრა, უფრო ახლოს მიდგა იმ სადარბაზო კართანა, ბულდოგისა ვახლავთო, ლენტო რომ ამბობდა, ახლოს მიდგა და ქალიშვილი ვადმოაფრთხილა. აქედან ლენტო ჩაცურდა, კრინტიც არ დაუძრავს, ცივცხელად ჩაცურდა. მაშინვე გაქრა ორივე მანქანა. ორნიღა დარჩნენ დაცლილ ქუჩაში, ქალი და ვაჟი, ორი ლანდი ქანაობდა; ერთი გაცახცახდა, კარს ეცა, ხელის ლანდი ავარდა, ზარს დაებჯინა, დარეკა ზარმა, კარი გაიღო, შთაინთქა ლანდიცა, შთაინთქა და კარი მოიკეტა; მეორე ვაეკრა ქვაფენილზედა, იყო, იყო, აირწა მერე, წავიდა, გაცურდა, შემოიკურა ვიწრო ქუჩები, ვიწრო ჩიხები, ისიც შთაინთქა, შორს მოუარა, მაგრამ ახლოს იყო სადარბაზო კარში შთაინთქმულ ლანდთანა, ახლოს იყო, ძალიან ახლოსა, ერთი კედელი თუ აშორებდა, ერთი, ერთადერთი; ერთი კედელი აშორებდა, ახლოს იყო, ძალიან ახლოსა, ძალიან ახლოსა და ძალიან შორსა, ვერსაიდან მოველო, ვერსაიდან მიჰკარებოდა და ნდობა მორეოდა, დიდი ნდობაი, ძლიერი ნდობაი...

4

კარგახანს იბრუნა ლოჯინში, კარგახანს იტრიალა, ხან ბოლოში გადაიტანა ბალიში, ხან ისევ თავში. ბევრჯერ წა-

ოთარ ჩხიძე
 აღმართ-აღმართი

მოეხვეტა ზეწარი, ბევრჯერ გაასწორა, მერე მობეზრდა, აღარც გაასწორა. ემძიმა ლოგინი, ძალიან ემძიმა, მიაბრუნა, მოაბრუნა. წამოდგა, დაწვა. გაწვალდა. გაწამდა. და როდისღაც, როგორღაც ჩაიძინა გაწამებულმა... დილით მხოლოდ საქმელა ახსოვდა, ან მეტი არაფრის გახსენება უნდოდა. ჰო, საქმობდა, ფუსფუსებდა, თან ფარნაოზს ელოდა, აღმოთქვა, მოვაო. მედღედულებსაც ელოდა, მაგრამ მაინც ჯერ „ბულბულის“ ჩაწერა უნდოდა, დილა ბულბულისა არისო. დღედულებმაც იცოდა დილის საარი, მაინც ბულბული ერჩივნა ლენტოსა, ერჩივნა, მაგრამ მედღედულებმა მოასწრეს, მერე რაო, ბულბული მაინც იბულბულებდა, ბულბულს დრო როდი გაუვდებოდა, დააკვრევინა, დაამღერებინა, მოუწონა, ჩაიწერა, გაისტუმრა და ელოდა ისევ ფარნაოზსა. ისევ სხვანი მოვიდნენ, უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტები მოვიდნენ, ჭვირები მოიტანეს, ფონეტიკური ჩანაწერები მოითხოვეს; მოითხოვეს და მიიღეს, თავაზიანი მაღლობაც მოახსენეს თვალთა ეუქუნითა, კარისკენ გაეშურნენ, ოღონდ როდი გავიდნენ, შეჩერდნენ, ჩოჩქოლი შეუღვდათ, ვითომც ფოტოსურათებს მისჩერებოდნენ, ვითომც რომელიღაც მოსწონებოდათ, რომელიღაც — არა, ასე იყო თუ ისე, ერთი ტანწერწეტა გოგონა შემოტრიალდა, ტუჩები მოავიწროვა, ძალიან, ძალიან მოავიწროვა, და, თითქოს უნდა გაიბუტოსო, ისე თქვა:

— სიმღერების ჩაწერა არ შეიძლება? წარბი შეიკრა ლენტომა.

— არა, — მტკიცედ განაცხადა, რახან იბუტება, ბარემ გაიბუტოსო.

— რატომა?! — თითქოს ტირილს აპირებდნენ, თითქოს აი, აჰა, აქვითქვიტდებო.

— რა მოგახსენოთ, მე ბატარა კაცი ვარ, ყველაფერი არ მეკითხება...

— განა ამდენიც არ გეკითხებათ?!

— არა...

— ვაი!.. უფროსი არა გყავთ?..

— მხოლოდ სასწავლო ჩანაწერებს ვამზადებთ... უფროსსაც ესლა ეკითხე-

ბა. — თან წარბი გახსნა, ემანდ მართლა არ დამიფრთხნენო.

— ჩვენც სასწავლო სიმღერებზე მოგახსენებთ... — შეარხია კულულები მეორე გოგონამა, არც შებრუნებულა, ისევ სურათებს მისჩერებოდა.

— სასწავლოზე რაღა თქმა უნდა... — მოციმციმე თვალები მოაბრუნა მესამემა.

— მაშინ უფროსის უფროსსაც არაფერს ვაკითხებ... — თავი გამოიღო ლენტომა, ღიმილად დაიღვარა, ჭაიხინაურებიც მოიკრიფა, გალაღდა, გაიშალა, მაგრამ ტუჩმოვიწროებული გოგონა ეცა კარსა, გამოალო, ჰო, გამოალო და სამი ვაჟი შემოიტოქა გიტარებითა. ფერმა გადაკრა ლენტოსა, ისევ საქმიანი კაცის იერი მიიღო, მაგიდას მიუჯდა, შეკვეთის ფურცელი შეავსო საგულდაგულად, მერე მომართა ჩამწერი, რა თქმა უნდა, დიდი გულმოდგინებითა, განსაკუთრებული სიფრთხილითა, ოსტატის საიდუმლოებრივი რჩევითა, თითქოს ქურუმი დამდგარა სალოცავადო. მანამდის ვანგებ ახველებდნენ ვაჟებიცა, გოგონებიცა, ხმას იწმენდდნენ, სიმებს აქლერებდნენ, ეწყობოდნენ, უცხო სიტყვებს ამბობდნენ, არჩევდნენ. ესეები აღარ გაეგებოდა ლენტოსა, არ გაეგებოდა, როდენი ქურუმებრივი იერიც უნდა მიეღო, არ გაეგებოდა, ოღონდ გააგებინეს, სიმღერების სახელებითა; უთარგმნეს კიდევ, ჩააწერიეს, მხოლოდ ეს მერე, რომ დაიმღერეს; მოისმინეს დანამღერი, მოიწონეს, კარგად გამოგვივიდაო; სთხოვეს, ოცი ფირფიტა დაგვიზადედო, ხომ შეიძლებაო... რამდენსაც მიბრძანებთო, საქმიანად მიაჩერდა ლენტო. ოცი იყვესო. და ჩაუმატა შეკვეთის ფურცელში, იქვე ჩაწერა სახელწოდებანიცა. ოღონდ დარჩა ისეთი რამაც, მხოლოდ ფიქრში რომ ჩაიწერებოდა, მაშინაც, როცა იქვე იყვნენ სტუდენტები. მერეცა, როცა წავიდნენ... ეს იყო ფიქრი საქმოსანი ადამიანისა, ფიქრი სარფზე, მოგებაზე, ოღონდ მოგება რა რიცხვებით გამოიხატებოდა, ეს არ იცოდა; ვერც მიმხვდა-

რიყო, ვერ გაეგო ლენტოსა. მაინც რამდენი უნდა ყოფილიყო? ხუთი სიმღერა დაუტოვეს სტუდენტებმა, ოცი ფირფიტა დაუკვეთეს, ოცს წაიღებდნენ, მაგრამ ჩანაწერი ხომ აქ დარჩებოდა, გაამრავლებდა რამდენამდეც მოინდომებდა, მოინდომებდნენ. მაგრამ ვინ იყვნენ ეს მწიგნობრნი, ან მაინც რამდენს მოინდომებდნენ? დაე რიცხვი წინასწარ ვერ გამოყვანილიყო, მერე რაო, ბოლოს ხომ მაინც გამოვიდოდა, გამოვიდოდა და კარგა ბლომადაც გამოვიდოდა, მაშინ ხომ უცხოურს ეგერევიდად არ ავრცელებდნენ, ჰგმობდნენ, კრძალავდნენ და ჩვეულებრივ ნაკრძალს ხომ უფრო ეტანებოდნენ, უფრო ვნებიით ეტანებოდნენ, ვით ევა და ადამი, პირველი ადამიანები, რომელთაც თავს დასდგომოდა ღმერთი, რომელნი მაინც შესცდნენ, მით უფრო შესცდებოდნენ უღმერთონი... მაღაზიებში სხვა ფირფიტები ეწყო, აქედან სხვა გამოდიოდა, ლენტოს ხელიდან გამოდიოდა, მაგრამ მერე გზა საითა ჰქონდა, ეს აღარ იცოდა, აღარ გაეგებოდა. უფროსმა იცოდა, ანუ ალექსანდრ ნიკალევიჩმა, როგორც პირში მიმართავდნენ, ანუ ბუღდოგმა, როგორც ზურგთუქან მოიხსენიებდნენ, იმის ხელში იყრიდა ყველა ქსელი. როგორ მისწვდომოდა, როგორ მიეკვლია? ეცადა, არაფერი გამოსვლოდა. როცა იქნება ალღოს ავართმევო, მალე ავართმევო, მანამდის სადმე გადავმალავო...

გადამალვა მოუხერხებოდა, ამის საქმეში არ ერეოდა ალექსანდრე, ფირფიტებსა თუ ჩანაწერებში ხელს არ ურევდა, მხოლოდ სთხოვდა ასეულ ცალკებსა, ათასეულ ცალკებსა, მიჰქონდა და მოჰქონდა, ჩაწერილები მიჰქონდა, ჩანაწერები მიჰქონდა, აჩქარებდა, ეს ველარ ასდიოდა, ლამის წელში გაწყვეტილიყო, მაინც თავი არ ეზოგებოდა, ახალგაზრდა იყო, ღონე ერჩოდა; სადღაც ხომ უნდა ჩაეხარჯა ღონე, დაე, აქა ყოფილიყო, დაღლილიყო, დაქანცულიყო, დაისვენებდა, ისევ გაილალებდა ახალგაზრდა ჯანი. მაგრამ ვითომ რატომ არ უნდა მოეგო უფრო მეტი?!

ჯანდაბას, ჯერ შეინახავდა, თარხოზის „ბულბულსაც“ შეინახავდა... ოღონდ რომ არ გამოჩნდა, რომ არ მოდიოდა, — ნუთუ ასეთი უპირო ბიჭი იყო? ან ეგება ეწყინა რამე? წუხელის რომ არ ეტყობოდა?.. მოვიდოდა, ჰო, მოვიდოდა, დრო წინ იყო, დღე წინ იყო.

მაგრამ ლოდინი როდი ეწყრა.

იმისი უფროსი ორ გოგოს შემოუძღვია. ლენტომ მაშინვე ალღო აართვა, თბილისელები არ უნდა იყვნენო. ჯერ თბილისის ფერი არ დასდებოდათ. უკვე მიმხვდარიყო, თავისებური ფერი რომ ჰქონდა თბილის-ქალაქსა, თავისი იერი ქურა ჰქონდა, იქ უნდა გამოედნო, იქ უნდა გამოეწროთ, თუ დარჩებოდნენ. თუ მალევე არ გაფრინდებოდნენ, საიდანაც მოფრენილიყვნენ. თუმცა ვინ მოსულა რომ წასულიყვენ, — მოსული ბევრი მინახავს, მაგრამ წასული არაო, ასეთი ანდაზაც თუ ითქმოდა, თბილისზე ითქმოდა, ან გამოცანად თუ ითქმოდა, თბილისი გამოვიდოდა.. ერთი სიტყვით, არ უნდა ყოფილიყვნენ თბილისელები, არცა უცხოობდნენ, შემოსვლისთანავე ეცნენ სარკესა, ჩამოშლილი კულულები შეისწორეს, ფერი გადაისვეს ტურჩებზე... ბუღდოგი ღიღინითა მართავდა ფოტოაპარატსა, ღიღინით ამოწმებდა შექებსა. დიდ სარფას თუ წაწყდომიო, გულში გაივლო ლენტომა. თორემ ისე სურათის გადაღება არ ახარებდა, ბუზღუნებდა ხოლმე, ყველაფერზე ბუზღუნებდა, რაც ქვითარზე იწერებოდა. ახლა საქვითრო არ უნდა ყოფილიყო, ისე ცმუკავდა, ისე იფშენეტდა კოტიტა ხელებსა. თვით ლენტოსაც ეალერსებოდა, „დალგხლიო“, ისე შესძახა, ისე ტკბილადა, წაბრძანდი უფრო გამოდიოდა, ვიდრე წაეთრიეო; კარს რომ მიატანა, „ლოც“ ისევე ტკბილად მოესმა. შედგა, დაელოდა, ვიდრე თოკებს დასწევდა ალექსანდრე, ვიდრე დაიძრებოდა სქელი, მწვანე ფარდები. წავიდოდა, გადაღობავდა დიდ, გრძელ

ოთარ ჩაიძო
 აღმართ-აღმართი

ოთახსა... ისინი იქით დარჩნენ, ესენი აქეთა.

- ნახე? — იკითხა უფროსმა.
- ვნახე...
- მოეწონათ?
- მოეწონათ...
- როდის ჩაეწეროთო?
- ამ დილითაო...
- და არ მოვიდნენ?
- მოვიდნენ...
- ვაჰ!..
- ჩაეწერე...
- ვაჰ!..
- ასეთია!.. — ცერი ასწია ლენტო-
მა.

— ვაჰ!.. ვნახოთ ერთი...

ჩამწერი ჩართო ლენტომა, სტუდენტების სიმღერები ყრულ გადაახვია, ვითომდაც არაფერიაო, დუღუკები ააღულუნა. წავიდა დუღუნი, დუღუნი, ზუზუნი, მერე აუწიეს დუღუკებმა, აუწიეს და გული აიტანეს, დაუშვეს ისევა, მინელდნენ, მიმტკნარდნენ, მიმტკნარდა დოლიცა; ხმა ამოვარდა, ამოვარდა სადიდებელი ერთი ვინმე შავთვალწარბა გოგოსი, დარდიმანდი გოგოსი.

— ვაჰ!.. ვაჰ!.. — ჯერო, ქალურს არა ჰგავს... — თქვა უფროსმა.

— ლექსი ასეა... — მედუღუკები დაიცვა ლენტომა.

— მაინც კარგაო, ცეცხლს დაანთებს ლოთიან სუფრაზე... ხუთასი იყვეს ჯერჯერობითა.

— ფირი არა მაქვს.

— სულ არა გაქვს?

— მაგდენი არა...

— დაიწყე, გექნება, — და ფარდა გადასწია, მიეფარა, შიგნიდან გამოსძახა, — გარეთ მოიცადე... მე აქ არა ვარ... — არ დავიწყო?

— ხვალაც ამ თვისაა...

იყოს, ზეგაც ამ თვისაა, რა ენადღეობა, უფროსს თუ კი ასე მონებებია, ამას ვითომ რაღა ენადღეობა, იყოსო, და გადის. იქ პატარა ყვავილნარია, ან ნაწყვეტია ყვავილნარისა, ვიწრო ზოლად, რკალად გამოდის კულტურის სახლის ბაღიდანა. იქ მოცდა შეიძლება, მერხე-

ბი არის, საქმის გამოჩენაც შეიძლება; თუ უქმად ყოფნა არ ეხერხება, ფანჯარასთან ორი ვაზია, ძირებს გამოუჩიჩქნის, ბალახებს გამოაცლის, მეტ ყლორტებს ჩამოაცლის, ამასობაში გამოჩნდება ფარნაოზიცა, მოვა თუ მომსვლელია, მერე აღარც დაგიდევს უფროსუმცროსობასა, აპყვება სტუმარსა, სტუმრის ნებასა, რამდენიც უნდა იღრინოს ბუღლოგმა, წავა, გაპყვება; მანამდის აგერ ვაზებია გასართველად. გაიზრდება ვაზები, ხეივანი გადავა, ჩამოეციდება დიდ-დიდი მტევნები გორული ჩინებულისა. განა მანამდის აქ იქნები? ჰა?! აქ იქნებიო... ვინ იცის, ვინ უწყის, მაინც ახლავე ხეივანდ წარმოიდგენს, გაიხარებს ისე, თითქოს ორბისული ხეივანი გადასდგამოდესო. არც სიხარული დასცალდება. ბუღლოგი გამოვა, იმ ორთაგან ერთს გამოუძღვება, „წამსერდითო“, უბრძანებს ლენტოსა, უბრძანებს და თვალს ჩაუკრავს, თვალს ჩაუკრავს და კარს მოუხურავს.

ფარნაოზი არა ჩანს.

დგას ქალიშვილი და შეპყურებს თითქოს გამამხნევებელი, თითქოს დამცინავი ღიმილითა; შეპყურებს და დგას, დგას თეთრი ქალი, გამტიცული თეთრი, მოქნეული, მოზიდული, თითქოს მიწასაც არ ეხებოთ ან ეს არის აფრინდა, გადაუნიავებს ყვავილებსაო და წავა, წავა... მაგრამ ფარნაოზი რომ მოვიდეს? მოვიდეს და მოვიდეს, რაინდი თუ არა ყოფილა, რაინდული წიგნები ხომ წაუკითხავს, გაუგებს ლენტოსა.

დაიხრება, ყვავილებს მოსწყვეტს, მიაწვდის.

— ლენტოს მიწოდებენ...

— მე ფლორას... „ლენტო“ კარგად აქვს...

— ფლორა უკეთესად, ჰარმონიაა...

— თუ სიმფონია?

გადიკისისა, გაიარა, გაცურდა. ის კისკისიც მოეწონა ლენტოსა, ნაბიჯიც მოეწონა, როგორც ურხევად, მიმზიდველად მიჰქონდა ტანი, სწორად ნაგები, სუფთად ნათალი. ცხელოდა. შუკები დაცლილიყო, ქუჩებიც დაცლილი-

ყო, თითქმის მოედანიცა, მოსიარულეთაგან დაცლილიყო, თორემ მანქანები ისევ ირეოდა, თუმცა არცთუ ისე მრავლადა. ჰო, დაცლილიყო მოსიარულეთაგანა, ქვეითთაგანა, თვალწინ ვერაფერს ჩამოეფარებოდა, ბევრი ვერაფერს ჩაუვლიდა, ბევრს ვერაფერს შეადარებდა...

- ქვეითად ვივლით?!
- რომ არ ვიცო, სად მივაცილოთ?!
- ჰა, ჰა, ჰა...
- თუ გეცლებათ...
- ვთქვით, რომ მეცლება.
- მაშინ...
- რა მაშინ?
- გავისეირნებდით ქალაქგარეთა...
- ასე ქვეითად?!

ქვეითად რაღაო, დაფაცურდა ლენტოი, მანქანას გადაუდგა, არ გაუჩერეს, მეორეს გადაუდგა, მესამესა, ყურიც არ უგდეს. გაბრაზდა, გავულისდა. დაადევნა ავი სიტყვები, ხოლო მერე, რომელიღაც მანქანა რომ მოიჭრა უეცრად, გარს მოუბნინა, შემოუჭროლა. შემოუნაევარდა, მტვერი მოახვია და შეჩერდა ისე, ბორბლები თითქმის ეხებოდა ფლორას ცერებსა; ისევ ავსიტყვობა მოინდომა, მაგრამ როდიღა გამოუვიდა, ჰო, როდიღა გამოუვიდა, რადგან ფლორას სიცილი აუტყდა, სიცილი მოწონებისა; სიცილითვე, მოწონებითვე ჩაჯდა ავტოში, თბილისელი შოფრები ვირტუოზები არიანო; ვირტუოზებში, იმეორებდა, იმეორებდა და აქებდა. მერე თბილისს აქებდა, ალბათ იმის გამოსაცნობად, თუ საით მივყევარ ლენტოსაო, მოსთვალა და მოსთვალა უკეთესი სანახები, — ფუნჯულორის პლატო, ბოტანიკური ბაღი, ვაკის პარკი, თბილისის ზღვა; თან თვალსაც როდი ამორებდა, აბა რომელზე დამეთანხმებო... ხოლო ლენტო ფიჭობდა, — ბიჭოს. უკვე მოუსწვრია ყველაფერიო. მაშინ მტკერის სანაპიროც ახსენა ფლორამა, დიდებული რამ არის, მაგრამ რაო. იქ შეიძლება ჩაიჭროლო ან ჩაისეირნო, თვალი დაიტტო, შეჩერებით ვერსად შეჩერდები, ვერ ჩამოვდები, წყალი რომ მოგწყურდეს, ღმერთმა დაგიფაროს, დაიხრჩობი

წყურვილითაო. მაინც არ აპყვა ლენტოი. ფლორამ ჩაიღიმა გუნებაშია, რაღაც ახალი, უფრო დიდებული, უფრო მშვენიერი უნდა მანქენოსო; ქუჩას აცვირდებოდა, უნდოდა მიმხედარიყო, უნდოდა გამოეცნო. ნაშალადევში რომ გავიდნენ, თითქოს იმედი უტრუვედებოდა. აქეთვე ხომ თბილისის ზღვაზე აღმოვჩნდებითო. მაგრამ გასცდნენ, ღრმადელეში ამოპყვეს თავი და ალოო დაპკარგა, აქეთ ჯერ არა ყოფილიყო, არც არაფერი ეგულებოდა... თურმე ყოფილიყო, ლურჯი დუქნანი ყოფილიყო, მაგრამ არცთუ მოსაწონი, არცთუ მომხიბლავი და დიდებული, როგორც ეგონა.

— სად მომიყვანეთ, — თვალი შემოავლო მაღალ კედლებსა, ახრქილებულ ოწინარებსა, ატაცებულ ჩარჩოებსა, ბეტონის სარტყელებსა, კედლების ნაწილებსა, — ექსკურსიაზე?!

— ექსკურსიაზე... — შესცინა ლენტომა, ლურჯი დუქნის კარი შეაღო, შეუძღვა, გააოცა და თვითონაც გაიკვირვა ცოტა არ იყოს, ყაფაზეტი გადმოცლილიყო, მაგიდები აყირავებულიყო. — ხიმშია! — შეპყვირა.

— ბატონო... — ხიმშია გამოვარდა. სამხარეულოდანა, ოფტომოკიდებული, აწითლებული დადლილობისაგანა, გამოვარდა და დაიბნა.

ფლორაც დაბნეულიყო:
— წავიდეთ, — თქვა.

— მოითმინეთ... — ველარც ლენტოლაპარაკობდა მშვიდადა, — ეს რა ამბავია?!

— რაც არის, — ცივად გაიღიმა ხიმშიამა, — ავიყარე, გადავდივარ.

— ასე მალე?!

— როგორც მოგაწევებიან, ისეც დაიძრები.

— ვერაფერს დაგვაღევიანებ?

— ვაპ, ვაპ, ე რა ყოფაში მომისწარი, ვაპ!..

— არ ვიცო, არაფერი ვიცო, ლაყაფი არ იყოს!.. — თქვა ლენტომა, ფლორას

ოთარ ჩხიძე
ალმაჩო-დაღმართი

მიუბრუნდა, — მობრძანდით, მობრძანდით, გარედან ვითომც არ დაგინახავთ, შიგნით შემოდით, შიგნით სხვა არის, ვერ დაიწუნებთ აქაობასა. განა დაიწუნებთ?..

ხეივანში გავიდნენ.

უეცარი იმედგაცრუების შემდეგ აბა როგორღა დაიწუნებოდა ფართო, მაღალი, კარავივით ატაცებული ხეივანი, ხშირფოთლიანი, ხშირმტევნიანი, გარშემოხვეული ვარდნარითა. ზოგი რომ მოლუქულიყო, ზოგიც იფურცლებოდა, ზოგი ლაღანებდა, ეშს აფრქვევდა, სურნელსა ღვრიდა, ზოგიც ახლად დაკოკრილიყო. იყო სიმყუდროვე, იყო სიკეთე, შადრევანსაც თუ აუშვებდნენ, კიდევ უფრო დამშვენდებოდა.

— ხიმშია!

— ბატონო!..

— აუშვი შადრევანი!..

შადრევანი ავარდა, ამჩქეფარდა.

— მომწონს... — ფლორამ თქვა.

— აკი გითხარით... ოღონდ...

— ბატონო!..

— თევზები რა იქნენ?..

— გავგზავნე, მტკვარს აჰყენენ...

ხვალ იქ მობრძანდით და...

— დღესა?

— დღესა... — ცერის ფრჩხილი გა-
მოჰკრა კბილსა, — გინდა მომკალი!..

— მე რომელი მკვლეელი მნახე?! —
გაუქარწყლა ლენტომა. — რას ინებებთ? — ფლორას მიუბრუნდა.

— „ენისელს“ ცოტას, ძალიან ცოტას, „ხვანჭკარას“ ციკსა, ძალიან ციკსა.

— მე რომ შენი ამბავი ვიცი, ასეთ ყოფაშიც თავს არ შეირცხვენ, მიწას გააპობ... —

— ოღონდ მადროვე და... — ხიმშია შეტრიალდა, მკვირცხლად შეტრიალდა და გაჰქრა.

ისინი ჩამოსხდნენ.

ლენტოს უნდოდა, მართლაც მოეწონებინა იქაობა, გადღის, აყრილა და რა იღონოსო; ჰო, ცუდ დროს წავადექით, თორემ აქამდის თუ სამოთხე სადმე ყოფილა, აქაცა ყოფილა იმისი ფილია-

ლიო, ნამდვილი ქეიფი აქ შეიძლებოდა. აქ მხოლოდ დარდიმანდები იყრიდნენ თავსა, იმათი ცქერა ერთ რამედა ღირდაო. აგერ იქ, ფიროსმანის ქალაქგარეთ გასეირნების ასლი რომ არის, ძველთბილისური ანსამბლი უკრავდა...

— კინტოებისა?

— ძველთბილისური-მეთქი...

— განა კინტოები თბილისელები არ არიან?!

— კინტოები ყველგან არიან, ბევრად უფრო მეტნიც არიან...

— რაღაც გეწყინათ...

— არაფერი, არაფერი... ხიმშიამ სტვირის დაკვრაც იცის, მგონი უკანასკნელი მესტვირედა; რომ მოიცილიდა, დამღეროდა რაჟულ ანეგდოტებსა და იყო სიცილი... სვამდი ღმერთების ღვინოსა, აღარ შეგვრჩებოდა აღარცა დარდი, აღარცა ფიქრი, აღარც ავი ზრახვანი, გასუფთავდებოდი, სანთელივით დაიწმინდებოდი. და აი მოიშალა... მცხეთაში გვბირდება უკეთესსა. მტკვრის პირას მოეწყობა, ტივებზე გაიტანს სუფრებსა, იცის, იცის, როგორ მოალხინოს ადამიანი. რამე რომ შემეძლოს, ლხინის ღმერთად ავირჩევდი. გამიგეთ? ქართული რომ გესმოდეთ, უკეთესად გამიგებდით. თქვენებურად ისე ვერ გამომდის, გრძნობა აკლდება, ეშხი აკლდება...

— არა, რატომ, რატომ... ხიმშია, ღმერთი ლხინისაო. ბერძნებს ღიონისე ჰყავდათ. რატომ ვერ გაგიგეთ?!

— აზრი კი, გრძნობა?..

— გრძნობას ვითომ ენა რად უნდა, სჩანს თავისთავადა.

— რაცა სჩანს, ის გრძნობაც არ უნდა იყოს.

— არ მეთანხმებით?! საკამათოდ მომიწვიეთ?!

— არა, სალხენადა... ჰხედავთ, ესეც უკულმა გამომდის... ხიმშია!

— ბატონო!..

და ხონჩით შემოვარდა, სწრაფად, ლახათიანად, მარიფათიანად გადმოაწყო „ენისელი“. „ხვანჭკარა“, მრგვალად მოხარშული დედალი, ტყემალი, კიტრი, ტარხუნა, ბოლიში მოიხადა ასე მცირე-

ზე. მიტევება ითხოვა, რომ არ ეცალა, კეთილი პურობა უსურვა, კიდევ მოუმატა შადრევანსა, იმდენზე ასწია, მაგიდასთან ახლოს დასხურებულყო წვეთები, ჰო, მოუმატა და გაეარდა. გაჰქრა.

ფლორამ „ხვანჭკარას“ წაატანა თითები, ეცივა, ეამა, შეაქრეოლა სიამითა. ლენტომ აავსო ჭიქები „ენისელითაცა“, „ხვანჭკართაცა“.

ფლორამ ჯერ „ენისელი“ დალია. — კარგია, — თქვა, — მართლაც ღმერთების სასმელსა ჰგავს.

— ადამიანი ღმერთებამდის აჰყავს. — ლენტომაც დალია, მერელა დაუმატა. ფლორამ ანიშნა, კიდევ დამისხიო. დაუსხა. დალია. ლენტომ საყვედურით გაჰბედა, ეგრე არ მომწონს, ჩვენში სადღეგრძელოები იციან, ისე გემო არა აქვს, მადლი არა აქვს სუფრასაო. გაგიმარჯოსო, გაიცინა ფლორამა, იდღეგრძელო, კიდევ გაიცინა მომხიზლავადა და ცარიელი ჭიქა შეათამაშა.

— ეგრე არა, ცარიელით სადღეგრძელო არ ითქმის... სადღეგრძელო თამადამ უნდა თქვას...

— არ მომწონს ეგ თქვენი თამადა, დიქტატორია.

— მომწესრიგებელია... წესრიგი ხომ სუფრასაც უნდა?

— მოიქცევიან როგორცა სურთ და ეგ იქნება სუფრის წესრიგი.

— ასე იოლად ვერ დაგეთანხმებით...

— ნება თქვენია, იყავით თამადა, — მოსვა, — გაგიმარჯოთ თამადა!.. გაჰხედა თვალთა ციმციმითა, ტურთა რხევითა.

აჰყვა ლენტოცა, სიცილში აჰყვა, მაგრამ მაინც თავგამოდებით იცავდა თამადის ღირსებასა, დალია სადღეგრძელო გაცნობისა, მშობლებისა, დედმამიშვილებისა, სამშობლოსი. და ნოადევნა, — მეგობრობისა, სიყვარულისა, ასე გასინჯეთ, თვით მშვენიერების სადღეგრძელოცა თქვა. მერინახი აქაც აუხიბრდა, მაჩვენე ვისასა სვამ; მაჩვენე სად არის მშვენიერებაო... მა-

შინ უკვე მთვრალეები იყვნენ. ფლორას ლოყები შეყიბრიზებოდა, თვალეები უფრო აფიცებოდა, ტურები სველი ჰქონდა, დანამული, აბზინებული. ვარდის ტოტი გადმობრილიყო, თავს დასადგომოდა, დაემშვენებინა. ჰო, მაშინ უკვე მთვრალეები იყვნენ და სიმთვრალეში ლენტო მონა იყო ნდომისა, არა საერთოდ, არა ყველასი, მხოლოდ იმ ასულისა, წუხანდელი ასულისა. ასე იყო ხოლმე, ახლაც ასე იყო... სხვას შეჰყურებდა, სხვა ეჩვენებოდა — უფრო სრული, უფრო მუქი კანისა, არცთუ შავგერმანი, მაგრამ არცთუ ასეთი თეთრი, უფრო დიდი, ბრიალა, ცეცხლთვალისანი, უფრო საესუებიანი, ყელმადლი, მხრებმოხაზული, მაღალ თქოებზე გამოსკვნილი, გამონაკეთული, მიმზიდველი და მომრიდებელი. ესა? კარგია! შეხე, როგორ გააობია ტურები, სველი ტურები, როგორ მოზიდულა... მაგრამ ის აღელვებს, დიდი ხანია იყარობს, აღელვებს. ამას დღეს შეხვდა, შეხვდა, მასპინძლობს, ან ასრულებს ბრძანებას უფროსისა. ის სულ სხვა არის, ის უფროსზე გაუფროსებაც არის. თუმცა რა ღობე-ყოფი ედება, — სურს, უნდა, ავადმყოფურად აჰკვიატებია, სიმთვრალეში მოეკიდება, ღვინოზე უფრო მოეკიდება და გათანგვას უპირებს. ეს ისევე იცინის, ჰკრეფს მხრებზე დაყრილ ვარდის ფურცლებსა, დაჰხედავს, დაყნოსავს, მერე ერთს ჭვემო ტურზე დაიწებებს, მეორეს — ზემოზე და ისე ეკითხება:

— აბა სად არის მშვენიერება? — ახლა სათითაოდ აიკრავს ტურებზე ვარდის ფურცლებსა, მოსწევს, მოსწევს, გაატყაცუნებს, — რომ ვადღეგრძელო, მადლობას ვინ მეტყვის?! განა მადლობა არ უნდა თამადასა?! ვინ ეტყვის აბა, სად არის აბა?!

— ერთი მეგობარი მყავს, იმან იცის...

— მხატვარია?

ლენტომ თავი გაიქნია.

ოთარ ჩხიძე
ალვართ-ალვართი

— მუსიკოსი?
 ისევ გაიქნია.
 — პოეტი?
 გაიქნია.

— ჰა, ჰა, ჰა... სულერთია, ერთი წყლისანი არიან! კეთილი, გაუმარჯოს, რახან ვილაცამ იცის, ვილაცას მაინც სცნობია, გაუმარჯოს!.. — ჰიჰა აილო. არ დაუღვევია. — აღარ მინდა, — თქვა და გაიცინა. იცინა, იციანა, როგორღაც ამოადვენა სიცილში, — სიგარეტი... — მოუტრბენინა ლენტომა. მოსწონა. დამშვიდდა. — აღარ მინდა. წავიდეთ. — ადგა, ვარდები მოწვევითა, მიუშვირა შადრევანსა, მერე ისხურა სახეზე, გაილიმა, შევებით გაილიმა. — წავიდეთ სადმე... აქაც კარგია, მომწონს, ნამდვილად მომწონს, მაგრამ ფართო ხედი მინდა, თვალი რომ ვერ უწევს, იმხელა მიდამო მინდა. — ისევ გაწუწა ვარდები და ისხურა სახეზე. გულში ჩაუწკრილდა წვეთები, გულისპირი ამოენამა.

უფრო მომხიბლავი გახდა ეს გაფიცებული და გაწუწული ქალი, სველ ვარდებში ნიკაპარგული, ქვეშქვეშ გამოჩნდვარე სუფთა, ცისფერი თვალებითა. იმატა ეშხმა, იმატა მიმზიდველობამა, მაგრამ ის მაინც სხვა იყო... იმისი მადლი თუ გადმოჰყენოდა ან არც გადმოჰყენოდა, თავისი ჰქონდა, — სხვისი რად უნდოდა, — არა ნაკლებ ძალოვანი, არა ნაკლებ დამპყრობელი, მაგრამ სურვილებში ის იყო, ისა; აქამდის იყო, აქამდის მორეგოდა, იმორჩილებდა, დაე, თუნდაც ახლა ესა ყოფილიყო, მაინც ის იყო, ვინც იყო, იყო.

— წავიდეთ!.. — დაიძახა ლენტომა, ვარდებიან ხელში ჩაჰკიდა ხელი, ასე გამოვიდნენ.

მზე ჩასულიყო. ისევ იდგა ბული სიციხისა, უფრო შეგუბებული, უფრო სულ შემბუთველი.

— იქავე სჯობდა!..
 — შეებრუნდეთ?
 — არა!.. სადმე შორსა, სადაც იგრძნობა უსაზღვროება.
 — მთაწმინდაზე?

— ან იქ რა არის, სივიწროვეა თვალისთვისა...
 — სიგრილე არის.
 — სიგრილე იქნება, კარგი, წავიდეთ...

მაგრამ ვერ წავიდნენ, ვერ ააღწიეს მთაწმინდამდისა. ბინაში შევირბენო, თქვა ფლორამა, კაბას გამოვიცვლი, წყალს შევისხამო. ეგება შენც ამოირბინო, თმის დავარცხნა ხომ არ გინდაო, თუმცა რა დავარცხნის შენს თმასაო, — ჰა, ჰა, ჰა... ვნახოთო, ვნახოთო, ცდა ბედის მონახევრეაო. და აჰყვა, ზომ უნდა აეცილებინა...

გვიან ჩამოვიდა, შუალამე გადასულიყო, მარტოლა გამოვიდა. პირველივე მანქანა გაუჩერეს, შევიდა, მიეგდო; სამჯერ რომ იკითხა შოფერმა, საით წაგიყვანო, მერეღა მიხვდა, უპასუხობა არ იქნებოდა...

— საითაც გინდოდეს...
 — მაინც?!
 — იარე, მივხვდები...

5

შესასვლელში, მომცდელებსათვის სკამები რომ ეწყო, რამდენიმე შეკვრა დახვდა, გაზეთებში გამოხევეული და გამოსკვნილი. დიდი გამოცანა არ უნდოდა, დაპირებული ფირები იქნებოდა, ასე იცოდა, იტყოდა და აასრულებდა, ან რომ ამბობდა, უკვე აკეთებდა; ჰო, დაპირებული ფირები იქნებოდა, ან უფრო ზუსტად რომ ითქვას — რენდგენოგრამები, მაშ რაო, ახალ საქონელს გაზეთებში ვინ გაახვევდა... ესეც არ იყოს. სადაც მოგებზე ფიქრობენ, იქ მასალის სიაფეხეცა ზრუნავენ დიდი თავგამოდებითა. ამაში ბევრი ვერაჲინ წაუღგებოდა იმის უფროსსა. ლენტოსათვის სულერთი იყო, ერთი ჯაფა უნდოდა ორივესა, ახალსაცა, ძველსაცა, ნახმარსაცა, უხმარსაცა. ზოლო სიტყვა მჯობნობაზე თუ მიდგებოდა, ძველი სჯობნიდა, ნახმარი უკეთესი გამოდიოდა, შავად ამოდიოდა, ნამდვილ ფირფიტებს ემგვანებოდა. უხმარი თეთრი იყო, მონაცრისფერო, ან ყვითელი, ისეთ შთა-

ბეჭდილებას ვერ იწვევდა, მუშტარს თვალში არ მოსდიოდა. ეს ისე, უფრო-სისაგან გაეგონა ლენტოსა, თორემ მუშტარისა რა იცოდა, ან რა ენადღებოდა, თავში ქვა ეცა ბულდოგსა. მაგრამ ლაზათი მაინც ლაზათი იყო, თავისას ითხოვდა. ოღონდ ამ არჩევანში ეგება იყო კიდევ სხვა რაღაცა, რაღაც თავისებური ვნება, თავისებური ენის ადა-მიანის არსებაში ღრმად შეჭრისა, დაფარულის ახდისა, იდუმალებით განსაქტაკებულისა და ამადლებულის გან-ჭკვრეტისა შიგნითშიგანამდე. უხმარ ფირებში არაფერი იყო, რენდგენოგრაამებში — ყველაფერი, რა თქმა უნდა, განა მართლა ყველაფერი, მაგრამ იმისთვის ბევრ რამეს უღრიდა; რაღაც ყრუ, გა-მოუცნობ სიამესა გრძნობდა, როცა წინ ეყარა ფერ-ხორციისაგან გაძრკვილ ძვალ-თა სურათები, იმ ძვალთ, იმ ჩონჩხთა, რომლებიც ისევ დადღოდნენ, უხარო-დათ ან დანადგლებულ იყვნენ, იცი-ნოდნენ ან ტიროდნენ, დაობდნენ ან ეთანხმებოდნენ, იბრძოდნენ, აქეზებ-დნენ, გაიძახოდნენ, თავს იწონებდნენ ფერხორციანნი, თვალწარბიანნი, ენა-ტუჩიანნი, აქ კი გაძრკვილნი, ამოყ-რილი ლავიწებიტა, ძვალთა ხროვითა, რომელთა შუა ხან რა შუქია, ხან რა ჩრდილი, ექიმებს კავერნა, ინფილტრა-ტი, აბსცესი თუ სხვა რამ სახელი რომ შეურქმევიათ; ხან უჩრდილ-უშუქთა ის ძვალთა ბუდენი, მერე და რაო, მაინც ძვლებია, მეტი რა არის, მხოლოდ ძვლებია, და დადის ძვლები, ქუჩებში დადის, თეატრებში, დარბაზობებზე, ნიშნობებში, თვითონაც ინიშნება: და-დის ძვლები, დადის და დადის, ხვდებ-იან ყველგანა, ყველანი ხვდებიან, ყვე-ლასაც იცნობს, განა სახითა, — ჩონჩ-ხითა მხოლოდ, იცნობს ძვლებითა და რგოლებითა ძვალთა შორისა; ჰო, ძვლებით იცნობს და ცნობაც ეს არის, ძვალი მიწასაც ვერ შეუქამია, ძლივს შეუქამია.

და ღიღინებდა ხოლმე ლენტოი, რენ-დგენოგრაამებს ამრგვალებდა ღიღინო-თა, წარწერებს ამორებდა, ამორებდა

სუფთა ადგილებსა, ძვლებსა სტოვებ-და, ზედ ძვლებზე სწერდა ძველთბილი-სურ ბაიათებსა, სერენადებსა, სახუმარო სიმღერებსა, წუთისოფლის სამღუ-რავსაცა. ეს კიდევ არაფერი, წუთისოფ-ლის სამღურავი მორგებულოვით გამო-დიოდა, თუ უკვე სამარეში ელაგა ის ძვლები; სერენადები იყო, რაც იყო, სა-ხუმარო სიმღერები, სიხარულის სიმღე-რები იყო, რაც იყო, თუ ის ძვლები უკ-ვე სამარეში ელაგა. და ღიღინებდა ხოლმე ლენტოი, სჭრიდა, ამრგვალებდა რენდგენოგრაამებსა, ამღერებდა ძვლებ-სა, ამღერებდა და მღეროდა, მღერო-და... იმ დამეს ისედაც ემღერებოდა, ხე-ლიც არ უხლია შეკვრებისთვისა, მხო-ლოდ დახედა, ჩაუარა, თვალთან გადა-იგდო, ფიჭრიდან გადაიგდო, მაგრამ ძი-ლიდან ვერა გადაიგდო. დაწვა თუ არა, დააწვა რაღაც მძიმე უქმური, დააწვა და აღარ მოეშვა, აღარ აუშვა... უფსკ-რულზე გაიჭიმა ბავირები, ზედ ჩონჩ-ხები დაეკიდა თავდაყირა. იმ ჩონჩხებს როგორღაც ლენტო ჩაუვარდათ ხელში და ხელბურთი გაპართეს უფსკრულის თავზე. ბზრიალებდნენ, ჩხრიალებდნენ, რაჩხუნობდნენ, ზრიალებდნენ, ფრია-ლებდნენ, თითქოს უნდა მოსწყდნენ და ჩაეშვან უფსკრულში ბურთიანადო. ვერ იქნა და ვერ წაართვა თავი ჩონჩ-ხებსა, ვერც უქმურსა, ვერცა ძილსა ძილი უფრო მიითრევდა, უქმურიც მი-ითრევდა, ჩონჩხები ხომ ხარხარებდნენ და ხარხარებდნენ, თმებით დააბონწია-ლებდნენ, ჩაიტაცებდნენ სულ ძირსა, ძირსა, ცეცხლოვან ხაზში, ჩაიტაცებ-დნენ და ამოიტაცებდნენ... გაუსაძლისი იყო, მაგრამ, როგორც იქნა, მოშორდა ის საშინელი მაჯლაჯუნა, ბალიში აქეთ ისროლა, საბანი იქითა, წამოვარდა ფე-თიანივითა ჰირისოფლში გაღვრილი. მა-შინვე ოწყანს ეცა, ცივ, თქრილა წყალს შეუშვირა თავ-ქისერი, მხრები, ბეჭებო და, ქრუნატელმა რომ დაურბინა ტანში.

ოთარ ჩხიძე
აღმართ-დაღმართი

მაშინდა დამშვიდდა, დაუბრუნდა ღი-
ლინის გუნებაცა.

გარეთ ისევ ერთო ნათურები. ოღონდ
ზევით, მაღალ კედელთა ზევით ცა გაც-
რეცილიყო, გამბრუნდისფერებულყო,
განთიადსა ჰგავდა. კარგი იქნებოდა
სოფლადა, სადმე ტყეში, მთაში, ტრი-
ალ მინდორზე დიდებული იქნებოდა ის
შემოთენება, დიდებული და მომხიბლა-
ვი, ქალაქში რათ, ნეტავი რა უნდოდა,
ძლივსძლივობით შეიმჩნეოდა. ან სად
ყო შემაშინველი, გულისძილით ეძინა
ქალაქსა. განთიადსაც რაღად უნდოდა
თავისი ფერები, თავისი ეშხი, კედელთა
ზევით ფითრდებოდა და ფითრდებოდა.
ორბისშიც იცოდა ასეთი გაფითრება,
ხანდახან იცოდა, აქ სულ ფითრდებოდა,
სულ ფითრდებოდა, ან ყრუ ჩიხში
ოდნავ მოსჩანდა, ყოველთვის ასე
განაცრებული. მთაშინიდიდან სხვა-
ნაირად დაინახებოდა, ლისის ტბი-
დან სხვანაირადა, ზღვიდან, რა თქმა უნ-
და, თბილისის ზღვიდან სხვანაირადა;
დაბლა იქნებოდა ქალაქი, დაბლა, თავი-
სი მაღალი კედლებითა, განაბული გან-
თიადის ბურუსში, თანდათანობით ამ-
ღვრეული, ალივიღებული, მერე ანთე-
ბული მზითა, დილის მზითა. ჰო, სხვა-
ნაირი იქნებოდა. აქ კი ისევ ნათურები
ერთო, მერე ჩაქრებოდა ნათურები და
დღე იქნებოდა, ასე უბრალოდა, ასე
უეშხოდა. დაე, ყოფილიყო უეშხოდა,
ულამაზოდა ან სილამაზე რა იქნებოდა,
ქალაქს ეძინა გულისძილითა.

მხოლოდ ლენტოს არ უნდოდა ძილი,
გუშინდელი დღე უნდა ამოეგო, უქმად
წაუეცა, უნდა ამოეგო. აღარც ისა
სურდა, ისევ ჩონჩხებს ჩავარდნოდა
ზელში, ვითომ რაღაც, აზირ იმის ხელ-
თა ყოფილიყო ჩონჩხები თუ ძვალთა
ზროვანი, იმას ესროლნა, ებურთავები-
ნა, — ასე ერჩივნა, ასე უჯობდა და
ისროლა შეკვრები მაგიდაზე, ერთმა-
ნეთს მიაწყვიტა, მიახალა, ააკოკოლავა,
მაგიდას გამოედო, ვითომ შემთხვევითა,
განვებ შემთხვევით გამოედო, ჩამოშა-
ლა, ძირს ვადმოყარა. ისევ ისროლა,
ისევ შეჰყარა. ამოყარა ქარგები, დანე-

ბი, მაკრატლები. ვახია შეკვრები. გად-
მოცვივდა რენდგენოგრაამები... ჰო, გად-
მოცვივდა რენდგენოგრაამები, ხელები
შეჩერდა, აფაციცებული ხელები, ასევე
შეჩერდებოდა ხოლმე; პირველად იმი-
ტომა, ეხამუშებოდა, აკრთობდა, თით-
ქოს აშინებდა, მერე იმიტომა — შეეჩ-
ვია, შეეხალისა, სურვილი გაუჩნდა,
გაეხედა, გაეგო, ვისი იყო, როგორი
იყო, სურვილი გაუჩნდა და აკვირდე-
ბოდა ისეთი გულმოდგინებითა, გეგო-
ნებოდათ გამოცდილი ფიზიოატრიაო.
და გაერკვა, თანდათან გაერკვა, ზოგ რა-
მეს არჩევდა თავისებურადა, რა თქმა
უნდა, თავისებურადა, ფიზიოატრების
თერმინებისა აბა რა იცოდა, ან რად უნ-
დოდა, რაც იცოდა, იმასაც კმარობდა.
ვთქვით აგერ: „ნ... კ... ...წლისა“. მარჯ-
ვენა მხარეს ლავიწვეშ რომ ჩაბნელე-
ბია, ფილტვის მწვერვალი ჩაბნელე-
ბია, სპეციალისტებისათვის მწვერვალის
ფიბროზია, ანუ მწვერვალის აპიციტი,
ლენტოსათვის უბრალოდ ქლექია; ესე-
ცა და ისიც, აგერ: „დ... ბ... ...წლისა.“
მარჯვენე, მეორე ნეკნთაშუა მიდამოში
ნათელი სალტე რომ მოვლებულა და
შემოუტყავს მუქი ჩრდილები, ფიზი-
ატრებისათვის ადრეული კავერნა ვახ-
ლავთ, ადრეული კავერნა ინფილტრა-
ციული კედლითა, ხოლო ლენტოსათვის
დიდი არაფერი ბედენაა ეს განსხვავება,
ექიმებმა იმტვირონ თავიო. ესეც სხვა-
ნაირია, — „ე... პ... ...წლისა.“ მკაფიოდ
შემოსაზღვრულა მრგვალი ჩრდილი,
თითქოს ფარგლით შემოუვლიათო, ექი-
მები ჰომოგენურ ჩრდილს უწოდებენ
და ხშირად გასჭირებითა დაადგინონ.
თუ რა უნდა იყოს, ტუმბერკულომა, კე-
თილთვისებიათ სიმსივნე თუ დერმო-
იდული ან სხვა ეტიოლოგიის კისტები;
ჰო, გასჭირებითა და ძლივსძლივობისას
დაუდგენიათ, ექინოკოკიაო; ლენტო
ამისათვის ოფლს არ მოიდენს, სხვანა-
ირიაო; იყოს სხვანაირი, სხვანაირია და
იგივეა, იგივე და იგივე, — „ე... გ... ...
წლისა.“ იგივეა, თუმცა არა, აქ მხო-
ლოდ ძვლები მოსჩანს, სუფთა ძვლები,
ჯანსაღი ყოფილა. შემინებულა, გასინ-

ჭულა, დაარწმუნებდნენ, ჯანსაღი ხარო და ისე გაიხარებდა, ისე, ისე, თითქოს დიდი რამ მოეპოვებინოსო; „თ... დ... ... წლისა.“ — ესეცა, „ზ... კ... ... წლისა.“ — ესეცა, ხოლო ეს არა, — „ლ... მ... ... წლისა.“ პნევმოთოროქსით შეკუმშული ფილტვი ჰქონია. ამასაც არჩევს, ასეთები უფრო ხშირადაც შეხვედრია, არჩევს, ოღონდ იგივედა სთვლის; აჰა, კიდევ; — „ქ... ჯ... ... წლისა.“ კიდევ, — „ბ... ნ... ... წლისა.“ და კიდევ... ჰა?! „თინათინ კველიშვილი...“ ჰა, თინათინ კველიშვილი?! „თინათინ კველიშვილი. 21 წლისა.“ ალბათ სხვა იქნება, სხვა იქნება აუცილებლად. მაინც დახუჭა თვალები, დახუჭა და ვეღარ ახელდა, იგივე უქმური თუ გრძელდებოდა, უფრო საშინლად, უფრო მძვინვარედა, გრძელდებოდა და არცა გრძელდებოდა, თვალდახუჭულს აღარაფერი ეჩვენებოდა.

მუშტები დაირტყა თვალებზე და იყო ასე.

ძირს დაცურდა რენდგენოგრაფა, ჩუმად დაცურდა. და როცა ხელები ჩამოიღო, ოდნავ, ნელ-ნელა, შიშით გაახილა თვალები, მერე დააცეცა; ვეღარ იპოვნა, ვეღარ მიაგნო; დაფაკურდა, გაღიზიანდა, გახელდა, აურია, აბურდა, ხან რომელს ვაჰხედა, ხან რომელსა, აიბნა. გახსნა მეორე ხვეულიცა, მესამეცა, თავგზა დაებნა, ისევ ონკანს უნდა სცემოდა, წყლის თქრიალში უნდა შეერგო თავი, და რომ მოტრიალდა, ფეხი მოხვდა.. გაშრა, გაშეშდა. ისევე წავიდა გაშეშებული, სარგადაყლაბული, ონკანთანაც კარგახანს ვერ მოიხარა, მერე მოიხარა და დიდხანს, დიდხანს დასდიოდა წყალი, დიდხანსაც მიმოდოდა, კედელ-კუთხეს ედებოდა გაწუწული. სველი ხელებით აიღო ის საბედისწერო რენდგენოგრაფა, აცახცახებულნი ხელებით აიღო, აცახცახებული თვალით ვაჰხედა: რგოლებმა შემოანათა ორივე მხრითა, ნათელმა რგოლებმა, მუქი ჩრდილებითა, მკვრივი ჩრდილებითა... მარჯვენას ფუძეც ჩამუქებული, იქვე წერტილები უსწორმასწორო,

ჩრდილნათლიანი და ნათელი ფთიზოლოგათვისა — ფიბრო-კავერული ტუბერკულოზი. ასეთი დაზუსტება არც ახლა უნდოდა ლენტოსა. მხოლოდ თვალი ვერ გაეხარა, წარწერისაკენ ვერ გაეხარა. თვალი მაინც არა ნებდებოდა, ძალდაძალ მიიწევედა, მიიწევედა და თავისი გაიტანა, თავისი გაიტანა და ნიშნი მოუგო, არ შევმცდარავარო, არ შევმცდარავარო, — „თინათინ კველიშვილი. 21 წლისა.“ ნიშნი მოუგო და მოდუნდა, თანდათან მოდუნდა...

...ფრთებაწეული ლავიწები. ღრმა სუნთქვით დაძრული ფილტვები, დაძრული, აქანებული, რომ ასცდეს ნეკნთა ჩრდილებსა, რგოლები გამოჩნდეს, მკაფიოდ გამოჩნდეს...

... კარის არხი. ბიჭები მიხვევიან ბეტონსაზელსა. ყველას იქ უნდა, ყველა იქითკენ მიიწევეს. ვის საით გაავზავნიან, ვის საით უკრავენ თავსა, როგორაც იქვე აღმოჩნდებიან. იქ ანდამატია, იქ თინიკოა, თინა, თინათინ ტექნიკოსი.

„წამომყე, გოგო...“ — მოიმარტოხელებს და ეტყვის ერთი.

„უნდა ვისწავლო...“

„წამომყე, გოგო...“ — მოიმარტოხელებს მეორე.

„ინსტიტუტს უნდა წავყვე...“

„წამომყე, გოგო...“ — მოიმარტოხელებს მესამე.

„თბილისს მივდივარ...“

„წამომყე, გოგო...“

„სამაგისოდ არ მიფიქრია...“

„იფიქრე, გოგო...“

„ჰა, ჰა, ჰა...“

ლენტო იმათ მოიმარტოხელებს, იმავე რიგით მოიმარტოხელებს, თვალებით შესჭამს, ცინც თვალით არ შეეჭმევიანება, მუშტს უთავაზებს, დაალურჯებს, დალურჯდება, დაასისხლიანებს, დასისხლიანდება. მაინც იქ არიან, მაინც გარს ევლებიან, ერთმანეთს უბღვერენ, ყველა ერთად უბღვერის ლენტოსა. ლენტო უბღვერის ყველასა, ენის ამოგლე-

ოთარ ჩხიშიძე
აღმართ-დაღმართი

ჯვია პირდება ყველასა. თინა ირიდებს ყველასა, ყველაზე მეტად ლენტოს ირიდებს, თვალში არ მოსდის, არ მოსწონს, აბრაზებს იმის მოსარჩლეობაცა, ეს უფრო აბრაზებს და ახელებს ბიჭებსა:

- „ვის უნდა, წავყვე?..“
- „ჰა, ჰა, ჰა...“
- „ვის უნდა, მომიტაცოს!..“
- „ჰი, ჰი, ჰი...“
- „ვის უნდა, სახლში მიუვიდე?..“
- „ჰე, ჰე, ჰე...“

ლენტო მოშვილდულა, გაბედოს ვინმემ, კრინტის დაძვრა გაბედოს ერთი, დაასისხლიანებს, დასისხლიანდება, გაგლეჯს, გაეგლეჯინება. მხოლოდ ისა დგას გამომწვევადა, ის იდგეს...

... დგას. ლავიწები აწეულა. ღრმა სუნთქვას შეუძრავს ფილტვები, აქანებულა ფილტვები, გადასცდენია ნეკნთა ჩრდილებსა, რგოლები მოსჩანს, ნათელი რგოლები. ნუ, ეგრე ნუ დგახარ, ნუ დგახარ ეგრე გამომწვევადა!..

... გამზირი. ძეგლი რუსთაველისა. ლენტო იქა დგას, ან საათისკენ გადაინაცვლებს, დგას ღღენიანად, პაპიროსს ეწევა, აბოლებს, აფურთხებს, დგას ბოლში, ფურთხში და ბოლში. აქ უნდა ჩამოიაროს, აქ უნდა აიაროს, ვერ ასცდება, ვერსაით წაუჟვა. აქედან მიაცილებს ინსტიტუტამდისა, სახლამდისაც აქედან მიაცილებს. ურჩევნიან ინსტიტუტიდანვე გამოაცილოს, მაგრამ იქიდან ჯგუფ-ჯგუფად გამოდიან, აქ გაიშლებიან, გაიფანტებიან, ყველა წავა თავათვის გზითა, ისიც წავა თავისი გზითა. გამარტოვდება, ერთი წუთით გამარტოვდება, უფრო მეტ ხანს მარტო როგორ დასტოვებს ლენტო; გაედევნება, გვერდით გაჰყვება, საამოს ეტყვის, საალერსოსა. ის არც შეხედავს, არც არას უსმენს, ვითომც ყოფილა, ვითომც არაო. მაინც მისდევს. არას ეუბნება, მაინც ეკითხება, ესაუბრება, ელაციცება, ხან თბილადა, ხან მრისხანედა, მალევე სცხრება, ტკბება, დნება. არაფერი სჭირს, არაფერი მოქმედობს; ერთია ყველაფერი, ერთი ფასისა, ერთი ძალია. ერთია ისიცა, ცვალებადი და უცვ-

ლელი, მოჯადოებული ან გაჯიქებული, მონიბლული ან რისხვადქცეული, მაინც ერთი, გაუტეხელი. უნდა გატყდეს, უნდა შეიცვალოს, ჩამოსცილდეს, გადაივიწყოს, აღარ მივიდეს, აღარ დაელოდოს, მაგრამ კვლავ ელის, კვლავ იქ არცვია. მიდის, მიჰყვება, მოდის, მოჰყვება; მხოლოდ ინსტიტუტში და სახლში ვერ შეჰყოლია, თორემ სხვაგან, ყველგან თან ახლავს როგორც ლანდი, ყველგან, ქუჩაში, კინოში, თეატრში, კონცერტზე. ყოველთვის აქვს ორი ბილეთი. ეპატიეება. ვითომ არც კი გაუგონიაო. მაგრამ იქ აღარ მიდის, ძალიანაც რომ უნდოდეს, იოლად მოერევა სურვილსა, სხვას ამოირჩევს. ლენტო ხევს იმ ბილეთებსა და შესდევს სხვაგანა. მაგრამ მარტო რომ არ არის ხოლმე? ლენტო იღრინება და ტუჩებს იკვნიტავს. მაინც იქ არის, მაინც მიაცილებს აჩრდილივითა. მაინც ეპატიეება, იძენს და იძენს ყველაზე იშვიათ ბილეთებსა ჩამოსულთა კონცერტებისა, ოპერის თეატრის გასტროლიორებისა, სახელგანთქმული ბალეტისა, იძენს და ხევს. ხევს და მამას უთვლის, ფული მომამეველეო, ვსწავლობო, მომამეველეო, მომამეველეო... და დგას დაღმართზე. მოდის. გაჰყვება.

„ნეტავი მიწას რას ჩასჩერებიახარ?!“

„მაშ რას ჩავაჩერდე?!“

„არც არაფერსა, აიხედე, მალლა აიხედე...“

„რას შეეხედო?!“

„მე შემომხედე...“

„ნეტავი სულაც არ დამენახე!“

„რათა, გოგო?!“

„ნეტავი შენი ხმა არც გამაგონა!“

„რათა, გოგო?!“

„ნეტავი ისეთი რამე მოხდებოდეს, ისეთი რამე...“

„მოგკვდე?!“

„ნეტავი!“

„რათა, გოგო?!“

„არ ვიცო... აღარ შემიძლიან.“

„განა მეღა შემიძლიან?! განა მე არ ვეწამები?!“

„ძალას ვინ გატანს?!“

„გული...“

„უთხარი გულსა...“

„არ გამოგონებს.“

„გაგიგონებს. კარგად უთხარი, შეასმინე, ვისაც შენი დანახვა არ უნდა, არც უნდა გამოუჩინდე-თქო, ვისაცა სძულხარ, უნდა დაეხსნა-თქო, ამდენი სიამაყე როგორ არ უნდა გქონდეს, სიძულვილის წილ სიყვარული სადა თქმულა-თქო, ან თუ სტანჯავ, სადაღური სიყვარულია-თქო. ასე უთხარი, გაგიგონებს თუ ქვა არ არის, თუ მართლა გულია.“

„მე ვერ ვეტყვი...“

„მე ვეტყვი...“

„უთხარი.“

„აჰა, მიტყვამს...“ და უტყვამს კიდევ უფრო მკაცრად, უფრო მრისხანედა, სიძულვილითა... აწეულა ლავიწები, ნეკნები დაძრულა, თითქოს შემდგარა ნათელ რგოლებზე, ბორბლებზე შემდგარა.

ჰო, უთხრა, მაგრამ განა გაუგონა, იმედი მიეცა, რახან თვალი მოიბრუნა გულსაც მოიბრუნებსო, რახან სიტყვა მოიბრუნა, ფიქრსაც მოიბრუნებსო, და იყო ერთგულ ამ იმედისა, დაწმენდილიყო, დახვეწილიყო, იმისთვისდა არ-ლებობდა, იმასდა ჰხედავდა; სხვანი მიმჭრალიყვნენ, მიღუღლიყვნენ, ვერ იზიდავდნენ უმშვენიერესი ასულები, გაჩენილნი ამაღლებული სიყვარულისთვისა; ვერა ხიბლავდნენ თვალისმოპკრელი ასულები გაჩენილნი ცეცხლოვანი სიყვარულისთვისა, ვერა ხიბლავდნენ, ვერ აქეზებდნენ, ვეღარც ღვინოს წაეტყუებინა, მიეგლო შაპიროსიცა, ყველა ვნება ჩანავლებოდა, ყველა სხვა ვნება, იმისთვისდა იყო, იმის ღირსად დახვეწილიყო, და მაინც ვერა, ვერ მისწვდენოდა, ვერ მიჰკარებოდა, ვითომცდა ღვთაებასა. და იყო განდევნილ დიდ ქალაქში, მრავალთა შორის. მეუღლადნოეს გამძლეობა რა სათქმელია, შესადარებლად ვერ ივარგებდა, იქ ცთუნება არ იყო, აქ იყო. იქ ცთუნება არ იყო, მაინც შემცდარან, მაინც წაწყმედილან; ლენტოს რაღა მოუვიდოდა? ღვინოს დააცხრა ჯავრიან გულზე, ქალსაც ეზიარა და დაეცა თავზარი, ვითარცა განდევნილსა,

და მიეცა სინანულსა, ვითარცა უღირსი. და დაღმართზე აღარ გამოჩენილა. ან დაქანდა თავქვე და ველარ ასულიყო, ვერა, ვეღარა... ლავიწები დაეშვა. გაჩერდა ფილტვები. ნეკნთა ჩრდილები დაეცა ნათელ რგოლებსა. ჩრდილს ჩრდილი მოხვდა, შეიბურა, გაჰქრა ჩვენება.

გაჰქრა და არც გაჰქრა.

ისევ ამოცურდა ფრთებაწეული ლავიწები, ღრმა სუნთქვისაგან დაძრული ფილტვები, ნეკნების ბადე აქანებული. ლავიწებს ზევით ვეღარას ჰხედავდა, თითქოს სახე დაჰკარგვიაო, ან დაიწყენია, ვეღარა და ვეღარ მოუგონებია; მაშინ სურათები ამოჰყარა, იმისი სურათები, მიპარვით რომ გადაუღია, ჩააჩერდა და მაინც ვერა, სხვა ვერაფერი გაარჩია, გარდა ძვლებისა, ძვალთა შუა ნათელი რგოლებისა.

კარში გავიდა, ყვავილნარს შეერია, ყვავილები მაინც გაღუწმენდდა თვალსა, მაგრამ ვერა, ვერ გაღუწმინდა, თვითონვე შეიცვალა, ან იცვლებოდა, ძვალთა ხროვას, გაფერადებულ ძვალთა ხროვას ემგვანებოდა, არ დააცადა, უკან შებრუნდა, მიექცა ონკანსა. და იქიდანაც ძვლებმა რომ დაიწყო თქრიალჩხრიალი, პერანგი გაღიწვა და ქუჩაში გავარდა. თუმცა, უნდა ითქვას, ჩიხში გავარდაო, ეს მართალიც იქნებოდა, ხატოვანიც გამოვიდოდა...

ჯერ ისევ დილაა, ჯერ არ გაუღიათ მალაზიები, რესტორნები; ზემო სართულების ფანჯრები ღიაა, ჯერ არ ჩაუქეტიათ, არ ჩამოუფარებიათ სქელი ფარდები. დილის ჰაერია, სუფთა ჰაერია; ყველაფერი ისეა, როგორც არის ზოლმე, ყველაფერს ისევ თავისივე სახე დასდებია; ძვლებად როდი გადაქცეულან, გულმკერდის ბადეს არ მიმგვანებინან, არ გაძრცივლან ადამიანები, ფერხორცი აღდევთ, სამოსი შვენით, სიცილიც შვენით, თავაზიანობაცა, მამ გადაუვლია უემურსა. ძვლები არ არის, არსად არის.

ოთარ ჩხიძე

ალმაჰო-დალმაჰო

არის კედლები, მანქანები, ხალხი, ხეებიც არის, მეტი არაფერი, არის დილა, საამო დილა, ვიდრე აივსებოდეს, გაიჰედებოდეს ყველა და ყველაფერი, ყველაფერი ადამიანებითა, ადამიანები ყველაფრითა.

ლენტო მანამდის შერჩა ქუჩებსა, იხეტიალა, იბორიალა, მერე „ყაზბეგში“ წაიხმსა, დახლზევე წაიხმსა, კონიაკი გადაჰკრა და შინ დაბრუნდა.

შინაო, არა? იმასაც თუ შინა დაერქმეოდა!... ვილა არ შედიოდა, ვილა არ გადიოდა, კარი ღია იყო საღამომდისა, კიდევ კარგი საღამომდისა, საღამოს მიინც მიიხურებოდა, მარტო დარჩებოდა, შეიძლებოდა „შინადა“ თქმულიყო, ისე, ცალყბად მიინცა თქმულიყო; ახლა რაო, ამ დილით „ფოტო“ ერქვა, ჰქონდა მეორე სახელიცა, — „სასკოლო თვალსაჩინოებათა ჩამწერი კაბინეტი“, ჰყავდა გამგე, შეკვეთათა დროულად შემსრულებელი და პატივცემული. მაშ რაო, სხვა რაღა უნდოდათ შემკვეთელთა?! ჰო, გამგე ჰყავდა, გამგე უკვე გამობრძანებულყო იმ კარიდანა, რომლის გასადები ლენტოს არა ჰქონდა, არც ვადანცილებოდა იმ ზღურბლსა, — გამობრძანებულყო, დასდგომოდა რენდგენოგრამებსა.

- სად იყავი?!
- სადაც ვიყავი...
- საქმეს მორჩი, რო?!
- დავიწყე, რო?!
- ბიჭო, რას მიშვრები, ნაღდი საქმეა!..
- ნატურში?!
- ნატურში...
- გვაკეთებ...!
- დღეს უნდა ჩავაბარო...
- დღეს ვერა.
- როგორ თუ ვერა?! ვინ არის აქ უფროსი, შენა ხარ თუ მე?!
- გააჩნია რის უფროსსა კითხულობ; გარედან რო შეკვეთები მოდის, ბატონი ბრძანდები, იუფროსე, იხელმწიფე, მაგრამ შენევე შეკვეთების უფროსად ნულარ დამიდგები, მეყოფა!..

— ეგ რაღაა, „გარედან შეკვეთები“, „შენი შეკვეთები“. სადაური რაა, რა თომარია?!

- რაც არის...
- ფულს არ გაძლევ თუ?
- არ ვაკეთებ თუ?! უფროს-უმცროსობა აქ რაღა შუაშია?!
- საქმეში ისე როგორ იქნება?! აჰა, შენ იყავ უფროსი, მორჩი საღამომდისა — არა მგონია...
- ვაჰ, მე ვარ უფროსი — ვერ გავაკეთებ, შენა ხარ უფროსი — არა გგონია; მაშ რა ვქნათ, ვილას დავუძახოთ, კიდევ სხვა ვინმე ჩავიროთ?! თუ სულაც აღარ გინდა, გადოლი გახდი!.. მაშინ ზომ კარგად შემომცქნაოდი, ლოკში რომ დადიოდი? მაგრამ ასე ყოფილა, კარგისთვის კარგით ვის გადაუხდიო. აღარ გინდა და წადი, ძმაო. თუ უბრკატს მიკეთებ, შენი ამყოლი არცა ვყოფილვარ, არც ვიქნები. მშვიდობით მოსულხარ, მშვიდობით წადი, ჰალალი იყოს ჩემი ამაგი.
- მტრისთვის მისურვებია შენგვარი მოამავეი.
- ვაჰ, ერთი ვუთხარი, ათი მითხარო, ამაზე იტყვიან!.. უპასუხოდ არ უნდა გამიშვა, ეგება რა გუნებაზე დამდგარვარ?!
- მართლაც და.. — ხელი ჩაიქნია ლენტომა, ლასლასით გავიდა თავის საწოლში, მიეგდო და იყო ასე, ერთხანს უგარძნობლადა, უფიქრელადა, მერე შევიდა საგონებელში: რა ელონა, რა წყალს მისციემოდა, რა მოუხებრდებოდა? ან სად იყო, თუ იყო, კიდევ თუ იყო!.. ახ! საიდანაა ეს ავი ძახილი?! არის! არის! იქნება! იქნება! მაგრამ სად არის? მიაგნებს როგორმე, ოღონდ ახლოს თუ გაიკარებს? განა უფრო მიზეზიანი არ გახდებოდა? რას გაიკარებს!.. თუმცა ვინ იცის, ყველას ყველაფერი მიუტევა სიცოცხლის ზღვარზე გადაკიდულმა, ლენტოსაც მიუტევა, მიუტევა და ელოდა, დიდსულოვნად ელოდა. ელოდა იმ დღეთა მოსაგონებლადა, მოგონებებში ჩამდნართა დღეთა, ვინ იცის, ჰა?! უთხრას თუ იცის! ან ეგება თვი-

თონვე შთააგონოს, მისწვდეს მის სულსა, კვლავ გააღვიოს, გაახუროს, გააფიცხლოს, დასძრას თავისკენა; ჰა?! წაათამამოს, წამოაგდოს... მაშინ ხომ ისე ათამამებდა! აბა ის როდის ათამამებდა, რალაც სხვა იყო, იყო და რა ქმნილა?! რას დაეჩაგრნა, რას წაეხდინა, რას დაეგდო... ახლა უნდოდა, სითბო უნდოდა, შველა უნდოდა უმშობლოსა, მაგრამ რა ელონა, როგორ ელონა?!

ჯერ უნდა მიეკვლია, გაეგო, სად იყო, დანარჩენიც გამოჩნდებოდა.

და ეგდო ისე, ეგდო უძრავადა.

6

სამ საათზე ვერის დაღმართთან აიტუზა, საათთანა, აიტუზა და აისუსა, ეხამუშა, ეუხერხულა, გაუჟვირდა, — მაშინ თამამად იღვა, გამომწვევად იღვა ხოლმე... ახალგაზრდებიც მითამაშობდნენ, მიდიოდნენ და მოდიოდნენ უნივერსიტეტიდანა, ინსტიტუტებიდანა, მიდიოდნენ და მოდიოდნენ, ან მოპქროდნენ გაჭექილი ავტობუსებითა, ეივეყივებდნენ, კისკისებდნენ, ხარობდნენ სიცოცხლითა. მოპაქრენიც ჩაივლიდნენ, მოთანხმენიცა, მეოცნებენიცა, მოტრფიალენიცა; ჩაივლიდნენ, გაივლებდნენ, გაპქრებოდნენ, გაპქრებოდნენ ლენტოს თვალშია, რადგან ის სხვისთვის გაფაციცებულყო, ერთისთვისა, ერთადერთისთვისა. გვიან ჩამოვივლიდა, ყველაზე გვიანა, ყოველთვის თავდახრილი, ყოველთვის დაღვრემილი. მანამდის, ვინ იცის, მილიციელი რამდენჯერ მიუახლოვდებოდა ლენტოსა, — „გაიარეთ, ამხანაგო!“ ეტროდა შეთქმულივითა ან გულმოსულადა; გააჩნდა, თუ რა ხასიათზე იყო; ისიც გაივლიდა, გადაინაცვლებდა რუსთაველის ძეგლთანა, იქიდან — საათთანვე, ისევ ძეგლთანა და ელოდა, ელოდა დახრილ თავსა, ელოდა და სხვანი შეანათებდნენ ელვიან თვალებსა, ნაპერწკლებს შეაყრიდნენ, ჩაუვლიდნენ ეშხიანი რხევითა. ასე იყო ხოლმე, ასევე არის... მაგრამ ივინისი გადაწურულა, უკანასკნელი დღეებია სესიებისა; ისევე ერთბაშად, დიდ-დიდჯგუფებად აღარ მოდიან, მალე დაიწყებ

ბა არდადეგები, უფრო დაიკლებს ან სულაც დაწყდება ეს დიდი მდინარე. ნაკალუებად გაედინება სხვაგან და სხვაგანა, ავარაკებზე, სოფლებში თუ სამოგზაუროდა; ჰო, ნაკალუებად გაედინება და იქაც გააცოცხლებს, გაახარებს, ააყვავილებს.

და დგას, ატუზულა, ასუსულა; ელოდება, იმას აღარა, ეამს ელოდება, იმ ეამსა, როცა ჩამოვივლიდა ხოლმე; ისევ უქირავს ჰაბიროსი, მხოლოდ უქირავს, მოუკიდებს, ხელშივე ჩაეწვის, ჩაეფერფლება, ჩააგვებს ურნაში, სხვას მოუკიდებს; მოწვევა არ უნდა. იქ რახან მივიდა, ჩვევამაც გაიხსენა. ეგებ კადნიერებამაც გაიხსენოს, წამოუტივტივდეს; ვინ იცის, გამოჩნდეს, გამოჩნდეს, ენახთო... მაგრამ არა, არ გამოვივლის, მხოლოდ ლანდი აუძღვება, ლანდი იისფერი, აპყვება იმ ქუჩას, იმ აღმართს აპყვება, ჩქარობს და სწრაფობს, ვერ დასწევია. დაუშხარდამხარდება, ისევ გაუსწრებს, მარჯვნივ დაუხვევს, იქ ფილები აგია, მეცხრე ნაბიჯზე ერთი ფილა ამოვარდნილა, იქ ჩაქანდება, ჩაირხევა და ჩაპქრება. უნდა ამოვიდეს, უნდა წაუძღვეს... აქ ყოველთვის შეეშლებოდა ხოლმე ფეხი, ფრთხილობდა, მაინც შეეშლებოდა. ერთხელ იღრძო. ერთი კვირა გარეთ ველარ გამოვიდა. შეწუხდა ლენტო, ძალიან შეწუხდა, უნდოდა ფილა მოეთრია საიდანმე, ამოევსო, მოესწორებინა ის ადგილი, მაგრამ მოიკეთა მანამდისა. მერე ისევე ფრთხილობდა; უფრო ფრთხილობდა, — ყოველთვის ხომ არ იღრძობდა ფეხსა, და იცინოდა ლენტოც, ერთობოდა. ხოლო უკან რომ დაბრუნდებოდა, თავდაღმა რომ დაეშვებოდა, თვითონაც იქვე წაიფორხილებდა ხოლმე, ის აღმა. ეს დაღმა, იქვე და იქვე... ისეფერი ლანდიც იქ ჩაპქრა. აღარ მიუძღვის. მაინც მიდის. ქუჩები უფრო ვიწროვდება, სახლები პატარავდება, მთის კალთებს ეხამება მალა და მალა.

ეს პატარა სახლია, ეს ყავისფერი კიშ-

ოთარ ჩხიძე
აღმაერთ-აღმაერთი

კარი ზედ გადმოფენილი ფშატის ტოტებითა, — აქ შედიოდა ხოლმე.

ეს ბავშვებიც აქ იყვნენ ხოლმე... ბურთაობენ, დარბიან, ჰყვიან, ხვითქი ვადასდით, თავს აკლავენ ერთმანეთსა. აუვლის, ჩაუვლის, ეკითხება. არავინ უსმენს, არავინ მიუგებს. ბურთი მიუგორდება და ფეხს დაადგამს. მიგზვევიან ბავშვები, ვერაფერს გაუგებენ, არაფერს მიუგებენ, ბურთს გამოსტაცებენ, გაივლებენ, გაეკიდებიან თავპირისმტვრევითა. იმტვრიონ თავპირი; განა თვითონ არ იცის, რასაც ეკითხება, თინა სადა ცხოვრობს, ვითომ აღარ ახსოვს?! მაგრამ რა ილონოს, ის ველარ გაუგია და ედება ღობე-ყორესა. ოლონდ რომდმდის უნდა იყოს ასე გაუგებრადა; რა ქმნილა ის იისფერი შუქი, ან სხვა რამ შუქი, უფრო ნათელი, უფრო მომრევე; რად არ გაუძღვება ან არ დააბრუნებს. არც აქამდის გეკითხებოდა, არც ამიერიდან გეკითხება რამე. შენ თავს უშველე, შენი საშველი არავინ არისო?! რა ქმნილა და ქვად ქცეულა. ბავშვები დარბიან იმის გარშემო, ხან ბურთი ხედება, თითქოს ბოძიო, მოხვდება და ასხლტება... და იდება ყავისფერი კიშკარი, ვილაც შუახნის სანდომიანი ქალი გამოდის, მიაჩერდება, მე მკითხეო, ვერა ჰკითხავს, მაშინ თვითონვე დაეკითხება:

— თინა ვინდათ?..

— თინა...

— მობრძანდით!..

და მისდევს, თურმე განა გაქვავებულა, მღელვარედ მისდევს, უკვე ეზოშია. ჰმ, რამდენჯერ უნატრია, სცოდნოდა, თუ როგორი იყო ის პატარა ეზო, სადაც შეემალეობოდა ხოლმე, — ლაზათიანი ეზო ყოფილა. ვარდები, ნუში, პოსტანი, ბოლოში ფანჩატური, მომცრო, პატარა. აქვე, ფშატის ქვეშ პატარა მაგიდა, ქვისგან გამოთლილი, ქვისავე ჩამოსასხდომები, აგურის ხრეშით გავლებული ბილიკი, შუშაბანდის წინ ქვის საფეხურები, სამი საფეხური, ეს ერთადერთი შესასვლელია, მობრძანდითო, იქ შეუძღვება.

— დაბრძანდით!..

სთხოვა ფშატის ქვეშე, ქვის მაგიდასთანა.

მაშ არა წოლილა. თვითონვე გამოვაკეთილი, უმჯობესია, აქ უკეთესია. მაგრამ რას ეტყვის, რისთვის მოსულა, ჰა?! შენი რენდგენოგრაჰა ვნახეო?.. ერიპა!.. რამდენი უნდა იცოდეს, რამდენი ზომიერება უნდა, სიკეთემ რომ გზა გაიკვილოს! ნუ გამოვა, ჯერ ნუ გამოვა...

ქალიც ჩამოჯდება. პატარა ტურები აქვს, პატარა ცხვირი, პატარა თვალეზი, ფუნჩულა ლოყები, ხელეზი ფუნჩულა. მაგიდაზე ხელებს დააწყობს, უყურებს, უყურებს, უცებ გადაიღებს, გაუცინებს და ისევ დააწყობს, თითქოს ამისთვის შემოიწვია, ან თითქოს რაღაც საიდუმლოს უნდა მიახვედროსო.

— ლენტო ბრძანდებით... — ეტყვის პატარა წამწებების ხამხამითა.

— გცნობივართ.

— კინალამ გადაამეიწყადით.

— ან რად გახსოვდით?!

— ყოველდღე გხედავდით... ფანჯრებიდან.

— აჰა...

— მერე ველარა გხედავდით.

— ის არ გეამებოდათ. ესა?

— რა მოგახსენოთ. გვეგონა რაღაცა აგიტყდათ.

— გეგონათ... რაღაცა ამიტყდა...

— აბა, ისე რას დაეხსენებოდით საწყალ გოგოსა! რა გულგახეთქილი შემოვარდებოდა ხოლმე; ღმერთო ჩემო, სახით კეთილი სჩანხართ, ისე ბოროტად კი ექცეოდით! თუმცა მართალი გითხრათ, არა მჯეროდა, რომ ცუდი იქნებოდით; ყველაფერს გეფიცებთ, არა მჯეროდა. ვეტყოდი ხოლმე, თინიკო ჩემო, დაე, მოვიდეს, შენ შენთვის იყავი, შენს ოთახში შედი, შეიკეტე, მოვიდეს, მე ვიცი და იმანამეთქი; ვეტყვი, აი ასე დარბაისურად ავუხსნი-მეთქი: პატივცემულო ლენტო, არ ვარგა ასეთი ჩაიება, დამამცირებელია. რომელი ამაყი ვაყკაცი ჩააცვებდა ქალიშვილს, თუ აგრძნობინებს, არ მინდობარ, მეჯავრე-

ბიო?! დაეხსენით, თქვენი გზით იარეთ, გულს ვერ უბრძანებ, გულს ვერ დააძალებ; მონახეთ სხვა, ვინც მოგიწონებთ, ვინც შეგიყვარებთ, აღარც დამცირდებით, აღარც სასაცილო იქნებით; აი ასე ავუხსნი-მეთქი, ვუუბნებოდი. არ მოგწონთ, კარგი არ იქნებოდა? არაო, უარობდა, ვერაფერს შეასმენო...

— ხეპრეაო, რეგვენიოაო...

— არა, ეგ სიტყვები არ უხმარია, ვერაფერს შეასმენო, სიტყვით იმასთან ვერაფერს გააწყობო, და ნატრობდა... კია არ შემეტება, მაგრამ აა ვქნა, ამ ზომამდე მიმიყვანა, ნეტავი რაიმე დაეჯახებოდესო. რომ აღარ გამოჩნდით, ეგონა, ნატვრა ამისრულდაო, მწარედ ინანა, ბოროტი ვყოფილვარ, საზარელი რამე ვყოფილვარ, ამის ნატვრა რომ ამისრულდაო.

ჰა?! თუ გამოსვლაა, ახლა გამოვიდეს, თვალი ჰკიდოს თუნდ ერთი წამითა, იცოდეს, როგორია მონანიებისასა, მხოლოდ გამწყრალი ახსოვს, მხოლოდ გაგულსებულები.

— არაფერი... არაფერი დამჯახებია.

— მაღლობა დმერთსა!

— ეს რომ მცოდნოდა...

— არა, არა, უკეთესი იყო, რომ არ გამოჩნდით, სინანული მაინც სხვა არის, შიში სხვა.

— განა მართლა საშინელი ვარ?!

— არა, არა, რა სათქმელია, ძალიან სასიამოვნო ბრძანდებით. მაგრამ იცით, პატივცემულო ლენტო, თუ თავს მოგვაბეზრებს, ანგელოზიც საშინელია. ერთი სიტყვით, მშვენივრად მოიქცით, პატივცემულო ლენტო და ვიმედოვნებ, ბევრად უკეთესადაც მოიქცევით. — თვალები მიწაზე, სულ გაუქრა ისედაც პატარა თვალები, ისედაც მჭრქალი წამწამები. — იმედია, რაც უნდა მეთქვა, იმის თქმაც აღარ დამცირდება... თუ უკვე გითხარით?! ახ, გითხარით! მაგრამ ეს მხოლოდ მოგონება იყო. მოგონებებში რისხვაც უძალია. მაშინ სხვა იყო. ახლა თქვენც აღარა ხართ იმ მიდევნა ხასიათზე; ახლა აქეთკენ შემთხვევით გამოვიღიდით, არა? რა თქმა უნ-

და, შემთხვევით იქნება და შემთხვევასაც შემთხვევა იმიტომ დაარქმევია, რომ აღარ გამეორდება. ზომ მეთანხმებით?

— როგორც გუნებოთ...

— არა, თქვენ როგორა ფიქრობთ?

— შემთხვევას შემთხვევა იმიტომ დაარქმევია...

— რასაკვირველია. ისეთი თვალები გაქვთ, უსათუთესი გული უნდა ჰქონდეს მავ თვალების პატრონსა. მჯერა ისევე, როგორც ახლა დღეა და არა დამე. თინას უნებურს არაფერს ჩაიდნოთ. ცოდო როგორა ვთქვა, არც ჩაგიდენიათ, მაგრამ მაინც თუ რამე ხინჯი გქონიათ გულში, მოიშორებდით, ინანებდით, სინანული კეთილი გულის თვისება არის. რას იტყვით?

— რა მეთქმის...

— მართალს არ ვამბობ?

— მართალსა...

— ასეც ვიცოდით... თინას შევეუთვლი, ცოტა შეუძლოთ არის, ზნოლეთშია, მაგიდასთანა, შევეუთვლი და, რომ დაბრუნდება, მაშინაც ვეტყვი, ლენტო კეთილი და გამგონე ახალგაზრდა გამოდგამეთქი. არც მოვტყუვდები, ადამიანს შუბლზე აწერია ყველაფერი, არ მოტყუვდება, ვინც შუბლის წაკითხვა იცის. — და შუბლზე მიაჩრდა პატარა თვალებითა, თითქოს რაღაცა დარჩა, ისიც უნდა ამოიკითხოსო. მერე სწრაფად წამოდგა. — უნდა გაგიმასპინძლდეთ. მარწყვის მურაბას მოვართმევთ.

— გმადლობთ.

— უსათუოდ, უსათუოდ, უნდა ნახოთ, როგორი მურაბები ვიცი, რა ხელი მაქვს. ახლავე, ამწუთში... — ქვის კიბე აირბინა, ბოლო სიტყვები იქიდან მოისმა.

ლენტოს აღარ დაუხანებია, მშვიდობითა ბრძანდებოდეთო, დასტოვა მაგიდაზე და კარი გამოიღდა. მაშ რაო, რილასთვის მოეცადნა, მარწყვის მურაბისთვისა? ჰმ, ხომ არ დასცინოდა ის პატარა დედაკაცი? ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ პირდაპირი და გულწრფელი

ოთარ ჩხიძე
ალმარო-დაღმარტი

იყო, ჩამოეხსენიო. კეთილი და პატიოსანი, ჩამოეხსენება ან უფრო უკეთ — უკვე ჩამოეხსენა, ოღონდ ახლა თქვენც ჩამოეცალენით, ან ნუ ჩაერევიტ, ნუ აუქრძალავთ, რომ იღონოს რამე, იმისთვის იღონოს, ნუ დაუშლით და ნურც დასძრახავთ!..

მაგრამ რა იღონოს, როგორ იღონოს? მაინც ვერ მიხვდა.

გნოლეთში არისო? მერედა, როგორი, რა ადგილია გნოლეთი, ივარგებს, ან მაშიდას რა შეძლება აქვს? ჰა? ხომ არ აჯობებდა მოეცადნა, ან ეგებ მიბრუნდეს? მერე რა გამოვა, დაეხსენიო, გაუმეორებს და თავისი ხელით გადაუღებს მარწყვის მურაბასა, გადაუღებს და მიაჩერდება პატარა თვალების გაკვირვებითა, ნუთუ ეს შუბლი ვერ წაიკითხოო. არა, არ ივარგებს, სხვას უნდა ჰკითხოს, სხვა გზით იაროს. მაგრამ ვისა ჰკითხოს?! და უცებ ფეხი ჩაუვარდა ლენტოსა, იქა, სწორედ იქა, ფილა რომ ამოვარდნილიყო; ისე უცებ, ისე მოულოდნელადა, თავი ვერ შეიკავა და თვითონ ხომ დაეცა და დაეცა, სხვაც დაიტანა. მაინც სწრაფად აიშარათა, იმასაც უშველა, წამოაყენა, ოღონდ ზედაც არ შეუხედნია, ბოდიში მიუგდო, დაეშვა, დაქანდა.

უფრო მეტი ქანიც რომ მიჰყოლოდა, მეტი ქარიც რომ შეხლოდა, გონება მაინც ადვილად ვერ გაუწიავდებოდა. განცდა ჩაენისლა, ჩაებნელებინა, აზრის სახსარი აღარ მოუჩანდა. ბოლოს როგორღაც ფარნაოზი გამოვებლანდა ჩაბინდულ თვალბუმში. ჯერ ეგონა, ჩამიარა, ხალხში ჩამებნაო; გამოფხიზლდა, თვალეხი დაატეცა, მაგრამ არ იყო, არსად იყო; სხვანი იყვნენ, უცხონი, გულგრილნი; მერე მიხვდა, მოელანდა, მოავგონდა და მოელანდა შეკვირვებისას; მამ იმის ხელთ იქნება საბელი ხსნისა, ის უშველის, ურჩევს, თან გაჰყვება, — რაო, წავა?! — თან გაჰყვება, იზრუნებს უამისოდაც; ეხსომება კარის არხი, ეხსომება თინათინი... ამის გაფიქრება და „ტაქსში“ შეხტომა ერთი იყო, ვიდაცას გადაუღდა, კარი გამოჰკლიჯა ხელიდანა,

შევიარდა, შეიჯახუნა. ეს თითქოს დაღმართის ქანისაგან იყო, რა სიმაღლიდანაც დაშვებულყო, იმ სიმაღლეზევე ავარდებოდა; რა შეაკავებდა, რა შეაჩერებდა, — არც არაფერს შეუჩერებია, მთაწმინდის დაღმართიდან ნაძალადევის მთის აღმართზე ავარდა, ეცა ფარნაოზის კარსა, ეცა, მაგრამ მიეკტილიყო; შინ არ იყო ფარნაოზი, მეზობლებმაც არ იცოდნენ, სად წასულიყო, როდის დაბრუნდებოდა... არ იყო, არ იცოდნენ, სხვა რაღა დარჩენოდა, თავქვე დაეშვა, დაეშვა ნელ-ნელა. გული არ უშვებდა, ეგება გამოჩნდეს, ეგება გადმოღგესო. მაგრამ აღარც უნდოდა, ასეთ რამეს მეგობრებს უმხელენ, უმეგობრებდა ფარნაოზი?! ჰმ! შინ არ დახვდა, არც დილას მივიდა, ხომ შეეხვეწა, შენი „ბულბული“ შინდა ჩავწეროო... არად ჩაავდო, რა თქმა უნდა, არად ჩავდო. თუ არ შეთვრა, არცა კადრულობს, ხმას არა სცემს, არ ეპასუხება, — განა ასეთ კაცს დარდს გაუმხელენ?! „არა!.. ვიბავშვე... კარგი იყო, შინ რომ არ დამხვდა.“ ხმაშაღლა თქვა, წამოუვარდა ფიქრიდანა. გამგონე არ იყო, იმ მაღალ საფეხურებს ააყოლა, ჩიხებში გახვლანჯა და ფარნაოზის კარს მიაყუდა, როგორც გაციებული იმედი.

თითქოს ცოტა შეუთბა იმედი, ეს მაშინ, რკინიგზის ხიდზე რომ გადაიარა... გადაჰხვდა ჩამომდგარ მატარებლებსა, ხალხით სავსე ბაქნებსა, გვირაბებიდან ამომდინარე და ჩამდინარე ადამიანებსა, გადაჰხვდა და ორბისი მოავგონდა. თითქოს აღარც ახსოვდა მატარებელი თუ კიდევ იყო; ერთხელ ჩამოვიდა, ერთ მატარებელს ჩამოჰყვია, ჩავარდა თბილისში და ველარ დააღწია თავი. დამარცხებულს შინ დაბრუნება არ უნდოდა, გამარჯვება რა იყო, ველარ გაეგო. მაგრამ ახლა სულერთი იყო, რა რა იყო, სად რა იწყებოდა, სად რა თავდებოდა. ახლა, როცა მის ფეხქვეშ მისრიალებდა მატარებლები, რომელიღაც იმათგანმა ჩამოიყვანა, ჩამოავდო ამ დიდ ქალაქში, ამ ხალხის ზღვაში, ოკეანეში, რომელიმე ამათგანივე ამოიყვანს, წაიყ-

ვანს. მატარებელმა დაზარება არ იცის, იმისთვის სულერთია, ავცია, კარგიცა, კეთილმოქმედიცა, ბოროტმოქმედიცა, გახარებულნიცა, დარდიანიცა, მეოცნებენიცა, იმედგაცრუებულნიცა; სულერთია, გარჩევა არ იცის, ჩაისხაჰს და მიჰყავს, მიჰყავს და ჰფანტავს, ჰკრებს და ისევე ჰფანტავს, იშორებს თავიანთ ზრახვებთანადა. ჰკვირს და მიდის, მიდის და ჩერდება, გაჩერდება და ჩავისვამს, ჩავისვამს და წაგიყვანს, გაჩერდება და გადმოხვალ, გადმოხვალ და კისერიმც გიტეხნია; წავე, სხვებს წაიყვანს, ისინიც გადმოვლენ და იმათაც უტეხიათ კისერი; არ ეკითხება, თავისი საქმე იცის, იკვილოს და იაროს, იაროს და იკვილოს. და რომელიღამაც ფეხებქვეშ ამოჰყვირა. შეირხა, გასწორდა, თურმე მოაჯირს დაყრდნობოდა, შუბლი მიებჯინა მავთულბადეზე.

გასწორდა-მეთქი, მაგრამ ნაბიჯი იოლად ვეღარ გადადგა, ხიდი ერთბაშად გამოიტენა ხალხითა, ნამდვილად გამოიტენა, ამოივსო, ტალღებად აღინდა. თავდალწვევა გაუჭირდა ლენტოსა, კინალამ უკან წაიღეს, კინალამ გარაიყეს ნაძალადევისკენა. იმარჯვა... გვერდს უქცევდა, წინ მიიწვედა, იხლართებოდა, ძვრებოდა ნაპირ-ნაპირა, ძვრებოდა სინანულითა, — ეს მდინარე ხომ დინამოს სტადიონიდან მოდიოდა, თამაში გაუცდა და მერე რა თამაში!.. როგორ დაბნეულა! ფეხბურთი იყო ერთადერთი იმისი გატაცება, ისიც გასწყვეტია, მოშლია, მოფუტკვნია! ახლა ყველა წესისა და ადათის მიხედვით, დასავლეთის ტრიბუნებზე შესასვლელებთან დამლორებულებში უნდა ყოფილიყო, ჰო, იმათთან უნდა ყოფილიყო, მოჩქარებით რომ აწკაპუნებდნენ მზესუმზირასა და თუ თბილისელებს წაეგოთ, მსაჯებს ავინებდნენ, თუ მოეგოთ — ბასას აქებდნენ და ერთმანეთს აფურთხებდნენ ზეჰსა. ეჰა, რა უცნაურად დარღვეოდა ადათი, დაშლოდა, დანგრეოდა, ასე თუ ინგრევა ადათებიო. მიარღვევდა მღელვარე დინებასა, მიაპობდა, ეხლებოდა, ხელებს იქნევდა, იღრიჭებოდა, ხმას

გასცემდა თავი თუ ემეტებოდა ვინმესა, — მაგრამ ვინ იყო ხმის გამცემი. ისევე მიიწვედნენ, მიღგაფუნობდნენ, მიგუგუნებდნენ... ხილს რომ ვადასცდა, სადგურის მოედანზე რომ გავიდა, ისეთი ჰაანწყვეტა აღარ უხდებოდა, მაგრამ რაიმეში ჩაჯდომა მინც არ შეიძლებოდა უჰაანწყვეტოდა და იკადრა ფეხით სიარული. ამ დროს ხომ მაინც ფეხით მიდიოდა ხოლმე. ჰოდა, ჩელიუსკინელების ქუჩა ჩასჭრა, პლენანოვის გამზირზე შეუერთდა მეორე მდინარესა. ნაცნობი მდინარე იყო, მატჩის შემდეგ სწორედ იმ მდინარეს მისდევდა ხოლმე, თამაში, გამომწვევი; მოეგოთ თუ წაეგოთ სულერთია, ვიღაცაზე გულმოსული, დამუქრებული. ისინიც ასევე იყვნენ, რომელთა შორისაც მოხვდა. სტადიონის ნაცნობები იყვნენ, მაგრამ ახლა ერცხვინებოდა, ამღვრელიყო. ეგონა, იცოდნენ, დღევანდელ შეჯიბრს რომ არ დასწრებოდა, ჰო, იცოდნენ და ნიშნს უგებდნენ ან დასცინოდნენ, როგორც შიტმასნებულსა. ამიტომაც ჩამორჩა იმ მდინარესა, ჯერ „ოქტომბერთან“ აითრია ფეხი, იტორლიალა, იტორლიალა, მერე „ამირანთან“, ვითომ კინოში უნდა შევიდყო. ხოლო მერე, ხალხი რომ შეთხელდა, ნიშნის მომგებიც აღარავინ ეგულებოდა, გზა განაგრძო, ფეხით განაგრძო. მალე ისევე აღივსებოდა ქუჩები, პაემანის უამი დგებოდა, მაშინ უფრო უხერხულიც იქნებოდა მართო სიარული, უხერხული და გაუსაძლისი, სჯობდა, რაიმეში ჩამჯდარიყო, დროზე მისულიყო... მაგრამ სად მისულიყო, ვისთან მისულიყო?! ვიღაც უნდოდა, ვინმე უნდოდა, ვინც უნდა ყოფილიყო, ოღონდ ყოფილიყო, ლაპარაკი უნდოდა, ფიქრი არ იყო იმისი საქმე, ფიქრში თავგზა ეკარგებოდა, ხმას თუ აუწევდა, ვინმეს თუ შეებოდა. თუნდაც ქვეყანას შემოივლიდა, თორემ ვნოლეთში წასვლა ვითომ რა იყო... ჯანდაბამდისაც გზა ჰქონებია ფიქრსაცა და მაფიქრალთაცა, მაგრამ ვის უთხრას,

ოთარ ჩხიძე
 ალმათი-დალმათი

ვის ელაპარაკოს, ვერცინ უბოვნია ამხელა ქალაქში. მაშ მარტო ყოფილა, უთვისტიმო და უმეგობრო, მარტო ყოფილა, უცხო და გარეგანი, მარტო ყოფილა მიგდებული, მიტოვებული...

და გაეცინა, ხმაშალა გაეცინა, აი, ფიქრებს რა სცილდნიათო, ვითომ რას მიქვიან მიტოვებული, ნეტავი ვის შეუძლიან მიმატოვოსო; ზევიდან გადახედა ამველ-ჩამველთა, მიმქროლავთა თუ მოსეირნეთა, კისერი აიღერა, ამაყად წავიდა. ამაყად განვლო მარჯანიშვილის ქუჩა, ვერის ხიდი, აიარა ვერის აღმართი, ამაყად გაჰყვა რუსთაველის გამზირსა; ოპერასთან იმ გოგონებს მოჰკრა თვალი, გუშინ სიმღერები რომ ჩააწერინეს და მიასწორა ამაყადა, რა თქმა უნდა, ამაყად, თავმომწონდა, თამამადა, დიხასც თამამადა, ვითომ რატომ არაო? მივა და ეტყვის, ეტყვის და მოუსმენენ, მოუსმენენ და თანაუგრძობენ, შეუმსუბუქებენ სადარდებელსა, გნოლეთშიაც წავლენ, თვითონვე წავლენ, ამასაც ანუგეშებენ, იმასაც, ასე იქნება, ცხადია ასე, როგორც მოისურვებს, ისე იქნება... „მიტოვებული“, „უმეგობრო...“ ჰმ! აი როგორ შესცივინებენ, იცნეს, შეჰლიმიან, მოღერებულან ჭეირნებივითა, შემართულან, ელიან, ელიან... ახალგაზრდები გამომორდებიან ურიკასა, პაპიროსი შეუძენიათ, მიაშურებენ გოგონებსა, დაწყვილდებიან, მიდიან, მიდიან... ამაზე რაღას იტყვის? არც არაფერსა, ცუდ ფეხზე ამდგარა, დანავსულა, ყველა ღლე ასეთი როდისა ჰქონია. ჰო, დანავსულა და შინ დაბრუნდება. ისევე „შინაო“, ჰმ! მაგრამ რაც არის, შინაა თუ რაღაც ჭახრუჭანაბა არის, მაინც ის არის, იმას იქით არც გზა აქვს და არც საყუდელი... არა, არ უნდა, მოაშორეთ ე სატიალე ფიქრები!

გასტრონომში შედის, „ენისელსა“ ყიდულობს და შინა ბრუნდება. ოღონდ ვიდრე იმ თავის „შინ“ შევიდოდა, უფ-

როსის ასულს კიდევ გადაეყარა სადარბაზო კართანა, ან გადაეყარა რა მოსატანია, მოჰკრა თვალი, თუ როგორ გამოგოგმანდა, გამოცურდა აედერებული, ატაცებული, სიცოცხლით მტკბარი, ლალი, ზვიადი, გამოცურდა და შელალდა მწვანე „პობედამში“. მანქანა გაცურდა, გასრიალდა, ბოლი მიაყარა ლენტოსა და ისე გასრიალდა. ვიდრე ბოლი მიეყრებოდა, წამოფიფინდა, წამოეგზნო, წამოენთო, გუნება უცებ გადაეწმინდა, რაღაც აფეთქდა, დაიძრა სხეულში, მოულიტინა გულის კოვზთანა, ბოლმა შეჰბურა, თორემ უფრო აელვდებოდა; ბოლმა შეჰბურა იქა, ქუჩაში და შინაც შეჰყვა, თეალები ამოუწვა, ფანჯარა გაალო, ღიად დაჰყარა კარები, ორქარმაც ბევრი ვერაფერი უშველა, მაშინ დახუჭა თვალეები და მიეგდო ტახტზე. მერე რაო, ბოლი მაინც არ ეშვებოდა, ბოლქვდებოდა, აღიოდა, დუღდა, იტივტივებდა გულმკერდის ბადესა, იტივტივებდა, ამოისერიდა, გადაჰყლაპავდა, ისევე ისვრიდა, ან მიატივტივებდა, მიატივტივებდა. „შენც ამათში ხარ... შენც ესევე ხარ...“ ამბობდა და იღიმოდა გულმოსულის ღიმილითა, იღიმოდა, ვერც იღიმოდა, რადგან იქ იყო, მაგრამ იმათში არ იყო, არა, ის ცალკე იდგა ისიფერ ნისლში, იმის გარშემო ბოლი ნისლსა, ამოდიოდა, ამოდიოდა სახენათელი, სახემზიანი, ზორციხორციელი, ამოდიოდა, როგორც ყინი, ვნება, თავდავიწყება, მყვირალობა, მყვირალობა. ძვალთა გიდელები ისევე მიცურავდა, ეხლებოდა ერთიმეორესა, ჩხრიალებდა, ზრიალებდა, ხრიგინებდა ბოლის ტალღებზე. იქით ნისლი იფანტებოდა. დანანობდა, „ენისელი“ კართანვე რომ დატოვა, უნდა დაეღია, ერთი მოსამით უნდა დაეღია, ახლა რა ეღონა, ვეღარ ამდგარიყო, გიდელები თითქოს ყელს მიბჯნოდნენ, დაახრჩობდნენ თუ აიწვიდა...

გაგრძელება იქნება



ისევ მცხეთა...

შენი სახელი ისე ცხელია,
რომ წარმოთქმისას მითუთქავს ტუჩებს
და შენი მიწაც ისე თბილია,
რომ შეხებისას ტკივილს მიყუჩებს.

შენი სახელი სურნელოვანი
ისე ნაზია,
ისე საამო,
როგორც ყოველთვის დედის ალერსი,
არ მასვენებენ შენი წარსულის
მწუხრის გლოვანი,
ახლაც მზარავენ დიდი ხანძრებით განათებულნი
შენი სივრცენი უმხურვალესნი...

შენი სახელი ძალზე ტკბილია
და ძველთაძველი,
შენს იქით ჩემთვის სავალნი გზანი
ჩაკეტილია,
შენა ხარ ჩემი სასუფეველი.

შენი სახელი ისე ვრცელია,
რომ ვერ თავსდება ველარც ერთ დროში,
განახლებული ახლა შედისარ
სასწაულების დიდ სამყაროში...
შენს შესამკობლად სიტყვა არ მყოფნის —
გამომელია.

ო, ჩემო მცხეთა!
შენ ხარ გრიგალთა და მზის საწოლი,
მე შენში მესმის ექო წარსულთა საუკუნეთა...
როგორ ამალღდი,
ბედნიერების გახდი შენ ტოლი.
მეხი გადგამდა ხანძართა ფეხებს —
ვერ წაგაქცია,
დრომ დიდებულმა ბაღად გაქცია.



ს ო ნ ე ტ ი

ხან მეცხადები, ვით მშვენიების ცოცხალი სახე,
 ხან ვით ოცნება, ჩემთვის მარად გარდაუვალი,
 ვით ჩუქურთმაში უკვდავ სულის შთენილი კვალი,
 და მოკრძალებით ვიმეორებ მხოლოდ შენს სახელს.

რწმენა, იმედი, სიყვარული შენ შთამისახე,
 შენა ხარ ჩემი აწ დაღლილი გულის მკურნალი,
 მწვავე დაშვებული შენი ციდან მზიური ალი,
 აწვეწილ სულის შვება მხოლოდ მე შენში ვნახე.

შენ ჩემი ხალხის ხარ გამირობის გამოშუქება,
 შენი დიდება უკვდავებას მარადჟამს ერთვის,
 მივდივარ — ვერ ვთქვი სასურველი მე შენი ქება,
 თუმცა სანატრელს ძილშიც გხედავ ყველგან, ყოველთვის.
 მხოლოდ შენ სახეს მარადიულს შევხარი, შევტრფი,
 მივალ — მიმყვება გულის ნაცვლად მე მისი ფერფლი.



სვეტიცხოველთან

მზე გადავიდა არმაზის მთიდან
 და იისფერი ჩამოწვა ბინდი,
 ბინდმა დაფარა მთა ზედაზენი
 და პომპეუსის დაშლილი ხიდი.
 ღამემ ვარსკვლავნი გამოალაგა —
 მათ სილამაზეს რა შეედრება...
 მიილტვის ცისკენ სვეტიცხოველი,
 როგორც დაქანცულ სულის ვედრება.
 არ იძვრის სიო... სძინავს და სძინავს,
 გარემოს ამკობს ვარსკვლავთ ნათელი,
 მყუდროებაში ტრაპეზის კართან
 უკანასკნელი ჩაქრა სანთელი.

მგონია, თითქოს დრო არ შეჩერდა,
 სივრცეც ამ მთებით შემოიზღუდა.
 მე გხედავ წარსულს მიჩუქურთმებულს,
 რომ შეუღია ამ ტაძრის კარი.
 სულის მშვენება, სწრაფვა, ოცნება
 იყო, იქნება ყველგან და მუდამ,
 ჩვენი ცხოვრება ისე რა არის.



ცეკვა «მომაკვდავი ბედის» ხილვის გამო

ე. ჭ-ს

მახსოვს, ცურავდი სცენაზე გედი,
თრთოდნენ ეგ მკლავნი, როგორც ზვირთები,
რას გიქადიდა ნეტავი ბედი,
სად მიგაფრენდა მოქნილი ფრთები?

თითქოს ტბას ჰკვეთდა გულმკერდის ბროლი,
ვმზერდი, ხალისი პირს დაგვეკონა,
ბედისწერასთან იყავ მებრძოლი
და არა მისი მორჩილი მონა.

შენ შორს ილტვოდი, ოცნება გსურდა,
მიწის მარწუხებს გსურდა გასცლოდი,
მაგრამ ვერ შესძელ, სიცოცხლე შენი
მალე დასრულდა,
გულზე დაგაწვა სიკვდილის ლოდი...

აღარ სუნთქავდა შენი სხეული —
თითქოსდა ჩადგა სიო ნელთბილი,
აღარ მოგეშვა ბედი წყვეული
და გაჩენილი ცაში საფრენად
მიწას მიგაკრა ფრთებმოთენთილი.

მახსოვს: მომხიბლე მაშინ, რომ გნახე,
შენ ძირს გართხმულიც იყავ ლამაზი...
აღარ მშორდება მზიური სახე,
რაღაც შორეულს და რაღაც ფარულს
რომ ესწრაფოდა ციური, ნაზი.

ნეტავი იმას, ვინაც სიკვდილშიც
მშვენიერების ქანდაკად რჩება
და სულის დამცხრალ მოძრაობაში
ჩატოვებს თავის იდუმალ ვნებას.



შალვა აფხაიძეს

კიდევ გაზაფხულს თუ მოვესწარი...
 შ. აფხაიძე

დღეს შენი სიტყვის კეთილი თესლი
 მე ამოვიღე ხსოვნის ბადიდან:
 მჯერა, ვერასდროს ჩააწნავს ლექსში
 სულს, ვისაც იგი არ აბადია.

მე ახლა ვიცი, ვიცი და მესმის
 თუ რად ვაქციეთ ღმერთი აჩრდილად..
 მჯერა, ვერასდროს გაურვეს ლექსში
 ცრემლს, ვისაც დარდი არ გააჩნია.

გიბერავს წლების ორპირი ქარი,
 ორპირის ფშანის სევდაც განათებს...
 და რწმენა, როგორც ნახმლევი ფარი
 კვლავაც შეუტევს ბედის აღმართებს.

ერთიღა დაგვრჩი დიდი დასიდან,
 ვინც იცი კაცის და ლექსის ფასი...
 და მე ესვამ ტკივილს შენი თასიდან,
 რომ გაზაფხულით შეგივსო თასი.

კ ლ ო უ ნ ი



ბრწყინავს დარბაზი... და იარუსებს
 თეთრი ცხენების შუქი ანათებს
 და ცივ მანევზე გატყორცნილ კლოუნს
 ბედი აგორებს, როგორც კამათელს.

მაინც გზაა და აღარ ეთმობა
 და სურს თუ არა უნდა იხუმროს...
 ხალხი ისვენებს, ხალხი ერთობა,
 ხალხი ყველაფერს როდი კითხულობს.

მოელანდება ძახილი სივრცის,
 მაგრამ ისრუტავს სურვილს არენა...
 და ეწირება დარბაზის სიცილს
 კლოუნის ცრემლი და მწუსარება.



ბიორბი აქაეკაქი



რომანი

წარმოიდგინე მთელი სისწრაფით მი-
მავალი მატარებელი. შენ საფეხურზე
დგახარ. დგახარ და შიშისგან სული ვერ
მოგითქვამს. იმიტომ რომ ამ მატარებ-
ლიდან უნდა გადახტე, რაც შეიძლება
მალე უნდა გადახტე და დარწმუნებულ-
ი ხარ, უეჭველად მოიტეხ კისერს. ჰო-
და, სინჯე და გადახტი ამ დროს.

ერთხელ გადავხტი ასეთი მატა-
რებლიდან — იუზამ გამაბედვინა. ეს
ამბავი მაშინ მოხდა, სტუმრად რომ ვი-
ყავი მასთან სოფელში. საიდანღაც მოვ-
დიოდით მატარებლით. იუზას სახლი
ტყის პირას დგას, განმარტოებით. მატა-
რებელი იქ არ ჩერდებოდა. იუზამ მითხ-
რა, მოდი გადავხტეთო. დავეთანხმე,
მხდალი არ ვეგონო-მეთქი. თვითონ
რომ გადახტა, მაშინდა მივხვდი — სას-
წორზე დავდე თავი. მაგრამ ფიქრის
დრო არ იყო და მეც ვისკუპე.

გადარჩი. წარმოიდგინეთ, არც კი დავ-
ცემულვარ, ცოტათი წავიბორძიკე; ეს
იყო და ეს. მერე კარგა ხანს არ დამწყ-
ნარებია გულის გაშმაგებული ბაგაბუ-
გი, მაგრამ ჩემზე ბედნიერი კაცი არ მე-
გულებოდა ქვეყანაზე.

სწორედ ეს ამბავი გამახსენდა, ჩვენი
სახლის კიბეზე რომ ავდიოდი. ისეთ გუ-

ნებაზე ვიყავი, თითქოს ეს წუთია, გა-
ქანებული მატარებლიდან გადმოვხტი.
ჩემს უკან მატარებელი მიგრუხუნებდა.
არც ვიხედებოდი იქით, მეშინოდა, ვაი-
თუ სულაც არ გადმოვხტარვარ ჯერ და
ჩემი თავი კვლავ საფეხურზე დავინახო
გაშეშებული-მეთქი...

ნუნუ შინ დამხვდა.

— მომილოცავს, — მითხრა და მა-
კოცა.

— გმადლობთ. ისე ვუპასუხე, გავა-
გიეე პროფესორი.

— ვიცი, — ნუნუმ გაიცინა.

— დღეს თემური შემხვდა, — ვუთ-
ხარი მე, — მოკითხვა შემოგოთვალა.

— სად იყო?

— უნივერსიტეტში. იცი, რა ლამაზი
ბიძაშვილი ჰყოლია?

— ნონაზე ამბობ? ვიცი, როგორ არა.

— იცნობ? დღეს ოთხიანი მიიღო.

— მართლა? საწყალი. როგორ ნერ-
ვიულობდა! ვეღარ მოხვდება ალბათ.

— მოდი, ასე შევთანხმდეთ. შენ თე-
მური, მე — მისი ბიძაშვილი. კარგი?

— როგორ შეიძლება, სიძის ბიძა-
შვილი?! — აღშფოთდა ნუნუ.

— რაო, სიძეა უკვე?!

— სასიძო ხომავ?

— საქმეს ჩავიშლი, — დავემუქრე, —
ნონა მიყვარს.

ნუნუმ გაციცა.

— მართლა? როდის მოასწარი? კარგი გოგოა. თუ ძალიან გიყვარს, შეიძლება... მაგრამ შენთვის ჯერ აღრეა მავაზე ლაპარაკი.

— მისთვისაც აღრეა.

— ჰო, მაგრამ ჯერ შენ არავინ გამოგატანს ქალს. ის კი შეიძლება გათხოვდეს.

— რატომ არ გამოგატანს?

— რძე არ შეგშრობია პირზე, რა დროს შენი ცოლია.

დავლონდი — ასეთ პასუხს არ ველოდი. ნუნუს შევებრალებ:

— ცხვირს ნუ ჩამოუშვებ, — მითხრა, — ყველაფერს მოესწრები.

ბებიასთან შევედი. ისევ იწვა, ლოყაზე ვაკოცე.

— მოდი? — მკითხა.

— ჰო, ბებია. მალე მეც გავხდები ექიმი და მოგარჩენ.

— ყველანი ექიმები არა ხართ, შვილო? მაგრამ რას მშველით.

— მე აუცილებლად გიშველი.

— ნუ დაბერდება კაცი, თორემ მერე ექიმი რას უშველის.

სანამ ბაბუა ცოცხალი იყო, ბებიჩემი ქალაქში გადმოსახლებაზე ცივ უარს ამბობდა. მერე, მარტო რომ დარჩა, მამამ, როგორც იქნა, დაითანხმა. მაინც სულ სოფლისაკენ უჭირავს თვალი და თუ ჭანმრთელადაა, იქით ვარბის.

— მამ არ გავხდე ექიმი?

— რაც გინდა, ის ვახდი, შვილო.

სკამი დავიდგი და ბებიას სასთუმალთან დავუჯექი.

— რამე ხომ არ გინდა? თუ გინდა რამე, არ დაგხათროს.

— არაფერი არ მინდა. რა უნდა მინდოდეს?..

— თუ გინდა, ნუნუს დავუძახებ. გინდა?

— არა, შვილო.

ესეც ასე. ახლა მთავარი მამაჩემთან შეხვედრია. ახლა მჭირდება ვაჟაკობა. მეგონა, მატარებლიდან უკვე გადავხტი და გადავრჩი-მეთქი, თურმე ჯერ სადა ვარ!

იუზა უკვე გადახტა, ახლა ჩემი ჯერია, ფრთხილად ჩავდივარ ბოლო საფეხურზე...

მამაჩემი: — რა გინდა?

კართან ვდგავარ. უნდა ვუთხრა, რაც არ უნდა დამიჯდეს. თვითონაც გაიგებს უჩემოდ, მაგრამ რატომ არ უნდა ვუთხრა?

მამაჩემი:—ჰო, თქვი, რას ყოყმანობ?! მაგიდას ორივე ხელით ვეყრდნობი, წონასწორობა რომ არ დავკარგო.

მამაჩემი: — იტყვი თუ არა, ბოლოს-დაბოლოს? (გრძნობს, რალაც ამბავია ჩემს თავს).

მე: — დღეს საგამოცდო ფურცელი დავკარგე.

მამაჩემი: — რა ჰქენი?.. — (ფეხზე დგება).

მე: — დავკარგე...

რა თქმა უნდა, ამას არ მოელოდა. ასრულდა მისი ნათქვამი: მართლა ვერ მოვეუარე. გულმა თუ უგრძნო.

რატომ არ უნდა ვუთხრა სიმართლე? იუზა უკვე გადახტა. ახლა მე უნდა გავწირო თავი.

მე: — კი არ დამეკარგა... დავხიე და გადავეყარე.

მამაჩემი: — გაგიყდი?!.

შეშინებული მიმზერს. მეცოდება კიდევ. ვატყობ, მართლა არ გგონივარ სრულ ჰკუაზე.

მე: — დავხიე... ავდექი და დავხიე.

მამაჩემი უღონოდ ეშვება სკამზე. მგონი გადავრჩი. მატარებელი გრუხუნით განავრძობს გზას. უკან მოხედვასაც ვერ ვბედავ. მეშინია, ვაითუ მეჩვენება და კვლავ საფეხურზე ვდგავარ-მეთქი.

მამაჩემი: — რატომ არ გინდა ინსტიტუტში შესვლა?

მე: — რა ვიცი. არ მინდა...

მამაჩემი: — აბა რა უნდა აკეთო?

მე: — არ ვიცი. მოვიფიქრებ. დრო ბევრი მაქვს.

მამაჩემი: — არც ისე ბევრი, შენ რომ გგონია.

მე: — მაინც ხომ უნდა მოვიფიქრო. მოუფიქრებლად როგორ შეიძლება.

მამაჩემი: — ჩემი არჩევანი არ მოგწონს?

დუმილი.

მამაჩემი: — დროზე გეტყვა. სადაც მოგწონდა, იქ შევიტანლით ვანცხადებას.

კვლავ დუმილი.

— შენ მაინც რომელი ინსტიტუტი მოგწონს?

— რა ვიცი, რომელი მომწონს. ჯერ არ მომიფიქრებია.

— როდემდე უნდა იფიქრო?

— რა ვიცი. ჯერ სულ არ მიფიქრია.

მამაჩემი გვერდზე იხედებოდა. ტუჩს იკვნეტდა. რაც მართალია, მართალია, არ მინდოდა ასე გამებრაზებინა.

— ესე იგი, შენს ჭკუაზე გინდა ვაკეთო ყველაფერი?

„რა კარგია, რომ მიმიხვდა“.

— ჰო, მამა.

მამაჩემი ადგა, ჩემკენ გადმოიწია და ხალათში ისე ღონივრად ჩამავლო ხელი, თითქოს გაქცევას ვაპირებდი და მკაცვებდა. მაგრად შემანჯღრია, სწორედ ისე, ბიჭებმა რომ იციან ხოლმე ჩხუბის წინ.

— მერე, თუ იცი, ჭკუის ნატამალი რომ არა გაქვს?.. იცი თუ არა? შენს ჭკუაზე ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამ, რომ კისერი არ მოიტეხო! რის მაქნისი ხარ, ან რა შეგიძლია? არაფერიც არ შეგიძლია! ილოცო უნდა, რაც შეიძლება დიდხანს ვიცოცხლო, თორემ მე რომ აღარ გეყოლები, შიმშილით სული ამოგძვრება!.. ამიტომაც ვცდილობ, ფეხზე დაგაყენო, რამე გასწავლო!.. ერთ კვირას იარე შენს ჭკუაზე, და სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შარვალი არ ჩამოგყოლია შინ, ხომ არ დაგავიწყდა? უმწეო, უსუსური ხარ! შენი ხნის რომ ვიყავი, თავს ვირჩენდი და ვსწავლობდი კიდევ! ყველაფერი დაღუპილი უნდა მოგართვას კაცმა, შენ კი გადაყლაპავზეც უარს ამბობ!

მამაჩემმა ხელი გამიშვა. მიხვდა ალ-

ბათ, არსად ვაპირებდი გაქცევას. სული მოითქვა.

— ხომ არ გგონია, მეხალისება, ამდენს რომ ვწრიალებ და დიდსა და პატარას ვეხვეწები, როგორმე დამეხმარონ. მაგრამ ვიცი, შენი ჭკუით ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეგიძლია. ვინ არ შეგაწუხებ? მერე რა გამოვიდა? უსიციხვილოდ მეუბნები, ჯერ არ მომიფიქრებია, ვისწავლო თუ არაო. ვითომ მე არ ვიცოდე, რა სჯობია შენთვის. ჩემს ჭკუაზე უნდა ვიაროო! ხედავთ, რა მომთხოვა? ჭკუითაა ვატენილი და უნდა, როგორმე გამოიყენოს.

მე გვერდზე ვიხედებოდი.

— რამდენი ვიწვალე, წყალში ჩამიყარე ყველაფერი! გგონია, ქიმიამო რამე იცოდინ?

— რომ არ ვიცოდინ, იმიტომ მოხდა ასე...

— ახლა გინდა თავი მომაჩვენო, ვითომ ასე დიდსულოვანი ვარო? ვერ მომატყუებ. კარგად ვიცი, რა კეთილშობილიც ბრძანდები. სწავლა გეზარება! ეგ არის მთელი შენი კეთილშობილება! ძლივს დაგამთავრებინე საშუალო სკოლა!

მამაჩემი დაჯდა. თავზე ხელები შემოიწყო და ჩაფიქრდა. მეც ისევ ისე ვიდექი თავდახრილი. მგონი, მამაჩემი ფიქრობდა, რომ მისმა ლექციამ გასჭრა და უკვე ვნანობდი ჩემს საქციელს.

უცებ, თითქოს რაღაც მოავგონაო, სწრაფად დასწვდა ყურმილს.

— ნუთუ არ შეიძლება, — ჩაილაპარაკა შეწუხებული ხმით, — საგამოცდო ფურცლის აღდგენა? რა თქმა უნდა, შეიძლება...

ესე იგი, ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყო.

მე უკვე გადმოვხტი გაქანებული მატარებლიდან და არ მინდოდა, ჩემი ბედნიერება მოჩვენება ყოფილიყო. არ მინდოდა, უკან მიმეხედა და ჩემი თავი

გიორგი კვამლავაძე
ჩემი პატარა ლანდი.

ისევ საფეხურზე დამენახა, შეშინებულ-
ლი, დამფრთხალი, საცოდავი...

— არა, მამა, — შეეპირე მე, —
მინც დახვევ, იცოდე. ტყუილად რატომ
იწუხებ თავს. მინც დახვევ, იცოდე!

— რას იზამ? — მამაჩემს სისხლი
მოაწვა თვალებში. წამოდგა. ყურმილი
ისევ ეჭირა ხელში.

— დახვევ, — გავუმეორე სწრაფად.
თვითონვე შეშინოდა, არ გადავტყუა-
მეთქი.

და, პირველად ჩემს სიცოცხლეში,
მამაჩემმა გამარტყა.

გუფიცებით, როდისმე შვილები თუ
მეყოლა, მე მათ თითსაც არ დავაკარებ.

არაფერი არ ყოფილა ამაზე საშინე-
ლი. ათასჯერ სჯობია, ყოველდღე და-
ხვდნენ ქუჩაში ხულიგნები და ისე გე-
მონ, ფეხზე ვერ დგებოდე.

ვიდექი და თვალწინ ნაპერწკლები მი-
ტრიალებდა. თავბრუ მეხვეოდა. განა
იმიტომ, რომ მამაჩემს ასე მაგარი ხე-
ლი ჰქონდა, ან ასე მაგრად გამარტყა?
სულაც არა.

გარეთ გამოვევარდი.

ჩემს ოთახში ნუნუ დამხვდა: ალაგებ-
და. კარებში გავეხირო. ძალიან მინდო-
და მარტო დარჩენა. ყველაზე უფრო ეს
მინდოდა მთელ ქვეყანაზე.

ნუნუმ შემომხედა და ცოცხი ხელი-
დან გაუვარდა.

— რას ჰგავხარ? — დაიძახა გაკვირ-
ვებულმა, — რა მოგივიდა?

— რას ვგავარ? — ვიკითხე, რაც შე-
იძლება მშვიდად და სარკესთან მივედი.
ჩავიხედე. ვერ ვიცანი ჩემი სახე. მახინჯ
სარკეში ხომ ჩავიხედავთ? ისე მქონდა
ცხვირ-პირი მიღრეცილ-მიღრეცილი.

თავი ვერ შევიკავე. მაგიდას მუშტი
დავარტყი და ავღრიალდი:

— რისთვის!.. რისთვის!..

წუთის შემდეგ კისრისტეხით ჩავრბო-
დი კიბეზე. იმ განზრახვით, რომ ჩემს
ღღეში არ დავბრუნებულყავი უკან.

4

ქუჩაში გამოვედი და წამით შევჩერ-
დი:

„სად წავიდე?“

ვაკის პარკისაკენ გავწვიე.

პარკში ცოტა იყო ხალხი. მინც
არ შევჩერებულვარ. ფერდობს შევე-
ყევი და, რომ დავრწმუნდი, ახლომახ-
ლო კაცის ჭაქანება არ იყო, ნაძვის ძირ-
ში წამოვწექი.

ვიწექი, ცას შეეყურებდი და გულ-
მოდგინედ ვარწმუნებდი ჩემს თავს,
რომ მარტო ვიყავი მთელ ქვეყანაზე,
არავის ეჭირდებოდი და არავინ ფიქ-
რობდა ჩემზე. ცოტა არ იყოს, მომწონ-
და ყველასაგან მიტოვებული და დავიწ-
ყებული კაცის როლი.

შინიდან გამოქცევას არ ვნანობდი.
მარტო ის მაწუხებდა, ასე ცარიელ-ტა-
რიელი რომ წამოვედი. არც ფული წა-
მომიღია, არც ტანსაცმელი. პასპორტიც
კი შინ დავტოვე.

პირალმა ვიწექი. ქვეშ რბილი ბალახი
მეგო. ჰაერი ბალახისა და ყვავილე-
ბის მძაფრ სუნს გაეჟღენთა. ცა ლურჯი
და ძალიან მშვიდი იყო. ირგვლივ ყვე-
ლაფერი სიჩუმესა და სიმშვიდეს აეცსო.
თანდათან მეც ვწყნარდებოდი, თვლემ
მერეოდა. სადამო მოახლოვდა, აგრილ-
და.

ღრუ ბევრი მქონდა. შემეძლო, ყვე-
ლაფერი მომეფიქრებინა. მოვიფიქრებ-
დი კიდევ, ამ ფიქრში რომ არ ჩამძინე-
ბოდა.

თვალი რომ გავახილე, პირველად ვარ-
სკვლავებით მოქედილი ცა დავინახე.
ბნელოდა. გამაყრუებლად ჭრიჭინებ-
დნენ ჭრიჭინობელები. გრილი ნიავი
ქროდა, ნელა ირხეოდა ნაძვები.

„სად ვარ?“ — გავიფიქრე. მალე ყვე-
ლაფერი გამახსენდა. წამოვევარდი და
პარკისაკენ დავეშვი. სინათლეზე რომ
გავედი, შიშმა გამიარა. პარკში ხალხი
დავინახე. ზანტად დასეირნობდნენ ბალ-
ში. საათს დახედე — ათი იყო.

„სად წავიდე?..“ გაბრუნებული ვიყა-
ვი. თავი მტკიოდა. ერთი პირობა ვი-
ფიქრე, აქვე ძელსკამზე წამოვწვიე და
გამოვიძინებ-მეთქი. წამოვწვიე კიდევ,
მაგრამ მომაგონდა, რომ პარკი მალე

დაიცილებოდა და აქ მარტო დავრჩებოდი; ძილი გამიფრთხვა.

„სად წავიდე?“

ვიჩქეპი და ვნანობდი, რომ იმდენი დრო დავკარგე.

ორი გზა მქონდა. ერთი ჯაბასთან წავსულიყავი. მეორე — ზურისთან. ზურისთან მერჩივნა, მაგრამ დედამისის მეშინოდა. გადავწყვიტე, მაინც ზურისთან მივსულიყავი. ზური ალბათ გვიან ღამემდე არ დაიძინებს. რა დაიძინებს, დღეს სამიანი მიიღო. ახლა ღამეებს გაათუნებს წიგნზე. ჩუმაღ შევიბარებე მის ოთახში. ისე რომ დედამისი ვერ გაიგებს ჩემს სტუმრობას. დილით კი ადრე წამოვალ, სანამ გაიღვიძებდეს.

მთავარია, ეს ღამე გვათითო როგორმე. ზვალ კი ყველაფერს მოვიფიქრებ და გზაც გამოჩნდება.

არ ვჩქარობდი. რაც უფრო გვიან მივიდოდი ზურისთან, უკეთესი იყო — დედამისი დაძინებული დამხვდებოდა.

პარკი დაცარიელდა. ისევ მომერია ოვლემა. ავდექი და ქუჩაში გამოვედი. ტროლეიბუსს დაველოდე. ლენინის მოედანზე უნდა გავსულიყავი. ზური დავითაშვილის ქუჩაზე ცხოვრობს.

დავითაშვილის ქუჩას რომ დავადექი, თორმეტ სრულდებოდა. აქა-იქ თუ გავივლიდა ჩემსავით დავკვიანებული მგზავრი. „ვაითუ ზური დაძინებული დამხვდეს, — გავფიქრე, — მაშინ ვერც ჯაბასთან წავალ ჯაბა თორმეტ საათზე შუა ძილში იქნება და ისევ ზურის გაღვიძება მომიწევს...“

ზურგიდან სტვენა და ჩქარი ფეხის ტყაპუნი მომესმა. მივიხედე. ორი ბიჭი დაეინახე: მაშინვე ვიცანი ორივე: ზური და ჯაბა.

— სად ხარ აქამდე? — მკითხა ჯაბამ, როცა მოახლოვდა, — რამდენი ხანია გეძებთ.

— მეძებთ?!

— ჰო, სად არ ვიყავით. მთელი ქალაქი მოვიარეთ.

— რატომ მეძებთ?

— ვიცოდით, შინ რომ არ იყავი, —

მითხრა ზური, — დავრეკეთ და ნუნემ გვიასუსხა, გაიქცაო...

— ჩემთან წამოხვალ თუ ამასთან? — მკითხა ჯაბამ, — ჩქარა გადაწყვიტე, თორემ მერე ტროლეიბუსები აღარ იქნება და ფეხით მომიწევს მარჯანიშვილზე გასვლა.

— ჩვენთან დარჩება, — უთხრა ზურიმ, — შენ წადი, თუ მიდიხარ. ანდა დარჩი, ჩვენთან ვათიე.

— არა. აუცილებლად უნდა მივიდე შინ. ვინ იცის, ალბათ ახლა მეც მეძებენ. — ჯაბა წავიდა. სამიოდენ ნაბიჯი რომ გაიარა, მობრუნდა, — მართლა გაგარტყა მამაშენმა? — მკითხა.

— გამარტყა კი არა... რატომ უნდა გაერტყა?

— აბა რატომ გამოიქეცი?

— მინდოდა და გამოვიქეცი. გარტყმა რა შუაშია?

— მე მეგონა, გაგარტყა. შენი და ამბობდა რალაცას. კარგად ვერ გავიგეთ. ჯაბა დაგვემშვიდობა და გაიქცა.

მე და ზური აღმართს შევუყევით... კიბე ფრთხილად ავიარეთ და მაინც გაგვიგო დედამისმა. აივანზე რომ ავედით, სამზარეულოს კარი გააღო და შეგვიპატიჟა.

— აქ მოდი, ბარემ ივანშემთ.

სუფრას რომ მივუსხედით, მაშინდა გამახსენდა, დილას აქეთ პირში ლუკმა არ ჩამედო. თურმე შიმშილისაგან ყოფილა, თავი რომ მტკიოდა და, საერთოდ, გაბრუებული და დარეტიანებული, რომ ვიყავი.

ზურის დედა შორიხლო იჯდა. გვიმზერდა და ხმას არ იღებდა. ისეთი მოწიწებითა და პატივისცემით მიყურებდა, ერთბაშად გადამაფიწყდა დილანდელი წყენა. ვახშამს რომ მოვრჩით, ქალი ადგა, ჩემთან მოვიდა, თავზე ხელი დამადო და მითხრა:

— ჩემი ბრალია ყველაფერი.

— თქვენი? — ვერ მივუხვდი მე, — რა არის თქვენი ბრალი?

გიორგი კვახალიძე
ჩიმი პატარა ლანდი

— ჩემი ბრალია, — გაიმეორა ქალმა და თვალეზზე ცრემლი მოადგა.

ლუქმა გულზე დამადგა.

— კარგი ახლა, — უთხრა ზურიმ, — არაფერი არ არის შენი ბრალი.

ზურის თთახში შევედით. ქალმა დასაკეცი საწოლი შემოიტანა. ლოგინი გამიშალა და გავიდა. ზურიმ მავიდის ნათურა ჩართო და მითხრა:

— დედას ჰგონია, საგამოცდო იმისთვის დახეი, დილით რომ...

აღარ დაამთავრა. შევატყვე, ზური-საც დედამისი მიაჩნდა დამნაშავედ. რა თქმა უნდა, მთლად არა, მაგრამ ცოტათი მისი ბრალიც რომ იყო, ეჭვი არ ეპარებოდა და წუხდა.

— არა, — დავამშვიდე მე, — დედაშენი რა შუაშია... შენც იქ არ იყავი?

— ვერაფრით ვერ დევაჯრე. რომ გაიგო, სახლიდან გაიქეცი, გარეთ გამომაგდო. ჩვენი ბრალია, მოძებნე და აქ მოიყვანეო...

გავიხადე და დავწექი. ზური მეცადინეობას შეუდგა. არ მეძინებოდა. ლაპარაკის გუნებაზე ვიყავი. თანაც არ მინდოდა, ზურისთვის ხელი შემეშალა. ბოლოს მაინც ვერ შევიკავე თავი.

— დღეს ვაგაცდინე, არა?

— მაინც ვერ ვიმეცადინებდი, — მიპასუხა მან, — არც ახლა ვარ მეცადინეობის გუნებაზე. სულ ის სამიანი მიტრიალებს თვალწინ...

ხელად მივხვდი, სამიანი არაფერ შუაში იყო. ჩემზე ფიქრობდა. იმიტომ ვერ უდებდა კითხვას გულს.

— ხვალ აღარ ვაგაცდენ, ადრე წავალ. დაჯექი და იმეცადინე.

— შენ მაინც ვერ შემომიშლი ხელს, — მითხრა ზურიმ, — ხელს ვერავინ შემომიშლის, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მკითხა, — ხვალ შინ მიდიხარ?

— არა.

— აბა სად უნდა წახვიდე?

— რა ვიცი. შინ აღარ დავბრუნდები.

— როგორ არ დაბრუნდები, — ჩაიცინა ზურიმ, — რა სისულელეა. ახლა ამბობ მაგას, მალე დაწყნარდები და მიხვალ, აბა სად უნდა წახვიდე?

— არ დავბრუნდები, — გაიმეორე ჯიუტად.

ვდუმდით და ერთმანეთს შევყურებდით. ძალიან მინდოდა, დაეჯერებინა ზურის, რომ შინ არ დავბრუნდებოდი.

— აქ იყავი... სულ ჩვენთან დარჩი...

ზურის სახეს კარგად ვერ ვხედავდი, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა, ამას გულწრფელად ამბობდა. ესიამოვნებოდა კიდევ, რომ დავრჩენილიყავი. ძალიან გამიხარდა. თუმცა ამას არაფრისდიდებით არ გავაკეთებდი.

— დარჩები?..

— არა, ზური, რაღაც სხვა უნდა მოვიფიქრო.

დილით ადრე გამომეღვიძა.

„სად უნდა წავიდე?“ — ეს იყო ჩემი პირველი ფიქრი.

და უცებ მივხვდი, სადაც უნდა წავსულიყავი. გამიკვირდა, აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრო-მეთქი.

ავდექი. ფრთხილად, უხმაუროდ ჩავიცვი ტანსაცმელი. გარეთ გამოვედი.

ახლა მამაჩემს უნდა დავუღარაჯდე. გამოვა თუ არა სახლიდან, შინ შევირბენ, ზურგჩანთასა და ტანსაცმელს წამოვიღებ. ფულსაც ავიღებ და მშვიდობით!

ახლა კი მართლა დავიწყებ ახალ ცხოვრებას.

ნაწილი მესამე

1

დაიძრა თუ არა მანქანა, თვლემამომერია და მალე ჩამეძინა. მძლოლი შუახნის იქნებოდა. სიტყვაძუნწი ჩანდა. სად მიდიხარო, მარტო ეს მკითხა. გზადაგზა რამდენჯერმე გამეღვიძა. ერთგან ისე ავარტყი თავი კაბინის სახურავს, მძლოლმა ჯერ ზევით აიხედა, მერე მე შემომხედა და ჩაილაპარაკა, მაგარი თავი გქონიაო. თუმცა ამ ჯაჯგურსაც მალე შევეჩვიე და აღარ მეღვიძებოდა. მხოლოდ ეს იყო, საშინელ სიზმარს ვხედავდი. თითქოს თვითმფრინავიდან ვხტებოდი და პარამუტი არ იშლებოდა. ოფლით ვახვიოქული და გულვახეთ-

ქილი სულ ვვარდებოდი და ვვარდებო-
დი. გული მისკდებოდა შიშით. მერე
საოცარი რამ მოხდა: ძირს დავიხედე და
მიწა დავინახე. თურმე არსადაც არ
ვვარდებოდი. ორიოდ გოჯის სიმაღლე-
ზე ვეკიდე ჰაერში. მაგრამ რად გინდა,
ძირს ფეხის დადგმა ვერასდობით
ვერ მოვახერხე. ვიყავი ასე ჰაერში გა-
მოკიდული.

ამ ტანჯვიდან მძლოლმა მიხსნა, შე-
მანჯღრია, გამაღვიძა და მითხრა:

— ე, სტუდენტო... აბა, ჩამოხტი, მი-
ველით.

ზურგჩანთას ხელი დავტაცე, კაბინის
კარი გავადე, გმადლობთ-მეთქი, მივაძა-
ხე მძლოლს და ვადმოვხტი ძირს. ვარეთ
უქუნეთი იდგა. ციოდა. ახალა გამოვ-
ფხიზლდი და გამახსენდა, რომ გზა-კვა-
ლი არ ვიცოდი. მძლოლისთვის უნდა
მეკითხა, მაგრამ რაღა დროს! მანქანამ
სადაღაც გაუხვია.

ჩანთა დავდე, ზედ დავჯექი და ჩავ-
ფიქრდი.

ისევ მომერია თვლემა. შემეშინდა,
არ დამეძინოს-მეთქი. ავდექი, ჩანთა
ზურგზე მოვიგდე და მივიხედ-მოვიხე-
დე. აქა-იქ სინათლეები ციმციმებდნენ.
შორიდან აკორდეონის ხმა ისმოდა.

ჩემი ვარაუდით, სტუდენტები სწო-
რედ იქ უნდა ყოფილიყვნენ დაბინავე-
ბული, საიდანაც ეს ხმა მოდიოდა. მეც
იქით გავწიე.

სუსხიანმა ქარმა დაუბერა. შილიფად
მეცვა. ახალა გამახსენდა, რომ მამიამ,
ზაურმა და სულთანმა წამოსვლის წინ
ბლომად იყიდეს თბილი ტანსაცმელი.
ჩექმებიც კი წამოიღეს.

ნაბიჯს მოვუჩქარე, იქნებ სიარულში
გავთბე-მეთქი. მართლა გავხურდი. მაგ-
რამ სიჩქარეში ერთ ადგილას თხრილი
ვერ შევნიშნე, ანდა რას დავინახავდი იმ
სიბნელეში? ჰოდა, თხრილში გადავყი-
რავდი. ტალახიან წყალში ამოვიწუმბე.
ზევით რომ ამოვედი, ისე მძაფგაგებ-
და, ათ ნაბიჯზე ვაიგონებდით ჩემი კბი-
ლების რაკარუქს.

სიცივემ ძვალსა და რბილში რომ და-
მიარა, სირბილი დავიწყე. ერთი ორჯერ

კიდევ გადავყირავდი ორმოში თუ
თხრილში, მაგრამ, საბედნიეროდ, წყალი
არც ერთში არ აღმოჩნდა. ამასობაში
თანდათან ვუახლოვდებოდი იმ ადგილს,
საიდანაც მუსიკა ისმოდა.

ახლა ღობე გადამიდგა წინ. მაღალ
იყო, ფიცრული. მარჯვნივ გავუყევი.
კარგა ხანს ვიარე. შემდეგ ტყეში აღ-
მოვჩნდი. ხელის ფათურით განვაგრძე
გზა. როგორც იქნა, დამთავრდა ის და-
წყვეტილი ღობე. მარცხნივ გაუხვდევ
და ტყიდანაც გავედი. შორიხლოს
კვლავ უკრავდნენ აკორდეონს. ათიოდ
წუთს მივებოდი და უეცრად ორსართუ-
ლიან სახლთან აღმოვჩნდი. შენობას შე-
მოუვარე. მუსიკას ახლა ბიჭებისა და
გოგონების სიცილი, ლაპარაკი და ფეხის
ტყაპუნი ერთვოდა.

ჩანთა დავდე და სული მოვიტყვი. შე-
ნობის შესასვლელში ერთი პატარა ნა-
თურა ბუტუავდა და იმ მიწოდორს, სადაც
ცეკვავენდნენ, ძლივს ანათებდა. ამიტომ
იქ მყოფთ კარგად ვერ ვხედავდი. მეჩვენ-
ებოდა კი, რომ ყველანი უშნოდა და
ტლანქად, დათვებივით დაძუნძულობ-
დნენ. კარგად რომ დავაკვირდი, დავინა-
ხე, ყველას ჩექმები და დაბამული ქურ-
ქი ეცვა.

რამდენჯერმე შემოვუარე მოცეკვა-
ეებს, მაგრამ ნაცნობი ვერავინ დავი-
ნახე. ლაპარაკზე შევატყვე, უმეტესობა
სტუდენტობა იყო. გადავწყვიტე, ცეკვის
დამთავრებამდე მომეცადა, მერე კი
სტუდენტებს უკან გავყოლოდი.

შემცივდა. ჩანთა ავიღე და კიბეს
ავუყევი. პირველი სართულის დერე-
ფანში იატაკზე მოვიკუნტე. წამთვლიმა
თუ არა, თავზე მოხუცი კაცი წამომაღ-
და. გამხდარი, ჩია ბერიკაცი იყო, თეთრ-
წვერა.

„ეს ბერიკაცი მანინ რაღამ მოიყვანა
აქ?“

— აქ რას აკეთებ? — მკითხა ბერი-
კაცმა.

— არაფერს.

გიორგი კახაიძე
ჩემი პატარა ლანდი

— აბა, გარეთ გადი!
 — გარეთ ცივა.
 — წადი და თქვენს საწყობში დაიძინე, — მითხრა მან, — არ იცი, კანტორის დერეფანში ძილი რომ არ შეიძლება?

— არც მე მიხარია აქ დაძინება, მაგრამ რა ვქნა. ოთახში არავეინ მიშვებს.

— აბა, აბა, — გაჯავრდა ბერიკაცი, — ხუმრობისთვის არ მცალია. გადი გარეთ და იცეკვე, ხომ ხელავ, ყველა ცეკვავს.

— რა მეცეკვება, ბაბუა, ხომ ხელავ, ვალუშპული ვარ. საცაა ვავიყინები.

— მერე აქ რას უდგახარ? წადი და ტანსაცმელი გამოიცვალე.

რატომ ახსენა საწყობი? იქნებ სადმე საწყობში ცხოვრობენ სტუდენტები? უცნაური ამბავი კია, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ შეუძლებელი არაფერი არ უნდა იყოს.

— საწყობი სად არის?

ბერიკაცი ისე უცნაურად დამაკვირდა, ვამეცინა.

— ჩვენი საწყობი...

ბერიკაცი ისევ ვაკვირებული მიმზერდა.

სტუდენტებს საწყობთან არაფერი საერთო არ ჰქონიათ-მეთქი, დავასკვენი. ამასობაში გარეთ აკორდეონის ხმა შეწყდა და არეული, ხმამაღალი ლაპარაკი გაისმა.

— კარგად იყავი, ბაბუა, — დავემშვიდობე ბერიკაცს. წამოვხტი, ჩანთას ხელი დავავლე და გარეთ გამოვვარდი. ხმაურითა და ხმამაღალი ლაპარაკით მიმავალ სტუდენტებს უკან ვაკეცი.

ბნელოდა. რამდენიმე სტუდენტს ჯიბის ელექტროფარანი ჰქონდა და გზას იმით ინათებდნენ. ველზე მივდიოდით. ირგვლივ არაფერი ჩანდა. აღარც სინათლე ციმციმებდა აქა-იქ. ახლა არც თხრილები გვხვდებოდა, არც ორმოები. გუბეები კი ბლომად იყო.

მალე ხელისგულივით სწორ მინდორზე გავედით. ბიჭებმა ფარანი ჩააქრეს. მარჯვნივ ნათურა ბეუტავდა. იქვე პურის უშველებელი კალო აზიდულიყო.

— სად წაიღებენ ამდენ პურს? — იკითხა ერთმა.

— საწყობში.

— მერე ჩვენ?

— ჩვენ ახალ ბარაკში ვადავალთ, ახლახან რომ დაამთავრეს გეოლოგებმა სამხერხაოს უკან. არ დავინახავს?

— საძროხე?

— ჰო...

ჩვენს თვალწინ დაბალი, უსასრულოდ გრძელი შენობა გაიჭიმა.

ბიჭები კარებში შევიდნენ.

მეც შევყევი.

რომ მოვდიოდით, ბევრნი ვჩანდით.

საწყობში ისე ერთბაშად გაიფანტნენ ყველანი აქეთ-იქით, რომ შიშმა შემიპყრო. მეგონა, ისევ უაკაციელ ველზე ვიდექი მარტოდმარტო. აქა-იქ, საწყობის შორეულ კუთხეებში,

კარტოფლის სანთლები ბეუტავდა. მე შუა ადგილას ვიდექი დაბნეული. მერე მარჯვნივ შევყევი. ბოლოს ერთ სტუდენტთან მივედი, საწოლის თავზე მიმაგრებული ელექტროფარნის შუქზე

მადიანად რომ ილუქმებოდა.

— უაკარავად, თქვენ ზაურს ხომ არ იცნობთ?

— ვის, ვის?

ახლა გვარიც ვუთხარი.

— გეოლოგია თუ ეკონომისტი?

— ფილოლოგია.

— ფილოლოგები აქ არ ცხოვრობენ. ფეხები მომეკეთა. მეზობელ საწოლზე ვილაც შეირხა.

— ფილოლოგები ლაზარეცკაში არიან.

— სად? — მაშინვე მისკენ მივბრუნდი.

— ლაზარეცკაში, — თქვა პირველმა, — აქვეა ლაზარეცკა, — ასე, სამოცდაათ კილომეტრზეა. იქ მუშაობენ..

— სამოცდაათი?..

— რაო, ბევრია? — მკითხა პირველმა.

არაფერი მითქვამს.

— მიტო, — მიუბრუნდა პირველი მეორეს, — შენ ხომ არ იცნობ... რაო, რა გვარიაო? — მკითხა მე.

— ავიძმა. სხვებიც არიან: მამია თავ-
ბერიძე და სულთან მერენყული.

— თავბერიძე!—წამოიძახა მიტომ,—
მოიცა ბიჭო, ეგ გვარი განაგონი უნდა
მქონდეს...

— აბა, უშველე, — შეაქეხა პირ-
ველმა.

— საღლაც გამიგონია, ღმერთო გა-
მასხენე.

— გაიხსენე, თუ ძმა ხარ, — შევეხ-
ვეწი, — გრძელცხვირაა, გამხდარი.

— ნამდვილად გრძელცხვირაა?
— ნამდვილად.

— არ მასხენდება და რა გიშველო,—
შეწუხდა მიტო. მერე სასთუმლიდან რა-
ღაც გამოიღო და მომაწოდა, — აბა, გა-
მომართე. ელექტროფარანია, ჩამოიბა-
რე საწოლები და ბიჭებს მიანათ-მოანა-
თე. იქნება იცნო ის შენი თავბერიძე.

ფარანი გამოვართვი.

— ეს საწყობი იმსიგრძეა, — მითხ-
რა პირველმა, — შეიძლება ფარანი გზა-
ში გადაგეწვას და მერე ვერც ჩვენ მოგ-
ვავნებ. გამოიზოგე...

— მართლა, — მითხრა მიტომ, —
ფარანი დიდხანს არ მიაჩერო ბიჭებს სა-
ზეში, ვინმე არ წამოგივარდეს და ჩექ-
მა არ გესროლოს...

— ასეა საქმე? — ვკითხე შეშინე-
ბულმა.

— რა ვიცი, ძმაო, ათასი ჯურის ხალ-
ხია.

გზას გაუღდექი.

სტუდენტები ვიწრო, ზამბარებიან სა-
წოლებზე იწვნენ. ქვეშ თივით გატე-
ნილი ლეიბები ეგოთ. თივის ღერები
აქა-იქ გარეთ იყო გამოჩრილი, თავქვეშ
ზოგს ჩანთა ედო, ზოგს — ვასაბერი ბა-
ლიში, ზოგსაც საკუთარი ქურჭი. ზევი-
დან თხელი საბნები ეფარათ. მივდიოდი,
ჩემი ნაცნობები კი არ ჩანდნენ და არც
საწყობი მთავრდებოდა. ბევრს თავზე
საბანი ჰქონდა წახურული და საქმეს ეს
მიძნელებდა. ერთ ადგილას ასე შეფუ-
თნული სტუდენტი მამიად მივიჩნიე და
მის სასთუმალთან დაკიდებულ ჩანთას
დავაკვირდი. ჩანთაც თითქოს ნაცნობი
იყო და უფრო ახლოს მივიწიე, რომ

ხელით შევხებოდი. ამ დროს სტუდენტ-
მა საბანი გადაიხადა, წამოიწია და
მკითხა:

— რას ეძებ?
ეუთხარი ვისაც ვეძებდი.
თავი გააქნია.
როგორც იქნა, ჩავიარე ერთი რიგი.
მერე მეორეს გამოვუყვიე.

ძებნაზე ხელი რომ ავიღე, იმოდენა
საწყობში ერთი სანთელიც არსად ბეუ-
ტავდა. მიძიმედ ჩამოწოლილიყო სიბნე-
ლე. ამდენ სიარულში მგონი გზა ამე-
რია.

ძლივს მივათრევედი ფეხებს, ისე ვი-
ყავი. სანამ ბიჭების პოვნის იმედი მქონ-
და, დაღლილობას მაინცაღამაინც არ
ვგრძნობდი. ახლა კი ერთბაშად გავსა-
ვათდი. კანკალი დამაწყებინა, ტანსაც-
მელი ისევ სველი მქონდა.. ან რა გააშ-
რობდა! ტანსაცმელს, როგორც იქნება,
გამოვიცვლი, თუ ჩემს ჩანთას მივაგენი,
მაგრამ დაძინებით სად დავიძინო? ია-
ტაკზე? ფეხი მოვუსვი იატაკს. ცემენ-
ტისა იყო. აქ რომ დავწვე და დავიძი-
ნო, ხვალ ველარ ავღგებო.

— მიტო! — დავიძახე, როცა შე-
ვატყვე, გზა ამერია.

— აქა ვარ, — მიპასუხა მიტომ. იქ-
ვე ყოფილიყო, — მოდი.

— ვერ ნახე?
— ვერა.

— ჯუმბერ, ვერ უნახავს.
ჯუმბერი მას რქმევია, წელან ვახშამს
რომ მიერთმევდა.

— ხვალ ლაზარევიკაში მოგიწევს წასვ-
ლა, — მითხრა ჯუმბერმა, — იქ არიან
ფილოლოგები.

— ხვალ ჰო, — თქვა მიტომ, — მაგ-
რამ ახლა რა ქნას ამ კაცმა?

— მართლაც...
ორივენი ღუმდნენ.

მე ვიღდექი, კბილებს რაკარუკი გაუ-
დიოდა.

— ჩემთან დაგაწვედი, — მითხრა
ჯუმბერმა, — მაგრამ ხელავ, ეს ოხერი

გიორგი კეზალაძე
ჩემი პატარა ლანდი

საწოლი რა ვიწროა? — ვერასდობედებით ვერ დავეტყვიო.

— დავეტყვით თუ ვერ დავეტყვით,— თქვა მიტომ, — უნდა დავაწვინოთ.

ჯუმბერს რაღაც აზრი დაებადა თავში.

— მოდი შევეერთოთ.

— რა? — ვერ მიუხვდა მიტო.

— საწოლები შევეერთოთ. მერე სამივე ერთად დავწვეთ.

წამოხტნენ. საწოლები ერთმანეთს მიატყუეს. მე სწრაფად გავიხადე ტანსაცმელი და მათ შუა ჩავწექი. მაშინვე გველნაკბენივით წამოცვივდნენ.

— რა იყო? — ვიკითხე მე.

— მაცივარში ხომ არ იჯექი?

ეუამბე, როგორ ვიმგზავრე. წყლიან ორმოში რომ ჩავყვინთე, არც ის დამვიწყებია. ბოლოს იფიქრეს, მაინც ვერსად გავექცევიო და ნელ-ნელა, ფრთხილად მომიჩოჩდნენ და მომეკრნენ. მალე გავთბი. ცოტა ხნის შემდეგ ისეთი საშინელი შიმშილი ვიგრძენი, მთელი გულ-მუცელი ამეწვა. ჩანთაში ერთი ნაჭერი პურიც არ მედო. ავწრივალდი.

— რა გჭირს, ბიჭო? — მკითხა მიტომ.

— არაფერი... რაღაც არ მეძინება.

— ხომ არ გშია? — მკითხა ჯუმბერმა.

ხმა არ გამიღია.

— ნამდვილად შია, — დაასკვნა მიტომ.

ჯუმბერმა ჩართო თავისი „ელექტროსადგური“. მერე ჩანთიდან პურისა და ძეხვის ნაჭერი ამოიღო, მომაწოდა. თვალის დახამხამებაში გადავსანსლე.

— უნივერსიტეტიდან ხარ? — მკითხა მიტომ.

— არა, — მივუგე მე. ბოლო ლუკმა გულზე დამეცა. სული ძლივს მოვიბრუნე.

— სტუდენტი იქნები,— მითხრა ჯუმბერმა.

მე გულზე ვიცემდი ხელს.

— წყალი ხომ არ გინდა? — მკითხა მიტომ.

— დავლევდი.

— დილაშენ უნდა მოითმინო.

საბანი თავზე წავიხურეთ და დავიძინეთ.

2

დილით ძილში ძახილი ჩამესმა:

— აბა, ბიჭებო! აბა, ბიჭებო!

სამივემ ერთდროულად გამოვიღვიძეთ. ნელ-ნელა, ზმორებით დგებოდნენ სტუდენტები. საწყობის ბოლოში ვიღაც თავგაცხელებული ბურთს თამაშობდა — გაშმაგებით ურტყამდა კედელს. ისეთი ბული დაეყენებინა, თითქმის ნახევარი კილომეტრიდან ეხდავდით.

— აბა, ბიჭებო! აბა, ბიჭებო!

ამას ამბობდა ორმოციოდე წლის. მსუქანი, დაბალი კაცი. პიჯამა ეცვა. საწოლებს შორის დააბიჯებდა, ხელში ჯოხი ეჭირა და გამეტებით ურტყამდა ცემენტის იატაკს.

— ჩვენი ხელმძღვანელია, — მითხრა ჯუმბერმა, — პოლიტეკონომის ლექტორი.

— აბა, ბიჭებო, — ლექტორი უკვე ჩვენს საწოლთან იდგა.

დამინახა და დამაკვირდა:

— ეს რა ოინია? წამოიძახა მან, — ორნი დაწვეთ და სამნი დგებით?

გამეცინა. ავდექი და ჩავიცვი. ჯუმბერი და მიტოც წამოცვივდნენ საწოლიდან.

— ამ ბიჭს მართლა ვერ ვიცნობ.

— სტუმარია, ბატონო ანდრო.

— სტუმარია?

— წუხელ შემოაგდო ქარმა. ფილოლოგებს ეძებს.

— უნივერსიტეტიდან არ იქნები, — მითხრა ანდრომ.

— არა, — მივუგე მე, — სტუდენტი არა ვარ.

მიტომ და ჯუმბერმა ყურები სცქვიტეს.

— მოგვატყუე?

— როდის მოგატყუეთ?

— აკი უნივერსიტეტიდან ვარო.

— ეგ თქვენ თქვით...

— ვის ეძებს? — მკითხა ანდრომ.

ვუთხარი, ვისაც ვეძებდი.

— კარავში ცხოვრობენ, — მითხრა ანდრომ, — ახლავე გაიქეცი. არ გაგასწრონ. ყოველ დილით მანქანებს მიყვებიან ტროიკში და გვიან ბრუნდებიან. ცემენტს ტვირთავენ. ახლავე გაიქეცი.

გული ამიჩქროლდა.

— კარავი სად არის?

— პირდაპირ წადი, — ანდრომ კედლისკენ გაიშვირა ხელი, — მინდორს რომ გადაჭრი და ზვინებს გაცდები, კარავს დაინახავ.

— გამდლობთ! — ვუთხარი ლექტორს. მერე მიტოსა და ჯუმბერს მივუბრუნდი, — გამდლობთ, ბიჭებო...

კისრისტეხით გავვარდი გარეთ. ხუთიოდე წუთში კარავთან ვიყავი. ხელად ვიცანი ჩვენი კარავი. პირველად სულთანმა დამინახა. მიყურებდა და თვალს არ უჯერებდა. ხელში წყლით სავსე ვედრო ეჭირა. ვედრო დაღვა.

მე წელში შევეუვარი და კინაღამ გადავაყირავე.

ახლა ზაურცი დავინახე. კარვის კალთა გადაეწიადა გვიმზერდა. მერე გარეთ გამოვიდა, მე და სულთანი დიდი გაჭირვებით გაგვაშორა ერთმანეთს.

კარავში შემიყვანა და მამიას საწოლზე დამსვა.

— ბიჭოს! — დაიძახა მამიამ, — მოჩვენება ხომ არაა?

— საიდან გაჩნდი? — მითხრა სულთანმა, — ყველაფერი გვიამბე, არაფერი გამოგჩჩეს.

რა გამომჩჩებოდა.

— ცოტა შეამოკლე, — თვითონვე მაწყვეტინებდნენ, — გვეჩქარება.

— აქ რატომ ჩამოდი? — მკითხა ზაურმა, ამბავი რომ დავასრულე.

— სამუშაოდ ჩამოვიდა, — მომეშველა სულთანი, — მაგას რა მიხვედრა უნდა?

— თემური როგორ არის? — მკითხა ზაურმა.

— კარგად. მან მომცა თქვენი მისამართი.

— წერილს რატომ არ გვიგზავნის?

— არ ვიცი. არ გავუგზავნიო.

— თბილისში რას აკეთებს? — მკითხა სულთანმა.

— მისი ბიძაშვილი მისაღებ გამოცდებს აბარებს უნივერსიტეტში. მგონი ამეცადინებს.

— ალბათ, — დამეთანხმა ზაური, — ცხადია, სხვა საქმეებიც ბლომად ექნება, მაგრამ ჩვენ ვინ გვკითხავს.

არ მომეწონა მისი კილო, მაგრამ წყენამ ხელად გამიარა. ყველაფერი, რაც თბილისში დარჩა, ახლა ჩემთვის უმნიშვნელო იყო.

— რახან სამუშაოდ ჩამოდი, — მითხრა მამიამ, — რაღა გვეთქმის. იმუშავე. გიმუშავია ჯერ?..

— არა.

— ცოტათი გაგიჭირდება, — მითხრა სულთანმა.

ზაურმა ჩანთას შეხედა.

— თბილი ტანსაცმელი წამოიღე?

— არა. აქ ვერ ვიშოვი?

— თუ ფულს გაგვატან, ჩვენ ჩამოგიტანთ. ყოველდღე ტროიკში დავდივართ, ცემენტს ვეზიდებით. არა და აქაც არის მალაზია. ზოგ რამეს აქაც იშოვის კაცი.

— მეც წამოვალ.

— ჩვენთან? არ იქნებოდა ცუდი, — მითხრა მამიამ, — მაგრამ მანქანა საშია. კაბინაში კი თითო ადგილია.

— აბა მე სად უნდა ვიმუშაო?

— სამუშაოს მეტი რა აქვთ?

— მე თქვენთან მინდოდა.

— ეგ სულერთია, — მითხრა ზაურმა, — თანაც ჩვენი სამუშაო არც ისე ადვილია. მთელი დღე ცემენტის მტვერში ვიხრჩობით.

— წავიდეთ ანდროსთან, — თქვა ზაურმა და ადგა, — ის მოგიძებნის სამუშაოს.

ისევ საწყობისაკენ გავწიეთ. სტუდენტები უკვე გარეთ გამოფენილიყვნენ. წყალს ეზიდებოდნენ: ვედროებით, ბოთლებით, ჩაიდნებით. ხელპირს იბანდნენ, ტანს იზელდნენ სველი ტილო-

გიორგი კახალაძე
ჩემი პატარა ლანდი

თი. ზოგი ბურთს დასდევდა. ანდრო მოშორებით იდგა და გულმოდგინედ ვარჯიშობდა, თან ახლო მდგომ სტუდენტებს უმტიყცებდა, დილის ვარჯიში ჭანმრთელობისთვის აუცილებელიაო. თუმცა მაშინვე შეატყობდით, რომ ვარჯიში ეზარებოდა და ამ ლექციას საკუთარ თავს უფრო უციოთხავდა, ვიდრე სხვებს.

— სალამი, ბატონო ანდრო, — მიესალმა ზაური, — სამშობლოს ერთგული შეილი მოგიყვანეთ.

— რაო, რა მინდაო? — პოლიტიკონომის ლექტორმა ვარჯიში შეწყვიტა.

— სამუშაოს ეძებს.

— მართლა? — შემეკითხა ლექტორი.

— დიახ...

— ეგ ჩემზე იყოს. ახლა ვისაუზმებთ და საქმეს გიშოვი. ბინა? ბინაში თქვენთან იქნება? — ჰკითხა ზაურს.

ზაური ჩაფიქრდა.

— არ ვიცი, როგორც აჯობებს.

— ჩვენთან დარჩი, — მითხრა ანდრომ, — საწყობში მალე უკეთეს ადგილას გადავიყვანენ. დღესვე მოვატანიებ საწოლს. ლეიბის პირი გაქვს?

შევეყოყმანდი.

— არა გაქვს? — ახლა ზაურმა მკითხა.

— არა.

— დღესვე იყიდე, — მითხრა ანდრომ, — ჩვენს მაღაზიაშიაც არის. დღესვე იყიდე და თივით გატენე. საწოლს კი მე მოვატანიებ.

ზაური წავიდა.

ანდრომ ერთი ორჯერ კიდევ ჩაბუქნა. მერე წავიდეთო, მითხრა და სასადილოსაკენ გავემართეთ.

საუზმეს რომ მოგრჩით და გარეთ გამოვედით, ანდრომ ერთი მაღალ-მაღალი სტუდენტი გააჩერა და ჰკითხა: არშინანები ხომ არ დაგინახავსო. მე ყურები ვცქვიტე. სტუდენტი ვერ მიუხვდა, რას ეკითხებოდა ანდრო.

— რა ბრძანეთ?

— სოსო ჰყონიას ჯგუფი ხომ არ დაგინახავს?

— არ დამინახავს... სამუშაოზე იქ-

ნებიან, ბატონო ანდრო. გათენებულო არ არის, სამუშაოდ რომ გარბიან.

— დღესაც მიწურს თხრიან?

— ვერაფერს გეტყვით. მგონი, ჰო...

— აბა, წავიდეთ, — მითხრა ანდრომ.

— წავიდეთ.

არშინანებს იმიტომ ვეძახით, მიხსნიდა გზადაგზა ანდრო, რომ ჰყონიას ბრიგადის წევრები ყველანი ტანმორჩილები არიან, თითქოს ერთ თარგზე გამოუჭრიათო. მაგრამ მუშაობა კარგი იციან და, საერთოდ, კარგი ბიჭები არიანო. შენი თავი იმათ უნდა ჩავაბარო. ამხედ-დამხედა და დაუმატა:

— ტანდაც შეეფერები...

ცნობისმოყვარეობით ვათვლიერებდი იქაურობას. ნეტავი, სად დავეხეტებოდი წუხელ? დამით უკაცური ჩანდა ყველაფერი, ახლა კი ბლომად ვხედავდი სახლებს. ჩვენგან ზელმარცხნივ, არყის ტყე მოჩანდა. ვიფიქრე, ფიცრულ ღობეს რომ მივყვებოდი, ალბათ თავი იმ ტყეში ამოგყავი-მეთქი, მაგრამ ღობე ვერსად დავინახე.

ერთხანს ვითმინე. მერე ვუთხარი ანდროს, რასაც ვეძებდი.

— ფიცრის ღობე სამხერხაოს უკანაა. რაიონის ცენტრში მანქანები მხოლოდ იმ მხრიდან მიდიან. იქ ჩამოგსვამდა მძღოლი.

— მერე ტყე?

— ტყე იქაც არის.

ერთ ხანს კიდევ ვიარეთ და შემდეგ ერთბაშად წავადექით თავს არშინანებს. ორმოს თხრიდნენ.

— გამარჯობა, ბიჭებო!

— სალამი, ბატონო ანდრო.

სტუდენტებმა მუშაობა შეწყვიტეს და ამოგხედეს.

— როგორ გაქვთ საქმე?

— კარგად, ბატონო ანდრო.

— აი, კიდევ ერთი კაცი მოგიყვანეთ. აბა, თქვენ იცით, როგორ მოუვლით.

ბიჭებმა თავი ჩემკენ მოაბრუნეს და დამაცქერდნენ. ხმა არ გაუღიათ.

— რაო, არ მოგწონთ?

მართლა კარგი ბიჭები ჩანდნენ, ჩემზე დიდად უფროსები არ უნდა ყოფი-

ლიყენენ. ზოგს ახლახან შეგინგლოდა საულვაშე. ერთხანს მიმზირეს, მერე კი ერთ-ერთ ამხანაგს გადახედეს. ტანად იგი ყველაზე დაბალი იყო. ხმელი, მრგვალი სახე და ბრტყელი თავი ჰქონდა. ჭერა თმა კინკრებიოზე საგრძნობლად შეთხელეობდა. ჰრელ თვალებს მოუსვენრად აცეციბდა იქით-აქეთ. დანარჩენებზე ერთი ხუთი წლით უფროსი მაინც იქნებოდა, თუ მეტით არა.

— რაო, სოსო, — ჰკითხა ანდრომ, — ჩაიბარებ ამ ბიჭს?

ეს ყოფილა ბრიგადირი ჰყონია-მეთქი, გავიფიქრე.

სოსო ყოყმანობდა.

— ბატონო ანდრო... — ამოღერდა ბოლოს.

— ბრძანეთ.

— როდისმე ჩვენზე გავიგონიათ რამე ცუდი?

უკვე ვიგრძენი, რის თქმაც უნდოდა.

— არა, სოსო, როგორ გეკადრება.

პირიქით.

— ჰოდა, აქ ჩვენ სხვა არავინ გვინდა. ამდენი ხანია, ერთად ვმუშაობთ და ბოლომდეც ერთად ვიმუშავებთ. უცხოს არავის გავირევთ.

— ვინაა, ბიჭო, აქ უცხო, — უთხრა ანდრომ, — ვის ხედავ უცხოს. ყველანი ჩვენი ბიჭები არ არიან? — თან შემომხედა.

სოსომ ცერად გადმოხედა, მერე მოლაპარაკების დამთავრების ნიშნად ბარს მოჰკიდა ხელი... მაგრამ უკანასკნელ წუთს გადაიფიქრა:

— დარჩეს...

— ასე, — თქვა ანდრომ, შებრუნდა და სწრაფად წავიდა სამხერხაოსაკენ. თითქოს ეშინოდა, სოსომ თავისი სიტყვა არ გადათქვასო.

მაშინვე მივხვდი, რაც ჰქონდა ვუნებაში სოსოს, მოულოდნელად თანხმობა რომ განაცხადა და თავის ბრიგადაში მიმიღო: ლექტორის წყენინებას მიუბრუნდა. თავის კარგ ავტორიტეტს უფროს ხილდებოდა. ჩემს მოცილებას კი სხვა-ნაირადაც შეძლებდა.

საინტერესოა, მაინც როგორ მომიცილებს?

ყველაზე ჰკვიანური ის იქნებოდა, დროზე მეტქვა უარი და წავსულიყავი. მაგრამ აქ ჰყონიასაც ეს უნდოდა. მე კი სულაც არ მინდოდა ისეთი რამ გამეყეთებინა, რაც მას გაახარებდა.

— რა გავაკეთო? — ვკითხე.

— მანდ ბარი აგდია, — მითხრა ერთმა ბიჭმა, — აიღე და ორმოში ჩამოხტი.

სიმაართლე რომ ითქვას, მუშაობით ნამდვილად მაგრად მუშაობდნენ არშინიანები. როცა საქმეს აკეთებდნენ, ბომბიც რომ გამსკდარიყო ახლომახლო, თავს არ წამოსწევდნენ. რა თქმა უნდა, თუ ჰყონია არ უბრძანებდათ. სწორედ ის არ მომეწონა, ყურმოჭრილი მონე-ბივით რომ ემორჩილებოდნენ იმ თავბრტყელას. „აბა, კაკო, — უბრძანებს ჰყონია, — წადი, ჰიდან წყალი მოიტანე“. კაკო უკანმოუხედავად გარბის. „ტიტე, წადი, სამუშაოთა მწარმოებელი მოძებნე, მგონი რალაცა შეგვეშალა...“ ტიტეც არ აყოვენებს. „გივი, ფიცრები მოათრიე...“ მივირის, სად მოაგროვა ასეთი ცხრები. ერთი ტიტე თუ გაუჯი-უტდება ხანდახან, მაგრამ ისე უდროოდ და ბრიყვულად, თვითონვე ვარდება უხერხულობაში. გივი ტიტეს ძმაა. ასეთი კეთილი და უწყინარი ბიჭი ჩემს დღეში არ მინახავს. მისი უფროსი ძმა სრულებით საწინააღმდეგო ხასიათისაა. კაკო ლამაზი, ჩასუქებული ბიჭია. ცოტათი ენა ებორკება ხოლმე, ამის რცხვენია და ათასში ერთხელ თუ ამოიღებს ხმას. ზის და ილიმება. ესაა მისი მკვირმეტყველება.

შუალდემ რომ მოაღწია, მე უკვე ოფლში ვცურავდი. სხვები შეუესვენებლად მუშაობდნენ და მარტო მე ხომ არ გავჩერდებოდი. არადა, არ მომწონდა ასეთი თავგანწირვა. მე მგონი, მხოლოდ იმიტომ მუშაობდნენ თავგადადებული, ფიქრობდნენ, ვერ გავუძლებდი და გავიქცეოდი. რა იცოდნენ, სწორედ ის

გიორგი კვახაშვილი
ჩემი პატარა ლანდი

მაძღვებინებდა, რომ ჭყონიას გახარება არ მინდოდა. ვხედავდი, სხვებსაც უჭირდათ. თვითონ სოსო კი მშვენივრად გრძნობდა თავს. ალბათ თავისი დღე და მოსწრება ბარი ეჭირა ხელში.

— აბა, მოსწიეთ, ბიჭებო, — აცხადებს ჭყონია. კიდეც კარგი, პაპიროსს ეწევა და იძულებულია, ამ დროს სხეებიც დაასვენოს. ზევით ავდივართ და ახლამოყრილ, ჯერ კიდეც ორთქლიან მიწაზე ვსხდებით. ტიტე სიგარეტის კოლოფს იღებს ჯიბიდან და მეთაურს აწოდებს. მხოლოდ ეს ორი კაცი ეწევა. ხანდახან გვიც ვააბოლებს ხოლმე, მაგრამ უფროსი ძმა უშლის. განა იმიტომ, რომ ძმა ეცოდება და მის ჯანმრთელობაზე ზრუნავს. სულაც არა. თავს იმიტომ იღებს, აქაო და გახსოვდეს, რომ უფროსი ვარ და ჩემთან მორიდებით უნდა იყო.

— რატომ აშენებთ ამ მიწურებს? — ვკითხე გვიგის.

— ზამთრისთვის ასეთ მიწურებში ინახავენ თურმე პროდუქტს, — მითხრა გვიგამ, — საქონელსაც უმეტესად ამნაირ ნაგებობებში აბინავენ, — შიგ უფრო თბილა. ამას წინათ სახბორე ვაგვკაკეთებინეს, ორმოცდაათი მეტრი ექნებოდა სიგრძე. რაც ჩამოვედით, სულ მიწურებს ვთხრით...

— მერაბ, შენ ფილოლოგი ხარ? — მკითხა კაკომ. შერცხვა, ენა რომ შეებორკა და გოგოსავით გაფითლდა.

სტუდენტი არა ვარ-მეთქი, ვუთხარი.

— აბა? — იკადრა ბრიგადირმა ხმის გაცემა, — აქ რატომ წამოგყვანეს?

— ჩემით წამოვედი.

— არა, მართლა?!

— ჩემით წამოვედი, — გავუმეორე, — ავდექი და წამოვედი. რატომ გიკვირს?

ბიჭები მიყურებდნენ და არაფერს ამბობდნენ. სოსოს თვალებში ვატყობდი, რომ არ სჯეროდა. მერე თავისებურად ახსნა ჩემი აქ ჩამოსვლა.

— აქ თუ კი იმუშავენ კაცი, ფულის გაკეთება შეიძლება.

სასადილოს მხრიდან ჩვენკენ ვილაც

კაცი მოდიოდა. ილიაში საქალაქე ჰქონდა ამოჩრილი.

— სტეპანიჩი მოდის, — თქვა ტიტემ. სამუშაოთა მწარმოებელი ყოფილიყო.

სტეპანიჩი მოგვესალმა, ორმოში ჩაიხედა, საკმარისიაო, თქვა. მერე სოსოს მიუბრუნდა:

— კაცი მომეცი. ნაგვერდულებს გამოვატან. ბარემ კედლებიც ამოიყვანეთ და გადახურეთ.

სოსო გაჯავრდა.

— მანამდე ტყუილად უნდა ვიჯდეთ? სად იყავი აქამდე? ყოველთვის ჩვენ უნდა გეძებოთ?

სტეპანიჩმა მხარზე დაჰკრა ხელი.

— რა ვიცოდი, თუ მიწის სამუშაოს ასე მალე მორჩებოდით. მაგარი ბიჭები ხართ. ცოტა დაისვენეთ და ამასობაში მასალასაც მიიღებთ.

სოსომ შემომხედა:

— წაჰყევი.

სტეპანიჩი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ. ვცდილობდი, არ ჩამოვრჩენილიყავი, მაგრამ ამაოდ: მხოლოდ სირბილით თუ დაეწეოდა კაცი. სამხერხაოს ჭიშკართან რომ მივიდა, მოიხედა და დამელოდა. რომ მივუახლოვდი, მითხრა:

— აქ მომიცადე, ახლავე მოვალ, — ჭიშკარში შევიდა, მაგრამ მაშინვე გამოვიდა და დაუმატა, — აქ ერთი ბერიკაცი ორთვალას მოიყვანს, უთხარი, არსად წავიდეს.

— კარგი.

სამხერხაოს გვერდით სახელოსნო იყო. ცოტა ქვევით ექსკავატორი მუშაობდა. ირგვლივ ისეთი გუგუნე, ხერხების წვილი, მოტორების თუხთუხი იღვა, ჯოჯოხეთში მოვხვდიო, იფიქრებდი. ამას დაუმატეთ ისიც, რომ მუშები ყბის ახლგამდე ყვიროდნენ და ერთმანეთს მაინც ვერაფერს აგებინებდნენ. დროდადრო ჭიშკარს სტუდენტები მოადგებოდნენ მანქანით. მშენებლობისათვის ძელები და ფიცრები სჭირდებოდათ. ატყდებოდა ერთი დავა და ჩხუბი. ვილცას არ სურდა მითთვის მასა-

ლის გატანება. ვილაც სხვა მიზნისათვის აპირებდა ძელების გამოყენებას მაგრამ სტუდენტები არაფერს ეპუებოდნენ. პირდაპირ ყრიდნენ მანქანებზე ძელებსა და ფიცრებს.

ვიდექი და სტეპანიჩის გამოჩენას ველოდი. შუადღე იყო. ცხელოდა. თანაც მომშივდა. ბოლოს ეზოში შევედი. ვაიარე მიყრილ-მოყრილ ძელებსა და ფიცრებს შორის. ყოველი მხრიდან ცვიოდა ახლად დახერხილი ძელები და ფიცრები, ნაფოტები და ნაგვერდულეები. ეზოს ერთი კუთხე ლარტყებით იყო საყვ. მალე მხერხავებს წავადექი თავზე. დიდხანს ვაცეცე თვალეები, მაგრამ სტეპანიჩი ვერსად დავინახე. ახლა სახელოსნოსაკენ გავწიე. იქიდან რომ გამოვედი, მიტოსა და ჭუმბერს შევეფეთე: ჭიშკართან მანქანა მიეყენებინათ და სწრაფად ტვირთავდნენ ზედ ლარტყებს.

— ბიჭო, ჰე! — დამიძახა ვილაცამ. მაშინვე ვიციანი მიტოს ხმა.

— აქ რას აკეთებ? — მკითხა ჭუმბერმა.

— სტეპანიჩს ველოდები, ხომ არ დავინახავს?

— სტეპანიჩი? იქით მიცუხცუხებდა, — მიტომ ქვევით გაიშვირა ხელი. მაშინ თუ გამოშეპარა, სახელოსნოში რომ შევედი.

— ნახე შენი ძმაკაცები? — მკითხა მიტომ.

— კი, ვნახე.

— სტეპანიჩი რად გინდა? მუშაობა ხომ არ დავიწყია?

— ჭყონიასთან ვარ.

„სად ვეძებო სტეპანიჩი? — ვფიქრობდი მე. — ახლა არშინიანებთან თავის მართლება არ გინდა?“. —

— მაჩვენე ხელები, — მითხრა ჭუმბერმა.

ხელები გავუშალე. უკვე ბლომად დამჭდომოდა ხელისგულზე კოჭიყები.

— ჯერ სადა ხარ, — მითხრა მიტომ, — ჭყონია სულს ამოგზდის.

ამ დროს ტიტე დავინახე. გაცხარებით მიქნევდა ხელს. რალაცას ყვირო-

და, მაგრამ რას გავიგონებდი იმ ხმაურში? იქით გავეშურე.

— სადა ხარ აქამდე? — დამიყვირა, ცოფს ყრიდა.

— აქა ვარ, ვერა მხედავ?

— ოთხი კაცი ამდენი ხანია გელოდებით. სად არის ნაგვერდულეები?

— მე რა ვიცი, სად არის.

— სტეპანიჩი?

— არ ვიცი...

— არაფერი არ იცი?

— არა.

ტიტემ უცებ ორთვალა დაინახა. იქით გაქანა, ცხენს აღვირში სტაცა ხელი და ჭიშკართან მოიყვანა. მერე სასწრაფოდ შეუდგა ორთვალაზე ფიცრების დაყრას.

— მომეხმარე, რას უყურებ! — მიყვირა.

— ეგ ხომ ფიცრებია, — ვუთხარი, — სტეპანიჩმა თქვა, ნაგვერდულეები უნდა წაილოო.

— ფეხებზე მკილია, ფიცარი იქნება თუ ნაგვერდული. ჩვენ საქმე დავიწყეთ და უნდა დროზე დავამთავროთ.

— მაინც არ გაატანენ, ბიჭებო, — გვითხრა ორთვალის პატრონმა ბერიკაცმა, რომელიც იქვე, მორზე იჯდა და პაპიროსს აბოლებდა, — სადაა მიწურებზე დასახარჯავი ფიცარი.

— ეგ ჩემი საქმეა, — უთხრა ტიტემ.

ბერიკაცს არაფერი უთქვამს. მგონი არ გაუგონია ტიტეს დანაქადები.

ორთვალა მალე დავტვირთეთ. ტიტემ ბერიკაცს ანიშნა, გზას გავუდგეთო, მაგრამ მან ცხენს აღვირში მოჰკიდა ხელი და ორთვალა კუთხეში მიაყენა.

— ჯერ სტეპანიჩი მოვიდეს. მე რა უფლება მაქვს...

ტიტემ ბევრი იფაფხურა, მაგრამ ბერიკაცი ადგილიდანაც ვერ დასძრა. ამასობაში მოვიდა ჩვენი სტეპანიჩიც. იგი მაშინვე ორთვალას მივარდა და ფიცრები ძირს გადმოყარა, თან ილანძლებოდა, თქვენ ხომ არ გავიყდიოთ, ამ ფიცრებს მიწურისთვის როგორ გავი-

გიორგი კვამლიაძე
ჩემი პატარა ლანდი

მეტებით. ორთვალა ახლა ნაგვერდულებით დავტვირთეთ.

ორთვალას ტიტე გამოჰყვა, მე კი სასადილოსაკენ გავწიე — ძალიან მშინოდა. თანაც ტიტემ დამადრთხო, ჭყონია დღეს სასადილოში არ გავიშვებო.

რომ დავბრუნდი, სოსო და მისი ბიჭები გახელებული მუშაობდნენ. ორმოცი წუთი დამაგვიანდა. სასადილოში რიგი იყო და იმითმ. არშინიანებმა არც კი გამოიხედეს ჩემკენ. ეტყობა, მკაცრად გაეფრთხილებინა ისინი მეთაურს, ჩემთვის იოტისოდენა ისინი მეთაურს, ჩემთვის იოტისოდენა ყურადღებაც არ მოექციათ. მე მაინც ჩავერეე საქმეში. ზოგს ნაგვერდულს ვაწოდებდი, ზოგს — ლურსმანსა და ჩაქუჩს. მაინც გულმოდგინედ ცდილობდნენ ეგრძნობინებინათ ჩემთვის, სრულებით უსარგებლო ხარ და უშენოდაც იოლად წავეალთო. მეც მომბეზრდა ასეთი მუშაობა. შორიანს მოზრდილ ქვაზე ჩამოვკეჭი და უგულოდ ვადევნებდი თვალს მათ ფაცაფუსს.

დროდადრო ჩემკენ მალულად გამოაპარებდნენ თვალს. ხმას მაინც არ იღებდნენ. ბოლოს ტიტემ ვერ მოითმინა:

— წყალი მაინც მოგეტანა.

ავდექი, ვედრო ავიღე და ჭისკენ გავწიე.

— შენ თვითონ წასულიყავი, — მომესმა სოსოს ხმა, — ახლა იტყვის, მეც საქმეს ვაკეთებო.

— ნერვები მომეშალა, — მიუგო ტიტემ, — იჯდა ფაშასავით.

— იჯდეს მერე, ჩვენთვის უკეთესი არაა? მოვა ანდრო, ვეტყვით ყველაფერს და თავიდან მოგვაშორებებს.

წყალი მოვიტანე, ვედრო ჩეროში დავდგი და ისევ ქვაზე ჩამოვკეჭი. ბიჭებმა ამასობაში კედლები ნაგვერდულებით ამოაშენეს და მიწურის გადახურვას შეუდგნენ. აქ ზედმეტი მუშახელი სწორედ მისწრება იქნებოდა, ავდექი და სოსოს ვკითხე:

— რაო, არ ვიმუშაო?

— იმუშავე, ვინ გიშლის?..

ისევ მომდურავით მეპყრობოდნენ.

არაფერს ვამბობდი. ველოდი, როდის მორჩებოდნენ ამ კუქუმალულობანას ან რას ეტყოდნენ ანდროს.

ანდრო ეტლიანი მოტოციკლეტით მოვიდა. სამნი იყვნენ. საჭეს ახალგაზრდა ბიჭი უჯდა. მის უკან, უნაგირზე შუახნის, ტანმორჩილი კაცი იჯდა და წარბშეკრული იხედებოდა აქეთ-იქით. ეტლში ანდრო გამოჰქიმულიყო.

ჩვენ რომ გავგისწორდნენ, ტანმორჩილმა კაცმა ბიჭს ანიშნა, გააჩერეო. მოტოციკლეტი გაჩერდა.

— ამითხე ამბობდი? — ჰკითხა კაცმა ანდროს.

— დიახ, ბატონო დემეტრე.

— როგორ ხართ, ბიჭებო? — გვკითხა დემეტრემ.

— გმადლობთ, კარგად ვართ, — დადნა სოსო.

— მართლა ასე კარგად მუშაობთ, თუ ტყუილად გაქებენ? — იკითხა ისევ.

— კარგად მუშაობენ, — უპასუხა ანდრომ.

დემეტრემ მეც დამინახა.

— ეს ვინაა? ვერ ვიცანი...

— ჯერჯერობით არ არის ჩვენი სტუდენტი, — უთხრა ანდრომ, — მოხალისეა! — სოსოს მიუბრუნდა, — ხომ კარგად მუშაობს?

— მუშაობს, — ჩაილაპარაკა სოსომ.

— წავიდეთ, — თქვა დემეტრემ და საჭესთან მჯდარს ანიშნა, აამუშავეო.

მოტოციკლეტი აგუგუნდა და სწრაფად მოსწყდა ადგილს.

— ვინ იყო ის კაცი? — ვკითხე გივის.

— კობიძე, — ეგ არის ჩვენი უფროსი. უნივერსიტეტის პროფკავშირის თავმჯდომარეა.

— უნდა მეთქვა, როგორც მუშაობ, — მითხრა სოსომ, — მაგრამ შემეცოდეს. სულ გავაგდედა ამ მეურნეობიდან. მით უმეტეს, სტუდენტი რომ არ ყოფილხარ... ფიცხი კაცია, თუ გაბრაზდა, შებრალება არ იცის.

— შენს ტყავს მოუარე, — ვუთხარი, — მე ვერავინ გამაგდებს. მით უმეტეს, სტუდენტი რომ არა ვარ. ის შენი

კობიძე სტუდენტების უფროსია და არა ჩემი...

სოსო მიყურებდა, ალბათ ფიქრობდა, რა ვუთხრა ისეთი, რომ ფარ-ხმალი ერთბაშად დავაყრევინო.

— მიხვდი? — ვკითხე მე, — თუმცა რას მიხვდები მაგ ბრტყელი თავის პატრონი.

— რას მიხვდავ?!..

— ჭკუით იყავი, თორემ უარესს გავბედავ.

— რაო ვითომ?

— გაგაბრტყელე! — ხმას აეუწიე.

არ გეგონოთ, მართლა ასეთი გულადი ვიყო. პირიქით, მაგრამ ხანდახან ისეთ რამეს ვბედავ, მე თვითონ მიკვირს ხოლმე. აი, თუნდაც ახლა, მზად ვიყავი ერთი გემოზე მიმეკერებია ჭყონიასათვის, თუმცა ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ მომეროდა. ჭანიანი ბიჭი ჩანდა.

სოსო გაჩუმდა და ტუჩი მოიკვიცია. თან თვალებს აბრიალებდა და თავს აქნევდა. აქაო და ძალიან გაბრაზებული ვარ, მაგრამ შენთან თავი როგორ გავიცვალო. კინაღამ დაისისხლიანა ტუჩები, ისე გამწარებით იკვნეტდა. ვითომდა ჩემი მოთმინება ბეწვზე ჰკიდია და ეს-ესაა მიღალატებსო. მაგრამ მე რას მომატყუებდა: თავს იმიტომ იკავებდა, რომ ეშინოდა, არ მოხვედროდა. აჰ, თავის ყურმოჭრილ მონებთან სირცხვილი რომ ეჭამა, მათზე ხომ საშუღამოდ დაკარგავდა გავლენას.

სალამოს, ბინაზე რომ დავბრუნდი, ანდრომ დამიძახა და მითხრა, შენთვის საწოლებთან დავადგმევინეო. ეს ამბავი დიდად არ გამხარებია, მაგრამ, რა თქმა უნდა, არაფერი მითქვამს. არ მინდოდა ანდროს ეფიქრა, ბიჭებთან შეგუება გაუძნელდა, ამხანაგობა არ სცოდნიაო.

ანდრომ მკითხა, ლეიბის პირი თუ იყიდევო. დღეს ერთხელაც არ მომგონებია, ლეიბის პირი რომ მქონდა საყიდელი. მიანც სოსოს დავაბრალებ. ეგ კი არა, სასადილოშიც არ მიშვებდა-მეთქი. ანდრომ თავი გადააქნია და თქვა, იმ ბიჭმა ხანდახან ნამეტანი იცისო. ახლა-

ვე წადი მაღაზიაში, იქნება ღიას მიუსწროო. გავიქეცი. ლეიბის პირიც ვიყიდე და საბანიც.

ლეიბის პირი თევით გავეტენე, საწოლზე დავაგე და დასაძინებლად მოვემზადე. ძალიან ვიყავი დაღლილი. მაგრად ვიმუშავე დღეს. წელი მტკიოდა და ხელისგულები გადაღლეტილი მქონდა. ხვალ ასე არ მოვიკლავ თავს. კისერი უტეხია ჭყონიას.

ტიტე, გვიც და კაკოც იქ იყვნენ. ტიტემ სამართებელი ამოიღო ჩანთიდან და თავისი ორი ღერი წვერის პარსვას შეუღდა. ვუთხარი, რაღას იპარსავ, წინხი მაგრად დაჰკარი მაგ ცემენტის იატაკს და თავისით ჩამოგცვივამეთქი. ტიტემ მიიხედ-მოიხედა, მეთაური არ მისმენდესო და ხმადაბლა მითხრა, მე სოსო არ გეგონო, არ მიყვარს, კაცი რომ გადაამალაშებსო. თუ არადა, რას უზამმეთქი, ვკითხე. ეგ ჩემი საქმეაო, მიპასუხა. როცა საჭირო იქნება, შენი თვალთ დაინახავო. კაკოს ვკითხე, ტიტე რომ იპრანჭება, პაემანზე ხომ არ მიდისმეთქი. კაკომ თავი დამიქნია, ჰო, მიდისო.

— ლამაზი გოგოა? — ვკითხე ტიტეს.

ტიტემ უსიტყვოდ გადაყლაპა ნერწყვი.

— ჯერ არ გიკოცნია?

— ჰე, — ტიტემ ხელი აიქნია, — შენც თქვი რაღა. გოგოს კოცნა დიდი რამე თუ გგონია.

— დიდი რამეა თუ ცოტა, მაგას არ გეკითხები.

— რას აკოცებდა, — უღალატა ძმას გვიმ, — პირველად წუხელ ნახა ცეკვაზე.

თურმე ვინ ყოფილა, წუხელ კანტორის წინ ბულს რომ აყენებდა.

— ყოველ საღამოს დაღიხართ ცეკვაზე?

— ეს ყოველ საღამოს დაღის, — თქვა გვიმ და ძმისკენ გაიშვირა ხელი, — მე და კაკოს ძილი გვირჩევნია.

გიორგი კვამლიაძე

ჩემი პატარა ლაღლი

— სოსო?

— სოსო ერთხელაც არ ყოფილა საცეკვაოდ. დაღამდებან თუ არა, დაწვება და სძინავს.

— წასვლის ნებართვას ხომ იღებთ მისგან?

ტიტემ შემომიბღვრა.

ღილით ყველას ეძინა, სოსომ საბანი რომ გაღამაძრო.

— აღექი, რას უყურებ?

— ასე აღრე?

— ჩვენ ყოველდღე ასე ვღვებოთ.

ზღაზღვნით ავღექი და ჩაიცივი.

ტიტემ და კაკომ პიდან წყალი მოიტანეს. სოსო წელს ზევით გატიტვლა და ტანი სველი ტილოთი დაიზილა. ჩვენც მივბაძეთ. სოსომ სირბილი დაიწყო — ათოდე წუთს ირბინა, მერე ახლოს მოვიდა და მითხრა:

— მეზღვაური ვიყავი...

ჩაიცივა და ვარჯიში დაიწყო. ხელები გაშალა და ისევ მოხარა, ჩაჯდა და აღგა.

— ასე უნდა ივარჯიშო.

ეს არც შერიგება იყო, არც დარიგება. მაფრთხილებდა, ყოველ ღილით ასე ვვარჯიშობ, ჩემთან მორიდება გმართებსო.

მართლაც ძარღვიანი ბიჭი იყო — მაგრადაც მუშაობდა. ჩემზე ბევრად ღონიერი იქნებოდა. ჩხუბზე რომ მიმდგარიყო საქმე, მომეროდა. მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, თავის დღეში ვერ მახლებდა ხელს. ზოგიერთს კუნთები ასკდება, მაგრამ ჩხუბის სიკვდილივით ეშინია. ესენი განსაკუთრებული კატეგორიის ლაჩრები არიან და მათთან მუდამ უშიშრად უნდა გრძნობდე თავს.

— აბა, გვეყოფა ახლა, — ბრძანა ბოლოს სოსომ.

ვისაუზმეთ და მიწურის თხრას შევედღექით. შესვენებაზე სოსოს რაღაც მოაგონდა, კანტორაში მივალო, დაგვიბარა და წავიდა. ოციოდე წუთის შემდეგ აყვირებული დაბრუნდა. ერთ ხანს ვერ მივხვდი, რა აყვირებდა. მერე, ტიტეც რომ აპყვა, როგორც იქნა, მოვედი აზრზე: თურმე სამუშაოთა მწარმოებელს

მათთვის არ გამოეწერა იმდენი ფული, რამდენსაც მოელოდნენ.

გივი და კაკო ღუმდნენ. ხანდახან თუ გააქნევდნენ თავს დანანებით და იტყოდნენ: „ესაა საქმე?.. გაგვაცრუეს და ეგაა...“

ამ დროს სტეპანიჩი დავინახეთ. ჩვენც მოცუბტუხებდა. ტიტემ და სოსომ უფრო აუწიეს ხმას.

— დღეიდან ხელსაც არ გავანძრევთ! — განაცხადა სოსომ, როცა სტეპანიჩი ახლოს მოვიდა, — მორჩა და გათავდა!

— რა მოხდა, ბიჭებო? — იკითხა სტეპანიჩმა.

— კარგად იცი, რაც მოხდა, — უთხრა ტიტემ და იმის ნიშნად, რომ გაფიცვა ცარიელი მუქარა არ იყო, იქვე, მიწაზე დაჯდა.

— არაფერი მესმის?!

სოსო და ტიტე ღუმდნენ.

— გამაგებინეთ, რაშია საქმე?

— სახბორეში ფული რამდენი გამოგვიწერე? — წამოხტა ტიტე.

— რამდენიც გეკუთვნოდათ.

— რამდენიც გვეკუთვნოდა, არა? ჰოდა, ასე იყოს. დღეიდან ხელსაც არ გავანძრევთ. ვისაც გინდა, იმას აკეთებინე ეგ შენი მიწურები.

— სახბორე თქვენ ხომ არ დაგიწყიათ, — თქვა სტეპანიჩმა, — თქვენი მუშაობას რომ შეუღდქით, ნახევარი სამუშაო დამთავრებული იყო.

— აკი დაგვიპირდი, — უთხრა სოსომ, — ისე გვაფორმებ, თითქოს თქვენი დაწყებული ყოფილიყოსო. დაგავიწყდა? სიტყვა სიტყვა, ჩვენ ამ პირობით მოგვიდეთ ხელი სამუშაოს.

— არ გამოვიდა... დამიჯერეთ, ვეცადე, მაგრამ არ გამოვიდა.

— მიწის ამოთხრაში რა გამოგვიწერეთ?

— აქ ყველგან ასეთი ნორმებია. აბა — შეგხვდათ სადმე ქვა? მთელი დღე რომ თხაროთ მიწა, ერთ კენჭსაც ვერ წააწყდებით... ის ნორმა, თქვენ რომ მითხარით, ქვა-ღორღიანი ადგილებისთვისაა გათვალისწინებული.

— ამდგარიყავი და დაგეწერა, თითქოს ქვიანი ყოფილიყო, — უთხრა სოსომ, — ხუმრობა საქმეა? რამსიშორიდან ვართ ჩამოსული...

— თავს ნუ გვაძაღლი! — გაბრაზდა სტეპანიჩი.

— არ ვიმუშავებთ, — თქვა სოსომ, — მორჩა... წამოდით, ბიჭებო!

წავიდა. სხვებიც ცხვრებივით გაჰყვივნენ.

სტეპანიჩი მიხვდა, საქმე ცუდად იყო.

— მოიცადეთ, ბიჭებო... რა დროს ეგ არის... რამდენი საქმე გვაქვს!

სოსო და მისი ბიჭები ჯიუტად განაგრძობდნენ გზას.

— თქვენს ხელმძღვანელს ვეტყვი, — მონახა გამოსავალი სტეპანიჩმა, — ის გაიძულებთ!

სოსო მობრუნდა.

— ჩვენ ვერავინ გვაიძულებს!.. სამუშაოს თქვენი მიზეზით ვტოვებთ, — ცოტა ხანს დუმდა, მერე დაუმატა, — რაო, ცუდად ვმუშაობდით? თვითონ შენ ავვიცრუე გული.

— მერე ეგ რა სინდისია?! — სტეპანიჩმა ხელები გაშალა. წითური სახე ერთიანად წამოუჭარხლდა. — ეგ რანიირი სინდისია?! ბოლოს და ბოლოს რისთვის ჩამოხვედით? იმისათვის ხომ არა, რაც შეიძლება ბევრი ფული ჩაიჯიბოთ? სხვა ყველაფერი ფეხებზე ვკიდიათ, არა?!

უკვე მთელი მეურნეობის გასაგონად გაჰყვიროდა. სოსომ და მისმა ამხანაგებმა ნაბიჯს აუჩქარეს, თითქოს ეშინოდათ, არ დაგვეწიონ და ძალით არ დაგვებრუნონო. მალე გაუჩინარდნენ. სტეპანიჩი დარწმუნდა, რომ არშინიანები მის ლანძღვას აინუშნიაც არ ავდებდნენ და მე მომეარდა. მაშინვე შემატყო, გაქცეულების მხარეზე რომ არ ვიყავი და ხმას დაუწია:

— იმას კი არ ვამბობ, მუქთად იმუშაონ-მეთქი. არა, ძმაო. ვიცი, თქვენც გჭირდებათ ფული, სტუდენტები ხართ. ზოგი მარტო სტიპენდიით ცხოვრობს და ზაფხულში ნაშოვნი ფულით უნდა ჩაიცვას და დაიხუროს. მაგრამ კაპიკზე

მინც არ უნდა გაყიდო კაცმა სინდისი ასე არაა? მთელი თვეა ის თქვენი ბრიგადირი მეხვეწება, მეტი დამიწერეთ. მავალდებულებს კიდევ... მარტო იმას ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ფული ჩაიჯიბონ.

გაჩუმდა და თვალბუნი შემომხედა, მართალი ვარ თუ არაო.

მე თავი დავეუქნე, სრული სიმართლე-მეთქი.

გახარებულმა მკლავზე მტაცა ხელი და ყველაფერი თავიდან დაიწყო. მაგრად გაუმწარებია საწყალი ჭყონიას. ეს კი ითმენდა და ითმენდა, იმის ხათრით, სამუშაოს კარგად და სწრაფად აკეთებენო.

— წადი, უთხარი, — შემეხვეწა ბოლოს, — იქნებ დაბრუნდნენ... ახლა იმდენი სამუშაო გვაქვს, კაცის ხელი მილიონი ღირს. ზამთარი კარზეა მომდგარი.

საწყობისაკენ გავწიე. ჩემი ვარაუდით, არშინიანები იქ უნდა ყოფილიყვნენ.

არც შეგმცდარავარ. საწოლებზე ისხდნენ, ყაყანებდნენ. გამწარებული ლანძღავდნენ სტეპანიჩს, მოგვატყუაო. მე მივედი და უსიტყვოდ წამოვეწეი საწოლებზე.

— ხელმძღვანელს ეტყვის, — ვთქვი ცოტა ხნის შემდეგ, წამიერი დუმილი რომ ჩამოვარდა.

— უთხრას მერე! — იყვირა ტიტემ.

— ის კი კობიძეს ეტყვის, — თქვა გვიგამი.

კობიძის ხსენებაზე ყველანი გაჩუმდნენ.

— რას ერჩით იმ კაცს, — ვთქვი მე, — რა მოვალეა, ზედმეტი დაგიწეროთ?.. ახლა ყველაფერს სჯობია, ავდგეთ და სამუშაოზე წავიდეთ. დროის დაკარგვა არ ღირს. ასე რა ფული უნდა იშოვოთ.

მე უკვე ვიცოდი, ჭყონიას ბრიგადის მთავარი შთამაგონებელი ძალა ფული იყო.

გიორგი კეხელიძე
ჩემი პატარა ლანდი

ტიტემ ნერვიულად გააბოლა სიგარეტი.

— სტეპანიჩი ახლა ანდროს ეძებდა, — განვაგრძე, — ყველას ეკითხებოდა, ხომ არ დაგინახავთო. მერე კობიძე დაინახა და ფეხდაფეხ გაეკიდა.

— კობიძე მეურნეობაშია? — წამოვარდა სოსო.

— ჰო, მოტოციკლეტით ჩაიარა, — ვიცრუე, — სტეპანიჩი დაედევნა. ალბათ თქვენი გაფიცვა უნდოდა მოეხსენებინა. იმასაც იტყვის, რატომ დაემდურეთ...

არ გასულა ხუთი წუთიც და დილით დაწყებულ საქმეს განვაგრძობდით. ისეთი მუშაობა გავაჩაღეთ, ჩვენს ყურებაში კაცს თავბრუ დაეხვეოდა. ერთი საათი რომ ვიმუშავებ, კოჭიყები ამეწვა და წელიც ამტყივდა. დაისვენოთ-მეთქი, შევთავაზე ბიჭებს. მათ სოსოს გადახედეს და თავი გადააქნიეს, ჯერ ადრეაო. მე აღარ შემეძლო მეტი. ბარი დავდე და იქვე ჩამოვჯექი.

სოსოს ხმა არ ამოუღია. სხვებსაც ანიშნა, ჩემთვის ყურადღება არ მოექციათ.

— შენ გინდა ასე იჯდე, ფული კი თანაბრად გავინაწილოთ? — ვეღარ მოითმინა ტიტემ.

— ხომ ხედავ, ვისვენებ. დავიღალე.

— თავის დროზე ყველანი ერთად დავისვენებთ. — რაო, რით ხარ ჩვენზე უკეთესი, მოდი და იმუშავე.

მე ვღუმედი.

— ხომ არ გგონია, — მხარი აუბა სოსომ, — გუშინ რომ მიწური დავამთავრეთ, იქ თანაბარ წილს მიიღებ? შენ რომ მოხვედი, მიწის თხარა თითქმის დამთავრებული გვექონდა. თუმცა დიდად არც მერე შეგიწუხებია თავი.

ისევ ვღუმედი.

— მერე კი ამოიღებს ხმას, — თქვა ტიტემ, — მერე ყვირილს დაიწყებს, დამაკლესო.

მე გვივსა და კაკოს შეეყურებდი. ნეტა ენა ხომ არ გადაუყლაპავთ-მეთქი, ვფიქრობდი. რატომ არ იღებენ ხმას, როცა ტიტე და სოსო ასეთ საჭირბო-

როტო საკითხებს წყვეტენ? არც ისე ცუდი და უჭკუო ბიჭები არიან, რომ ვერ მიხვდნენ, როგორ ამლაშებენ სოსო და ტიტე. მამ რატომ უჭერენ მხარს? იქნებ მათაც მოსწონთ, სოსო ასე რომ იკლავს თავს კაპიკის გულისთვის?..

3

ორ დღეს კიდევ ვმუშაობდი არშინიანებთან. რაც მართალია, მართალია, ძალიან გამიჭირდა. კარგად მიმხვდარა სოსო, ჩემზე რომ იფიქრა, თავისით გაიქცევაო. უკვე მზად ვიყავი, გავქცეულიყავი; თუმცა ვიცოდი, როგორ გავახარებდი ამით სოსოსა და ტიტეს; ალბათ სხვებსაც, მუდამ მეთაურის ზურგს რომ ეფარებოდნენ. ბოლოს და ბოლოს სოსოსა და ტიტეს აშკარა მტრობა მერჩივნა მათ ლაჩრულ ღუმელსა და ჩაურევლობას.

მესამე დღეს, დილით, ის იყო, მუშაობა ახალდაწყებული გვექონდა, თავზე სტეპანიჩი და ვილაც სქელი კაცი წამოგვადგა. მოგვესალმნენ, შეგვაქეს, ყოჩაღი ბიჭები ხართო. ბოლოს სტეპანიჩმა სოსოს ჰკითხა:

— ერთ კაცს ვერ მოგვეცემ?

— ერთ კაცს?..

— ჰო, — სტეპანიჩმა თავის თანამგზავრზე მიგვიითთა, — აი, ამ კაცს სჭირდება. ბრიგადირია, მინდორში სჭირდება, კომბაინზე.

სოსომ მაშინვე მე შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— ოთხი იყავით და მშვენივრად ართმევდით თავს საქმეს. ახლაც ოთხი დარჩებით... კომბაინი დგას.

ის კომბაინი ჩემთვის იყო გამოწერილი და ბრიგადირი სწორედ მხსნელ ანგელოზად მომეკვლინა. მაგრამ არ ვჩქარობდი ჩემი სიხარულის გამჟღავნებას. ბარს ხელი მოვკიდე და მუშაობა განვაგრძე.

— აბა, — თქვა ბრიგადირმა, — რომელი წამოვა ჩემთან?

— კარგი სამუშაოა? — ჰკითხა სოსომ და კვლავ ჩემკენ გამოიხედა.

— კარგია, — მიუგო ბრიგადირმა.

— მართლა კარგი სამუშაო იქნება, ბიჭებო, — მოგვიბრუნდა სოსო, — რა სჯობია კომბაინზე მუშაობას.

— არა მგონია, — ჩავილაპარაკე.

— რას ამბობ. კომბაინზე მუშაობას არაფერი სჯობია. სად მიწის თხრა და სად კომბაინი.

— ჰოდა წადი, იმუშავე.

— არავინ არ წამოვა? — ერთხელ კიდევ გვკითხა ბრიგადირმა.

მე თავი გადავაქნიე. სოსომ ხელები გაშალა.

ბრიგადირმა ხელი ჩაიქნია. სტეპანის შეხედა. მან მხრები აიჩეჩა. უსიტყვოდ წავიდნენ. მე გულმოდგინედ ვთხრიდი მიწას და ზევით ვისროდი.

მერე უცებ ბარი ვისროლე და თხრილიდან ამოვხტი.

— კარგად იყავით, — დადუბარე არშინიანებს, — არ მოიწყინოთ უჩემოდ, ჭყონიას ყველაფერი დაუჭერეთ.

სირბილით დავედევნე ბრიგადირს. ერთხელაც არ მომიხედავს უკან. არ მინდოდა დამენახა სოსოს ბედნიერი სიფათი.

● კომბაინი მხოლოდ კინოში თუ მენახა. ახლა იგი ჩემს წინ იდგა, როგორც ზღვაში გასასვლელად გამზადებული კატარა. ირგვლივ პურის თვალუწვდენი ყანა ბიბინებდა.

ბრიგადირმა მხარზე დამადო ხელი.

— ესეც შენი კომბაინი.

კომბაინთან ახლოს რომ მივედი, შიშმა გამკრა. „ხომ არ ჰკონია ამ სქელუას, რომ გამოცდილი კომბაინერი ვარ? სანამ გვიან არ არის, უნდა ვუთხრა. კომბაინს პირველად რომ ვხედავ“.

ასეც მოვიქციე.

ბრიგადირმა გაიცინა.

— არაფერია... — უფრო ახლოს მიმიყვანა კომბაინთან, — ამ კიბეს ხომ ხედავ? იქ, ზევით, შენი კაბინეტი იქნება.

ზევით ავიხედე: „კაბინეტი“ მომეწონა — გემბანს ჰგავდა. რკინის მოაჯირი ჰქონდა. ერთ კუთხეში ვილაცას ფიწალი აეყუდებინა.

— იმ ფიწალს აიღებ, — მითხრა ბრიგადირმა, — კომბაინი მუშაობას რომ დაიწყებს, თვითონვე მიხვდება, რა უნდა გააკეთო.

ბრიგადირმა მაშინვე შემატყო, კომბაინი რომ ამუშავდებოდა, უფრო დავიბნეოდი. ახლა შორიდან დაიწყო:

— კომბაინი ისეთი მანქანაა, რომ თვითონ ლეწავს პურს, თვითონვე აცლის ბზეს მარცვალს. ხორბალი აი, იმ ბაკში გროვდება... მაგრამ ხორბალთან არაფერი გესაქმება. მას სხვები მოუწლიან. ბზეს უნდა მიხედო. შენს თვალწინ რომ მოწყობილობაა, სწორედ ბზის დასაბუღლებლად არის გაკეთებული. კოხტად დაალაგებს და გადაუძახებს მინდორში. შენ ხანდახან წაეხმარები ფიწლით. ეს არის და ეს.

ხომ ყველაფერი გასაგებიაო, მკითხა ბოლოს.

დანარჩენს მერე გავიგებ-მეთქი, ვუთხარი, კიბეზე ავედი და ფიწალი მოვიმარჯვე.

— სათვალე ხომ არა გაქვს? — მკითხა ბრიგადირმა.

— არა, — მივუგე მე, ვერ მივხვდი, რატომ უნდა მქონოდა სათვალე, ან რა სათვალეს გულისხმობდა.

— კარგი, — ახლა არა გვაქვს მაგის დრო, ხვალ კი მე თვითონ მოგიტან...

კომბაინი დაიძრა. გუგუნით შეტურდა პურის ზღვაში. ჩემი „კაბინეტი“ ქანაობდა, ირწეოდა. დროდადრო მოაჯირს ვეჯახებოდი. რალა გემი და რალა ჩემი კომბაინი.

სად იყო აქამდე ის ბრიგადირი?

ერთბაშად ჩემს ირგვლივ ყველაფერი დაბნელდა. მტვერი ცხვირპირში მეცა და სული შემიგუბა. ბზისა და მტვრის კორიანტელში გავეხვიე. ახლა ყოველ წამს ვაწყდებოდი რკინის მოაჯირს. ქარიშხალში მოჰყვა ჩემი „ზომალდი“. ერთ-ორჯერ ისე შეხტა, კინალამ გადაეყირავდი. ბურთივით მახტუნავებდა და მამუროთავებდა კომბაინი იმ ერთ გოჯა

გიორგი კახალაძე
ჩიხი პატარა ლანდი

რკინის მინდორზე. ხან მარცხნივ მიმავსვენებოდა, ხან მარჯვნივ. თვალები მტვრით მქონდა საესე. ვისღა ახსოვდა ფიწალი ან ბზე.

თვალდახუჭული შემოგბრუნდი, სახელორებს მაგრაღ ჩავაფრინდი და ველოდი ამ ჯოჯოხეთის დათავრებას, რომ ჩემი მოვალეობა შემესრულებინა. მაგრამ მტვერი სულ უფრო და უფრო მატულობდა. მალე მივხვდი, საშველი არ იყო...

ბევრი აღარ დამიყოვნებია. ცალი თვალი ოღნავ გავაზიღე და ძირს ვისკუბე. ვისკუბე და უკან აღარ მომიხედავს, დაბისაკენ მოვკურცხლე.

გზაზე რომ გამოვედი, ვიღაცამ ხელი მტაცა და შემაჩერა. შევხედე: ბრიგადირი იყო.

— შენ ხარ? — წამოიძახა გაკვირვებულმა, — აქ რა გინდა? ახლახან კომბაინზე არ დაგტოვე?

გავიწიე და ხელიდან გავუსხლტი. — სად ვარბიხარ? — მკითხებოდა, — კომბაინი რატომ მიატოვე?

— შენ თვითონ აბრძანდი იმ შენს კომბაინზე, — მივაძახე, — მე ვერ მომატყუებ.

ბრიგადირი იდგა და კვლავ გაკვირვებული მიმზერდა, „რა ხალხს არ შეხვდები ამ ქვეყანაზე! ნუთუ ჰგონია, რომ ისე ბრიყვი ვარ, მთელ დღეს მტვრით გავლული ვიდგებოდი იმ ვალიაში?“

— ძნელია? — მკითხა დამცინავად. მომატყუა და მამასხარაგებდა კიდეც. — ადვილი სამუშაოს საძებნელად ჩამობრძანდი? — განაგრძო მან, — ბევრი ფული, სამუშაო კი ადვილი და ცოტა, არა? ეს გინდოდა?

მერე ერთბაშად შებრუნდა და კომბაინისაკენ გაემართა.

კვირა დღე იყო. ეს მაშინდა გამახსენდა, სასადილოს კართან სულთანის და მამია რომ დავინახე.

სულთანმა ხელი დამიქნია.

— რატომ დაგვივიწყე? — მითხრა ახლოს რომ მივედი, — აღარ გვეკარებო.

— ჩვენზე ნაწყენი ხომ არა ხარ? —

მკითხა მამიამ. — რატომ აღარ შემოვიარე ჩვენს კარავში?

— როდის შემომველო, თქვენ ხომ არასდროს არ ხართ იქ.

— ნაწყენი როგორ არ იქნება, — თქვა სულთანმა და მხარზე გადამხვია ხელი, — კაცი სტუმრად ჩამოგვივიდა, ჩვენ კი ჭყონის მივეუდღეთ საჯიჯნად.

— როგორ შეეწყვე ამხანაგებს? — მკითხა მამიამ.

— მათთან აღარ ვმუშაობ.

— მართლა? აბა სად მუშაობ?

— არსად.

— ანდროსთვის გეტქვა, საქმეს როგორ ვერ მოგიძებნინდა!

— რას აპირებ? — მკითხა მამიამ.

— არ ვიცი.

ამ დროს საიდანღაც ზაური გაჩნდა.

ხელი ჩამომართვა. — შენ ისევ აქ ხარ? მე მეგონა, უკვე შინისაკენ მოკურცხლე.

„ამით, რა თქმა უნდა, ვერ ვუამბობ, როგორ დავიწყე და დავამთავრე კომბაინზე მუშაობა.“

— წავიდეთ ბარემ, — უთხრა ზაურმა ამხანაგებს. მერე მე მომიბრუნდა, — ისაუბრე?

— კი.

— მაშინ შენც ჩვენთან წამოდი.

— სად მიდინხართ?

— ტბაზე, სპანაოდ.

სამხერხაოს გავცდი, მერე ტყე გავიარეთ და ზედ ტყის პირას ტბა დავინახეთ. ტბას გარშემო მაღალი ლაქაშები ერტყა.

— აქ უნდა ვიბანაოთ? — კვითხე ბიჭებს.

— რას იზამ, — მითხრა ზაურმა, — ეს კაობი უფროა, ვიდრე ტბა, მაგრამ სადმე ხომ უნდა დავიბანოთ ტანი.

გავიხადეთ და ტბაში ჩავედით. კარგა ხანს მიგტოპავდით ტალახში, სანამ წყალს მივალწევდით.

— ფსკერს ზელა არ დაუწყეთ! — გავგაფრთხილა ზაურმა, — წყალი არ აამღვროთ.

სულთანმა საიდანღაც ბრტყელი, წყლით გაყდენილი ძელი მოათრია.

ძელი ტბაში ჩაავდეს და ზედ შედგნენ. სწრაფად გაისაპნეს ტანი.

მე შორიახლოს ვფართხალებდი. წყალი მალე აიშვრა და ტალახისფერი გახდა. მამია ტანის ბანას მორჩა და ტბის შუაგულისაკენ ვაცურა. იქით მთლად გაემწვანებინა წყლის ზედაპირი წყალმცენარეებს. ცოტა ხნის შემდეგ მამია ლელიანში გაუჩინარდა. უცებ ყვირილი მოგვესმა:

— ბიჭებო, მიშველეთ. ვიფლობი!..

სულთანს და ზაური ნაპირზე გაცვივდნენ და იქით ვაიქცნენ, საიდანაც მამიას ყვირილი ისმოდა. მეც ამოვბობლდი ზევით და მათ დავედევნე. სანამ მკერდამდე ლაფში ჩაფლულ მამიასთან მივალწვედით, კარგა ხანს ვირბინეთ. მამია აღარ იძირებოდა, მაგრამ ვერც ადგილიდან იძვროდა. შუბლზე ოფლი დასკდომოდა. შიშისგან სულ გაშავებულიყო.

— კიდეც კარგი, — ჩაილაპარაკა, როცა მივედით, — არც ისე ღრმა ყოფილა, თორემ თქვენს მოსვლამდე გავიგულებოდი.

ლაფიდან ამოვართიეთ. ძლივს ადგამდა ფეხებს. მუხლები ეკვეთებოდა.

— ბედი გწყალობს, — უთხრა სულთანმა, — იმ ჩანჩქერისა არ იყოს, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ღმერთი შენთან არის...

ტბის პირას მზის გულზე ვიწეკით და ვშავდებოდით. მამიას, როგორც იქნა, დაუბრუნდა კაცის ფერი.

ტყიდან სტულენტების ჯგუფი გამოვიდა და ტბისკენ წავიდა.

— ამხელა დაბაში ერთი აბანო არ უნდა იყოს? — იკითხა ზაურმა, — ნეტა სად ბანაობს აქაური ხალხი?

— ვინღა აქაური. მოახლოვდება თუ არა ზამთარი, მაშინვე დაცარიელდება აქაურობა. აიბარგებინა და მიდიან, — თქვა სულთანმა.

— სანამ აქ არიან, კუჭყს უნდა შეაქამონ თავი? — ვიკითხე მე.

— ალბათ მამაპაპურად ბანაობენ, —

თქვა ზაურმა, — გააცხელებენ წყალს, აავსებენ ტაშტს და დაყვინთავენ შიგ.

მამიამ ვაიცინა.

— ჩვენ რაღა ვქნათ?

— სხვათა შორის, აბანოც ჰქონიათ, — თქვა სულთანმა, — მაგრამ მოშლილა და აღარ შეუკეთებიათ.

— სად არის?

— ტყის პირას, ფიცრული ღობე რომ თავდება, წითელი ვაგონი არ დაგინახავთ?

წითელი ვაგონი მართლაც იდგა ტყის პირას, მაგრამ იქ ერთ ღროს აბანო თუ იყო, არ ვიცოდით.

ამასობაში სტულენტები ტბაში ჩაცვივდნენ.

— მეორე მხარეზე არ გახვიდეთ, — დაუყვირა მამიამ, — ჯობია.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა სულთანმა, — მამიას გამოკვლევების პირველი კეთილი შედეგი.

მალე მშემ დააცხუნა, განწარებით გვებენდნენ მწერები.

უკან დაბრუნებისას წითელ ვაგონთან ჩავიარეთ. ფანჯრის მინები ჩამსხვრეული იყო და იქიდან სიცილი და ფრუტუნი ისმოდა. ახლოს მივედით. კარა ვერასგზით ვერ გავაღეთ. მერე ზაური ფანჯარაზე აცოცდა და შიგნით გადაიხედა.

— ბიჭოს! — წამოიძახა მან, — ეგაა, აბანო არ მუშაობსო?

— შემოდი, — მოისმა შიგნიდან, — შენც იბანავე! — დიძახა ვილაცამ.

სოსოს ხმა ვიცანა.

— საიდან შემოვიდე?

— ფანჯარაში შემოძვერი.

ზაურმა გაჭირვებით შეჰყო ფანჯარაში თავი.

— აქ როგორ შემოვეტევი?

— დაიცა, მოგეხმარებით.

— არა, თავი დამანებეთ, — თქვა ზაურმა და ძირს ჩამოხტა.

— ვინ არის? — ჰკითხა სულთანმა.

— სოსო და მისი ამხანაგები. სხვა ვინ შეეტეოდა იმ ფანჯარაში.

გიორგი კეზალაძე
ჩემი პატარა ლაწლი

საქმე არაფერი მქონდა. ჭყონიასთან დაბრუნებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო — არ მიმიღებდა. მეორე დღე იყო, უსაქმოდ დავდიოდი, მაგრამ კაცი ყურადღებას არ მაქცევდა. თუმცა, ვის რა უნდა ეთქვა ჩემთვის: აქი მოხალისე ვიყავი და სტუდენტებივით უფასოდ კი არ მიმგზავრია. როგორც მომეპრიანებოდა, ისე მოვიქცეოდი. უბატონოდ ვერც ანდრო გამცემდა ხმას, ვერც კობიძე.

და სწორედ ამიტომ, მეტისმეტად თავისუფალი რომ ვიყავი, უმწეოდ ვგრძნობდი თავს. თითქოს ჩემს არსებობას ვერავინ ამჩნევდა და არც არავის ვკვირდებოდი.

ფოსტაში ვიყავი. კედელთან მიდგმულ ძელსკამზე ვიჯექი და მოწყენილი ვადევნებდი თვალს სტუდენტებს, გულისკანკალით რომ ეკითხებოდნენ ფოსტის გამგეს. ჩემი წერილი ზომ არ მიგიღიათო. ზოგი გულდაწყვეტილი მიდიოდა. ზოგიც იქვე ხსნიდა კონვერტს და სახეგაბადრული კითხულობდა წერილს. მე ერთხელაც არ მომიკითხავს წერილი. არც არავისგან ველოდი. არავინ იცოდა ჩემი მისამართი.

სარკმელთან მივედი, კონვერტი და ქალაღლი ვიყიდე და კვლავ სკამზე დავჯექი.

რომ მოვდიოდი, დავიფიცე, ჩემს მისამართს არავის გავაგებინებ-მეთქი. ახლა უნდა გამეტეხა ფიცი. ვინმეს უნდა სცოდნოდა ჩემი გზა-კვალი. ვიცოდი, ეს უკვე შიში იყო — მეშინოდა ჩემი მართობისა და უმწეობის. ცვდილობდი, ვიღაცას დავკავშირებოდი, თუნდაც ძალიან სუსტი ძაფით.

ფურცელი გავშალე და წერას შევეუდექი, მინდოდა ზურისთვის მიმეწერა რამე.

რა უნდა მიმეწერა?

არაფერიც არ მიმიწერია. მარტო მისამართი დაწერე და ორიოდ, არაფრისმთქმელი სიტყვა. ეს იყო და ეს.

არაფერი მქონდა მისაწერი. არ შეპეძლო მეღიარებინა, რომ მარტო დავრჩი და მზად ვიყავი შინ დავბრუნებულყავი, ხელი ჩამექნია და მეცხოვრა ისე, როგორც მამაჩემს უნდოდა.

წერილი კონვერტში ჩავდე, დავაწებე და ყუთში ჩავაგდე.

უკვე აღარავინ შემოდიოდა ფოსტაში. გამგემ გასაღებები ააჩხაკუნა.

— გარეთ გაბრძანდით, თუ შეიძლება.

— რომელ საათზე იკეტება ფოსტა?

— როცა მოგვეპრიანება, ჩვენს სურვილზეა.

— მეც მაშინ გავალ აქედან, როცა მომეპრიანება.

მკლავზე ხელი მომიკიდა და ძალით წამომაყენა სკამიდან. პატარა გოგო იყო, ჩემი ხნისაც არ იქნებოდა. კარისკენ მექაჩებოდა და თან მორცხვობისაგან ლოყები უღვიოდა.

— დამაცადე, თვითონ გავალ. შენა ხარ ფოსტის გამგე?

— დღეს მე ვარ.

— რომელ კლასში სწავლობ?

— გარეთ გადი. შესვენება გვაქვს.

— რომელ კლასში ხარ, მითხარი და გავალ.

— წელს დავამთარე.

— რა გქვია, ვერ მეტყვი?

— ოჰ, რა ხალხი ხართ, — ამოიოხრა გოგომ, — გადაეკიდებით ადამიანს და აღარ დაეხსნებით. გამიწყალე გული. ნეტა ვიცოდე, საქმე არაფერი გაქვს?

თითქოს მაინცადამაინც საწყენი არაფერი უთქვამს. შიგ გულში კი მომარტყა.

უსიტყვოდ გამოვედი გარეთ.

— ბრაზობს კიდეც, — მომესმა გოგოს ხმა. ეს შერიგებას ნიშნავდა. ან იქნება შემატყო, როგორ მეწყინა და შევეცოდე? მე მაინც არ მომიხედავს უკან.

სასადილოს კარი დაკეტილი იყო. კიბესთან ავიტუხე. ცხელოდა. სამზარეულოდან ქალების ხმამაღალი ლაპა-

რაკი და მადისმომგვრელი სუნი გამო-
დიოდა.

საათს ავხედე. ორმოც წუთში გაადებ-
დნენ.

სამზარეულოდან გოგომ გამოყო თა-
ვი. წითელი სახე და მადლა აბრეხილი
ცხვირი ჰქონდა. შეუხედავი გოგო იყო.
მუდამ უშნოდ იღიმებოდა და ვითომ
ბიჭებს თავს აწონებდა.

— მოწივებია საწყალს, — ჩაილაპა-
რაკა და მიიშალა.

საფეხურზე ჩამოვკეცი. მიინცადამა-
ინც არ მშოიდა, მაგრამ საქმე არაფერი
შქონდა და სად წავსულიყავი? გოგო
ისევ გამოვიდა და მომაჩერდა.

— რა გინდა? — ვკითხე.

— მოგწივდა?

— ძალიან.

— ჭერ ადრეა... წადი სამხერხაოზე.
არ გინდა კინოში გადაგიღონ?

— კინოში?

— ახლახან ჩამოვიდნენ თქვენებუ-
რები, მოტოციკლეტებით. სურათს იღე-
ბენ.

ავდექი და სამხერხაოსაკენ წავყაილ-
დი.

ერთ ადგილას ხალხი შეგკუფულიყო.
ახლოს მივედი. კობიძე დავინახე, ხელ-
ში ნაჯახი ეჭირა და უზარმაზარ მორს
თავს დადგამოდა. ნაჯახს მორს უმიზ-
ნებდა. მოშორებით ვიღაც თავგადასოტ-
რილი ბიჭი ჩაჩოქილიყო და კობიძის-
თვის კინოაპარატი მიეშვირა.

— ვიღებ, ბატონო დემეტრე!
კობიძემ ნელა დაუშვა ნაჯახი.

— გაიმეორეთ, ბატონო დემეტრე...
კობიძემ ნაჯახი ასწია.

— ხუმრობა იქით იყოს და მართლა
არ გააპოს ის მორი, — თქვა ვიღაცამ.
აქა-იქ ჩაიჭირჭილეს. ვინც იხუმრა, თა-
ვი ვეღარ შეიკავა და აფრუტუნდა. კო-
ბიძემ წყრომით გადმოხედა და სტუ-
დენტმა მაშინვე მეტისმეტად სერიოზუ-
ლი და საქმიანი სახე მიიღო.

— ისევ, ბატონო დემეტრე!

— გავაგე, ბიჭო ეს მორი! — იხუმრა

კობიძემაც, — ჩქარა, ვინმემ არ მომის-
წროს.

ისევ აჩხრიალდა კინოაპარატი.

კობიძემ ნაჯახი იქვე დააგდო და იმ
ბიჭთან მივიდა, ხელში კინოაპარატი
რომ ეჭირა.

— ვინ დაიჯერებს, რომ ამოდენა
მორს გააბობას ვუპირებ...

— მთავარი ისაა, ბატონო დემეტრე,
რომ ხელში ნაჯახი გიჭირავთ. სხვა ყვე-
ლაფერი ჩვენ მოგვანდეთ. კინოხელოვ-
ნება ისეთი რამაა, შეიძლება კატას გა-
დაუღო და ვეფხვი გამოვიდეს...

— კობიძემ თავი კატად არ მიიჩ-
ნოს, — ჩურჩულით მითხრა იმ ენამახ-
ვილმა სტუდენტმა, წედან რომ ფრუტუ-
ნებდა, — თორემ თავკვივით შეჭამს მავ
უბედულს.

— წადით ახლა და ნამდვილი საქმე
გადაიდეთ. მე რას შემომიჩინდით!

კობიძე ამას ღიმილით ამბობდა. ეტ-
ყობა, სიამოვნებდა, რომ გადაუღეს,
თუმცა ძალიან ცდილობდა ამის დამალ-
ვას.

მოტოციკლეტები აგუგუნდნენ და
ადგილს მოსწყდნენ. მე და კიდეც რამ-
დენიმე სტუდენტი უკან დავედევნეთ.

— ახლა არშინიანებს გადაუღებენ,—
მითხრა ენამახვილმა სტუდენტმა. იგი
ჩემს გვერდით მორბოდა, — შეხედე.

მოტოციკლეტები სწორედ იქ შეჩერ-
დნენ, სადაც ჭყონიას ბრიგადა მუშა-
ობდა.

— შენც მათთან არა ხარ? — მითხრა
სტუდენტმა, — გაიქეცი, რას უყურებ?
თვალეებში შევხედე. ეშმაკურად ილი-
მებოდა. დამცინის-მეთქი, გავიფიქრე.
ისიც შეგატყვე, შურდა სოსოსა და მისი
ამხანაგების ბედი.

— რა შენი საქმეა, — შევეუღრინე,—
შენ თვითონ მიდი და გადაიღე, თუ ძა-
ლიან გინდა.

როგორ არ უნდოდა, უნდოდა და მე-
ტიც.

გიორგი კახალაძე
ჩემი კატარა ლანდი

ზორბა ბიჭი იყო. ჩემზე ცოტა მა-
ლალი. მსუქანი სახე და მომწვანო, მოუ-
სვენარი თვალები ჰქონდა.

ხითხითი დაიწყო.

— რა ვაძინებს?

— არაფერი. გამოვაგდეს?

— ეგლა მავლია... ჩემით ვერ წამო-
ვიდოდი თუ იცი?

— მართლა? — ისეუ ახითხითდა.

— იქნებ შენ გამოვაგდეს? — ვუთ-
ხარი მე, — იმიტომ იკბინები.

შემომხედა და გაჩუმდა.

— გინდა ჩემთან მუშაობა? — მკით-
ხა უცებ.

— შენ სად მუშაობ?

— ყველგან, სადაც მოვახელებ... გუ-
შინს მერე მარტო ვარ. შემომიერთდი
და ორნი ვიქნებით.

— მინდა, — ვუთხარი მე.

ამასობაში მივედი მოტოციკლეტბ-
თან. სოსო და მისი ამხანაგები გაბლენ-
ძილები იდგნენ კინოაპარატის წინ.

— აბა დაიწყეთ, — უთხრა კობიძემ
თავდახატორის, — მთელ დღეს ხომ
არ უნდა მოაცდინოთ.

— იმუშავეთ, ბიჭებო, მუშაობის
პროცესი უნდა გადავიდო.

სოსომ და ტიტემ ბარებს სტაქეს ხე-
ლი. სხვები ნაგვერდულებს დასწვდნენ
და ასე გაშეშდნენ სულელურ პოზაში.
თანაც ცდილობდნენ, სახე მაინცადა-
მაინც კინოაპარატისთვის მიეშვირათ.

— ნუ ხართ ასე დაძაბული, თავისუფ-
ლად იმოძრავეთ. ვითომ მუშაობთ.

— შენ მანდ რას აკეთებ? — დამი-
ძახა კობიძემ, — მოდი...

უკან დავიხიე.

— მოდი, მოდი, — მიწყალობა ტი-
ტემ. ახლა იგი ზედნიერი იყო და არა-
ფერი არ ენანებოდა.

— მოდი, — ხელი მკრა სტუდენტ-
მა, — კინოში კი გამოხვალ და სულ-
ერთი არაა, ვისთან გადაგიღებენ?

— თავი დამანებე! — ვუთხარი და
განზე გავდექი. ახლა არც კობიძე მაქ-
ცვდა ყურადღებას. იდგა და ელოდა,
როდის დამთავრდებოდა ეს სპექტაკლი.

●
სალამოს კინოში წავედი. „გიორგი
სააკაძე“ გადიოდა. ჩვენი ხათრით თუ აწ-
ვენებდნენ. ეს ფილმი ბევრჯერ მინახავს
და თბილისში რომ ვყოფილიყავი, ალ-
ბათ არაფრის გულისთვის აღარ ენახე-
ვდი. მაგრამ აქ სულ სხვა იყო. აქ იგი
ყველა ფილმს მერჩივნა. ისე გულის-
ფანცქალით ველოდი სენასის დაწყებას.
თითქოს ხუთი წლის განშორების შემ-
დეგ, ეს-ესაა, თბილისში უნდა შესუ-
ლიყო ჩვენი მატარებელი. ამის გარდა,
მარტო ცნობისმოყვარეობაც კმაროდა.
მაინტერესებდა, როგორ მოეწონებოდა
აქაურ ხალხს ქართული ფილმი.

მეორე სერია რომ დაიწყო, ჩემს
გვერდით ვიღაცა გადმოჩდა. მივიხედე
და ის გოგო ვიცანი, დღეს ფოსტიან
რომ გამომაგდო. მგონი, მანაც მიცნო.
რალაც ჩაილაპარაკა და ეკრანს დაუწყო
ყურება. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც ბი-
ჭი მოუჭდა გვერდით.

გოგო თვალბეგადართობული შექ-
ყურებდა ეკრანს. დროაღარა შეშინე-
ბული ისე შეხტებოდა, გუნებაში მეცი-
ნებოდა. გიორგი სააკაძეს პაატას თავი
რომ მიუტანეს, სახეზე ხელები მიიფარა
და სლუკუნე დაიწყო. მაშინვე გამიარა
დილანდელმა წყენამ, ისე ძალიან მო-
მინდა დავლაპარაკებოდი, ძლივს ვიკა-
ვებდი თავს. ვიცოდი, ახლა ამის დრო
არ იყო. შეიძლება უპასუხოდაც დავე-
ტოვებინე. ამას ვერიდებოდი.

ბიჭი, გვერდით რომ ეჭდა, გად-
მოიხარა და გოგოს მხარზე გა-
დადო ხელი. რალაცას ეჩურჩულე-
ბოდა. გადავხედე. ის მსუქანი სტუ-
დენტი ვიცანი, დღეს თავის ამხანაგობა
რომ შემომთავაზა. გოგომ რალაც წყრო-
მით ჩაილაპარაკა და ბიჭის ხელი მოი-
ცილა. უნებურად ჩემკენ ვადმოიხარა.

— რა ამბავია? — ჩავილაპარაკე ბი-
ჭის გასაგონად, — შენს სკამზე ვერ
დაეტივი?

გოგომ თავის თავზე მიიღო.
— უკაცრავად, — მითხრა და სტუ-

დენტს შეუბღერა, — დამაცილი თუ არი ბოლოს და ბოლოს!..

— აჰ, ეს შენ ხარ? — ვუთხარი გოგოს თითქოს ახლა მეცნოს. სტუდენტს გადავხედე, — მოეშვი, ბიჭო, ამ გოგოს! სტუდენტმა იქით გაიწია და გაჩუმდა. ისე მიაშტერდა ეკრანს, თითქოს ამის მეტი ქვეყანაზე არაფერი ახსოვდა. სინამდვილეში ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რომ იერიში განეახლებინა.

— მოგწონთ ეს ფილმი? — ვკითხე გოგოს.

ყოვლად უადგილო და სულელური კითხვა იყო, მაგრამ ცდის დრო აღარ მქონდა. ხელჩართული ბრძოლა იწყებოდა.

— ოჰ, ძალიან...

— თუ გინდათ, აქეთ გადმოდიით... ადგილი გამიცვალეთ.

გოგომ მაშინვე გამიცვალა ადგილი. ახლა სტუდენტი ჩემს გვერდით აღმოჩნდა.

სტუდენტმა ხელი მომიფათურა ხელზე. რომ შეატყუო, მისამართი შეეშალა, უტიფრად მთხოვა, ადგილი გამიცვალეთ.

— არაფერიც!

ბიჭმა შემომხედა.

— ეს ვინ ყოფილა, — წამოიძახა, — შენ მერაბი გქვია, ხომ? — აღბათ იფიქრა, რახან სახელი იცოდა, მისთვის თავს დავედებდი.

— ჰო, — მივუგე მე, — შენ?

— თენგიზი.

— სასიამოვნოა...

— გადმოაქეცი ახლა.

— ნურას უკაცრავად...

— რათ, რა თქვი?

ეგონა, ყურმა მომატყუაო.

— ვერ ატყობ, ახლოს რომ არ გეკარება?

— კარგი ერთი. თვე გახდა დავდევი.

— მით უმეტეს.

— ჩუმად რა, — შემოგვეწყრა გოგო.

სტუდენტი ერთხანს ჩუმად იყო. მე, თითქოს არაფერიო, ეკრანს შევეყურებდი.

— ეგ რა ბიჭობაა?

— აბა რა არის ბიჭობა, გოგოს დასანახავად ეჯავრები, შენ კი აჰკიდებიხარ და არ სცილდები?

თენგიზი გაჩუმდა.

— მაშ ხვალდან ერთად ვიმუშაობთ? — ვკითხე მე.

— როგორც გინდა... ამაღამ მე გავაცილებ.

— შენ როგორ გაცილებ, მე მითხრა, გამაცილეო.

— ჩუმად რა, — კვლავ გავგიჯავრდა გოგო. მგონი მიხვდა, რისთვისაც ვჩხუბობდით.

— ბოდიში, — ვუთხარი გოგოს.

— ეგ რა სინდისია?! — ბუზღუნებდა თენგიზი.

— თავი დამანებე, თუ ძმა ხარ, — ვუთხარი მე, — შენ თავს იქცევ ტყუილად, მე კი ცოლად მინდა შევიერთო.

თენგიზმა უსიტყვოდ აღიარა დამარცხება.

— მაშ ხვალდან ერთად ვმუშაობთ? — ვკითხე ისევ.

— კი-მეთქი, ხომ ვითხარი...

გაჯავრდება, აბა რა იქნება, ასეთი გოგო წავართვი.

მართლა კარგი გოგო იყო. რა თქმა უნდა, მისი ცოლად შერთვა სულაც არ მქონია გადაწყვეტილი. ეს თენგიზის ჩამოსაცილებლად ვთქვი, თუმცა ძალიან კი მომწონდა. მაშინ, ფოსტიდან რომ გამონავდო, იმიტომ მეწყინა ისე ძალიან. როგორი საქმეა, გოგო მოგწონს, გიხარია მასთან ლაპარაკი, ის კი ვუებნება, ვული გამიწყალეთ. საღამოს კი ისე გატაცებული უმზერდა ეკრანს, ისე კანკალებდა, ისე სლუკუნებდა და იფარებდა სახეზე ხელებს, ისეთი ნაზი და საყვარელი იყო, სულში ჩაიძვრებდა კაცი. მართლა დიდი თავხედი უნდა იყო, ასეთ გოგოს ზეირიანად არც კი იცნობდე და მხარზე გადახვიო ხელი.

დამთავრდა თუ არა კინოსურათი, გოგო გარეთ გავარდა და გაუჩინარდა. მეც მაშინვე დავდევენი, მაგრამ რად

ბიოგრაფიკალიფი

ჩემი პატარა ლანდი

გინდა მერე—ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერაფერი გავიგე. სამჯერ შემოვუბრინე კლუბს, იქნება სადმე მემალეზა-მეთქი. მერე ჭგუფე-ჭგუფად მიმავალ ხალხს მივდიე უკან. ბოლოს იმედგაცრუებული გამოვბრუნდი.

თენგიზი საწყობის კართან მგლოდა. მთვარიანი ღამე იყო. ასეთ ღამეში გოგოს გაცილება ერთ სიცოცხლედ ღირს.

— გააცილე? — მკითხა გულდაწყვეტილმა.

— აბა, რას ეიზამდი?..

2

მეორე დღეს, დილის ცხრა საათზე თენგიზი და მე კანტორის წინ ვიდექით და მანქანებს ველოდით.

თენგიზი ცუდ გუნებაზე იყო. ივინებოდა, ილანძღებოდა — დაავიანესო.

— სად უნდა წავიდეთ? — ვკითხე.

— რა ვიცი. შოფრებს თვითონ ეცოდინებათ.

— ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ?

— დავტვირთავთ.

— ესე იგი, მტვირთავად ვიმუშავებთ?

— შენ რა გეგონა, მეურნეობის დირექტორად დაგნიშნავდი?

— რა უნდა დაგტვირთოთ?

რა უნდა დაგტვირთოთ და მანქანები... ჯანდაბა და დონანა.

— რა გაყვირებს?

თენგიზმა ფოსტისაკენ გაიხედა.

— ეჰ, ლიდაც... შენი საცოლე...

— ვინ? — მეც გავიხედე ფოსტისაკენ. გული ამიჩქროლდა.

— ლიდა.

— შენ აქ იყავი, — მითხრა თენგიზმა, — ფოსტაში შევივლი, წერილს ველოდები.

— წადი...

ფოსტისაკენ წავიდა. კარგად ვიცოდი, რა წერილიც აინტერესებდა. ჩემზე ჰკითხავდა ალბათ, გავაცილა თუ არაო. თენგიზი ფოსტის შენობაში შევიდა.

ადგილს მოვწყდი და სირბილით დავედევნე.

— მანქანა მოვიდა! — მივძახე კარებში.

— წავიდეთ აბა, — თენგიზი გარეთ გამოვიდა, — სადაა?

— იქით დგას. კანტორას ეფარება.

კიბეზე ჩავიდა. ლიდა მაგიდასთან იდგა ოთახის შუაგულში, წერილებს ბუქდავდა და ალაგებდა. სარკმლიდან ვუმზერდი.

— წუხელ სად გაიქეცი? შენი გაცილება მინდოდა. გამოვედი და ვერსად გნახე.

— მართლა?

შიგნითა კარი გაიღო და ოთახში მაღალი, ტანადი ქალი შემოვიდა.

— ძალიან მინდოდა გამეცილებინე ისეთი ღამე იყო...

ქალმა შემომხედა და გაიღიმა.

— ლიდას გაცილება ჯერ არ შეიძლება, პატარაა.

— მით უმეტეს.

ქალმა ახლა ხმამაღლა გაიცინა. ვითომ რა ვთქვი ასეთი? ალბათ კარგ გუნებაზე იყო და სიცილის მიზეზს ეძებდა.

— ამას უყურე! — ვითომ გაჯაგრდა.

— ამდამ მოხვალ კინოში? — ვკითხე ლიდას.

— რა ფილმი გადის?

— არ ვიცი. ძალიან კი აქებენ. ვტყუოდი. ლიდა დღუმდა.

— ცეკვებზე არ დადიხარ? — ვკითხე.

— ხანდახან...

— მეც მოვალ.

გარედან თენგიზის ყვირილი მომესმა.

— ნახვამდის.

ლიდამ ღიმილით გამომაყოლა თვალი. ჩემთვის ჯერჯერობით ესეც საკმარისი იყო. კანტორის წინ მართლა იდგა მანქანა. თენგიზი ხელს მიქნევდა და მეძახდა, მაღე მოდიო. მივედი. კაბინის კარი გაიღო და მაღალი, სქელი კაცი გადმოვიდა. მაშინვე ვიცანი ის მძღოლი, მეურნეობაში რომ მომიყვანა ღამით და სამხერხაოს უკან დამტოვა. მან ვერ მიცნო.

— ესაა? — ჰკითხა თენგიზს.

— ესაა.

მალალი კაცი ისევ ჩაჯდა კაბინაში.

— მოდი, წავიდეთ, — მითხრა.

— წაპყევი, — მირჩია თენგიზმა, — მე მეორე მანქანას გამოვეყვები.

მანქანა დაიძრა. დაბა გავიარეთ და ტრამაში გავედით. პური ახლახან აედლოთ. ყოველ ნაბიჯზე ვხვდებოდით თივის ბულულებს. ცოტა ხნის შემდეგ მოუხენელი მიწები დაიწყო.

— ამ ათიოდე დღის წინ თქვენ მომიყვანეთ რაიონის ცენტრიდან, — ვუთხარი მძღოლს.

— ჰოო.

— ღამით.

— შეიძლება.

მივიდიოდით და მივიდიოდით. გზას ბოლო არ უჩანდა. გავიდა ერთი საათი. რუხ ფარდასავით მოგვედგა მტვრის ბული. მტვრის ფარდის იქით ვეღარ ვხედავდით უკან მომავალ მანქანას.

— სად მივდივართ? — ვკითხე მძღოლს.

— მდინარეზე.

— ჯერ კიდევ შორს ვართ?

— დაბიდან ოთხმოცი კილომეტრია.

— მერე ამისშორიდან რამდენი ხრეში უნდა მოიტანოთ?

— რამდენიც დასჭირდებათ.

— ამ გზაზე რატომ არაა ხრეში?

— გზისთვის ვის სცალია.

— წვიმაში რომ ატალახდება, მანქანები როგორ დადიან?

— წვიმაში შინ ვსხედვართ.

გავიდა მეორე საათი. როგორც იქნა, მივალწიეთ მდინარეს. ჯერ ძველებური, ნახევრად დანგრეული კოშკი გამოჩნდა. ესლა დარჩენილიყო ძველი ციხე-სიმაგრეიდან. მერე სოფელი დავინახეთ. სოფელი რომ გათავდა, მდინარეს წავადექით. მდინარე მდორედ მოედინებოდა. ორთავე ნაპირს ხშირი ბუჩქნარი მოყვებოდა.

მძღოლმა მანქანა გააჩერა და მკითხა, სადაც გირჩევნია ხრეშის აღება, იქ გავაჩერებო.

— სადაც გინდა.

— მაშინ აქ იყოს.

კაბინიდან ვაღმოვიდა, ჯიბიდან ჯაყვა

ამოიღო, იქვე მალალ ბუჩქს გრძელი ტოტი შეაქრა, გათალა, ჯიბიდან ანკესი ამოიღო და თასმა ჯოხს მიბაბა. ჯოხი მხარზე გაიდო და მდინარეს დაუყვან.

— რომ დატვირთო, სიგნალი მომეცი, — დამიბარა მან, — ახლოს ვიქნები. თუ გინდა, ნუ დაიწყებ. ბარემ შენი ამხანაგიც მოვიდეს და ერთად დატვირთავთ.

იქვე წამოვეწეკი.

თენგიზი და მისი მძღოლი კარგა ხანს არ გამოჩენილან. ნიჩაბი ავიღე და მანქანის დატვირთვის შევეუდექი. მალე მომბეზრდა. ტანსაცმელი გავიხადე და წყალში შევედი. მეორე ნაპირსაკენ გავცურე. ერთხანს იქ ვიწეკი მზის გულზე.

— მერაბ, — მომესმა უცებ. თენგიზის ხმა იყო. უკან გამოვეცურე.

— სად დავაყენო? — ჰკითხა მძღოლმა თენგიზს.

— იქით, — თენგიზმა ოდნავ ამაღლებული ნაპირსაკენ გაიშვირა ხელი. მერე მე მომიბრუნდა, — ერთად დავტვირთოთ თუ ცალ-ცალკე?

— ერთად.

— შენი მძღოლი სადაა?

— სათეფჯაოდ წავიდა.

— მანქანა აქ რატომ დააყენებინე?

— დაუფძახებ, აქვე იქნება.

— დაცა, მე თვითონ წავეყვან... — თენგიზმა კაბინის კარი გამოაღო და საპქეს მიუჯდა.

— გასაღები? — ვკითხე და საფეხურზე შევხტი.

— აი, — ჯიბიდან წვერგაბრტყელებული ლურსმანი ამოიღო.

ამასობაში თენგიზის მძღოლმა თავისი მანქანა დააყენა და ჩვენთან მოვიდა.

მძღოლი ჩია ტანის იყო. ტიტზე დაბალი იქნებოდა. ჩხირივით იყო გამხდარი.

— სად წავიდა? — მკითხა თავის ამხანაგზე.

ქვევითკენ გავიშვირე ხელი:

გიორგი კეპალაძე
ჩემი პატარა ლანდი

— თევზაობს...

პირველი მანქანა რომ დავეტვირთეთ, ჭყონიას ბრიგადაში ნაშოვნი კოჭრები ამტკივდა.

— დავისვენოთ, — შევთავაზე თენგიზს.

ცოტა ხანს დავისვენეთ.

მეორე მანქანაც მალე ავავეთ ხრეშით. სიგნალი მივეციით და მძღოლებიც მოვიდნენ. მაღალს გულდაგულ აეცვა ჯოხზე თითის სიგრძე ლიფსიტები. ბევრი დაეჭირა, მაგრამ სულ პატარები. მაინც დიდი სიამაყით მოჰქონდა.

— ზის ამხელა კაცი წყლის პირას, — ზიზლით თქვა თენგიზმა, — საათობით უღარაჯებს თითის სიგრძე ლიფსიტებს, რომ შეხედავ, ისეთი სერიოზულია, მინისტრი გეგონება.

ანკესის მოყვარულმა უსიტყვოდ აამუშავა მანქანა და დასძრა.

— აქ მოგვიცადეთ! — დაგვიძახა პატარამ, — მალე მოვალთ.

— ანკესი მაინც დაეტოვებინა, — ვუთხარი თენგიზს.

— გიყვარს თევზაობა?

— არა, მაგრამ აქ სხვა რა უნდა გააკეთოს კაცმა.

ამასობაში მანქანა შარაზე გავიდა.

— რაღა დროსია...

მზე მწარედ იკბინებოდა. ოფლში ვიყავით გაწურული. წყალში გადავხტი. თენგიზმა უარი თქვა ბანაობაზე. წყალი არ მომწონს, აყროლებული იქნებაო. ერთი ორჯერ ვუთხარი, ჩამოდი-მეთქი. მერე შევატყვე, ცურვა არ უნდა სცოდნოდა და არ უნდოდა ჩემთან გამეღავენებინა. ფეხზე დავეჭი. წყალი მკერდამდე მომწვდა. თენგიზი მიმიხვდა და ახლა უფრო გადაჭრით თქვა უარი. მე წავედი და მოშორებით, ბუჩქებს შორის, სილაზე დავეჭი. ცოტა ხნის შემდეგ წყლის ფრთხილი ტყლაშუნი შემომესმა. თენგიზმა შორს წასულად მივგულა, წყალში ჩასულიყო და ნაპირთან ჭყუმპალაობდა.

სილაზე წამოწოლილს დამძინებოდა. თენგიზის ძახილმა გამომადვიძა. მანქა-

ნები დაბრუნებულან-მეთქი, გავფიქრე და ზეზე წამოვევარდი.

— სად დაიკარგე? — მკითხა თენგიზმა, — გეძახი და ვერაფრით ვერ გავაგონე. შემეშინდა, ხომ არ დაიხრჩო-მეთქი.

— აქ რა დამახრჩობდა!

— არ მოგშივდა?

მართლა ვშივოდა.

— მანქანები არ მოვლენ?

— იმათ რას უყურებ, ხომ არ გგონია, საჭმელს მოგვიტანენ?

— აბა რა ვქნათ?

— უნდა ვიშოვოთ.

სოფელში შევედი. შუადღე იყო. გარეთ კაციშვილი არ ჰქანებდა. ერთ-ერთი ქიშკარი შევედეთ და პარმალზე დავაკაქუნეთ. მოხუცმა ქალმა გამოიხედა.

— რა გნებაეთ?

— პური, — უთხრა თენგიზმა, — პური თუ გექნებათ, მოგეყიდეთ.

ქალი შებრუნდა და ერთი მოზრდილი პური მოგვიტანა.

თენგიზმა ჯიბეების ჩხრეკა დაიწყო.

— საღაურები ხართ? — გვეკითხა ქალმა, — აქაურებს არ ჰგაფხართ.

— სტუდენტები ვართ, საქართველოდან.

— ჰოო...

— ხურდა გექნება, — მითხრა თენგიზმა.

ჯიბიდან მანეთიანი ამოვიღე.

— არა, ფული არ მინდა, — გვითხრა ქალმა, — შემოდით.

— გმადლობთ, — ვუთხარი მე, — არ გვეკალია. მანქანა გველოდება. ქალს დავემშვიდობეთ და წამოვედით.

— ხმელა პური ვჭამოთ?

— არც ეგ გეკუთვნის, — მითხრა თენგიზმა.

— რატომ?

— რაო ვითომ. ხეირიანად რომ გვეჭამა სადილი, ამისთვის ვერ მოვიცლიდით? სად გველოდება მანქანა?

— ფული რომ არ აიღო, შემრცხვა, — გავიმართლე თავი, — იმიტომ ვუთხარი.

— ქვეყანა არ დაიქცეოდა, რომ შევ-

სულიყავით, — თენგიშმა გზის პირად ბოსტანში გადაიხედა, — აქ შეიძლება კაცმა კიტრი და პამიდორი იშვოვოს.

მთელი სოფელი მოვიარეთ. ცალი თვალი ბოსტნებისავე გვეჭირა, მაგრამ შესვლა ვერსად გავბედეთ. ისევ მდინარესთან დავბრუნდით და ხმელა პურს დავაცხრით.

— ბიჭოს? — წამოიძახა თენგიშმა, პური რომ გავათავეთ, — რძე მაინც დავკვლია.

— მერე სად არის რძე?

— გაიხედე.

ქვევით, მდინარის პირას, პატარა მინდორზე, მწყემსებს ძროხები გამოერეკათ. იქვე გოგოები ტრიალებდნენ. ძროხებს წველიდნენ. ვედროებს სწრაფად ავსებდნენ რძით და მერე რძეს მალაღ, თეთრ ბიდონებში ასხამდნენ.

— წამოდი, დავაყოლოთ.

— სირცხვილია.

— რა დროს სირცხვილია, ვინ გვიცნობს აქ.

თენგიში გაიქცა და წუთში რძიანი ვედრო პირზე მოიყუდა. გოგოები უმზერდნენ და გულიანად იცინოდნენ.

მეც მივედი მათთან.

თენგიშმა ახლა მე მომაწოდა ვედრო. ახალი რძის სუნმა კინაღამ გამაბრუა.

— დალიე, დალიე, — მითხრა ერთმა გოგომ, — ნუ გეშინია, სუფთაა.

ბოლოს მეც მოვიყუდე ვედრო პირზე. რძე თბილი და საოცრად გემრიელი იყო. ჩემს ღღეში არ დამიღვია ასეთი გემრიელი რძე.

— გმადლობთ.

თენგიშმა გოგოს ხელი გადახვია მხარზე.

— რძე კი არა, სიყვარულის წამალი იყო...

— აბა, აბა, — გოგო იცინოდა და უკან იხევდა.

თენგიშმა ხელი მოხვია და ლოყაზე აკოცა. გოგო გაუსხლტა და სილა სტეცა.

თენგიში ხელს ისვამდა ლოყაზე. ხმამალა იცინოდა. რა მწარე ხელი გქონიაო, უთხრა გოგოს. თვალებზე ვატ-

ყობდი, გულზე სკლებოდა ბრაზისაგან. განსაკუთრებით იმას განიცდიდა ალბათ, ჩემი თანდასწრებით რომ მოუვიდა მარცხი. მოწმე ჩემს გარდა ბევრი ჰყავდა, მაგრამ სხვა „ვინ იცნობდა აქ“. ასეთ ბიჭებს, როცა მარტო არიან და მოწმე არა ჰყავთ, ათასი სისაძაგლის გაკეთება შეუძლიათ, ისე კი მუდამ ცდილობენ, კეთილშობილ რაინდებად მოგაჩვენონ თავი.

გოგოებს დავემშვიდობეთ და წამოვედი

— რძე კი არა, შაბიამნის ხსნარი უნდა დაეღუფინებინა შენთვის, — ვუთხარი მე.

— რატომ?

— რას ეღობა უცებოდი. იქნებ სულაც არ სიამოვნებს შენი ზვევანაკოცნა. — შენ გგონია, არ სიამოვნებს?

ცოტა ხანს დუმდა. მერე დაუმატა:

— გოგოებთან ცოტა უტიფრად უნდა მოიქცე. ისე არაფერი გამოგივა. ხანდახან სილაც მოგვხდება და უარსიც დაგეპარება... ხომ იცი, ვარდის ამბავი, რამდენი ეკალი აქვს...

— პატივს რომ გცემენ, მაშინ მაინც უნდა შეიკავო თავი.

— ხანდახან ასე სჯობია პატივისცემის გადახდა.

მანქანები არ ჩანდა.

ცაზე ღრუბლები დავინახე.

— რომ გაწვიმდეს? — კითხვით თენგიშს. — მაშინ ხომ ვეღარ მოვლენ? — თენგიშს არაფერი უთქვამს. შეშინებულნი ცას მიაშტერდა. ცოტათი წამოწვიმა კიდევ.

— გადაივლის, ალბათ, — ინუტყებდა თავს.

ამასობაში მანქანის ზუზუნიც გავიგონეთ. თენგიშის მძღოლი იყო. მანქანა ისევ ძველ ადგილას დააყენა, კაბინიდან გადმოვიდა და გვითხრა:

— აბა, სწრაფად დატვირთეთ.

— მეორე სადაა? — ვკითხე მე.

— არ იქნება.

გიორგი კეპალაძე
ჩემი პატარა ლანდი

— რატომ?

— გაფუქდა.

მუშაობა გავახურეთ. მძლოლიც გვეხმარებოდა.

მანქანა რომ დაეტვირთეთ, თენგიზი კაბინაში შეძვრა. მე ძარაზე ავხტი.

— ჩამოდი, — დამიძახა მძლოლმა, — მანდ რა გაგაძლებინებს.

— ჩამოდი, — დავეტყვეით კაბინაში, — მიიხრა თენგიზმაც, — ნუ გეშინია, აქ ინსპექტორს ვერსად ნახავ...

მაღე ისევ გამოიჭყიტა მზემ. გზა ოღნავ სველი იყო. აღარ მოგვდევდა მტვრის კორიანტელი, გზის პირებზე, ბალახში წვიმის წვეთები ციმციმებდა.

თენგიზი საჭეს წაეპოტინა.

— შენ ხელი გაუშვი, — უთხრა მძლოლს.

მძლოლმა სიგარეტი გააბოლა. თან შევნიშნე, ფრთხილად აუშვა ფეხი პედალს.

— მოუმატე ცოტა სიჩქარეს, — უთხრა თენგიზმა, — როცა მანქანამ სვლა შეანელა.

— საკმარისია ესეც, — უთხრა მძლოლმა.

— რისი გეშინია, არსად არ გადავვარდებით ამ მინდორში.

— გადავარდნაზე არაა საქმე, მანქანა გაფუქდება.

— შეაკეთებენ, ნუ გეშინია.

მძლოლმა ჩაიციხა. არაფერი უთქვამა. შემომხედა და სიგარეტების კოლოფი გამომიწოდა. არ ვეწევი-მეთქი, ვუთხარი. არც ეს ეწევაო, მანიშნა თენგიზზე.

— რას მაწეალებ, — უთხრა თენგიზმა, — ბარემ მანდ დამსვი.

— მიდი, მიდი, — უთხრა მძლოლმა და კარისკენ მიიწია.

— დამსვი, ნუ გეშინია.

მძლოლი არაფერს ამბობდა, წარბმეკრული ქაჩავდა სიგარეტს.

— ივან, დამსვი! გეხვეწო მაინცაღამაინც?

— სულ წამიხდენ სიჩქარეების კოლოფს. ისედაც უჭირს რაღაც.

ეს ისე თქვა, ცოტაც და, დათმობდა.

— გამოდი, ნუ გიყვარს წუწუნი, თენგიზმა გასაღები გადაატრიალა.

მანქანამ სვლა შეანელა და გაჩერდა.

აღგილები ვაცვალეს. თენგიზმა კვლავ გადაატრიალა გასაღები. მერე სტარტერის ლილაკს დააჭირა ფეხი. მოტორი ათუხთუხდა.

— ახლა სიჩქარე... ფრთხილად...

— ნუ გამიჭირე საქმე.

თენგიზმა სიჩქარის ბერკეტს მოჰკიდა ხელი. გაისმა ავისმომასწავებელი ღრქიალი. მძლოლი ბერკეტს ეცა, მაგრამ თენგიზმა ხელი ჰკრა და მოიცილა.

— დაწყნარდი, ივან...

მძლოლმა თავზე შემოიჭრა ხელები.

— დავლუბე მანქანა.

დავიძარით.

მძლოლის ტანჯვაც დაიწყო. სიჩქარის ყოველ გადართვაზე ყურებს იცობდა, რომ სიჩქარეების კოლოფში ღრქიალი არ გაეგონა.

გადავიხარე და ჩურჩულით ვუთხარი, შემდეგ რეისზე შენთან დავჯდები, ეგ კი მეორე მანქანას გამოჰყვეს-მეთქი.

მძლოლმა შემომხედა.

— შენც აპირებ სწავლას?

გამეცინა.

— არა, მინდა ამ ტანჯვისგან გიხსნა.

— ბევრჯერ ვცადე, მაგრამ არ მცილდება, — მიძიმე ამოიხვნეშა, — რა ჭირად გადამეკიდა. აღრე მეორე მძლოლს უჯდა კაბინაში. იმან საჭეს რომ არ გააკარა, ჩემთან გადმობარგდა.

თენგიზმა მოიხედა, მერე პარჯვენა ხელი საჭეს უშვა, მძლოლს გადახვია და უთხრა:

— არ მოგცილდები კუბოს კარამდე.

მაღე თვლემამ მომერია. მთელ საათს მეძინა. მანქანის მძლავრმა შენჯღრევამ გამომაფხიზლა. თავი ავწიე და ხელმარჯვენე ვერცხლისფრად მოლივლივე ტბა დავინახე.

— გააჩერე! — ვუთხარი თენგიზს.

მანქანა გაჩერდა. კაბინის კარი გავალე და ძირს გადავხტი. მუხლები მომეკეცა. ფეხები დამბუყებოდა.

— ბიჭოს, ეს რა უცნაური ტბაა, — თქვა თენგიზმა.

მე ტბისკენ გავრბოდი. ჩემს დღეში არ მენახა ასეთი თეთრი ტბა. ყორნის ტბა რა სახსენებელი იყო. ათიოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდი, ადგილზე გავშეშდი. ტბაში წვეთი წყალიც არ დამინახავს. ერთიანად ამომშრალიყო. ფსკერზე დალუქილი მარილი ბრწყინავდა ვერცხლისფრად. ტბაში ჩავედი. მაშინვე ფაფასავით აიზილა მარილის სქელი, სველი ფენა და ლაფი. უკან გადმოვხტი, არ ჩავიძირო-მეთქი. ახლა ნაპირზეც დავინახე ქვამარილის თეთროყვითალო ლოდები.

— რატომ არ იბანავე? — მკითხა თენგიზმა, როცა მანქანასთან დავბრუნდი.

— შენ გინახავს ასეთი ტბა? — ვკითხე.

— აქ ბევრია ასეთი ტბა. ხომ ბევრია? — მიუბრუნდა მძღოლს.

ჩემი არ იყოს, ისიც პირველად ხედავდა მარილის ტბას, მაგრამ ძირს იმიტომ არ ჩამოსულა, ეშინოდა, მძღოლმა საჭე არ წამართვასო.

მძღოლი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. ბოლოს ჩაილაპარაკა:

— გზა აგვრევია.

— რაო? — ჰკითხა თენგიზმა.

— გზა აგვრევია. ვერაფერს მივმხედრვარ, სად ვართ, ან საით უნდა წავიდეთ.

თენგიზმა უსიტყვოდ დაუთმო საჭე. თუმცა თვალეზე ეტყობოდა, მძღოლის ნათქვამში ეჭვი მაინც ეპარებოდა.

— წავიდეთ, რაღას უყურებ, — უთხრა თენგიზმა. მძღოლი აგვიანებდა მანქანის დაძვრას.

— საით? — მძღოლი დაბნეული იფხანდა თავს, — აქ თუ აგვრია გზა, შენ გგონია, მერე ადვილად გაიგნებ? შეიძლება მთელი დღე იარო და ერთი კაციც არსად შეგზვდეს ამ სტეპებში.

— თვალეები სად გქონდა? — ჰკითხა თენგიზმა.

— შენ გენდე.

— მე მენდო თურმე. — თენგიზმა გაიცინა, — როგორც გინდა, ისე გაიგნე გზა. დაბაში თავის ღროზე მიგვიყვანე,

ჩვენ გვშია და ვახშამს უნდა მივუსწროთ.

— ვახშამსაგან თავისუფალი ხართ. შენ ისა თქვი, მივალთ კი ამაღამ მეურნეობაში? უკვე ღამდება. ბენზინიც, ვინ იცის, მეყოფა თუ არა.

ალაღებდზე გავუღვიქით გზას.

შულამეს გადაცილებული იყო, ერთ სოფელს რომ მივალწვიეთ. იქ გავიგეთ, რომ ჩვენს დაბამდე, სულ ცოტა, ოთხმოცი კილომეტრი კიდევ გვქონდა გასავლელი.

სოფლის ბოლოში მანქანა გზიდან გადავყენეთ, ერთმანეთს მივეხუტეთ და დავიძინეთ.

ღილით ყველას მოვასწარი გაღვიძება. ძირს გადმოვედი და მუხლები გავშალე. დილის სუსხმა ერთბაშად გამომაფხიზლა. მივიხედ-მოვიხედე: წყალი ვერსად დავინახე. შორიახლოს, განმარტოებით მდგარი სახლის ეზოში ჭა დავინახე, მაგრამ იქ მისვლა დამეზარა. ხელი ნამიან ბალახზე დავისველე და სახეზე მოვისვი. ხელმარცხნივ ტყე მოჩანდა. ტყეში გზა მიიკლაცნებოდა. მარჯვნივ ველი გაშლილიყო. აქა-იქ თივის მალალი ზვინები იდგა.

მალე თენგიზი და მძღოლიც გადმოძვრნენ მანქანიდან.

— ხუთი წელია, აქ ვცხოვრობ, — თქვა მძღოლმა, — ზამთარ-ზაფხულიანად და ასეთი რამ ჯერ არ მომსელია.

— ჯერ არ დაბნეულხარ? — ვკითხე.

— როგორ არა, მაგრამ მალე ისევ გამოიგნია გზა. გუშინ კი, თვითონაც არ ვიცო, რა დამემართა.

— ჩემი ბრალი იყო, — უთხრა თენგიზმა, — ჩემი ბრალი იყო, არა?

— ჰო, — უთხრა მძღოლმა, — როცა საჭესთან ზიხარ კაცი, გზას სულ სხვანაირად ხედავ, ვიდრე გვერდიდან.

მძღოლი კაბინაში შეძვრა და დაგვიძახა:

— აბა, წავიდეთ!

სამისაათის შემდეგ დაბაში ვიყავით.

პირობი კახალაძე
ჩემი პატარა ლანდი

მე და თენგიზმა პირდაპირ სასადილო-საყენ გავწიეთ. მძლოლმა შინისკენ გაუხვია. ნახევარ საათში მოვალა, დაგვიბარა. სასადილოდან რომ გამოვედით, კანტორასთან დიდი ივანეს მანქანა დავინახეთ. (ჩვენს მძლოლებს ორივეს ივანე ერქვა).

— სადა ხართ აქამდე? — გვითხა მან.

თენგიზმა მოკლედ უამბო, რაც გადაგვხდა.

— უარესიც ზდება, — თქვა მძლოლმა და მანიშნა, ჩაჯექით, წავიდეთო.

— მეორე მანქანას გამოვეყვები, — კუთხარი მე.

თენგიზმა ერთხანს მიმზირა. მერე, რომ დაინახა, ჩემს სიტყვას არ გადავუხვევდი, კაბინაში ჩაჯდა. გამიკვირდა კი, თენგიზისთანა ხალხი ათასში ერთხელ თუ დავითმობს რამეს. ალბათ იფიქრა, პატარა ივანე დღეს საჭეს მაინც არ მანდობს და ბარემ თავს მოვანატრებო.

მანქანა დაიძრა.

კარგა ხანს ვიცადე. პატარა ივანე არსად ჩანდა. ვიცოდი, სადაც ცხოვრობდა და იქით წავედი.

ეუთში რომ გადავიხედე, ვიფიქრე, შემშლია-მეთქი, რადგან მანქანა ვერსად დავინახე. ამ დროს პარმალზე ერთი ზვინივით ქალი გამოვიდა და დამიძახა:

— ვის ეძებთ?..

ვკითხე, ივანე აქ ხომ არ ცხოვრობს-მეთქი.

— რომელი ივანე?

— მძლოლი, — გვარი არ ვიცოდი.

— აქ ცხოვრობს, — შემომეგება და ჭიშკარი გამიღო.

— ახლა სად არის?

— მალე მოვა, მოდი, მოდი...

— აქ მოვეუცდი.

— მოდი, მოდი!

წამოიწია. შემეშინდა, ხელს მომიკიდებს და ძალით წამიყვანს-მეთქი და გავყევი. ოთახში შემიყვანა და მაგიდასთან სკამი დამიდგა.

— დაჯექი.

დავჯექი. ქალი გავიდა და ორიოდ

წუთში უშველებელი ტოლჩით სავსე რძე მოიტანა. წინ დამიდგა. შეშინებულმა სკამი გვერდზე გავწიე.

— დალიე, — მითხრა დიმილით.

ვიუარე. თანაც, ერთი ამბით გადავუხადე მადლობა. არ მომეშვა.

— გმადლობთ, ვერ დავლევ. ბევრია...

— ეგ არ გამაგონო!

ეს ვის ხელში ჩავვარდი!

— ძალიან ბევრია, ქალბატონო, ამდენ რძეს რა დამალევინებს.

— ცოტა მაინც გასინჯე.

— მაშინ პატარა ჭიქაში ჩამიხსით.

— არა უშავს. ამ ტოლჩით გასინჯე.

თუ არ მოგეწონოს, ნუ დალევ.

— არა... დიდი მადლობა...

ტოლჩას ხელი მოჰკიდა, მეორე ხელი მხარში ჩამავლო... ცუდად იყო ჩემი საქმე. ჩათრევის ჩაყოლა ვამჯობინე და ლიტრიანი ტოლჩა პირზე მოვიყუდე.

რახან ავიღე და პირთან მივიტანე, ძირს აღარ დამადგმევინა. დავცალე, როგორც იქნა. ამ დროს პატარა ივანეც შემოვიდა. წავიდეთო, მითხრა.

კაბინაში რომ ჩავსხედით, ვკითხე.

— ვინაა ის ქალი?

— რომელი? — შემომხედა. სახეზე ეტყობოდა, ცუდ გუნებაზე იყო.

— აი ის, რძით რომ გამოჰყიბა.

ივანე ერთხანს დუმდა, მერე ამოიხვნეშა და ჩაილაპარაკა:

— ჩემი ცოლია.

ფერი ფერსაო, სწორედ ამითხე თქმულა.

— შეილები გყავთ?

— ჯერ არა...

ცოტა ხნის შემდეგ მომიბრუნდა.

— გამოგკითხა რამე?

— არა. რა იყო?

— არ შეირთო ცოლი, — მითხრა ივანემ, — შენ არ იყავი ჩემთან? კაბინაში არ გვეძინა სამივეს? ხომ გვეძინა? — კი გვეძინა.

— მერე, დაჯერებ თუ რა გგონიბიქვებს მოვიყვან და ჰკითხე-მეთქი, ვუთხარი. ძალდი ძაღლის ტყავს არ დახვესო, მითხრა. ნამუსს შეგინახავენო. შენთვის მაინც ეკითხა...

გულწრფელად შემეცოდა. კაცს იმო-
დუნა ცოლი ჰყავდეს და ისიც ექვიანი,
მეტისმეტია...

სალამომდე კარგად ვიმუშავეთ. მან-
ქანები რომ დავტვირთეთ და გამოვის-
ტუმრეთ, მე და თენგიზი მდინარის პი-
რას წამოვწეკით და გამოვიძინეთ. შემ-
დეგ, სანამ ჩვენს მანქანებს ვტვირთავ-
დით, პატარა ივანეშვიც მოასწრო გამო-
ძინება. ერთი სიტყვით, საქმე ავაწყვეთ.

ეგ იყო მხოლოდ, დიდ ივანეს მოე-
ცარა ხელი და სამად სამი ცალი ლიფ-
სიტა ძლივს დაიჭირა.

3

ფოსტა დაკეტილი დამხვდა. ახლა სამ-
კითხველში შევიარე. ბიბლიოთეკარი,
მალალი, ხმელ-ხმელი გოგო ფანჯარას-
თან იდგა და გულსწყურით უსმენდა
ერთი გრძელუღვაშა სტუდენტის ტრა-
ბახს.

სტუდენტს ისე უშნოდ აეპრიხა მეჩ-
ხერი უღვაში, მიწებებული გეგონებო-
და. მხრებამდე ძლივს წვდებოდა გო-
გოს, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ამის
გამო სულაც არ გრძნობდა უხერხუ-
ლობას.

მაგიდას მივუჯექი და გაზეთებს ფურ-
ცვლა დაუწყე. ბიჭმა ბრაზით გადმომ-
ხედა და ხმას დაუწია.

— გინდათ რამე? — მკითხა ბიბლიო-
თეკარმა ცოტა ხნის შემდეგ. ეს იმას
ნიშნავდა, თუ საქმე გაქვს, ჩქარა მორ-
ჩი და აქედან აიბარგეო.

— გაზეთები მინდა წაიკითხო.

სტუდენტი თვალებით მკამდა.

ავდექი და გარეთ გამოვედი. ლიდას
ვეძებდი. კინოში წავედი. ფილმის დაწ-
ყებამდე კარგა დიდი დრო იყო. იქნება
საცეკვაოდ წავიდა-მეთქი, გავიფიქრე
და კანტორისაკენ გავწიე. არც იქ იყო...

მთელი საღამო დავდიოდი კანტორი-
დან კლუბში, კლუბიდან სამკითხველო-
ში. ბოლოს ფილმიც დაიწყო, სამკით-
ხველოც დაიკეტა. ცეკვაც დამთავრდა.

ლიდა ვერც მეორე დღეს ვნახე. მესა-
მე საღამოს სამუშაოდან ადრე დავბ-
რუნდი. სასაიდლოსთან რომ ჩავიარე,

თვალი მოვკარი, მანქანაზე იჯდა, მარ-
ტო არ ყოფილა. გვერდით გოგოები
უსხდნენ. იქვე, ძარაზე რძის თეთრი ბი-
ლონები იდგა.

მანქანაზე ავხტი.

გოგოებმა სიცილი ატეხეს.

— ამას აქ რა უნდა? — იკითხა ერთ-
მა, — საიდან მოფრინდა?

— ვილაც უნდა უყვარდეს, — თქვა
მეორემ, — თვალეზე ვატყობ.

— მართალია? — მკითხა პირველმა.

— ლიდა მიყვარს, — ვუთხარი მე.

ლიდამ ცერად გადმოხედა.

„ხომ არ ეწყინა?“ — გავიფიქრე შიშით.

— ნამდვილად გიყვარს? — მკითხეს.

— ნამდვილად.

— ყველანი ასე გაიძახით. მაგრამ მა-
ინც კენტ-კენტად მიიძურწებით აქედან.

— მე არ წავალ კენტად. ლიდას წა-
ვიყვან.

მძლოლმა ძრავა აათუხთუხა, მერე ზე-
ვით ამოიხედა და მითხრა:

— აბა, სასიძო, ჩახტი ძირს. შენთვის
არ გვცალია.

გადავხტი. მანქანა წავიდა. გოგოები
ხელს მიქნევდნენ და იცინოდნენ. ლიდა
არც შერხეულა. ერთხელაც არ შემო-
უხედავს ჩემთვის.

„დღეიდან ხმასაც არ გამცემს, —
ვფიქრობდი, — ახია ჩემზე...“



ის იყო, თიხით დატვირთული მანქა-
ნა გავისტუმრეთ. პატარა გორაკზე ვის-
ხედით, დაბიდან თხუთმეტითღე წუთის
სავალზე.

— როგორ გაქვს საქმე? — მკითხა
თენგიზმა.

— რა საქმე?

— იმ გოგოსთან.

— ცუდად, — გამოვუტყუდი.

— აუხსენი სიყვარული თუ არა?

— რახანია.

— ცოლად წაგიყვანო, ალბათ ისიც
უთხარი.

გიორგი კვახალიძე
ჩემი პატარა ლანდი

— პო, — ვიცრუე.

— სულელი ყოფილხარ. ჩემთვის გეკითხა, თუ თვითონ არ იცოდი. გოგო კიდეც რომ გინდოდეს საცოლედ, ამის თქმა არ უნდა იჩქარო. თუ გინდა, არ ვათამამდეს და ცხვირი მაღლა არ ასწიოს.

— აქ სულ სხვა ამბავია.

— ესაა, მეტი არაფერი. ფიქრობს, ჩემთვის გიყვებოდა და თავს იფასებდა. აწი არაფერი არ გამოგვივა. წასულია შენი საქმე...

მანქანა მოვიდა და გორაკის ძირში გაჩერდა. მძღოლი პატარა ივანე იყო. მანქანა დაეტვირთეთ, ნიჩბები დავყარეთ და კვლავ გორაკზე წამოვსკუპდით. მძღოლი კაბინაში რომ შეძვრა, თენგიზმა მითხრა:

— ხუთ დღეს კიდეც გადროვებ.

— რაო ვითომ?

— პირველად მე მქონდა იმ გოგოსთან საქმე. ხომ არ დაგავიწყდა? არ უნდა დამეთმო. რა ვიცოდი, ასეთი უშნო თუ იყავი. რამდენი დრო დავკარგე ტყუილებრად.

გადავაფურთხე.

— რას იფურთხები?

— ღორი ხარ.

— რა ვარ?

გაუღმეორე.

წამოხტა, დამეჯახა, წამაქცია და ზევიდან დამაწვა. თან ილიმებოდა, ვითომ გეტხმებოდა. ამ ხუმრობაში უნდოდა თავისი ძალ-ღონე ეჩვენებინა.

— მომცილდი! — დავიდრიალე და გავიბრძოლე.

გაცოფებული ვიყავი. ეს რომ შემატყო, მაშინვე ადგა და მოშორებით დაჯდა. შიშით მადვენებდა თვალს. უშნოდა, ბარი არ ამეღო და თავში არ მეთხლიშა.

— ავმა ძალღმა არც თვითონ ჰქამა და არც სხვას აჰამაო. შენ ხომ მაინც არაფერი გამოგივიდა... არც გამოგივა.

ავდექი და ტანსაცმელი დავიბერტყე. ერთი პირობა მართლა ვიფიქრე, მოდი, დავწვედები ბარს, ვუყურობ, კურდღელივით რომ მოკურცხლავს-მეთქი. მაგ-

რამ მაშინვე გადავიფიქრე. რომ არ გაქცეულიყო, მართლა ხომ უნდა ჩამერტყა. ვერ მოვითმენდი და მართლა ჩავარტყამდი.

— დღეიდან ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, — ვუთხარი და წამოვედი.

ათიოდე ნაბიჯი რომ გავიარე, უნებურად მივიხნედი.

თენგიზი იჯდა და საწყალი თვალებით მიყურებდა, გალახული ძაღლივით. შემეცოდა. მივდიოდი და ვფიქრობდი, ნეტა როდის აქეთაა, ასე მარტო რომ არის ამხელა ქვეყანაზე და სანამ იქნება ასე-მეთქი.

„ჯანდაბას მისი თავი“, — ჩავიქინე ხელი ბოლოს და თენგიზზე ფიქრიც ამით დავამთავრე.

მეორე დღით მაინც შევირგდით.

შუღლისას ისე დაცხა, ტანსაცმელი გავიხადეთ და შიშველი ტანი მივუშვირეთ მზეს. სადილობამ რომ მოაღწია, მძღოლებმა გვითხრეს, ვისვენებთ, წადით და თქვენც დაისვენეთო.

მე და თენგიზმა ვისადილეთ. ფული მან გადაიხადა. ძალიან დამიტკაბდღეს.

ბინაზე რომ ვბრუნდებოდით, ჩვენი საწყობის წინ ქალები და გოგოები დაეინახე. გულმა მიგრძნო, ლოდა იქ იქნებოდა. შევეჩერდი. ზედიზედ მოვინებოდნენ ხორბლით სავსე მანქანები. ვანიერ მინდორზე ხორბლის ზვინების ორი გრეხილი მორკალულოყო. ცოტა მოშორებით ისევ ასუფთავებდნენ მინდორს ახალი კალოებისთვის. ლიდაც იქ დავინახე. თბრილის პირას იდგა, ზელში ფოცხი ეჭირა. ბალახსა და თივის ნარჩენებს აგროვებდა, ფეხშიშველი იყო.

ვიდექი და თვალს ვერ ვაშორებდი. ძალიან ლამაზი იყო. დიდრონი, მუქითაფლისფერი თვალები და მოკლე წაბლისფერი თმა ჰქონდა. ფეხშიშველი რომ იყო, კიდეც უფრო ნაზი და უმწეო ჩანდა.

მანაც დამინახა, უხერხულად შეიმშუმუნა. მტერიან ფეხებზე დაიხედა და,

თვალი ფეხსაცმლისაკენ გააპარა. გვერდით მსუქანი, ცისფერთვალეზა გოგო ედგა. იგი მალიმალ იხედებოდა ჩემკენ და თვალებს ეშმაკურად აციმციმებდა. რომ შემატყო, მას სულაც არ ვუმზერდი, შემომიბრია.

— იქით გადადი, ხელს ნუ გვიშლი!
 — ნუ ჯავრობ, — ვუთხარი და ახლოს მივედი, — ის გოგო გამაცანი, — ლიდასკენ გავიშვირე ხელი, — შენი მეგობარი უნდა იყოს. გაგვიყვებით მიყვარს, ქორწილში დაგვაბატყებ.

თუ მარტო ვარ გოგოსთან და ლაპარაკი სიყვარულზე წაივია, ენა ჩამივარდება ხოლმე. მაგრამ საკმარისია, ვინმე მესამე შემოგვიერთდეს, ისე ავქაქანდები, ვეღარ მიცნობთ.

— ჩემი დაა, — შემომიბღვირა ცისფერთვალეზამ, — ფრთხილად იყავი. მისი შეყვარება ჯერ არ შეიძლება. პატარაა.

— შენ უფრო პატარა ჩანხარ.

— აბა, აბა! — დამიტატანა და ფოტოხი ზედ ჩემს ფეხებთან ჩამოატარა, — იქით მიიწი, არ გვეცალია შენთვის!

— თავი დაანებე, ირა, — უთხრა ლიდამ, — ძლივს დგას ფეხზე საწყალი. იყოს, რას გიშლის.

ლიდას ხმამ უფრო გამათამამა. ახლა მას მივუბრუნდი.

— რა კეთილი გოგო ყოფილხარ.

— სულაც არა, არ მოტყუვდე. მაგრამ გატყობ, დაღლილი ხარ და შემეცოდე.

— სიცხის ბრალია, — ვიპაროლე თავი, — დამსიცხა...

— თქვენთან არ ცხელა ხოლმე?

— ჩვენთან სასიამოვნოც კია მზებზე ყოფნა, — გამოვიდე თავი, — სად იქ და სად აქ... რა შედარებაა.

არაფერი უთქვამს. თავის საქმეს განაგრძობდა.

— ფოსტაში აღარ მუშაობ?

— არა.

— რატომ?

— აქ მირჩენია.

— ხომ არ მიჯავრდები? — ვკითხე.

— რატომ უნდა გაგიჯავრდე?

— მაშინ... იმდენ ხალხში სიყვარულ-

ზე რომ დავიწყე ლაპარაკი. მე მეგონა... მერე კი მივხვდი, რომ დავაშავე.

— აჰ, სიყვარული რომ ამიხსენი? — ლიდამ გაიცინა.

— იმ საღამოს... მანქანაზე.

— რაო, არ უნდა აგეხსნა? დავიბენი.

— კი მაგრამ... იქ არ უნდა მეთქვა.

— არა უშავს. შეგიძლია ბოდიში მოიხადო, რახან ტყუილი წამოგცდა. გაბატყებ.

— არა, ეგ კი არ მინდოდა მეთქვა. — მაშინ სად მიდიოდით?

— ფერმაში. ყოველ საღამოს ფერმაში დავდივართ.

— ამაღამ საცეკვაოდ მოხვალ?

— არ ვიცი.

— მოდი, ძალიან გთხოვ.

არაფერი უთქვამს. ირა შემომწყრა:

— წადი, ნუ გეცდენ!

— ნახვამდის, — ვუთხარი ლიდას.



დღეს ხელფასი ავიღეთ, ნახევარი თვის. ორმოცი მანეთი მერგო.

ხუთმანეთიანები იყო. ფრთხილად მოგვეცე და ჯიბეში ჩავიდე.

გარეთ რომ გამოვედი, ჯიბიდან ამოვიღე და მალულად რამდენჯერმე შევატრიალე ხელში. ფული ბევრჯერ მქონია, გაცილებით მეტიც. მაგრამ ის ფული სულ სხვა იყო. ამას ვერ შეედრებოდა.

ნასადილევს მე და თენგიზი კანტორის წინ ძელსკამზე ვისხედით, მძლოლებს ველოდით.

— თენგიზს გაუმარჯოს! — მოგვესმა ამ დროს. ჩვენს წინ ტანმორჩილმა ბიჭმა ჩაიარა და ხელის აწევით მოგვესალმა. ისე იყო გამობრანჭული, იფიქრებდით, ოპერისკენ გაუწევიათ: შავი შარვალი და თეთრი. გაქათათებული პერანგი ეცვა. ყელზე ფაქიზად შემოეხვია შავი ყელსახვევი. ლამაზად დავარცხნილი ქოჩორი შავად უბზინავდა. ფეხ-

პირობი კეპალაძე
 ჩემი პატარა ლხინი

ზეც გაპრიალებული შავი მოკასინები
მცვა.

თენგიზმაც აუწია ხელი.

— მოდი, ახალი ამბები გვითხარი.

ბიჭს, ეტყობა, საქმე არაფერი ჰქონ-
და. მეორედ აღარ დასჭირებია მოპა-
ტიყება.

ახლოს მოვიდა. სკამს დააკვირდა. მე-
რე თითი ვადაუსვა. სახე შეიკუმუნხა. ჯი-
ბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სკამზე
გაფინა. შარვლის ტოტები ოდნავ წა-
მოსწია ზევით და დაჯდა.

— როგორ ხართ? — გვკითხა, როცა
ამ საქმეს მორჩა.

— ვართ, — მიუგო თენგიზმა, — შენ
როგორ ხარ, მირონ?

თენგიზს კილოზე შეატყობდით, მი-
რონი ვერ უნდა ყოფილიყო მის თვალ-
ში მაინცდამაინც დაფასებული კაცი.

— დიდებულად, — მიუგო მირონმა.

— სულ ასე გამობრანჭული რომ და-
დიხარ, როდის მუშაობ?

— ხანდახან...

— ახლა სად მიდივოდი?

— არსად. სუფთა ჰაერზე გამოვედი.
თვალს წყალს დავალევიებ და გო-
გოებს მოვხიბლავ-მეთქი.

— სტუდენტი ხარ? — ვკითხე.

მირონმა შემომხედა.

— ეს ვინ არის? — ჰკითხა თენგიზს.

უცნაური სურვილი დამეზადა: ავ-
მღგარიყავი და მირონს დავეჭიდებოდი.
მერე ენახა, როგორ მოხიბლავდა გო-
გოებს.

— ჩვენი ბიჭია, — უთხრა თენგიზმა.

— ვუპასუხო?

— რაც გინდა ის ჰქენი.

— აბა არ ვუპასუხებ.

მე ავდექი და ბიჭს ხელი ვტაცე.

— რა გინდა? — მკითხა გაოცებულ-
მა, — რას მეპროწილები?

— დამეჭიდე.

— გაგიჟდი, ვილაცა ხარ?..

— დამეჭიდე, თორემ ტყუილია, მა-
ინც არ მოგეშვები.

— შეიშალე? თენგიზ, მომაცილე ეს
გიყი.

— მაშ, გიყი ვარ! — წამოვაცენე და
წელში შევუვარდი.

— თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, —
შემეხვეწა მირონი და მთლიანად მომ-
ნებდა, დაიყცა, — თავი დამანებე, გეხ-
ვეწები... თავი დამანებე და რაც გინდა,
შემეკითხე, ყველაფერზე გიპასუხებ.

შემეცოდა და ხელი გავუშვი. ოზვრიით
შეუღდა ტანსაცმლის წმენდასა და სწო-
რებას. მის ორივე ფეხსაცმელს ჩემი
ჩექმების ლანჩები ეხატა. ეს რომ დაი-
ნახა, გული კინაღამ წაუვიდა. ცხვირსა-
ხოციტ მოაცილა მტკვრი. ჩემზე ჯავრი
იმიტ ამოიყარა, რომ სიტყვა ვატეხა,
ერთბაშად შეტრიალდა და წავიდა.

— გიყი ხარ, ვილაცა ხარ, — მითხრა
წასვლის წინ.

— ვინაა? — ვკითხე თენგიზს.

— ჩვენთან სწავლობს. ჩემს კურსზე.

— რა კაცია?

— რასაც ხედავ, ის არის... თოჯინაა.

— აქ რატომ წამოვიდა?

— რა ვიცი... ალბათ ორიანი აქვს და
უთხრეს, თუ ყამირზე წახვალ, სტაბენ-
დიას არ მოგიხსნივით. ჰოდა, წამოსუ-
ლა.

— ისე შეძლებული თუა, აქაც ასე
გამოწევილი დადის, სტაბენდიას რა-
ღას ებლაუჭება?

— შეძლებული კი არა... ის არ გინ-
და. ეგ არის მაგის ავლადიდება, რაც
ტანზე აცვია.

4

დღეს ახალ ბინაში გადაგვიყვანეს.
სწრაფად გადავზიდეთ საწოლები და
მთელი ჩვენი ბარგი-ბარხანა.

დაბინავებას რომ მოვრჩით, ზაურმა,
მამიამ და სულთანმა ტბაზე წამიყვანეს.
ვიბანავეთ. მერე მზის გულზე წამოვწე-
ქით. სანამ ზაური და მამია ჰადრაკის
დაფაზე ფიგურებს ალაგებდნენ, სულ-
თანმა გაზეთი ამოიღო და ხმამაღლა
დაიწყო კითხვა. ახლახან მიეღო შინი-
დან გაზეთი. მაშინვე მივხვდით, თა-
ვის ლექსს გვიკითხავდა. სულთანს ყო-
ველთვის გვიკითხავდა ხოლმე თავის
ახალ ლექსებს. თუმცა ჩვენ ვერაფერს

ვიგებდით და იმაშიც არ ვიყავით დარწმუნებული, თავის ლექსს გვიკითხავდა თუ სხვისას.

კითხვას რომ მორჩა, უსიტყვოდ დაკეცა გაზეთი, თითქოს ვალი მოიხადო, მკითხა:

— ფული აიღე?

— ჰო.

— რომ გავითავდებო, გვითხარი. არ დაგეხატოს.

— თბილისში როდის უნდა დავბრუნდეთ? — გკითხე.

— სექტემბრის ბოლოს. რაო, მოგეხატრა შინ დაბრუნება?

— მომეხატრა.

— მამაშენთან დაბრუნდები? — მკითხა მამიამ.

რატომღაც გამიკვირდა ეს შეკითხვა, თუმცა, კარგად მახსოვდა, რომ მოვდიოდი, როგორ ვიფიქვობდი, შინ არასდროს არ დაებრუნდები-მეთქი. მე ჩემი მიზანი უკვე შესრულებულად მიმაჩნდა. აკი დავუმტყვიე, რომ საკუთარი ჭკუით ცხოვრება შემეძლო.

— დაებრუნდები...

— გამარჯვებული, არა? — მკითხა სულთანმა.

— გამარჯვებული.

— მამაშენმა რომ არ მოაწეროს ხელი კაპიტულაციასზე? — მკითხა ზაურმა სიცილით.

მეც გამეცინა.

— მოაწერს, აბა რა გზა აქვს...

— იმ ოპერაციის ამბავი თვითონ გითხრა თუ როგორ გაიგე? — მკითხა ზაურმა.

— რომელი ოპერაციის?

ტანში გამაცია.

მაგრამ ჭერჯერობით ეს წინათგრძნობა იყო და მეტი არაფერი.

მამიამ თავი ასწია და ზაურს შეხედა. არაფერი უთქვამს. ისევ დაფას დააკვირდა. სულთანმაც შეხედა ზაურს. წამით იმედი მომეცა, რაც მე ვიგრძენი, ზაურს იმის თქმა სულაც არ უნდოდა-მეთქი.

— რომელი ოპერაციის? — გკითხე კვლავ.

— ამის მამას რომ გაუყვითა, — ზაურმა მამიასკენ გადააქნია თავი.

დამცეცხლა.

ზაურმა, თითქოს აქ არაფერი იყო, მშვიდად გააკეთა სვლა და მამიას უთხრა:

— ვერსად წამიხვალ. შამათია სამ სვლაში.

— ვერ მოგართვი, — ისე მიუგო იმანაც, თითქოს ჭადრაკის თამაში იყო ერთადერთი რამ, რისთვისაც დაფიქრება ღირდა.

სულთანმა წიგნში ჩარგო თავი. მე ამქვეყნად აღარ ვიყავი.

მათთვის არაფერს ნიშნავდა ის, რომ ჩემთვის ერთბაშად ყველაფერი უაზრობად იქცა. სისულელე იყო კლდეებზე ბობბლა იმისათვის, რომ ერთი დაკარგული ტბა მენახა და მაღალი მთიდან გადმომეხედა, სისულელე იყო თოფის სროლა შუალამისას, საგამოცდო ფურცლის დახვევა, სახლიდან წამოსვლა, თენგიზთან ჩხუბი, ფიქრი იმაზე, მიყვარდა თუ არა ლიდა და ის თავდაჯერება და სიამაყე, ორმოცმა მანეთმა რომ მაგრძნობინა. ყველაფერი ერთბაშად სისულელედ და უაზრობად იქცა...

სისულელე იყო მთელი ეს შეჯიბრი მამაჩემთან, ისეთივე უაზრო თამაში, როგორცა ძაღლის გააგებული ყეფა, ძაღლისა, ქუჩაში მანქანას რომ მისდევს და ცდლობს, უკბინოს.

ლოყა ამეწვა. თითქოს ეს-ესაა მამაჩემმა სილა გამაწნაო. ახლა ძალიან შორს იყო ის, ვინც სილა გამაწნა. ამიტომაც მემწარა ასე საშინლად.

ხელ-ფეხი შეკრული მქონდა. უმოწყალოდ მცემდნენ. არ შემეძლო პასუხის გაცემა, რადგან ხელ-ფეხი შეკრული მქონდა და თანაც მამაჩემი იყო ის, ვინც მცემდა...

იგი მანქანაში იჯდა და ილიმებოდა, რადგან მე ფეხით მივდევდი და ვცდილობდი, საბურავებზე მეკბინა.

ყელში ბურთი გამეჩხირა. ავდექი და წავედი.

გიორგი კეზელაძე
ჩემი პაბარა ლანდი

ტყეში შევედი და მიწაზე დავემხე. ლოყაზე ცეცხლი მეკიდებოდა. აშკარად ვგრძნობდი მამაჩემის ხუთივე თითს.

ბარაკში გვიან ღამით დავბრუნდი.

მეორე დღეს მოთენთილი და დამტვრეული ვიყავი. მანქანებს სილით ვტვირთავდი. სილა სველი და მძიმე იყო.

დავიღალე. ნიჩაბი დავაგდე და დავჭექი. თენგიზიც დაჯდა.

— ავდგეთ, — მითხრა ხუთიოდე წუთის შემდეგ.

— არ შემიძლია, ავად ვარ.

— მაშინ ცოტა კიდევ დავისვენოთ.

დიდი ივანე შორიახლოს იჯდა. მოთმინებით ელოდა, როდის აივსებოდა ძარა.

ათი წუთის შემდეგ თენგიზი წამოდგა და ნიჩაბს მოჰკიდა ხელი.

— აღექი, რა დავემართა?

მეც ავდექი. ის რომ ორ ნიჩაბს სილას შეისროდა მანქანაზე, მე ნახევარს ძლივს ავწვედი. მართლა ცუდად ვიყავი. თენგიზს ეგონა, თავს ვიკატუნებდი. გადაირია კაცი. რა ექნა, არ იცოდა. თითქმის მარტოს მოუხდა მანქანის დატვირთვა.

მანქანა რომ წავიდა, ნიჩაბი დავაგდე და გულაღმა გავიშორე მიწაზე.

— რა უსუსური ხარ, — მითხრა თენგიზმა, ჯავრს იყრიდა ჩემზე. — მეცოდები, რომ ვიყურებ.

— ავად ვარ.

— შენ სულ ასეთი საცოდავი ხარ. თუ თავს ისაწყლებ, ერთი კია...

არაფერი მითქვამს. ბოღმა ყელში მჭონდა მოწოლილი. თანაც ვგრძნობდი: უკანასკნელად ვმუშაობდით მე და თენგიზი ერთად.

— ასე რა დამაჩაჩანაკებს. კაცი თუ ხარ, კაცი უნდა იყო.

ჩემი გასაჭირი მყოფნიდა, ამან კი სულ მომიშალა ნერვები.

— შენ მაინც ვკობივარ, — ვუთხარი მე, — შენისთანას ოცს მაინც ვკობივარ.

— როგორ? — დაინტერესდა თენგიზი.

რა თქმა უნდა, ეკვიც არ ებარება, რომ მე მის ფეხთა მტვრედაც არ ვღირვარ. ყველამ რომ ზურგი შეაქცია, ამასაც ალბათ იმით ხსნის, რომ ყველაზე უკეთესი ბრძანდება და მისი შურთ...

— ისე, — ვუთხარი.

— მაინც, მაინც...

— აბა ერთი კაცი მაინც მომიყვანე, შენზე კარგს რომ ამბობდეს.

არაფერი უთქვამს. გულზე მოხვდა ჩემი ნათქვამი. ცხადია, მისი რწმენა, ქვეყანაზე ბადალი არ მყავსო, შეურყეველი იყო, მაგრამ მაინც ძნელია იმის ატანა, შენზე ყველა თუ ძვირს ლაპარაკობს.

— ყველა გეჩხუბება...

— აბა შენ ვინ უნდა გეჩხუბოს, ყველას ფეხქვეშ ვეგები.

— შენც ფეხქვეშ გეგები?

— ამას წინათ მთელ ბარაკში გაგამასხარავეს, შენ კი იდექი და იღიმებოდი.

— ვინ გამამასხარავა? — წამოვიწიე.

— მიტომ და ჯუმბერმა... გაის სახელოვანი წარმომადგენელიო, გაბითურებული აბითურიენტიო, შენ კი ხმაც არ ამოგიღია.

მიტომ და ჯუმბერმა „გაის“ სტუდენტად გააცნეს ჩემი თავი ამხანაგებს. „გაი“ ინიციალებია და ნიშნავს გაბითურებულ აბითურიენტთა ინსტიტუტს.

— შენ ტყავში დაეტიე, — ვუთხარი, — სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჩრი.

— მე მეწყინა შენს მაგივრად. აბუჩად ავდებდა არავის არ უნდა აპატიო.

— ხუმრობდნენ, რა უნდა მწყენოდა!

— ასეთი ხუმრობა არ მომწონს.

— მე მომწონს.

— მხდალი ხარ და იმიტომ. ერთი თვეა დასდევ იმ გოგოს და ვერაფერს გამზდარხარ.

— შენც ხომ დასდევდი მთელ თვეს?

— შენ რა კაცი ხარ, ეჩოსავით სულ შენკენ მიითლი.

— სწორედ შენ ხარ ეგეთი, კარგ დროს გამასხენე.

— სულ იმას ცდილობ, შენი საქმე სხვას გააკეთებინო...

— როდის?..

— აი თუნდაც ახლა. ავად ვარო და მე მატეირთვინებ მანქანას.

— უსინდისო ხარ, — ვუთხარი მე.

— გირჩევნია, ენა გააჩერო! — დამივიყვია მოთმინებიდან გამოსულმა.

— თორემ რა?

— მიგეტყავ იცოდე!

— მიმეტყავს ბიჭი!..

ფერი დაეკარგა სიბრაზისაგან.

ავდექი და წინ გავეჯგიმე:

— აბა, ხელი მახლე, თუ ბიჭი ხარ!

ფეხზე ძლივს ვიდექი.

საყელოში ხელი მტაცა და სარმა გამომდო. რალა სარმა მინდოდა, ცოტაც და, ჩემით წავიქცეოდი. მიწაზე მოვადინე ზღარათანი.

წამოვვარდი და დავეტაკე. მაგრამ მალე ისევ მიწაზე აღმოვჩნდი. ისევ ავდექი. თენგიზს შევხედე: აშკარად ეტყობოდა, ნანობდა თავის საქციელს. ცხადია, იმასაც გრძნობდა, რომ გვიანი იყო სინანული. მაშინვე გამიარა ბრაზმა...

ეს უკანასკნელი დღე იყო, ერთად რომ ვმუშაობდით.

● მთელი კვირა ისე გავიდა, ერთ საათსაც არ მიმუშავია. ნასაუზმევს ტყის პირას ვსეირნობდი, ვწვებოდი და ცას შევყურებდი. რომ მომშვიდებოდა, სასადილოს მივაკითხავდი. მერე კი ისევ ტყეში ავბრუნდებოდი. არაფერზე არ ვფიქრობდი: ვიწვექი და ცას ვუმზერდი — ეს იყო და ეს, არც მუშაობის გული მქონდა და არც არაფერი მინდოდა.

მირონი დამიმწყაყდა. ისიც ტყის პირას მოდიოდა ხოლმე, პირაღმა წვებოდა და იძინებდა. ჩვენი ძმაცობა იმით დაიწყო, რომ მანეთს დამესესხა. მივეცი, ძალიან გაუხარდა და იმ დღეს ჩემი მანეთიანით სადილზე დამპატიჟა. ვაბშამზე მე დავპატიჟე. ამის შემდეგ არც მომცილებია. მეუბნებოდა, თბილისში ერთი ათად გადაგიხდი პატივისცემასო.

ერთ დღეს დაღონებული მოვიდა ჩვენი შეხვედრის ადგილას. შავი ხალათი ეცვა. ბაბუა გარდამეცვალაო, მითხრა და დეპეშა მაჩვენა.

ვიზიარებ შენს მწუხარებას-მეთქი, ვუთხარი.

— ფული უნდა მასესხო, — მითხრა, — შინ მივდივარ.

ოცი მანეთი მივეცი.

— გამაღობო, აუცილებლად გადაგიხდი.

— როდის მიდიხარ?

— ამაღამ. უნდა გავფრინდე, თორემ დასაფლავებას ვერ მივუხსრებ. ჯერ ალმა-ატაში უნდა ჩავიდე. იქიდან გავფრინდები. ეს ფული არ მეყოფა, კიდევ უნდა გამოვართვა ვინმეს, მაგრამ შენი მაინც მაღლობელი ვარ.

— მეტი არა მაქვს, თორემ არ დავიკავებდი.

— არა, ვიშოვი...

მირონი მართლაც წავიდა იმ საღამოს. ეს ამბავი რომ გაიგო, თენგიზმა ხარხარი ატეხა. ალბათ იმიტომ გამოიღო თავი, იცოდა, ფული რომ ვასესხე. თქვა: მირონს ბაბუა ამ ორი წლის წინ მოუკვდაო. მირონის პატიოსნებაში მეც ხშირად შემპარვია ექვი, მაგრამ ამას თუ იკადრებდა, არ მეგონა. მეწყინა, მაგრამ მალე გავიგეთ, რომ სიმართლე ეთქვა. ამ ორი წლის წინ ბაბუა კი არა, ბებია მოკვდომოდა და თენგიზს ის ახსოვდა.

ასე იყო თუ ისე, მე კვლავ უფულოდ დავრჩი.

● დილით არ მისაუზმია. უსადილობასაც გავუძელი. საღამოს კი ველარ მოვითმინე. ან სანამდე უნდა მეთმინა. ავდექი და მიტოს ფული ვთხოვე.

— ასე მალე გაგიათვდა? — მკითხა გაკვირვებულმა.

— მირონს ვასესხე.

— რამდენი?

— ოცი მანეთი.

გიორგი კვალიაძე
ჩემი პაპარა ლანდი

— იცი, რომ აღარ დაგიბრუნებს? არაფერი მითქვამს.

მიტომ სამი მანეთი მომცა. მერე, თითქოს ახლა გაახსენდაო, მკითხა:

— მუშაობას თავი ზომ არ დანებე? რალაც მარტო ვხედავ შენს თენგიზს.

— ერთი კვირაა, აღარ მიმუშავნია.

— ჩვენთან იმუშავენ?

უარი როგორ უნდა მეთქვა, უკვე მისი მოვალე ვიყავი. თანაც ეს მარტოობა და უქმად ყოფნაც მობეზრებული მქონდა.

მიტო და ჯუმბერი კლუბის მშენებლობაზე მუშაობდნენ.

— ვიმუშავენ, — ვუთხარი მე, — რა უნდა გავაკეთო?

— ათასი საქმეა.

● უნიათო ფილმი იყო. მაინც ვუძღვებდი, ველოდი, იქნება თანდათან უფრო საინტერესო გახდეს-მეთქი. დამთავრებას აღარ დაუვცადე, ავდექი და წამოსვლა დავაპირე. სწორედ ამ დროს მოკვარი თვალი ლიდას. სულ ბოლო რიგში იჯდა, დაც თან ახლდა.

გვერდით მივუჯექი.

ირამ მოიხედა, მაშინვე მიცნო.

— ასეთი სიყვარული იცი? — მითხრა ირამ, — სად დაიკარგე?

რა მეთქვა. რაც მუშაობას თავი დავანებე, ლიდა არ მენახა. არც ვეძებდი: ცუდ გუნებაზე ვიყავი და იმიტომ. ძალიან კი მენატრებოდა.

— ლიდაზე ნაწყენი ვარ, — ვუთხარი ბოლოს ირას.

— რატომ? — მკითხა ლიდამ.

— შენც კარგად იცი, რატომ.

ვეშმაკობდი. დროის მოგება მინდოდა. იქნება რამე მოვიფიქრო სახელდახელოდ-მეთქი.

თვითონ მიხსნა.

— ცეკვაზე რომ არ დავდივარ?

— რამდენჯერ დამპირდი და არ მოხვედი.

— სალამოს გვიან ვბრუნდებით ფერმიდან. მერე მეძინება და პირდაპირ შინ მივდივარ. დღეს ძლივს მოვუსწარი კინოს.

შევატყვე, ფილმი არც მათ მოსწონდათ.

— მოდი, წავიდეთ, — ვუთხარი მე.

— სად? — მოიხედა ირამ.

— გარეთ...

კანტორა შორს არ იყო და დროდადრო საცეკვაო მოედნიდან აკორდონის ხმა ისმოდა

დები ღუმდნენ. სწორი გითხრათ, არ მინდოდა, რომ წამოსულიყვენ. წარმოვიდგინე საცეკვაო მინდორზე ამდგარი მტკრის ბული, ფეხების უსიამოვნო ჩლარტუნი. წყვილები, იმ სიბნელეში თამამად რომ ეხუტებოდნენ ერთმანეთს. აღარ მინდოდა ლიდა იქ ყოფილიყო.

— წავიდეთ, — თქვა ირამ და ადგა.

— სხვასთან არ იცეკვენ? — ვკითხე ლიდას, კლუბიდან რომ გამოვედით.

გაკვირვებულმა შემომხედა.

— ეჭვიანი ვარ, — განვუმარტე.

არაფერი უთქვამს.

— ხომ შეიძლება ეჭვიანობა? — ვკითხე.

— რა ვიცი...

— მიყვარხარ! — წამოვიძახე და მკლავზე ვტაცე ხელი.

ნამდვილად არ ვიყავი ჭკუაზე.

ირამ მიჩქმიტა და გამომამხიზლა.

— აბა, აბა. ნუ გათამამდები...

— რა კარგი სიტყვაა, — თქვა ლიდამ ცოტა ხნის შემდეგ. — მაგრამ ზოგჯერ ისე ყალბად ძღერს, გული დაგწყდება.

— ახლა?.. ყალბად ძღერდა?

შემომხედა, არაფერი უთქვამს.

ლიდამ ცოტა ხანს იცეკვა ჩემთან. მეტი განზე ვადგა, აღარ მინდაო.

სიბნელე იყო. როგორც იქნა გავბედე, ლიდას ხელი გადავხვიე და კოცნა დაუვირე. თავი გვერდზე გადასწია.

— გოგოს მაშინ უნდა აკოცო, — დამარიგა მან, — როცა აღარ შეგიძლია, რომ არ აკოცო...

ლიდას მოვწონდი, ამაში ეჭვი აღარ მეპარებოდა. მაგრამ ჩვენს შორის მაინც იდგა რალაც ვადაულახავი. რომ ვსაუბრობდით, ისეთი გრძნობა მქონდა, თით-

ქოს ტელეფონით ველაპარაკებოდი ათასი კილომეტრის სიშორიდან.

— შენ რომ გიყურებ, — ვუთხარი მე, — ასე მგონია სკაფანდრი მაცვია.

— ასეც არის.

— რატომ?

— რა ვიცი...

— რომ გადავიძრო ეს სკაფანდრი, რა მოხდება?

— ვინ იცის, შეიძლება მაშინვე მოვკვდე.

მე გამეცინა, ლიდასაც.

მხარზე ხელი გადავხვიე. ახლა არ გაწეულა გვერდზე. ბნელოდა, მაგრამ მე მაინც კარგად ვხედავდი მის დიდრონ თვალებს, პატარა, მსუქან ტუჩებს და ოდნავ აპრეხილ ცხვირს. ძალიან საყვარელი და ახლობელი იყო, მაგრამ მე სკაფანდრი მეცვა და ამაზე ახლოს ვერასდროს ველარ მივიდოდი მასთან. ეს მიწვავდა გულს.

თითქოს უკვე ვშორდებოდით ერთმანეთს. თითქოს სხვადასხვა მატარებლებში ვისხედით. ეს მატარებლები რამდენიმე წუთით შეჩერდნენ ერთსა და იმავე სადგურში და ჩვენ ფანჯრებიდან ვხედავდით ერთმანეთს.

5

კლუბის მშენებლობაზე ექვსნი მუშაობდნენ. მე მეშვიდე ვიყავი. საქმე მართლაც ათასნაირი გვქონდა: ხან აგურებს ვაწოდებდით ხარაჩოზე, ხან ფიცრებს, ძელებსა და ლატანს მოვათრევდით. ხანაც მანქანას მივყვებოდით სადგურზე.

ბრიგადირს თამაზი ერქვა. ეს ის უღვაშა ბიჭი იყო, სამკითხველოში ბიბლიოთეკარს რომ ებრანჭებოდა. მისი უღვაშეები არც მერე მომწონებია, თვითონ კი კარგი ბიჭი აღმოჩნდა.

მიტოსა და ჭუმბერს ხომ ვიცნობდი და ვიცნობდი, მათზე ნაკლები არც სხვები იყვნენ. ერთს პაპას ეძახდნენ, იმიტომ რომ წვერმოშვებულ იდალიოდა. ოთარი ერქვა. ერთი ოთარი კიდეც ჰყავდათ, ტანადი, ჯმუხი ბიჭი, ოთარ მეორეს ეძახდნენ. თუ სადმე მძიმე მო-

რები იყო ასაწევი, ბრიგადირი იქ ოთარ მეორეს ვზავნიდა ხოლმე. მას განსაკუთრებით მოსწონდა ისეთი საქმეები, სადაც თავისი ძალ-ღონის გამოჩენას შეძლებდა. მეექვსეს ვასო ერქვა. საშუალო ტანის, ხმელ-ხმელი ბიჭი იყო, რუსსა ჰგავდა. მართლაც რუსი აღმოჩნდა. ომის დროს ობლად დარჩენილიყო. საქართველოში ჩამოეყვანათ და ბავშვთა სახლში გაეზარდათ. ვილაყამ მითხრა, თავისი ნამდვილი გვარიც არ იცისო.

პირველ სექტემბერს წვიმიანი დილა გათენდა და სამუშაოდ აღარ ვავსულვართ: თამაზმა უღვაშები გადაიგრიხა, ფანჯარას გახედა და ნაღვლიანად თქვა: — დაიწყო... ჩვენ კი სადა ვართ, ბიჭებო!..

ფანჯარაში გავიხედეთ: სკოლისაკენ მიმავალი ბავშვები დავეინახეთ. საწვიმრებითა და ქოლგებით მიაბიჯებდნენ.

— თბილისში მაგ უღვაშით ჩახვალ? — ჰკითხა ოთარ მეორემ.

— არა, — უპასუხა მიტომ, — დავმშვიდობებთ თუ არა თავის ბიბლიოთეკარს, უღვაშს იმ დღესვე მოუღებს ბოლოს.

— შენ? — ჰკითხა თამაზმა პაპას, — შენ რაღას აპირებ?

— არ ვიცი, გავიმეტებ თუ არა, — მიუგო ოთარ პირველმა და წვერზე ხელი ჩამოისვა, — ცუდი სამსახური კი გამიწია, გოგოები სათოფზე არ მეყარებიან. დიდი და პატარა ბიძიას მეძახის.

— ნეტავ თუ გვახსენებენ ჩვენი გოგოები? — იკითხა ვასომ.

მეც უცნაურ გუნებაზე ვიყავი იმ დღით. რაღაც მაწუხებდა. თითქოს სადღაც უნდა წავსულიყავი, მაგრამ საღ, არ ვიციოდი.

— ნეტა თბილისშიც თუ წვიმს? — ვიკითხე.

— წერილი მაინც გამოგზავნონ, — წუხდა ვასო, — რა დიდი ამბავი უნდა.

პიორი კამაღამაძე
ჩემი პატარა ლანდი

თვალში მინც არ მოვაკლდებით, აუდიტორიაში რომ შევლენ?

— ვინ უნდა გამოგიგზავნოს წერილი? — ვკითხე.

— გოგობმა.

— სულ შენზე ფიქრობენ, — უთხრა პაპამ, — მეტი საქმე არა აქვთ.

ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდა.

— თბილისში რომ ჩავალთ, მოტოციკლეტს ვიყიდი, — თქვა ვასომ.

ბარაკში მამია შემოვიდა და ჩემს საწოლზე ჩამოჯდა.

კარავი კარგა ხანია დაკეცეს და ჩვენთან შემოსახლდნენ.

— როგორ ხარ? — მკითხა.

— კარგად, — უთხრა პაპამ, — დავაქვქავკეთ.

— თუ გინდა ჩვენთან იმუშავე, — მითხრა მამიამ, — ხვალღიდან, თუ გამოიღრა, ჭების ამოთხრა უნდა დავიწყოთ.

— აღარ გამოვუშვებთ, — უთხრა ოთარ მეორემ.

— ჩვენ უფრო გეპირდება, — უთხრა ვასომაც, — მშენებლობას ამ ოც დღეში თუ არ დავამთავრებთ, შინ არ გავვიშვებენ.

— თქვენ იცით.

მშენებლობიდან წასვლა არ მინდოდა. ძალიან მხიარული ბიჭები იყვნენ. თანაც სამუშაოთა მწარმოებელი ყოველდღე გვაფრთხილებდა, ზამთარი კარხეა მომდგარი, კლუბს გადაუხურავს მინც ნუ დავკიტოვებთო.



ფოსტაში შევიარე. მინდოდა, ზურისთვის წერილი გამეგზავნა. იქ კვლავ დამხვდა ლიდა.

— ძლივს არ გამოჩნდი? — მითხრა მან, — რაო, რას ინებებ?

ისეთ კილოზე მელაპარაკებოდა, თითქოს რაღაც დამეშავებინოს.

— ერთი კონვერტი მომეცი.

— მეტი არაფერი?

— არაფერი.

მიყვარს ეს გოგო თუ, ნატოსი არ იყოს, მეჩვენება, რომ მიყვარს? უნდა არსებობდეს რაღაც ისეთი, ზუსტად

რომ მიგახვედრებს, ნამდვილად გიყვარს გოგო თუ არა...

— გინდა ძალიან უყვარდე ვინმეს? — ვკითხე მე.

— რატომაც არა...

ერთბაშად გამითავდა სათქმელი. ლიდა იდგა და მელოდა, რას იტყვისო. სწორედ ამიტომ დავიბენი. სარკმელთან უხერხულად ვიდექი და თვალეში შეეყურებდი.

ამასობაში ფოსტაში სტუდენტები შემოვიდნენ. მე იქვე დავჯექი და წერილი დავეწერე. მერე ლიდას დავემშვიდობე და გამოვედი; ძალიან ბევრი სალაპარაკო კი მქონდა. უნდა მეკითხა, როგორ შეიძლება კაცმა გაიგოს, ნამდვილად უყვარს გოგო თუ არა-მეთქი. ლიდა ძალიან ჭკვიანი იყო და არ შეიძლებოდა, ეს არ სცოდნოდა.

ოციოდე ნაბიჯზე რომ გამოვციდი ფოსტას, თენგიზი შემხვდა. ჩვენ უკვე შევერიგდით, ყოველ შემთხვევაში, ერთმანეთს ვესალმებოდით. პირველად მე მივესალმე და მას შემდეგ ისე მექცევა, თითქოს დიდი მეგობრები ვყოფილიყოთ.

— ფოსტა ღიაა? — მკითხა.

— პო.

— იქ იყავი?

— პო...

ახლოს მოვიდა და თვალეში ჩამხედდა. თან უცნაურად იღიმებოდა.

— რა გაცინებს? — ვკითხე.

არაფერს ამბობდა.

ვერ უძძღებ, ასე რომ დაიწყებს კაცი კრეჟას — აქაოდა კარგად ვიცი ის, რაც შენ საიღუმლოდ მიგაჩნიაო.

— ხუთი დღის ვადა მომეცი, — მითხრა, — შენ ხომ მინც არაფერი გამოგივიდა.

— მთელი თვე არ გქონდა? რას გახედი? გახსოვს, რომ მითხარი, მთელი თვეა დავდეგო?

თენგიზი უფრო ახლოს მოვიდა და ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს დიდი საიღუმლო ჭქონოდა გასამხელი.

— მაშინ მოგატყუე. ორი დღის გაცნობილი მყავდა. თორემ ერთ თვეს რას

დამიმავრდებოდა. შენ ვინ გგონივარ?
არაფერი მითქვამს.

— გინდა ვითხრა, რანაირი გოგოა?
უნდა დააჭერო, რომ გაგიყვებით გიყ-
ვარს. თუ დაიჭერა, გათავდა, მერე შე-
ნია.

- შენ დააჭერებ?
- პატარა მაცალე და ნახავ.
- კარგი, თანახმა ვარ...

სექტემბერს ცული ამინდები მოჰყვა.
აცივდა. სულ წვიმდა ან ქინქლავდა.
სანამ თოვლი მოვიდოდა, კლუბი აუცი-
ლებლად უნდა გადაგვეხურა. სექტემბ-
რის შუა რიცხვები იყო. ძლივს შევეუ-
დექით გადახურვას. თან საქეიფოდ ვემ-
ზადებოდით — სამუშაოს დამთავრება
უნდა გვეზეიმა. ზეიმი ჩაგვეშხამდა. სწო-
რედ იმ საღამოს, სამუშაოს რომ ვამ-
თავრებდით, ვასო სახურავიდან გადმო-
ვარდა და ფეხი მოიტეხა.

მეურნეობაში საავადმყოფო არ იყო.
რაიონის ცენტრში უნდა წაგვეყვანა.
მანქანები არ დადიოდა, რადგან წვიმებს
გზა აეტალახებინა. ბოლოს მეურნეობის
დირექტორმა თავისი ვილისი დაგვით-
მო. ვასოს თამაზი და მიტო გაჰყენენ.

მიტო და თამაზი გვიან ღამით დაბ-
რუნდნენ. მალე მორჩებო, გვანუგე-
შეს. დაწვნენ და მაშინვე დაძინათ. ძა-
ლიან დაღლილები იყვნენ.

მეორე დღეს ყველაფერი გადაეთეთ-
რებინა თოვლს.

გარეთ ქარი ზუზუნებდა და ალაგ-
ალაგ ჩვენს ბარაკშიც ატანდა. ბიჭებმა
საიდანღაც ღუმელი მოიტანეს, შეშაც
იშოვეს და ცეცხლი ააგუზგუზეს. მაინც
გეციოდა. რას გაათბობდა იმოდენა ბა-
რაკს პატარა თუნუქის ღუმელი!

ლოგინებს არ ვცილდებოდით, მაგრამ
არც ეს შევლოდა საქმეს—ვეღარ გვათ-
ბობდა ჩვენი თხელი საბნები.

ახლა შიმშილმაც შეგვახსენა თავი.
აედექით, სასადილოში წავედით და
თითო პურიც წამოვიყიადით. ახლა შეგ-
ვეძლო მთელ დღეს ბარაკიდან არ გა-
მოვმძვარალიყავით.

მიტო და თამაზი საწოლში დავტო-
ვეთ. რომ დაებრუნდით, ფეხზე დაგვხე-
დნენ. ფერდაკარგულები შეჰყურებდნენ
ერთმანეთს.

- რა მოხდა? — იკითხა პაპამ.
- ფული დავკარგეთ.
- რა ფული? — იკითხა ჯუმბერმა.
- და მათკენ ახლოს მიიწია.
- ვასოს ფული. ჯიბეში გექონდა.
- გამოგვატანა, შეინახეთო...
- რამდენი იყო?
- ყველა, რაც ჰქონდა... სამასი მა-
ნეთი.

ენა ჩაგვივარდა. თამაზი უმწეოდ და-
ეშვა საწოლზე და ხელები თავზე შე-
მოიჭირა.

— რამდენ ხანს აგროვებდა. მთელი-
სამი თვე გემოზე არ უსადილია...
ვლუმიდით.

— ან რით გადავუხადო, — წუხდა
თამაზი, — რაც ფული ვიშოვე, უაზ-
როდ დავფანტე... გზის ფული დამრჩა
მარტო.

ყველამ ვიცოდით, სადაც ფანტავდა
თამაზი ფულს.

თენგიზმა რაღაც დაყნოსა და ახლოს
მოვიდა.

- რა მოგივიდათ?
- პასუხი არავინ გასცა.
- თენგიზს ეწყინა, გაბრუნდა და ისევ
ლუმელთან დაჯდა. დროდადრო მზერას
გამოაპარებდა ჩვენკენ.

— სად დაკარგეთ? — ჰკითხა მიტოს
პაპამ.

— მე რა ვიცი. თამაზს ჰქონდა ჯიბე-
ში.

თამაზმა მხრები აიჩჩინა.

ეგებ მანქანაში ჯიბიდან ამოვივარ-
დათ? — იკითხა ოთარ მეორემ.

— შეიძლება, — თქვა მიტომ.

ყველამ ერთად გაეწიეთ კანტორისა-
კენ. ვილას ახსოვდა სიცივე. მანქანა ისევ
იქ იდგა... გაეჩხრიკეთ, მაგრამ ვერაფე-
რი ვნახეთ. მერე მძლოლი მოვძებნეთ.
არაფერი მინახავსო, გვითხრა.

გიორგი კეკელიძე
ჩემი პატარა ლანდი

ახლა მიტოსა და თამაზის წუხანდელ კვალს დავეწყეთ ძებნა, ათჯერ მაინც ჩავიარეთ ბარაკიდან კანტორამდე და პირიქით.



იმ დღეს ამის მეტად ფულზე ხმა არავის დაუძრავს. საერთოდ, არაფერზე არ ვლაპარაკობდით.

ვასოს თავისი ფული უნდა დაბრუნებოდა. ამას არ უნდოდა ბევრი ფიქრი. სამასი მანეთი მისთვის ყველაფერი იყო. საზამთროდ პალტო და ფეხსაცმელი უნდა ეყიდა. საკომისიო მაღაზიაში მოტოციკლეტი უნდა ეშოვნა.

მოტოციკლეტის ხსენება ნერვებზე მშლიდა; მე, რომ მაჩუქო, მაინც არ დაეჭდები ზედ.

ჯუმბერი ჩემს გვერდით საწოლზე იწვა და წიგნს კითხულობდა. რაც ეს ავღრები დაიწყო, ჯუმბერმა, მგონია, მთელი ბიბლიოთეკა გადაიკითხა. სამ დღეში ერთხელ მოაქვს წიგნები. მერე კი წევს და კითხულობს. საერთოდ, ჩვენი ბარაკი სამკითხველო დარბაზად იქცა. სულთანმა ხომ იშოვა დრო; ზის თავის საწოლზე, პირში ფანქარი გაუჩრია და ხან კითხულობს, ხანაც რაღაცას შევყურებს მოპირდაპირე კედელზე.

— რად უნდა მოტოციკლეტი? — ვკითხე ჯუმბერს.

ჩემი შეკითხვა ვერ გაიგონა. გავეუმეორე და თან ხელით შევიანჯღრიე.

— სჭირდება, — მიპასუხა მოკლედ. მავრამ ამ პასუხს არ დაეჯერდი. ვგრძნობდი, რაღაც სერიოზული უნდა ყოფილიყო, თორემ ამხანაგები ამ სულელურ სურვილს როგორ ვერ გადაათქმევენებდნენ ვასოს.

— რისთვის სჭირდება? — სტუდენტულაქიდან რომ უნივერსიტეტში მივიდეს? ამისთვის ყიდულობს მოტოციკლტს?

— უნდა იმოგზაუროს, — მითხრა ბოლოს ჯუმბერმა.

— იმოგზაუროს? სად?..

— უკრაინაში.

გაკვირვებული შევყურებდი ჯუმ-

ბერს. ნეტა რა ემოგზაურება ვასოს, თუკი სტიპენდიით ცხოვრობს და სანახევროდ ამხანაგები არჩენენ.

ჯუმბერმა ფურცელი გადაკეცა, წიგნი დახურა და გვერდზე გადადო.

— ეს ორი წელია, ვასომ უამრავი წერილი გაგზავნა ჟურნალებისა და გაზეთების რედაქციებში. თავდაცვის სამინისტროს არქივშიც გაგზავნა თხოვნა, რომ შეეტყობინებიათ რამე მის მშობლებზე...

— აკი გვარიც არ იცისო?

— იცის, გაიგო გვარი. შარშან იყო უკრაინაში და იქ გაიგო სრულიად შემთხვევით. მამის სახელიც. ისიც გაიგო, რომ უფროსი და ჰყავს. მეტი არაფერი იცის. გზის ფული მალე შემოეღია და უკან გამობრუნდა. ახლა საკუთარი ტრანსპორტით უნდა წაივდეს. ყველა სოფელს მოვივლი და ნამდვილად მივაგნებ, თუ ვინმე ჩვენიანი ცოცხალი გადარჩაო... აი, რატომ სჭირდება.

— ასე თუა...

— მარტო ალბათ ვერ წავა, — განაგრძო ჯუმბერმა, — ვინმე ამხანაგს თუ წაიყვანს. მე სიამოვნებით წავეყვებოდი. თუმცა ვერ დაგპირდები, ცოცხალი დაებრუნდებით-მეთქი.

— ვითომ რატომ?

— ხომ იცი, მოტოციკლეტების უცნაურობის ამბავი. მოჭადოებულეებივით უძვრებიან მანქანებს ბორბლებში...

ჯუმბერმა წიგნი გადაშალა და კითხვა განაგრძო.

— რამდენი მოგზაურობს მოტოციკლეტით?

— ბევრი მოგზაურობს. კისერსაც ბევრი იტყვს.

თამაზმა რა უნდა ქნას? — ვკითხე.

— ფული უნდა გადაიხადოს.

— მარტო როგორ გადაიხდის?

— მარტომ დაკარგა.

— დაკარგვა აღვილია.

ჯუმბერი დუმდა.

— ყველამ რომ ხუთ-ხუთი მანეთი მოვაგროვოთ, მეტი კი არ უნდა. — ვუთხარი მე, — ესეც ბევრია.

იქვე ვინაგარიშე. ბარაკში სამოცზე მეტი ვიყავით.

ჯუმბერმა შემომხედა და თქვა:

— მერე ვინ მოკრეფს?.. შენ?

— რატომაც არა.

— როგორც გინდა. შეგიძლია სცადო.

ავდექი და ღუმელთან მივედი. იქ თენგიზი, ტიტე, ერთი ცხვირა აყლაყულდა და კიდევ რამდენიმე სტუდენტი იჯდა. ღუმელს ეფიცებოდნენ. ტიტე და ცხვირა შაშს თამაშობდნენ. დავინახე, ჯუმბერმა წიგნი დახურა და თვალი გამომაყოლა. მერე თამაზს მიუბრუნდა და რაღაც უთხრა. ცოტა ხნის შემდეგ მშენებლები შეთქმულებივით თითო-თითოდ გაიპარნენ გარეთ. ძალიან გამიკვირდა. დავიბენი. არ ვიცოდი, როგორ დამეწყო. თენგიზმა მისხნა:

— ფული დაკარგეს? — მკითხა.

— ჰო. სამასი მანეთი. ვასოს ფული იყო...

— ხომ ვამბობდი, — ჩაიცინა თენგიზმა და ტიტეს გადახედა. მერე მე მიმბრუნდა, — შენ გჯერა ეგ?

— რა? — ვკითხე მე.

— ფული დაკვარგეთო, რომ ამბობენ.

— მე ვერაეინ მომატყუებს, — თქვა ტიტემ, — სხვამ, რაც უნდა, ის გააყეთოს...

ცხვირამ ანიშნა ტიტეს, სვლა გააქეთო. ტიტე აგებდა და მის მეტოქეს კმაყოფილი სახე ჰქონდა.

— ვითომ რაო? — ვკითხე თენგიზს, — შენი აზრით, არ დაუქარგავთ? მაშინ რატომ უნდა თქვან, დაკვარგეთო?

— იმიტომ რომ ახლა ყველა გათალღითდა.

— როგორ?

— როგორ და ისე. უყურე ახლა, ფულის მოგროვება თუ არ დაიწყო. ფულს აკრეფენ, ჩაიჯიბავენ და მერე გაიცინებენ, აი სულელები, გვაცურეთო.

მივხვდი, რისთვისაც გაიპარა გარეთ თამაზის ბრიგადა.

თენგიზს კარგად ვიცნობდი. მისთვის სულერთი იყო, მართლა დაიკარგა ფული თუ არა. იგი თავის ჯიბეს უფრ-

თხილდებოდა. ალბათ ყური მოჰკრა ჩვენს ლაპარაკს და ცდილობდა, დროზე ჩაეშალა ეს წამოწყება, თორემ ფულის აკრეფა რომ დამეწყო, მერე უარის თქმა გვიანი იქნებოდა.

ნუთუ ჯუმბერი წინასწარ გრძნობდა, რომ ასე წავიდოდა საქმე? რატომ არაფერი მითხრა?

ალბათ ცოტათი მაინც ჰქონდა იმედი, იქნება რამე გამოვიდესო.

ცხვირამ თავი ასწია.

— რაო, რაო? — იკითხა მრისხანედ.

ტიტემ აუხსნა. ფულის დაკარგვამოიგონეს და ახლა შეგროვებას აპირებენო.

ცხვირამ თვალეზი გადმოკაკლა.

— თუ თავი არ მობეზრებია, ფული აქ არავინ ახსენოს.

მგონი ჩემი მისამართით ამბობდა. მერე ირგვლივ მყოფებს მიმართა:

— იცოდეთ, ფული არაფის მისცეთ!

— რას მივცემ, — წამსვე დაეთანხმა ტიტე, — სულელი კი არა ვარ!

— რაო? — მკითხა თამაზმა სალამოს. თავი გაეაქნე.

— ასეც ვიფიქრე, — თქვა მან, — რა დღეში ჩავევარდი. სად ვიშოვო ამდენი ფული?

— მარტო ესენი ხომ არ ცხოვრობენ ამ ბარაკში, — ცხვირასა და ტიტესაკენ გაეიშვირე ხელი, — სხვებს ვთხოვთ.

— არა... რახან ეჭვი შეიტანეს, აღარ ღირს.

— ჩვენ რომ მოვავროვოთ?

— ვინ ჩვენ?

— ჩვენ ექვსმა.

თამაზმა მიხედ-მოიხედა. იქნება ეს აზრი ადრე მასაც მოუვიდა თავში, მაგრამ როგორ გაამხელდა.

ჯუმბერმა გადმომხედა. სხვებმაც მოჰკრეს ყური ჩემს სიტყვებს, მაგრამ არაფერი უთქვამთ.

ვიგრძენი, ახლავე თუ არ ამოვიღებ-

ვიორგი კვალიაძე
ჩემი პატარა ლანდი

დი ფულს და არ ჩავაბარებდი თამაზს, მერე ესეც დაგვიანდებოდა. ცოტა ხომ არ იყო, თითოს ორმოცდაათი მანეთი გვიწევდა. ეს ფული სტუდენტისათვის არც ასე ადვილი გასამეტებელია. ალბათ უკვე ყველას დაგეგმილ-გამოანგარიშებული ჰქონდა, რა ეყიდა.

ჯიბეში ჩავიყავი ხელი და, რაც ფული მქონდა, საწოლზე დავეყარე. სამოცდაათზე ცოტა მეტი აღმოჩნდა.

თამაზმა ფულს დახედა, მერე მე შემომხედა და საცოდავად მოიკუნტა. ახლა ისე უშნოდ ჩამოგრძელებოდა აწყებილი უღვაშები, ათი წლით ხნიერი გეგონებოდათ.

გადავითვალე ორმოცდაათი მანეთი და თამაზს მივაწოდე.

თამაზმა ძლივს გაბედა ამხანაგებისათვის შეეხედა. თითქოს მათ ეკითხებოდა, გამოერთვა ჩემთვის ფული თუ არა.

— უპ, დოყლაბია, — ჩაილაპარაკა პაპამ და ჯიბეში ჩაიყო ხელი. მას ჯერ მიტომ მიბაძა, მერე ჯუმბერმა და ოთარ მეორემ.

თამაზი აკანკალებული ხელით ართმევდა მათ ფულს, ჯიბეში იტენიდა და ლულულულებდა:

— გმადლობთ. ბიჭებო... გადაგიხდით. კაცი არ ვიყო, თუ არ გადაგიხადოთ.

ფულის ამოღება ჯიბიდან, ცოტა არ იყოს, ყველას გაუტვირდა. არც მიკვირდა. არც მე ვიყავი სხვაზე უკეთეს დღეში. რადგან ოცი მანეთილა მრჩებოდა და ვინ იცის, ამ ფულით სანამდე უნდა გამეტანა თავი. მაგრამ გაუჩინარდა თუ არა ჩვენი ფული თამაზის დაკმუტნილი შარვლის ჯიბეში, ერთბაშად მოგვეშვა გულზე. ასეთი განცდა მაშინ გაქვს კაცს, როცა რამე ნივთი მოგეწონება, ძალიან გინდა იყიდო, მაგრამ ფულს ვერ იშეტებ. მერე კი, მაინც რომ დასძლევ სიძუნწეს და ნივთს შინ მიიტან, გიხარა და აღარ ნაღვლობ, ფული რა ტყუილად გადავეყარეო. გიკვირს კიდევ, რატომ ვყოყმანობდიო...

— გმადლობთ, ბიჭებო, — თამაზი ლამის ატირებულყოფო.

თენგიზი დამცინავად იღიმებოდა.

მაინც ხომ გაგაცურესო, ცკითხულობდი მის თვალებში.

— ახლა ნულარ დაქარგავ, — უთხრა ჯუმბერმა თამაზს, — ხომ ხედავ, როგორ გამოვიფხიკეთ ჯიბეები შენი დოყლაბიობის გამო...

ბრიგადირს არაფერი უთქვამს. თავისი ჩანთიდან სამართებელი ამოიღო, დაჯდა და რატომღაც უღვაშში გაიპარსა.

ბიბლიოთეკაში ვიყავი. ვიდექი და წიგნებს ვათვალისწინებდი. ამ დროს ლიდა შემოვიდა. ჯერ ბიბლიოთეკარს მიესალმა:

— მოდი, შაში ვითამაშოთ, — მითხრა მერე.

მაგიდას მიუჯდა და ჭადრაკის კოლოფი გაღმობირქვავა.

ფიგურები დავაწყვეთ. ძალიან ცუდად თამაშობდა. ზედისზედ მოვუგე რამდენიმე პარტია. მაინც არ ყრიდა ფარხმალს. ისე შევიდა აზარტში, გაწითლდა კიდევ:

— მაინც ვერ მომიგებ, — ვუთხარი ბოლოს.

— მოგიგებ... აი, ნახავ, თუ არა. კვლავ წაავთ.

— რაღაც მომატყუე, — ამიშარდა ლიდა, — ნამდვილად მომატყუე, თორემ ამ პარტიას მაინც არ წავეგებდი.

— თვალი გაახილე და ვერაფერ მომატყუებს.

ჩემი სიტყვები დანაშაულის აღიარებად მიიჩნია.

— ხომ გითხარი, მომატყუე-მეთქი. მომატყუე, არა?

— ჰო, — ვიცრუე.

რაში მჭირდებოდა ტყუილი, ისედაც ადვილად ვუგებდი.

კვლავ ვითამაშეთ. თორმეტი შაშის მაგივრად თხუთმეტი დავიწყვე. ვერ დაინახა.

რა თქმა უნდა, წაავთ.

— კიდევ მომატყუე? — მკითხა გულდაწყვეტილმა.

— ჰო... თორმეტის მაგივრად თხუთმეტი შაში მქონდა.

— როგორ ვერ დავინახე! — გაბრაზდა თავის თავზე, — რა უსინდისო ყოფილხარ... აღარ გეთამაშები...

ფიგურებს ხელი მოუსვა და დაფიდან გადაყარა. გაბუტული მეორე მაგიდასთან გადაჯდა. გაზეთებს დაუწყო ფურცლა. ბრაზისაგან ყურებამდე ალუწილიყო. შემეცოდა. ვინანე, რატომ გავაბრაზე-მეთქი. გვერდით მივეუჩქეი.

— შევრიგდეთ...

ხმა არ გამცა.

— შევრიგდეთ. ახლა მინც მალე წავალთ და დამდურებას რალა აზრი აქვს. შემომხედა.

— როდის მიდიხარ?

— ამ კვირაში წავალთ.

გაზეთების ფურცლა განაგრძო.

— თქვენთან ახლა ძალიან თბილა, ხომ? — მკითხა.

— ჩვენთან ჭერ საფხულია, — მოვიწონე თავი.

— ცხელა, არა?

— რა თქმა უნდა...

— ახლა ზღვაში ბანაობენ?

— ახლა კი არა, ზღვაში სამთარშიაც ბანაობენ. ჩვენთან არც კი იცის ზამთარი.

— ვინ იცის, თოვლი გენატრებათ.

— ხანდახან თოვლიც კი გვენატრება.

— აქ კი იმდენი თოვლი მოდის...

ფანჯარაში გავიხედე. გარეთ ქარი ქროდა. თოვლუყვამი იყო. საძაგელი სანახავი იყო შავ ტალახში ახელილი თოვლი. გაველიმა.

— შენ გგონია, სულ ასეა? მალე მიწა მოგენატრება დასანახავად. ასე სამთრის დასაწყისში იცის. მერე კი ნამდვილი თოვლი და ნამდვილი სამთარი მოდის.

— რას აკეთებთ სამთარში?

— ლიდა ცოტა ხანს დუმდა, თითქოს ფიქრობდა, ვთქვა თუ არაო. ბოლოს ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— აქ სამთარში ძალიან მოსაწყენია...

— რატომ?

— არაფერი არა გვაქვს... არც კლუბი, არც თეატრი. კინოში სულ ერთსა და იმავე ფილმებს აჩვენებენ. გზა იკეტება და ახლები ვერ მოაქვთ... ჭერ არა-

ფერი არა გვაქვს. ამ თქვენს აშენებულ კლუბს კიდევ რამდენი მუშაობა უნდა, სამთარი კი დაიწყო.

— ადგიით და თქვენც წამოდით ხოლმე სამთრობით.

— არა, — შემაწყვეტინა უცებ ლიდამ, — არსადაც არ წამოვალთ. ამ სიტყვებით თითქოს თავის თავსაც აჯერებდა, რომ არსად წავიდოდა.

— რატომ?

— იმიტომ.

— ნუ იტყვი, თუ არ გინდა, — ეუთხარი წყენით, — ხომ არ გაძლებ. ისე კი ძალიან მიკვირს, თუ მოწყენილობაა აქ, რატომ ჩერდებით. ახალგაზრდებს მინც რა გაძლებინებთ. აი, თუნდაც ჩვენთან რომ წამოხვიდეთ. სამუშაოს სადაც გინდა, იქ იშოვი. არც ცეცა და არც არაფერი. ნამდვილი სამოთხეა...

— ჩვენ რომ წამოვიდეთ, — მითხრა ლიდამ, — მაშინ კიდევ უფრო უარესი იქნება, მაშინ ყველა მიატოვებს აქაურობას.

ესეც მართალია-მეთქი, გავიფიქრე. მაგრამ არაფერი მითქვამს. აქ ალბათ ერთმანეთს უყურებენ და იმით ძლებენ სამთრობით. ერთი რომ შეშინდეს, ხელი ჩაიქნოს და გულა-ნაბადი აიკრას, სხვასაც აუტრუვდება გული. და მაშინ არასდროს არ იქნება აქ არც თეატრი, არც კლუბი და სპორტდარბაზი. არაფერი არ იქნება.

ლუმელი გახურდა და ბიბლიოთეკაში სითბო დატრიალდა. ჩექმების ბრაზუნით შემოდითონენ სტუდენტები და ლუმელს ეფიცებოდნენ. რა თქმა უნდა, თამაზიც იქ იყო. ვერ იცნობდით, ისე შეეცვალა უღვაშის გაპარსეას. კატის გვერდით იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო და ისეთი იერი ჰქონდა, ეტყობოდა, ბიბლიოთეკარს საქართველოზე უამბობდა რალაცას.

თენგიზიც შემოვიდა. მე და ლიდა ერთად რომ დავკვინახა, ჩაიღიმა და თავი გააქნია, აქაო და გიცნობთ, რა ეშმაკე-

გიორგი კვათლავაძე
ჩემი პატარა ლანდი

ბიც ბრძანდებითო. ლიდამ დაინახა ეს
ლა მკითხა:

— რაო?

— რა ვიცი...

— მაგ ბიჭმა სიყვარული ამიხსნა, —
მითხრა ლიდამ, — სამ დღეს წუ-
თითაც არ მომცილებია. სულ ფოსტაში
იჭდა. საღამოს კი შინ მიმაცილებდა.

— მერე?

— მერე თავი დამანება, — ეს ისე
თქვა, თითქოს გული წყდებოდა, თენ-
გიზმა თავი რომ დაანება.

— უყვარხარ, — ვუთხარი მე, — შენს
დღვილას ასე არ დავტანჯავდი.

— არ ვუყვარვარ.

— რა იცი. აკი გეფიცებოდა სიყვა-
რულს?

— არა. ტყუილზეც ხომ შეიძლება
ფიცი, — უცებ დაუმატა, — თქვენ ყვე-
ლანი ტყუით.

— მეც?

— შენც.

შემატა, რომ მეწყინა და დაუმატა:

— შეიძლება არც ტყუი, მაგრამ ცდე-
ბია: არ გცოდნია, რა არის სიყვარული.

— შენ იცი?

— ვერ გეტყვი ვიცი-მეთქი, მაგრამ
ერთი ცხადია: თუ ნამდვილად გიყვარს,
არ შეიძლება დაეჭვდე, მიყვარს თუ
არაო.

შიგ გულში მომარტყა.

— მაშინ სულერთია, სად იქნები, ცი-
ვა თუ თბილა, — განავრძობდა ლი-
და, — მაშინ განშორება შეუძლებე-
ლია...

სახეში შევეყურებდი: ისე უბრწყინავ-
და თვალები, ისეთი ლამაზი და წმინდა
იყო, გული დამწყდა, რომ ვეპვობდი,
მიყვარს თუ არა-მეთქი, რომ შემეძ-
ლო წაესულიყავი და ეს გოგო აქ და-
მეტოვებინა. თანაც ისე უხერხულად
ვგრძნობდი თავს, თვალებში რომ შეე-
ყურებდი, თითქოს ორი შეყვარებუ-
ლის საუბარს ვუსმენდი ქურდულად.

— გინდა თენგიზს უყვარდე? —
კვითხე.

ლიდამ შემომხედა. არაფერი უთქ-
ვამს.

— შენ შეიყვარებდი?

— არა.

— რატომ?

— ასეთ ხალხს სიყვარული არ შეუძ-
ლია. ვისაც მეტისმეტად უყვარს თავი-
სი თავი, მას სხვისთვის სად სცალია...
ვერც შეიყვარებ ასეთებს.

თენგიზმა რაღაც ეჟურნალი გამოართ-
ვა ბიბლიოთეკარს. მიიხედ-მოიხედა.
მერე მხრები აიჩეჩა, თითქოს ამბობდა,
რა ვქნა, არ მინდა ხელი შევიშალოთ,
მაგრამ სხვაგან ადგილი არსად არისო.
გვერდით მოგვიჯდა. ერთი ორჯერ ზე-
რელედ გადაფურცლა ეჟურნალი. მე და
ლიდა ვდუმდით.

— რაზე საუბრობდით? — კვითხა
თენგიზმა. მერე დაუმატა, — თუ შე-
კითხვის ნებას მომცემთ...

— სიყვარულზე, — მივუგე მე.

— საინტერესო თემაა, — თქვა თენ-
გიზმა და წელში გასწორდა, თითქოს
საჭიდაოდ ემზადებო.

— ძალიან, — დაუდასტურა ლიდამ.

— შენც გახსენეთ, — ვუთხარი თენ-
გიზს, — ლიდამ თქვა, თავი ისე ძალი-
ან უყვარს, შეუძლებელია, ვინმე შეიყ-
ვაროსო.

თენგიზი გაკვირვებული ახამხამებდა
თვალებს.

— ისე კი ფიცი არ ეზარებო...

გაშრა კაცი.

— პირდაპირ მითხარი, — კვითხე
უცებ, — სანაძლეო წავაგე თუ მოვიგე?

— რა სანაძლეო?, — დაბნეული თენ-
გიზი ახლა ლიდას შეჰყურებდა.

— ხუთი დღე მაცალე და ლიდა ჩემი
გახდებო, რომ თქვი.

ლიდა თვალებგაფართოებული გვი-
ყურებდა. სახე წამოენთო. შევხედე და
მეც დავიბენი. უხერხულად გავიციენ-
მინდოდა მეთქვა, ვხუმრობ, მართალი
არ გეგონოს-მეთქი, მაგრამ ველარ მო-
ვასწარი.

— რა საძაგლობაა! — წამოიძახა ლი-
დამ. წამოვარდა. კიდევ უნდოდა რაღაც
ეთქვა, მაგრამ ენა ვერ მოიბრუნა. გა-
რეთ გავარდა.

— ჯანდაბას, — თქვა თენგიზმა ცო-

ტა ხნის შემდეგ, — ნეტა რას ეფერები მაგ სულელ გოგოს. თავი დაანებე, ხომ ხედავ, რა მიუყარებელია.

ვდუმდი.

— პატარაა, — თქვა თენგიზმა, — ჯერ არაფერი ესმის... რას გააგებინებ ასეთ პატარა გოგოს.

სახეზე ვატყობდი, მასაც აწუხებდა რაღაც.

ალბათ მასაც ჰქონდა ცოტა სინდისი.



მეორე დღეს გამოიღარა. თოვლი ხელად გადნა. მანქანები გამობობლდნენ გარეუბიდან. ნაშუადღევს ქარი ამოიჭრა და მთელი დღე-ღამე განუწყვეტლივ ქროდა. არ უწყვიშია. ქარი გვიხაროდა. ვზებეს გააშრობდა და ადგილიდან დაძვრა გველირსებოდა.

დილით, ბარაკში რომ ყველას ეძინა, კარებში ვიღაც შემოვარდა და დაიყვირა:

— ადექით, ბიჭებო. შინ მივდივართ!

წუთიც და, ყველანი ფეხზე ვიდექით, კიდეც ცოტა ხანიც და ჩვენი ბარგობარხანა მანქანებზე ეყარა. მანქანებს უკანა ბორბლებზე ჯაჭვები ჰქონდა დახვეული. რაიონის ცენტრამდე როგორმე ჩავაღწევდით, იქ კი მატარებელი გველოდა.

მანქანებზე ავცვივდით. ყამირღებმა გაიგეს, რომ მივემგზავრებოდით და გარეთ გამოცვივდნენ. გვემშვიდობებოდნენ. აქა-იქ ცრემლიც დაეინახეთ. განსაკუთრებით გულისამაჩუყებელი კატისა და თამაზის განშორება იყო. აღლევებული თამაზი წამდაწუმ საულვაშებზე ისვამდა ხელს (ვერ შეეჩია ულვაშობას) და ჩვენკენ იხედებოდა. წრიალებდა. ვუყვიროდით, ჩქარაო. კატია გვერდზე იხედებოდა და

სლუკუნებდა. ვერ წარმომედგინა, თუ იმსიმაღლე გოგოს ტირილი შეეძლო. უცებ ლიდასა და ირას დეიდას მოვკარი თვალი. შორიახლოს იდგა და ნაღვლიანად გვიმზერდა. დებს მშობლები არ ჰყავდათ. მარტო ამ მოხუცი დეიდას ანაბარად იყვნენ დარჩენილი. იმ საღამოს შემდეგ, სამკითხველოდან რომ გაიქცა, ლიდა არ მენახა. მაშინვე ძირს ჩამოვხტი და მოხუცს მივევარდი.

— ლიდა სად არის? — ვკითხე.

დამაკვირდა. ძლივს მიცნო. ან რა გასაკვირია, სულ ორიოდეჯერ თუ მნახა, კალოზე ახლდა დისწულებს. ვეუბნებოდი, ლიდა უნდა წავართვა-მეთქი.

მითხრა, გუშინ რაიონის ცენტრში წავიდნენ, ირა უეტრად ავად გახდა და ლიდაც გაჰყვაო.

— ლიდა დღეს მინც უნდა დაბრუნებულიყო. ალბათ მანქანა ვერ იშოვა.

დავემშვიდობე. შენს დისწულებს მოკითხვა გადაეცი-მეთქი, ვუთხარი. დამარულ მანქანას შევახტი.

მანქანა უმოწყალოდ გვანჯღრევდა და გვაბურთავებდა. ქარი გვსუსხავდა. ძველ-რბილში ატანდა ყინვა. ერთმანეთს მივეყარით. მინც არ გვეშველა. ელრიალებდით, ვყვიროდით. ზოგმა სიმღერის აწყობა სცადა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

უცებ იმატა ყვირილმა. ბიჭებმა ხელების ქნევა ატეხეს. მე ოთხად ვიყავი მოკეცილა და ცხვირი ვილაცის ილიაში მქონდა შერგული. რომ აღარ შეწყდა ეს გულისშემაწუხებელი ღრიალი, თავი წამოვწიე. საბარგო მანქანას ჩაველო. მანქანის ღია ძარაზე გოგო იდგა. არც ქარს უხრიდა თავს, არც ყინვასა და სუსხს ეპუებოდა. იდგა, იცინოდა და ხელს გვიქნევდა.

ლიდა იყო...

დასასრული იქნება





1. * * *

მუქი, ძალიან მუქი ჩრდილები
შტვრითა და სიცხით დაღლილ მინდვრებზე,
ცით ალტაცებულ ტაძრის გარშემო
და გარინდებულ მდინარის გასწვრივ.

ასე მგონია: გადავდგამ ნაბიჯს
და წავაწყდები უჩინარ სიმებს
და მთელ ქვეყანას მოუფინება
იმ უჩინარი სიმების ხმები.

2. ომის გახსენება

ოთახში ბნელა. ისვრიან ისევ.
ოთახში ბნელა. ზრიალებს მინა.
კედელზე ჩრდილი იგრძელებს კისერს.
ოთახში ძინავთ ან ვითომ ძინავთ,
მაგრამ ძილშიაც გრძნობენ და ესმით,
როგორ ისვრიან. ოთახში ბნელა.
და როგორც მიწის წიაღში თესლი,
საწოლში ბავშვი ტრიალებს ნელა,
რადგან არავინ არ უნდა მიხვდეს,
რომ გაეღვიძა. ზრიალებს მინა.
დამფრთხალი ჩრდილი კედელზე მიხტის
და მაგიდაზე რაღაცა ბზინავს.

3. კველი სიმღერა

მატარებლები დაიკვივლებენ, წავლენ...
გაიწელება, გაიწეწება კვამლი.

ჯარისკაცები გადმოაწყობენ ფეხებს.
ხევში ჩარჩება მათი სიმღერის ეხო.

ჯარისკაცები გადმოაწყობენ თავებს, —
...ჩემო ძვირფასო... კარგად იყავი... მკლავენ...

გაიწელება, გაიწეწება კვამლი
მშვიდი ფიქრების და ხეტიალის დამღვეს.

4. * * *

შენ მაღალი ხარ და ჩემი ხმები
იკარგებიან სადღაც, ჩვენს შორის...
მე მათ ნამტკრევეებს ვპოულობ მერე
მზეში, წვიმაში, თოვლში ან ქარში.

ასე აეწყო ჩემი ცხოვრება
და ამის მერე ჩემი ცხოვრება
არ გაზომილა წელიწადებით.

მე მას ვზომავდი მხოლოდ იმ თრთოლვით,
მხოლოდ იმ შიშით და აღტაცებით,
რითაც საესე ვარ შენგან და შენთვის.

მე შენს ქუჩებში და მოედნებზე
გაეზარდე ჩემი სული და თვალი
და ამ ქუჩებში და მოედნებზე
ვდგავარ უსაზღვროდ შეყვარებული.

5. * * *

ქარი არხვედა ყვითელ ნათურას
და უზარმაზარ კალიებივით
კედლებზე სტოდნენ ჩვენი ლანდები.

ქარი არხვედა ყვითელ ნათურას
და გროვდებოდნენ ნათურის შუქზე
ძაღლები, მთვარეს მონატრულები.

ყვითელ ნათურას და ყვითელ კედლებს,
ყვითელ ქვაფენილს და ყვითელ ძაღლებს
შეუბრალებლად არხვედა ქარი.

6. * * *

მე თოვლში ვეძებ სისხლისფერ ვარდებს
და მიტოვებულ ნუშებს და ატმებს.
თოვლზე ეცემა პოეტის ლანდი
და ქალაქს კიდევ ერთ კვილს ართმევს
და ავსებს შემკრთალ სიცარიელეს
და ისევ თოვლს და მოლოდინს ერთვის...
მაგრამ ბოლომდე რჩება იერი
ბედნიერ ბავშვის და დაღლილ ღმერთის.

მე ახლა მხოლოდ ამ თოვლით ვცხოვრობ.
 მის ბგერებს ვიჭერ, როგორც ანტენა.
 და როგორც ქალის სხეული, თოვლიც
 აავსო ცეცხლმა და ჭრუანტელმა.
 სავსეა, სავსე... და მხარზე მაზის
 მხურვალე თოვლი, არწივის მსგავსად.
 (აქ უკვე წყდება ტრამვაის ხაზი
 და წასასვლელიც არა მაქვს არსად).
 ფრთებშეტრუსული მიფრინავს ქარი,
 თითქოს დააფრთხეს ჩემმა ჩრდილებმა.
 და მავიწყდება ზურგს უკან მდგარი
 მოვალეობა და მორჩილება.

8. მონღოლების ბანაკი

ესკიზი

კაცი არ დარჩა ამბის მოწყოლი...

მზეზე ბრჭყვიალებს მდინარის ზურგი.
 და ჩემი სისხლით გავსებულ თუნგებს
 მიაჟღერიალებს ქვებზე მონღოლი.

თუნგის ჟღერიალით დამფრთხალი ფარა
 გადამწვარ ველზე მიდის კანკალით.
 და შესევია მონღოლის ბანაკს
 მტვერი, ყაყანი და ბუზანკალი.

9. სიზმარი

ნაპირთან დადგა თეთრი ზომალდი
 თეთრი სანთლებით გაჩაღებული.
 მერე მოაჯირს მოადგა ვილაც
 და დაიძახა შენი სახელი.

შენც თითქოს მხოლოდ ამას უცდიდი.
 თითქოს ამისთვის ემზადებოდი
 გაჩენის დღიდან. თითქოს ყველაფერს
 მხოლოდ ამ თეთრი დღისთვის ითმენდი.

და ზომალდისკენ მიდიხარ ნელა:
 დაჯერებული და ბედნიერი.
 და ვარსკვლავები, როგორც ფიფქები,
 გეფინებიან მხრებზე ცახცახით...

არ გაიღვიძო, არ გაიღვიძო:
 ეს სიზმარია, მხოლოდ სიზმარი.

გარეთ კი მართლა მოვიდა თოვლი
და გაფითრებულ კედლების გასწვრივ
შეცვიებული ძაღლები ყეფენ.

10. * * *

შენ ამოდიხარ ზღვიდან მზესავით,
თავისუფალი და მოთენთილი
ზღვითა და სისხლით, რომელიც შენში
თავბრუდამხვევი სისწრაფით ბრუნავს.
და წვები ჩრდილში, მკვრივი და ნორჩი
და ღონიერი, როგორც ზვიგენი.
და ჩემს ნაჩუქარ უბრალო მძივებს
ცხელ ძუძუებზე ისრეს და უსმენ
უსაზღვრო სივრცის ვნებიან სუნთქვას..

11. * * *

ბედნიერი ვარ. გმადლობთ. ნახვამდის.
ეს განშორება იმედით მავსებს.
არ მყავდა ღმერთი და ბედს დავყავდი
და თავის ნებას მახვევდა თავზე.
რაც დღემდე მოხდა, მოხდა თავისით.
მე არაფერში არ ჩავრეულვარ.
დრო კი გაფრინდა და ჯერ არ ვიცი,
რა გამოსტაცა ჩემმა რვეულმა.
რაც დღემდე ითქვა, ჭარისთვის ითქვა.
სათქმელს სურვილი ჭარბობდა თქმისა
და ვარსკვლავივით შორეულ მიზანს
ძალღვივით მწარედ უყეფდა სიტყვა.

12. რთველი

გამხმარ ატამზე რქით გამოაბეს
თეთრი ციკანი...
ცხენი ლოკავდა კვიცის თეძოებს...
ჭიგოს ესროდნენ კაკლებს ბავშვები...

ხოლო ყველაფრის ბატონ-პატრონი,
ეკალბარდივით ჯიუტი გლეხი, —
თან ვენახისკენ იყურებოდა,
თან ღიღინებდა...

მაშინ კი მართლა დაფრთხა ვენახი,
თუმცა მტანჯველი ვნებით შეძრული —
მზად იყო კაცის ყველა სურვილის
აღსასრულებლად.

და აი, ახლა
 მარტოა იგი და ჭრიჭინებიც
 ადასტურებენ მის სიმარტოვეს:
 თავბრუდახვეულს და გასიებულს
 სიამოვნების და სიმწრის ცრემლით.

13. საუბარი

ნ ა პ ი რ ი:

დაუსრულებლად მოდიხარ ასე
 და თუკი რამე შემოგხვდა გზაზე
 ანგრევ და მიგაქვს, ქვიშად ქცეული,
 ვით საკუთრება შენი სხეულის,
 გიჟის ფიქრით თამაშს და ძლიერს
 თან მიგაქვს ისიც... და გვიცვლი იერს
 შენი სურვილის მორჩილ ნაპირებს.
 და შებრძოლება თუ დავაპირეთ
 ჩვენც ქვიშად გვაქცევ...

მ დ ი ნ ა რ ე:

ტყუილად ფიქრობ,
 ასე ცხოვრება მომწონდეს თითქოს.
 ყელი სავეს მაქვს ხრეშით და შლამით,
 წამი რა არის, არცერთი წამით
 არ ჩამიმუხლავს, რომ ჩემი ფსკერი:
 კაცის სულივით ვრცელი და ჭრელი,
 საბადო ცრემლის, ქვის და ყინულის,
 ბუდე ცოდვილის და განწირულის,
 მარადიული სახლი სიბნელის
 და ოფელიას ბოლო სიმღერის
 სტალაქტიდები არ დავინახო.

14. ც ა

მან აიფარა პირზე ხელები შემკრთალი სულის შესა-
 ჩერებლად.

მანქანა უკვე ქუჩაში იცდის და ჩემოდანი, სიზიფის
 ლოდი, აგდია კართან.

ჩვენ გაფრინდებით სხვადასხვა მხარეს და ერთდროუ-
 ლად ვიქნებით ცაში.

ცაც გაიყოფა: ღრუბლებით სავსე და შეფერილი მზის
 თბილი სისხლით.

ჩვენ ერთდროულად ვიქნებით ცაში და გაფრინდებით
 სხვადასხვა მხარეს, ჩვენი სისუსტის და ცის სიდიდის
 დასამტკიცებლად.

ქალაქს ჯერ ძინავს. ჯერ კიდევ ძინავს და შემზარავად
ცარიელია.

წყვედიადიც, როგორც სამყაროს კვამლი, ფეხს ითრევს
ცაზე.

და აი, უკვე მიქრის მანქანა, თითქოს გაურბის უკაცურ
ქალაქს.

ჩვენ კი ჯიუტად მივჩერებივართ ნაცრისფერ სივრცეს.
ხოლო სახლები, გაოცებულნი ჩვენი დუმილით და მოთ-
მინებით, ებჯინებიან ერთმანეთს მხრებზე, რომ დაგვი-
ნახონ... უკანასკნელად.

15. თეთრი მინდორი

მე ჩამეძინა და ძილშიც ვგრძნობდი,
როგორ ფეთქავდა სარკმელში ტოტი
და როგორც ტოტის ცახცახა ჩრდილი
ზელს მაფარებდა თვალებზე ძილი
და აღარ ჩანდი.

მე კი ვწვალობდი,
შაგრამ შენს სახეს ვერ ვიხსენებდი.
გულს იხეთქავდა ჩიტი გალობით
და თეთრ მინდორზე იდგნენ ცხენები:
არწვედნენ მინდორს დაბმული ბუშტის
და წყალმცენარის მოძრაობებით.
ცა ივსებოდა ღრუბლის კოპებით.
ნელა ქრებოდა სინათლე სუსტი.
მე კი ვერაფრით ვერ ვახერხებდი
შენს წარმოდგენას: შენი ფეხებით
სხვა დადიოდა. შენი სახელიც
სხვას ეკუთვნოდა. შენი სახელი!
ვიჯექი უცხო სახლის კიბეზე
და მაწამებდა ჩემი სიბეცე,
ჩემი სისუსტე და სილატაკე.
და ჩემი სულის ქვის იატაკზე
შენი არსება, ჩრდილად ქცეული,
როგორც სულისთვის უცხო სხეული,
უძრავად იდგა.





ჭიკაობის ღაგაუბი

3 ე ნ ა ხ ი

— დაანებე, გიავ, თავი, ხომ ხედავ, ჩამობნელდა, ვაზიც აღარა ჩანს.

— ტყუილად ელაპარაკები, მინც ყურს არ გიგდებს.

— მაგისტვის ვამბობ, თორემ მე რა?..

— თავი დაანებე, სვრელი გაიტანოს.

— შენ ეს ძეძვი ღობეს დაუმატე, საჭონელი არ გადმოვიდეს; მე წავალ და ცხენს ავუშვებ.

შაქრია ძია ცხენთან წავიდა.

გოგია მწალი იყო.

გია იდგა სვრელში და თოხნიდა.

მხრებში ოდნავ მოხრილიყო. თოხს ღონიერად იქნევდა. წვრილ კენჭებს ჭახაჭუხი გაჰქონდათ. წამოზრდილი შალაფა შრიალებდა. გიას ფართო ბეჭები მწკრივებს შორის ძლივს ეტეოდა, ვაზებს ისეთი ლაწალუწი გაუდიოდათ, თითქოს ეკალ-ბარდებში დათვი მოშლი-გინობდა.

— კარგი, გიავ, გეყოფა! — იძახის ქვევიდან შაქრია ძია.

— ემანდ ყური არ გათხოვოს! — იცინის გოგია და ძეძვებს ღობის მარ-გილზე ჩამოაცემვს.

გიორგობისთევა.

დიდი ველი. ველის ბოლოს დაყუდე-ბული კავკასიონი. კავკასიონიდან ცივი ნიავი მოზუზუნებს, გომბორი ზურგიდან უბერავს. საცაა თოვლს ჩამოჰყრის და აქაურობა თოვლით დაიფარება.

გია თოხნით მიჰყვება მწკრივს და არაფერზე არ ფიქრობს.

მერე სვრელიც გააქვს. თოხს იქვე. სვრელის ბოლოს მიაგდებს, გახვითქულ სახეზე ბრტყელ ხელს ჩამოისევამს და ხმელ ბალახზე გულადმა გადაწვება. მიიმედ სუნთქავს და ცოტახანს ფიქრობს ანკარა ღვინოზე, რომელშიც ცხადად ირეკლება აგვისტოს თაკარა შუადღეები, ღამის სიგრილე, ენკენისთვის მომთენთავი მზე...

— რა ძალა ედგა, რა თავს იკლავდა? — ბუზღუნებს შაქრია ძია.

— ამას რა მოჰკლავს? — იცინის გოგია.

გია გულადმა გდია.

ღონიერი მკლავები ჯვარცმულივით გადაუშლია და ეხლა ბაღდებზე ფიქრობს.

— ადვ, გიავ, გაოფლილი ხარ, შეგცივდება! — ეძახის შაქრია ძია.

— დაანებე თავი, დაისვენოს.

— ცივ მიწაზე გდია, კაცო!

— დაანებე თავი, მაგრე ურჩევნია!

ცხენი იქვე, გიას თავთან სძოვს ბალახს და ფრტუტუნებს. ნამუსრევე ვენახში ქარი ყვითელ ფოთლებსა აფრიალებს. ნახევარი ვენახი გაუთოხნიათ, ნახევარსაც ხვალ მოათავებენ. დამე მოდის ალაზნის ველზე და თეთრად მხოლოდ კავკასიონის წვერები ქათქათებენ.

შაქრია ბერეკაცია. სწორი, თეთრი თმა წარბებამდე ჩამოშლია. ძველი თუშური ქუდი ახურავს. თან გიას უყურებს, თან ცხენს უნაგირს ადგამს.

გოგია გამზდარი, სახრესავით მოქნილი ბიჭია.

გია აღარც ბიჭია, ჯერ არც სიბერე შეპარვია. ნაბდის ახალთახალი ქუდის ქვეშ შავი თმა ჯაგარივით წამოზრდია. ეხლა მიწაზე ისე გდია, როგორც ტოტეზასხეპილი, გრძელი კუნძი.

— ეხლა წვადიდეთ! — ცხენი შეკახმა შაქრია ძიამ.

გია ისევ ღრმად სუნთქავს და ხმას არ იღებს. როცა თავს დაანებებენ, ზანტად წამოიზლაზნება, ლელვის ძირში, ღოდზე ჩამოჯდება, ქალამნებს გაიხდის, ტოლადებს შეიხსნის და წინღებს ბერტყავს.

ფიქრსა და ოცნებაშია დაძირული. მერე მცირე ხანს ლაპარაკის ხასიათზე მოდგება:

„მე ხო არც ცოდნა მაქ, არც არაფერი...“

„მე თუ მკითხამთ, არა?...“

„მე რო კაც ვეტყვი, ეგრეა-მეთქი...“

„გუთხარი და არ დამიჯერა“.

„მე ხო წიგნი არაფერი მისწავლია!..“

გოგია ლელვის ტოტზე ჩამოკიდულ მტევანსა ხსნის. დილას ეს დღეგრძელი მტევანი შორიდანვე დალანდა. რთვლობისას ფოთლებს ამოფარებოდა და მიცქნაფულიყო. მეზრე ბიჭებსაც გადაურჩა და მეველესაც. ეხლა თავი გამოეყო და ქვეყნიერების ხილვითა ტკებოდა. გოგია მტევანს ყაჩაღივით მიეჭრა და მიუშლერა. „აკიდოსავით ასჭერ, ბიჭო!“ — დაუძახა შაქრია ძიამ. ბიჭმა აკიდო აჭრა და ზევით ასწია. იცოდა:

მტევანი ყინულივით ცივი და თაფლივით ტკბილი იქნებოდა.

უფრო ჩამოხვეწილი. უფრო სიმუქეში ჩაიძირა ოქროსფერი ვენახი და თეთრად გადაწვდენილი კავკასიონი. შაქრია ძიამ ცხენს აღვირში მოჰკიდა ხელი, მერე იჭურბა მიათვალეერ-მოათვალეერა; თოხები მხარზე გაიდეს და წასასვლელად გაიმართნენ.

ეხლა ორლობეში მიდიან და შაქრია ძიას გასაგონად გოგია წუწკობს, გული გამელიაო, წუწუნებს და თან გიას მუჯლუგუნსა ჰკრავს, ამყევიო. გია ვერაფერს ხედება და დაწყებულ ამბავს აგრძელებს:

— თაობითვე ეგრე იყო...

— დედაკაც ლობიო აქ დადგმული! — ამბობს გამოცდილი შაქრია.

— ქათამი ვერ გაიმეტე? — ვირთამამობს გოგია.

— აბა, ხო იცით, ქირმა გაგვიწყვიტა.

— სამწვადზე როგორა ხარ? — არ ეშვება გოგია.

— ზედაშეც მოხდილი ექნება, — მხარს უბამს გიაც.

— სწორედ სმისაგანა ხარ, გამოთავებული! — ნიშნისმოგებით ამბობს შაქრია ძია.

— მაშ სხვა რა გავაკეთო? — თავს იმართლებს გია.

— ღმერთმა რო არ იცის შენი თავი და ტანი.

— მთელი წელიწადი იმიტომ ვეტრიალებ შიგა, რომ დავლიო.

— მუშაობა კი იცი, მაგას ვერავეინ დაგაყვედრებს.

— კამეჩივითა მუშაობს.

— მთელი წელიწადი ვენახში ვეტრიალებ...

— რაც მართალია, მართალია.

— უნდა დავლიო, მაშ არ დავლიო?

— უნდა დალიო, მაშ რა? ვინ ამბობს, არაო?

— მთელი წელიწადი ვენახში ვეტრიალებ...

თამაზ ზივილური
დიპლომატი ჯამთრის ლამეში

გია ჩუმდება. მცირე ხანს თავს მიუ-
საფრად გრძნობს და ალერსი მოუნდება.
კუნთებში ნდომა ერევა... და ცოლი
მოენატრება. წინ ცხენი მიდის. უკან გია
მიპყვება. გიას მერე გოგია მოდის, ენად
გაქრფეილა და რას აღარ ამბობს. ცხენს
წინ მიუძღვის შაქრია ძია. უკვე ღამეა.

ღღისით გია კოლექტივშია, ან თავის
ვენახში მუშაობს.

კუნთმაგარ სხეულში ვეშაპის ძალას
გრძნობს.

სალამობით ღვინის სმა უყვარს.

ღვინო მოერევა და ამხელა ტანი ძონ-
ძივით გაუხდება.

მაგრამ ღვინოს მაინც გია სძლევს,
ჯანსაღი ძილით გამოიძინებს, შუალამი-
სას გამოფხიზლდება და ალიონამდე
აღარც თვითონ დახუტავს თვალს, არც
ცოლს მოსაყვენებს.

— როგორ წამოუბერა, კაცო! — ჩი-
ვის შაქრია ძია.

— ცხვრის ხორც კიდევ არა უჭირს
რა, იშმევა... უკვე ბურვაკებიც იკვლის.
შენ რას იტყვი, გიავ, სუჯი გირჩევნია
თუ ჩაქაფული? — აგრძელებს გოგია.

— მთელი წელიწადი ვენახში ვტრია-
ლებ...

— დედაკაც ლობიო ექნება დადგმუ-
ლი.

— მწნილი რისა გაქვთ, შაქრია ძიავ?

— რასაც შენ იტყვი. გინდა პამიდო-
რი, გინდა წიწყა, გინდა კიტრი და კომ-
ბოსტო...

● უკვე შინ არიან.

ბუხრისპირას ტაბლა გაუშლიათ.
ოთახში თბილა. კედლის ქუჭრუტანაში
კრიჭინა ხმაურობს. ბეგრი არაფერი
უთქვამთ, მაგრამ მაინც შეპყვენენ სუფ-
რას. „რათა წუხდებოდ, მალუცა ძა-
ლო, ამდენისა კი არაფერი გაგვიკეთე-
ბია“ — ბოდიშობს გოგია და მადიანად
ილუქმება.

გია რიგიანად დანაყრდა.

ორი ჯამი ლობიო შეჭამა.

ნახევარი ქათამი ძვლებიანად გაათავა.

თან მწნილეულიც დააყოლა და ღვი-
ნოც დაუხარელად სვა.

მალუცა ძალო, მაღალი და ჯანსაღი
დედაკაცია. შავი თავსაფარი და გრძე-
ლი, შავი კაბა შეენის. ხან საჩეხში გავა,
ხან მარანში შევარდება. მარნიდან გა-
მოსული, ტაბლაზე ლანგარს ჩამოს-
დგამს. მერე ტახტზე თავდაყირა გადა-
სულ შვილიშვილებს ტუქსავს, ჩუმად
იყავით, ხალხს სადღეგრძელო დააცა-
დეთო.

იქვე, ტახტთან, ყურთბალიშზე დი-
დედა მოკუნტულა, თან მატყლსა ჩე-
ჩავს, თან ბალებს უყურებს, კისერი
არ მოიტხზონო.

ჭერის შუაგულში ბუტუავს ელექ-
ტრონი.

გოგია სადღეგრძელოს ამბობს:

— ამ კიჩით გაუმარჯოს ბალებს...

— საყველაწმინდო დაარჩინე? —
კითხულობს გია და კისერი წყდება.

გოგია ხელდას აჯანჯლარებს:

— გამოვ!

— რა ღროს ყველაწმინდაა, ერთიც
უნდა ჩამოვასხა! — იღიმება მალუცა
ძალო და ბალებს ისევ თითს უქნევს.
დიდედა რძალს ქოქოლას აყრის, აქაო-
და ვერა ხედავთ, სტუმრებს პირში ენ-
აღარა აქვთო. ბალები (ერთი ბიჭია და
ორი გოგო) წამით იცქნაფებიან და დი-
დედას ამოფარებულნი, შემთვრალ გი-
ას ხითხითით შემოსცქერენ. „რა დღე-
ში ხართ, ბალებო, ემაგ საჩეჩელს არ
წამაეგოთ!“ ტუქსავს გოგია წვრილფე-
ხობას. „აქ ტყუილადა ვზივარ?“ მშვი-
დად ამბობს დიდედა და საჩეჩლის კბი-
ლებზე მატყლს ჩამოაგებს. „ნავსი ბა-
ლები არიან“, ბოდიშობს მალუცა ძა-
ლო. „ე ტოლალებიც შამამაწყუდა, წინ-
დაც ვერავენ მამიქსოვა“, — ბუტბუ-
ტებს გია და დედლის ბარკალს ნიორ-
წყალში ავლებს.

— დედაკაცი რას გიკეთებს? —
ეკითხება დიდედა.

— სადა სცალიან?

— რაც იმან ბალები დაყარა...

— ხუთი გყავს. ვენახში ჩასახედა-
დაც ვერ იცლის.

— რას მოიცლის, გენაცვათ! — ხე-
ლებს ასავსავებს დიდედა.

— ძაან ყაჩაღები არიან! — თავს აკანტურებს გია და ისევ მიყუჩდება.

— რა ყველაფერი უზომო იცი, გიავ! — ჩიფჩიფებს დიდდა.

სუფრა ისევ თავისი წესით და რიგით მიდის. შაქრია ჭიქას ცლის და ულვაშებს გადაიწმენდავს: „ეხლა ვილაპარაკოთ საქმეზე!“

— რაც დარჩა, ხვალე მოვრჩებით, ხვალეზევით გადავაწვინოთ. მერე თოვლიც მოვა.

— აკილო სად მოწყვიტე, გოგია ძიავ? — კითხულობენ ბაღლები.

— აგე, დღესაც რა ცივად დაუბერა.

— ჰა? სად მოწყვიტე?

— თოვლი ყვარლამდეა ჩამოსული, კაცო!

— სად მოწყვიტე, გოგია ძიავ?

— ბაღლებო, დაგვაცადეთ ლაპარაკი! — ჭავრობს შაქრია ძია და გოგიას ეკითხება:

— დილაადრიანად მოხვალ?

— როდისა? ხვალე? — სწონის და ზომავს გოგია, აქაოდა, დიდი გამოვჩნდე, დამაფასონო.

— ჰო, ხვალე. ეგრე ხომ არ დეაარჩინთ ნახევარსა?

— მოვალთ. საყველაწმინდო დავასხა?

მალუცა ძალო გაფაციცებით უსმენს ლაპარაკს, მაგრამ თვითონ არ ერევა. დიდდა საჩიჩელს თავს ანებებს და ბაღლებიც მიყუჩდება.

— გიავ, შენ მოხვალ?

— დაანებე თავი, ეძინოს.

გიას ნიკაბი მკერდზე დაუბჯენია და ეყვინთება.

— დაანებე თავი, ეძინოს.

— რას იტყვი, გიავ, ხვალეც მოხვალ? — აჯანჯლარებს შაქრია.

— მემრე ჰაჰაც უნდა დავაყაროთ და გადავბრუნოთ. გათხნა იგრე მოუხდება, როგორც საბანი მიგიფარებია.

— დღესაც ეგე, რა ცივად დაუბერა.

— მალე თოვლსაც ჩამოჰყრის.

— ჰა, გიავ, არ გვილატებ ხვალე?

— ალბათ მოვა, მა რას იზამს?

— წინასწარ უნდა ვიცოდე, კაცო!

გია ფშვინავს. პირი მიწისკენ მიაქვს და თავისთვის ბუტბუტებს: „რაღი, ხვალამდე იქნება ვკედები?!“ ბაღლები სიცილით იხოცებიან. მალუცა ძალო ტუქსავს ბაღლებს და ისევ სიჩუმე ჩამოდება. „მოვა, მა რას იზამს? დავასხა საყველაწმინდო?“ „თუ მემრისაც ამდენი დაიკრიფა...“ „რა იცი“... „მოხვალ თუ არა, კაცო!“ გია კეფას იფხანს. ძირს ჩავარდნილ ნაბღის ქუდს ხელის ცეცებით ეძებს. „მე თუ მკითხავთ...“ „მე რო კაც ვეტყვი, ეგრე-ამეთქი...“ ბაღლები ისევ ხითხითებენ და გოგია არხეინად ამბობს: „მოვა, მა რას იზამს?“

— ცხენსაც მოიყვანს?

— მოიყვანს, მა რას იზამს?

გოგია წამოდგება და გიას აჯანჯლარებს. ადგ, შინ წავიდეთ, შუალამე წამოვიდა, ბაღლებსაც ძილი მოერიათ და ოჯახსაც დასვენება უნდაო. „აქი ვამბობდი“, ჩურჩულებს დიდდა. „კარგი, დედამთილო“, ანიშნებს მალუცა ძალო. „დათვრება და წასვლა აღარ იცის“, ვერ ითმენს დიდდა. „აბა ეენახში ნახე!“ „შენ წინდები მამიქსოვე ნათლიდედ, მემრე მე ვიცი!“ ბურღულუნებს გია და ეღიმება. „ერთიც დავასხათ!“ ხარხარებს გოგია. ბაღლები ისევ თავდაყირა გადადიან.

— დაასხი, რა, ხო არ მამკლამს? — ეღიმება გიას.

ბაღლები სულ გიჟდებიან.

დიდდა ველარ ითმენს და წყრება: „კარგი, გიავ, ქვევრი ხომ არა ხარ: გეყოფა! წადი და დაიძინე!“ „შენ წინდები მამიქსოვე, მემრე მე ვიცი!“ იცინის გია.

— გეთაყვათ!

— წამსვლელ-დამრჩომს გაუმარჯოს! — ხმამალა გაიძახის გოგია.

არავინ უსმენს.

— ჩვენ წასვლას გაუმარჯოს, კაცო! — ჭირვეულობს ისევ გოგია.

თამაზ ბიბილური

დილოზიანი ზამთრის ლაპარაკი

კიბეზე ბარბაცით ჩადიან. „სანთელი გამაიბათ, სანთელი!“ მალეუა ძალის სანთელი გამოაქვს. ბალღები აივანზე გადმომდგარან და ერთმანეთს ჩქმეტენ. ბნელი ღამეა. ძალდი ყვეს. გაიჭრია-ღებს ჭიშკარი. მერე ყველაფერი მიწყნარდება... ოჯახმა დაიბუღა!

ბარბაცით მიჰყვებიან ორღობეს.

გოგია ხმისამოუღებლად მიაგნებს სახლსა და ეზოში შედის.

გია გზას აგრძელებს.

სოფელს სძინავს.

— რაღი, ხვალამდე იქნება ვკვდები... სოფლის ბოლოში ბეჟუტავს სინათლე

და გია თვალის ცეცებით მიტლავუნობს ორღობეში. ძალღები ყვეფენ: ჭერ ღობეს მოაწყდებიან, მერე ჭიშკარსაც გამოსცდებიან და ორღობეში გამოვლენ. მიბარბაცებს გია, ბურტყუნებს და ძალღების ყვეფას არაფრად ავღებს. ცივა-საცაა თოვლს ჩამოჰყრის.

— რაღი, ხვალამდე იქნება ვკვდები.

საწყალი დედაბრისასა...

— იყო ერთი დედაბერი... იმ დედაბერმა, ერთ მშვენიერ დღეს, როცა მთელი სოფელი ზარხარებდა, ტირილი დაიწყო...

ღიღღდა მესამედ გამოავდეს გარეთ. ჰა და ჰა, საქმეს საქმეზე მივიყვანთ, ერთ სიტყვას იტყვი და ყველაფერი ისევ თავიდან იწყებაო. იხვეწებოდა: ოღონდ ნუ გამავდებთ, თუ კიღევ ხმა ამოვიღო, ძირში მომჭერით ენაო. რძალი გაცეცხლდა: ეგ ენას ვერ გააჩუმებს, კარი ჩაუტკეტოთ და ნახეთ, თუ ხელად არ მოვრჩეთ საქმესო. ბრიგადირი შეწუხდა: ეგეთი გაუთავებელი არაფერი მინახავსო, დიდიდან დაღამებამდე ყაყანებენ, არც უცხო იციან, არც შინაურიო.

მთელმა სოფელმა იცოდა, რომ გოგნა იურებს გაყრა უნდოდათ.

სამნი ძმანი იყვნენ, ღელა ჰყავდათ და ღიღღდა.

უფროსს ჭუმბლას ეძახდნენ. ერთი უფაქიზო და უძლომელი აყლაყულა იყო. თვალი რომ გაუშტერდებოდა, გოგოებზე იწყებდა ფიქრსა; ცოლი მოუწდა და გაყრაც პირველად იმან ისურვა. შუათანას სულ ჩონგური ეჭირა და მღეროდა. ნაბოლარა ჭერ ისევ სკოლაში დადიოდა და ღიღღდას იმედი ჰქონდა, დაცით ისწავლოს, თუ თავმჯდომარე

მარე არა, ბრიგადირი მაინც გამოვაო. ღელა ხელთუყარი და რეგვენი ქალი იყო. ღღე არ გავიღოდა, ან კოცა არ გაეტება ან ჯამი. ფერ-ხორცად მოსულს სახეზე მუღამ ღიმილი ეფინა; ღელამთილი უნაღვლელს ეძახდა და წყაროზე დედაკაცებს შესწიოდა: ვღიე, ვღიე, ვერ დავეწიე, დავდექ და დავიცადოე; თვითონაც უშრომელია და შვილებიც ეგრე დაზარაო. ნემსს ყუნწი საითა აქვს, ისიც არ იცისო; ბედნიერია ჩემი შვილი, საფლავში წვეს და ვერასა ხედავსო.

რა აცხოვრებდათ გოგნაიურებს — არავინ იცოდა:

იმათ ვენახს შალაფა მორეოდა. იმათ ღობეზე მამალი არა ყიოდა. საბუღარში კვერცხისმღებელი არ უჭდებოდათ. სასიმინდეც ცარიელი ედგათ და ბელელიც. არც ცხენი ჰყავდათ, არც ხარ-კამეჩი. ოცნება კი დიდი იცოდნენ... შუა ზამთარში, ბუხართან რომ შემოსხდებოდნენ, შუათანა ბიჭი რომ ჩონგურს ააჩხაყუნებდა და მეზობლებსაც გარშემო შემოიკრებდნენ, იმათი პირი რას არ იტყოდა:

„წლელუს საზამთრო უნდა დავთესოთ“.

„მთელი ზაფხული ტყიდან ფეხს არ გამოვდგამთ, შეშას დავამზადებთ, ზამთარში გავყიდით და ავშენდებითო“.

„დიდმარხვაში, კრუხებს რო დაესვამთ, ასი ღრთა წიწილა მიინც უნდა გამოვაჩეკინოთ“.

„ძროხასაც ვყიდიდით, მაგრამ ვაითუ ვაბერწოდესო“.

„თუ ჩვენი ნამყენი მეწლეულე არ გამოდგა, დიდ ფულს ამოვიღებთო“.

ამ ოცნებაში ბარაქიანად თოვდა. ცივი ქარი ძველებური სახლის კედლებს აწყდებოდა, ფარღალალა სხვენიდან ღარბაზში იჭრებოდა და გამხიარულებული მეზობლებიც, როცა შინისკენ კახტახით გაიქცეოდნენ, ჩაილაპარაკებდნენ: „მეხე ვი დაგეცეთ, გოგნიაურებო!“ იცოდნენ, რომ უშრომელი გოგნიაურები ვერც საზამთროს დათესდნენ, ვერც შეშას მოჭრიდნენ, წიწილებსაც კირი გაუწყვეტდათ, ძროხაც ვაბერწოდებოდა და ნამყენიც მეწლეულე გამოადგებოდა. და წლიდან წლამდე გოგნიაურები ნაკვერცხალს მეზობლებში თხოვლობდნენ, პურს სხვის თონეში აკრავდნენ, ფქვილს მოგვარებებში სესხვლობდნენ. ერთი წყალი ჰქონდათ უსაყვედურო და იმის მოტანაზეც სახლში წიოკობა იდგა, არა შენ მოიტანე და არა შენაო.

ზაფხულში კაკლის გრილოს ეტანებოდნენ. შემოდგომაზე ნახურებ თონეზე შემოჯდომა ყველაფერს ერჩივნათ. გაღებდნენ ფიცრებს და ზედ მოიკეცავდნენ. ზურგიდან წამობერილ ქარზე ცახტახებდნენ და ლაპარაკობდნენ: რომელი ბური სჯობს — შოთი თუ ლავაში; რომელი ჭადი უფრო გემრიელია — კეცეულა თუ თონეულა; სად უფრო კარგი ბურჯაკები იყიდება — თელავში, ბოდბისხევში თუ კაბალზე. ყურძნის მტევანი როდის უფრო საამოა — ფერიცვალობას თუ ღვინობისთვის მიწურულს...

ხან სულ თვალსევდიანები და შუბლგაუხსნელნი იყვნენ. ან საბჭოს კართან იდგნენ, ან კოლექტივის კანტორაში; ან განცხადება ეპირათ ხელში, ან საჩივარი... ჩვენაო, ქვემოთე ამისა ხელისმომწერნი, სხვაზე ნაკლები რითა ვართო. თურმე წვრიშვილის პატრონებს მთავ-

რობა გადასახადს აღარ ახდევინებს და ჩვენ უპატრონო ხომ არა გვონივართო. თუ ყურადღებას არ მოგვაქცევთ, მთავრობამდე ვივლითო...

ერთი შაპის საკადრისი ხალიჩა ჰქონდათ (იმათი პაპა ნატარი კაცი ყოფილა და ის ხალიჩა არზრუმიდან ჩამოუტანია) და ერთი დიდი თანგირა ქვაბი. ხალიჩა სულ სოფლის საბჭოში იდო (გოგნიაურები გადასახადს არ იხდიდნენ და თავმჯდომარეს „გირაოში“ მიჰქონდა), თანგირა ქვაბს კი, საჩეხიც რომ არ ჩამოეგავთ, მიინც საგულდაგულოდ გააქრიალებდნენ. გიორგობისთვეში მთელი სოფელი გოგნიაურების ქვაბში ადუღებდა ბადავსა და თათარას. გოგნიაურებიც, მეზობელი რომ გააბრაზებდათ, იმუქრებოდნენ, დაიცათ, ჩვენი თანგირა ქვაბიც დაჭირდებათო. მაგრამ როცა იმათი ქვაბი მართლა ვინმეს დასჭირდებოდა, დიდის ამბით (ამ დროს სახეზე ნათელი გადასდიოდათ) გამოუბრძანებდნენ, აქაოდა ჩვენიცა კვირდებით ვილაცას, ჩვენც ხელი გავუშართეთ მეზობელსო.

მეტი რა ებადათ?
მეტი რა უყვარდათ გოგნიაურებს?
გართობა!

იმათი სახლიდან სულ ტაშ-ფანდური-სა და სიმღერის ხმა გამოდიოდა. ყველიერში საქანელა იმათ კაკალზე ჩამობმოდა. ჭიკოკონა იმათ ეზოში დაინთებოდა. დღეობა დღეს ხომ ბატკანს ყველაზე ადრე ისინი დაკლავდნენ და სოფელს სალაპარაკოს მისცემდნენ: „სულ სხვის კარზე რო დგანან, ბატკანი კარგა დაკლესო! ეგეთს ხელი არ უნდა გაუშართო“. მაგრამ ნამძაბ სიტყვას აინუნშიც არ ჩააგდებდნენ და იმ ერთი ბატკნის იმედით სოფელ-ქვეყანას ეპატიებოდნენ... ხელგაშლილები კი იყვნენ გოგნიაურები!

●
იმ სოფელში გოგნიაურების ხსენებაზე პირზე ღიმილი ეფინათ. რაკი ხალ-

თაბაზა ზიზილური
დილოვაგი ზამთრის ლამიში

ხის ყბაში ჩავარდნენ, სოფელმა ერთი ძველი ამბავიც იმათ დააბრალო და ყველას, უცხოთა თუ ახლობელს, გამოვლესა თუ გამოვლელს უამბობდნენ:

გოგნიაურებს მეზობლის ვალი ემართათო. დღე არ გავიდოდა, ის მეზობელი სამიჯნე ღობეს არ მოსდგომოდა და არ ეთქვა, რა ამბავია, გოგნიაურებო, აღარ გაღაიხდით ვალსაო? რაც არა ჰქონდათ, რას მისცემდნენო! ასე გადიოდა წლები და გაწობილებული მეზობელიც თავ-ბედს იწყევლიდაო. ერთ შემოდგომაზე, სახე-გაბადრული გოგნიაურები დიდიან-პატარიანად ღობეს მიადგნენ, მეზობელს დაუძახეს და უთხრესო:

— გადავწყვიტეთ, შენი ვალი დაგიბრუნოთო.

— ეგრე ვეთქვათ, თქვე კაი ხალხოო.
— ოღონდ ეხლა კი არა, ცოტაც უნდა მოითმინოო.

— საცა აქამდე მომითმენია, მეტი რა გზა მაქვს, ცოტასაც მოვითმენო.

— აი, იმ გზას ხომ ხედავო?
— ვხედავო.
— ჰოდა, გადავწყვიტეთ, გზის პირას ძეძვი დაეთესოთო.

— ძეძვი რაღად გინდათო?
— ის ძეძვი გაიზრდება და ეკალს გამოიხამსო.

— მერეო?
— მერე გაზაფხულზე კოლექტივის ცხვარი ჩაივლის, იმ ძეძვს გაეჭეჭება და მატყლი დარჩებაო. მოვაგროვებთ, გავყიდით და ვალსაც გაგისტუმრებთო...

მეზობელს უთქვამს, გოგნიაურებო, თქვენი აღარაფერი მინდა, თქვენი იმედით ჩემი მტერი იყოსო.

ისიც მოუგონეს: გოგნიაურებმა მთელი ზაფხული ძილში გაატარეს, რაც ღმერთმა მისცათ, ღვინობისთვეშივე შექამეს, როცა თოვლი ჩამოყარა, კოდი ხორბალიც აღარა ჰქონდათ. შუა ზამთარში, ფეხშიშველები და წელში მოკაკულები გარეთ გამოვიდნენ და მინდვრის გზას დაადგნენო. „საით ვაგიწევიათ, გოგნიაურებოა“, იკითხეს მეზობლებმა. „კოლექტივის ხოდაბუნებში

მივიღვართ, თავთავი უნდა ავკრიფოთო“...

რომელია მართალი და რომელი ტყუილი?

ასე იყო თუ ისე, გოგნიაურებს ლოყები უღაფლავებდათ, ავად არა ხდებოდნენ. სოფლის ყბაში ჩავარდნა არ ანალელებდათ; აუგსა და დაცინვას გულგრილად ხედებოდნენ, ვითომც და მასხარად თქვენი თავი აიგდეთ, რას ივლანებოთ, თუ თქვენისთანებოთა ყოფილას ეს ქვეყანა სავსე, არც ჩვენისთანები ყოფილან ცოტანიო. და როცა გაზაფხულისპირს, რომელიმე აყვია მეზობელი სხვების გასაცინებლად ეზოში გადასძახებდათ, გოგნიაურებო, თქვენ კი გაიხარეთ, ერთი ხელადა ღვინო გავსესხეთო, გოგნიაურებიც (იმ წუთში ყველა აივანზე გამოვიდოდა) მშვიდად მიუგებდნენ: ზედაშე განაჭრებული არა გვაქვსო.

სოფელი იცნობდა გოგნიაურებს. გოგნიაურებმაც იცოდნენ, რა შვილიცა ბრძანდებოდა სოფელი და ამ ქვეყნის ჭაპანს თავიანთებურად, გოგნიაურებივით ეწეოდნენ.

ერთი კვირაა, გოგნიაურები იყრებიან. ერთი კვირაა, მთელი სოფელი ყაყანებს.

ჯუმლამ აიჩემა, გინდა თუ არა თავმჯდომარე დაგვესწროსო; თავმჯდომარემ თქვა, მე თქვენი თავი არა მაქვს, აი თქვენ და აი ბრიგადირი, წამოვიდეს და გაგყაროთო; ბრიგადირი აყვირდა, ქვა მაკოლინეთ და მაგათ საქმეში ნუ გამრევთო; მაგრამ ანუგეშეს, რა ჭირი აბადლიათ, გაყრას ხუთ წუთში მორჩები და მერე ახოვებში ამოდი, ბატკანსა ცვლამთო.

მეშვიდე დღეა, ქაქანებენ გოგნიაურები.

დიდედა მესამედ გამოაგდეს გარეთ. კარი ცხვირწინ მოუჯახუნეს. მოკუნტული დედაბერი საჩუნში დგას, ჩაშრეტლი თვალები გაფართოებია, კა-

რის ქუჭრუტანისთვის ყური მიუღვია და ყველა სიტყვას სათითაოდ კენკავს:

— თანგირა ქვაბი ჯუმბლას.

„რა უნდა მოხარშოს შიგა?“

— კოკა მანანოს.

„ვიცი, გაუტყდება!“

ჩონგური უკრავს.

საანგარიშო ჩხაკუნობს.

— თოფი რობიზონას.

„ენაცვალოს ბებია“.

— „შაბათი რომ დაღამდება, კვირა გათენდებებაა!“

„ხმა კი ჩაგიწყდეს“.

— ერთი მუთაქა მანანოს, ერთი დიდდას.

„რაც მართალია, მართალია“.

— დედამთილს წილი არ ერგება!

„რატო, რატო არ მერგება?“

— კრელი ბალიში რობიზონას, ყურთბალიში — დიდდას.

„ჩემი მკვას და თავისიც, ენაცვალოს ბებია“.

— საჩეჩელი დიდდას.

„დახე, დახე!“.

— რად უნდა? თვალბეში ვეღარ იხედება.

„რატო არ მინდა, ჩემო რძალო?“

— აღეკით და თოფიც დიდდას!

„ჯუმბლავ, არ შერჩი დედაშენს!“.

— „ყველა დანაშნული ქალი, საქმროს ელოდებებაა!“

— კარგი, დააყე ეგ ჩონგური, რა მოგივიდა, კაცო!

„გაბრაზდა ბრიგადირი!“.

უცებ სიჩუმე ჩამოდგება.

მერე ჩურჩული ატყდება, მაგრამ მანინც არაფერი ისმის.

ჩონგური ისევ ჩხაკუნობს და ჯუმბლა ხითხითებს:

— მიეცით რა, საცაა მოკვდება!

ღობზე მომდგარი მეზობლები (ქალებს ბალდები უჭირავთ ხელში, კაცები იქვე თლიან ცულის ტარს) დიდდას ხელით ანიშნებენ, რა ქნესო... დედაბერი აქეთ-იქით უმწეოდ იხედება. პატარა ნიკაბი უცახცახებს. გაღუული ტუჩები უთრთის. ჩაშრეტილ თვალებს ახამხამებს და კიბეზე ნელა ჩამოდის.

საწვეთთან ჩაიმუხლებს და ტირის.

ცრმელები დაბალუბით ჩამოსდის.

აქეთ-იქით შეშინებული იყურება.

ღმერთს ეხვეწება, წაძიყვანეო.

კედლისათვის თავი მიუღვია და მოსახვევის ფოჩით ცრმელებს იწმებხს.

ფოჩი დაასველა და მანინც ტირის.

მერე ხელებს კალთაზე დაიწყობს და თავს ჩაქინდრავს.

ცრმელები ისევ ეცემა დაკონკილ წინსაფარზე.

სასეიროდ თავშეყრილი მეზობლები კი წასვლას არ აპირებენ:

— ნეტავი რა ეწყინა?

— ან სული როგორ უდგას, ამ ცეცხლმოკიდებულს, იმისთანა შვილი დაკარგა.

— ადამიანი ძაღლია.

დიდდა მარტო ზის და ეშინია.

ამ ღროს სახლის კარი გაფრიალდება და ქვილ-ხივილით გამოცვივდებიან გოგნიაურები. წინ გამხიარულებული ბრიგადირი მოუძღვით. ღიღინით ეზოში ჩამოვა და ღობეზე მომწყდარ მეზობლებს თვალს ჩაუკრავს. მეზობლები მხიარულად აყაყანდებიან: „მორჩნენ, ეს დამწვრები!“

„არ ჩაგაცეცხლეს, ბრიგადირო?“

„მამულ-დედული რომელს ერგო, შუაქაცო!“

„ისევ დაგიბარებენ, ალილო და ხვალეო!“

„დახეთ, როგორ მოუსევა, უკან აღარც იხედება!“

დედაბერი რაღაცას გაიფიქრებს.

წამოხტება და ფაციფუსით თვალებს იმშრალებს.

კაბას იბერტყავს.

გაახსენდება ნაბოლარა შვილიშვილი: ის ჯერ კიდევ სკოლაში დადის და დიდდას ამქვეყნად ისღა უყვარს: იმისთვის უნდა თოფიც, საჩეჩელიც და ყურთბალიშიც... შარაზე გასულ ბრიგადირს ფლატუნით წამოეწევა და ანიშნებს, ცოტა ხანს მოიცადეო.

— რა გინდა, მოვრჩით! — ყვირის ბრიგადირი.

— სიტყვა მაქ სათქმელი...

თამაზ ბიბილური
დილოლოგები ზამთრის ღამეში

ბრიგადირი დაიხრება. დედაბერი მიიხედ-მოიხედავს, მზირად მდგარმა რძალმა და შვილიშვილმა არ გამიგონო, თითის წვერებზე აიწვეს, ბრიგადირის ყურს მისწვდება და ჩურჩულით იკითხავს: „ხალიჩა ვის ერგო, შვილო?“...

ბრიგადირი ილანძლება. შუათანა ბიჭი ჩონგურს უკრავს. ნაბოლარას ნახევარი შოთი უქირავს და ილუქმება. ჯუმბლა თვალგაშტერებული ჩასცქერის მიწას. რძალი დედამთილს უთვალთვალებს. მამალი ყივის. სახედარი ყროყინებს. სოფელი ხარხარებს...



— ეს კარგა ხნის წინათ იყო. ეხლა გოგნაურები გამდიდრდნენ. ჯუმბლამ ორსართულიანი სახლი აიშენა და სამი ბიჭის მამა გახდა. შუათანა, სულ ჩონგური რომ ეჭირა და მღეროდა, აქ არის,

ნისლაური

სამი დღეა, ნისლაური ხმას არავისა ხცემს. უთენია გამოვა სახლიდან, მხარზე წალღს გაიდებს და უსმელ-უჭმელი ტყეში წავა. იქ რას აკეთებს — ღმერთმა იცის, კვალზე აღევნება ვერავინ გაუბედავს. სანამ კარგად არ დაღამდება, არ დაბრუნდება; მთვარის ამოსვლისას ბიჭი ბილიყზე ჩამოვილის, წალღს ხაჩეხში მიაგდებს, და პირდაპირ ტახტზე წაემხოზა. მერე შუალამემდე ძილი არ ეკარება.

მამა არაფერს ეუბნება. დედაც უმძრახად დასდგომია. დილაადრიანად გამოვა, ბილიყს დაადგება და ხეობის იქით გაფანტულ წვრილ-წვრილ სოფლებში დადის, ეგებ ვინმე თვალადი გოგო შევათვალეირო და ბიჭს ცოლად მოვკვაიროთ, იქნებ გული გადააყოლოსო. მაგრამ ბიჭს გული არავისზე მისდის, ერთ ზიტყვასაც ვერ ეტყვიან, ხეობა მისთვის ცარიელია და ვერც ვამტყუნებ: ნისლაურზე ლამაზი ბიჭი ბევრი არ მინახავს...

ქალაქში და ლექსებს სწერს. ნაბოლარა ვერც თავმჯდომარე გახდა და ვერც ბრიგადირი, საბუღალტრო კურსები დაუმთავრებია და კოლექტივში მოანგარიშედ მუშაობს.

დედაბერი?

რალა თქმა უნდა, რომ თქვენი ჭირი წაიღო... დიდი პატივი სცეს და ძველ სასაფლაოზე, ქმრის გვერდით დამარხეს. ერთი ხანობა იმის საფლავზე ხის ჭვარი იდგა. მერე ისიც ცხენებმა წააქციეს და ფეხზე აღარავის დაუყენებია. მერე საფლავზე ძეძემაც ამოყო თავიო. ძეძვი გაიზარდა და ეკლები გამოისხა: ყოველ გაზაფხულზე, ცხვრის ფარები რომ გაივლიან, იმ ძეძვს გაექექებთან და ეკლებზე თოვლივით თეთრი ფთილები რჩებაო.

სოფელი რას არ იტყვის...

პირველად სამი დღის წინ ვნახე.

დაღლილი ვიყავი და სოფელს ნელა ეუახლოვდებოდი. ერთ სახლთან შორიდანვე ბებრებს მოვკარი თვალი. როგორც კი დამინახეს, ერთმანეთს გადაულაპარაკეს, დადგნენ და თვალი აღარ მოუშორებიათ. ფერდობზე ვეშვებოდი და ნელ-ნელა მიახლოვდებოდა ბანიანი სახლი, საქონლის ბაკი, ღორ-ხბო და ბერიკაცი თავისი დედაბრით.

მიყრუებული სოფელია.

ერთ-ორ დღეს დავრჩები და მერე კლდეკარზე გადავალ.

აქ მგზავრი ხშირად არ გაივლის და სტუმარი ჯერ ისევ ღვთისაა...

ვახარებულნი არიან.

ბერიკაცი ბაკიდან გამოვიდა, დედაბერს თუნგი მიაწოდა და ისიც წყაროზე გაიქცა. მერე ბერიკაცი შინ შევიდა და გარეთ ისმოდა ჭურჭლის ჩხარაჩხური. ხან განჯინის კარი გაიჭრიალებდა. ხან კოკაზე დანა ილესებოდა. ბოლოს ისევ საჩეხში გამოვიდა, დაბალ ტაბლას-

თან სამეფო სკამი მიიღვა, ჩამოჯდა და დაშაშხულ ბარკალს თხელი ნაჭრები აათალა.

— მთელი ზეობა დაიცალა, ზოგი საღ წავიდა, ზოგი საღ. ორი კომლიდა დავრჩით. ეს — მე და ჩემი დედაბერი, ზემოთ კიდ ერთი ცოლ-ქმარი ცხოვრობს თავიანთი ბიჭით.

ბერიკაცი წამოდგა. თითქოს მზეს იჩრდილებსო, ხელი შუბლზე მიიღო და ზევით, სოფლის თავში გასძახა: „ნისლაურო! ნისლაურო!“

— ჰეი! — გადმოეხმაურნენ ზემოდან.

— ნისლაურო! — ისევ დაიძახა ბერიკაცმა.

— არ ჩამოსულა, არა!

— ტყეში იქნება! — ჩაილაპარაკა და მანაც გასძახა:

— არ ჩამოსულა?

— არა, არააა!

მზე კარგახანია ჩავიდა. ბინდი ჩამოდგა. ძროხა მარტომდმარტო მოადგა ბაყის კარს. ხბო აბლაგლდა. ქათმებმა ლედვზე შეიბუღეს. დედაბერი წყაროდან დაბრუნდა, თუნგი მხრიდან მოიხსნა და საჩეხის ბუხარში ცეცხლის დანთებას შეუდგა. მერე შინ შევიდა და ცოტა ხნით კარი მიიხურა. შინ სანთელი აანთო და გარეთ გამოვიდა ჩითის ახალთ-ახალი წინსაფრით.

— ჰეი! — კვლავ გასძახა ბერიკაცმა.

— ჰეი! — უპასუხეს.

— არ ჩამოვიდა?

— არა, არააა!

დედაბერმა ძროხა მოწველა. თბილი რძით ივსებოდა სპილენძის ქვაბი. მერე ხბო სუშვა და ცურზე მიუშვა. ხბო დამკენარ ცურს დრუნჩს ურტყამდა და დარჩენილ რძეს მადიანად წოვდა.

ბუხარი უკვე გიზგიზებდა და ცეცხლის შუქზე კაშკაშებდა პატარა საჩეხი.

— არ დაუძახე ნისლაურსა? — იკითხა დედაბერმა.

— დაუძახე, მაშ არ დავუძახე? — გაჯავრდა ბერიკაცი და ხელი ჩაიქნია.

დაღამდა. ზეობა ბნელში გაეხვია და სოფლის ბოლოში აკვილდნენ ტუ-

რები. ზევით, ცაში ყრუდ ზმუნოდა თვითმფრინავი. ცეცხლი ტაკუნობდა და ზედადგარზე შემდგარი რძით სავსე ქვაბი ჩურჩულებდა.

— ნისლაურო! — იძახდა ბერიკაცი.

— ჰეი!

— ჩამოვიდა?

— ჩამოვიდა!

— უთხარი, ჩვენკენ ჩამაიაროს!

დედაბერმა ტაბლას სუფრა გადააფარა. თავზე ახალთახალი მოსახვევი მოიხვია. სუფრაზე დაალაგა შაშხის ნათალი, ხახვისა და ნივრის თავები, მოხარული კვერცხები, ყველი და ხაჭო. ბოლოს კი დიდის ამბით მოვიდა ნაღებიანი, ქაფქაფა რძე.

— არ დაუძახე ნისლაურსა? — ისევ იკითხა დედაბერმა.

ქმარი გაჯავრდა და მანიშნა, დედაბერს ცოტა ყურთ მოაკლდაო.

— რა იქნა ნისლაური? — არ მოიხვეწა დედაბერმა და ახლა თვითონ გასძახა სიბნელეში:

— ნისლაურო! ნისლაურო!

— მოდის, მოდის! — მოისმა შორიდან ქალის ხმა.

— რაო? — იკითხა დედაბერმა.

— მოდისო! — ყურში ჩასძახა ქმარმა.

დედაბერს გაელიმა და დამშვიდდა; კვლავ ტაბლასთან აფუსფუსდა, ქაფქაფა რძე თიხის ჯამებში ჩაასხა და ჯამებს ოზშივარი აუვიდათ.

ტაბლას შემოვუსხედით.

ბერიკაცი ლაპარაკობდა. დედაბერს გულზელი დაეკრიფა, თუ ქმარი ვადახედავდა — გაელიმებოდა, ფიქრობდა, მე დამცინაო; თუ არა, იდგა გულზელდაკრეფილი და თვალს არ გვაშორებდა. მერე ეზოში ძაღლმა დაიყეფა და ისევ ჩაჩუმდა.

ფეხის ხმა მოისმა და ბერიკაცი წამოდგა.

— მოვიდა! — გაეხარდა ბერიკაცს.

თაბაჯ ბიბილური
დიპლომატი ჯამთრის ლაშვილი

დედაკაცს გაეღიმა და ბუხარს შემა
შეუმატა.

საჩხის კიბესთან ბიჭი გამოჩნდა,
ჩვილიმეტ-თერამეტი წლისა, მალალი,
ლონიერი და უღმერთოდ ლამაზი. შავი
თვალები ცეცხლის შუქზე უბრწყინავ-
და, გაუღიებლად იღვა და გვიცქერდა.

— გამარჯობათ!

— დაჯექი, ნისლაურო.

ნისლაური დაჯდა. ბერიკაცი თვალბ-
ში შესცქეროდა. დედაბერი ხან იქით
ეცა, ხან აქეთ. ბიჭს წინ ულაგებდა
შრგვალ პურს, რძიან ჯამს, კვერცხსა და
პატარა ჭიქას. ნისლაურმა არ იცოდა,
სად წაეღო გრძელი ხელები, მორცხ-
ვობდა, მაგრამ მაინც ამაყად იჯდა. თით-
ქოს სამოსი ევიწროვებო, ღრმად სუნ-
თქავდა და გამომცდელად გვიცქერდა.

საჩხის იქით ბნელი, უმთვარო ღამე
იყო და თავზე დაგვიცქეროდა ვარსკვლა-
ვებით სავსე ცა.

დედაბერი ახლა ბიჭის უკან დადგა
და ხელები მხარზე დააწყო.

მე ვუცქერდი ძველისძველ ფოტო-
სურათს:

სამფეხა სკამზე ჩამომჯდარი ქალბა-
ბერიკაცი. ტაბლის წინ გალაჯული ვეე-
ბა ბიჭი, ძლიერი ყვრიმალეებით, სქელი
ტუჩებით და შეყრილი წარბებით. ბი-
ჭის ზურგს უკან — ვალეული დედაბე-
რი, გამხდარი, სვედიანი თვალებით და
ახალთ-ახალი თავსაფრით.

— ეს გაუმარჯოს საქართველოს. —
თქვა ბერიკაცმა და ჭიქა ზევით ასწია.
ნისლაური უხმოდ დაეთანხმა.

დედაბერმა ვერაფერი ვაიგო, მაგრამ
მაინც გაიღიმა.

მე დავლიე.

ნისლაური ისევ ჩუმად იყო და ხმის
ამოდებას არც აპირებდა.

— დალიე, ნისლაურო! — ჭიქა მია-
წოდა ბერიკაცმა.

— რა დროს ჩემი არაყია, — მოიღუ-
შა ნისლაური.

დედაბერმა ხელები გაასავსავა, არ
დააღვეინოთო, ბიჭს ისევ მხარზე დაა-
დო ხელები და გაიღიმა.

— საით გაგიწევია? — მკითხა ბერი-
კაცმა.

— კლდეკარში.

— იქიდან?

— იქიდან რკონში გადავალ.

ნისლაური უხმოდ მიყურებდა.
დედაბერი აფუსფუსდა და სუფრას
ხახვის თავები მოუმატა.

ბერიკაცმა სადღეგრძელო თქვა:

— ეს გაუმარჯოს ჩვენ სტუმარს.

ნისლაურმა თავი დაუქნია და კვლავ
არ დალია.

ბერიკაცმა ჭიქა ცოლს მიაწოდა. დე-
დაბერმა გამოართვა. თავი დამოქნია.
ჭიქას ტუჩებით ემთხვია და ქმარს და-
უბრუნა.

ცაზე ვარსკვლავი ჩავარდა. მერე ისევ
ზმუილით გადაიარა თვითმფრინავმა.
ცეცხლი დამშვიდდა და ნელ-ნელა ჩაი-
ღველფა. ტაბლაზეც სიბნელე ჩამოწვა.

— ნისლაურო! ნისლაურო! — მოის-
მა სოფლის ზემოდან ქალის ხმა.

ბიჭი წამოდგა და თავით საჩხის კო-
ჭებს მისწვდა. ხელი უხმოდ გამომიწო-
და, კიბესთან მისულმა ერთხელ კიდეც
მოიხედა და რაღაცის თქმა დააპირა. მე
ეზოში ჩავეე და ნისლაურმა ჩამჩურჩუ-
ლა:

— ქალაქელი ხარ?

— ჰო!

— ღამე მშვიდობისა!

და წავიდა.

— ნისლაურო! ნისლაურო!

— მოდის! მოდის! — გასძახოდა ბე-
რიკაცი.

ძალი აყეფდა და ისევ ჩაჩუმდა.

ცეცხლისპირას სიჩუმე ჩამოვარდა.
ბერიკაცმა კვლავ დაასხა ორნახალი.
დედაბერი შინ შევიდა და რაღაცას და-
უწყო ძებნა. ბერიკაცმა მიიხედ-მოიხე-
და და ჩურჩულით თქვა:

— ეს გაუმარჯოს ნისლაურს. ორნი
არიან, ეგ ერთი ბიჭი ჰყავთ. ორი კომ-
ლიდა დავრჩით. ჩვენ და ისინი. თუ ნის-
ლაურიც წავიდა, ჩვენც წავალთ, აქ რა-
ღა გვინდა? თვალი ბარისაკენ უჭირავს.
თვრამეტისა ვახდა. მოდი და დაუშა-
ლე...

დედაბერმა ლოგინი გაშალა. დავწე-
ქი. ღია ფანჯრიდან შემოდისოდა სივრი-
ლე. ვგრძნობდი, როგორ მიცურავდა
ტატით ვარსკვლავებით საესე უდაბნო.
ბებრები ზვრინავდნენ. გარეთ სუნთ-
ქავდა მთის ცივი და ჩუმი ღამე.

მეორე დღეს მდინარის პირას ვნახე
ნისლაური. შარვალ-პერანგი გაეძრო და
ქვიშაზე გორაობდა. ცხელი მზე სწვავ-
და ბიჰის ლოდევით კუნთებს. შორიდან-
ვე ხელი დამიქნია და ახლოს მისულს
ღიმილით მკითხა:

- როდის მიდიხარ კლდეკარში?
- ზვალე...
- მერე ქვიშაზე გულაღმა გადაწვა და
თვალეებზე ხელი დაიფარა.
- ყოფილხარ კლდეკარში? — ვკით-
ხე.
- ბევრჯერ... წინათ...
- ეხლა სად დადიხარ ხოლმე?
- რა ვიცი. ხან სად, ხან სად...
- უცებ წამოვდა და თქვა:
- აიმ მთის იქით, კიდე ერთი მთაა.
წვერზე რო ახვალ, გზა მოჩანს. ძაან
შორს... იმ გზაზე დილიდან დაღამებამ-
დე ავტობუსები დადიან.
- მერე?
- მერე რა? კაცი გაერთობა...
- ისევ გადაწვა ქვიშაზე, თავქვეშ ხე-
ლები ამოიღო და სიცილით თქვა:
- ხეობის ბოლოში ერთი სოფელია.
- ვიცი.
- სამი კომლი ცხოვრობს...
- მერე სიცილი აუტყდა.
- რა გაცინებს?
- ერთი გოგო ჰყავთ.
- გიყვარს?
- მიყვარს არა...
- უცებ ისევ წამოხტა. გაიზმორა და
წყალში გადახტა.

კარგა ხანს ცურავდა. ვეშპავით
ფშვინავდა და რაღაცას ბურღლუნებდა.
მერე გვერდზე მომიჯდა და ხარხარი
აუტყდა:

- ის გოგო კოჭლია...
- უცებ მოიწყინა და სოფლისკენ წავი-
და.

მესამე დღეს იმათ სახლს ჩავუარე.
დედა აღვიძებდა. უცკე მზე ამოსუ-
ლიყო. ღამის სამხრობასაც მოეტანები-
ნა და ბიჰი აღგომას არ აპირებდა. სა-
ჩეხში ნაბადზე გამოტილიყო. ულაყის
გრძელი ფეხები გაეჭიმა. დაძარღველი
მკლავები გადაეშალა. მსხვილი კისერი
კუნძივით ეღო მუთაქაზე და თვალგამ-
ტერებული ჰერს შესცქეროდა.

ქალს საჩეხი მოერწყა.
ახლა ეზოსა ჰკვიდა.
— ადე, ბიჰო, ადე!
ქათმები კაკანებდნენ. ცხენები ქიხვი-
ნებდნენ.

- „ადე, ბიჰო, ქვეყანა გამდიდრდა.“
- „ადე, ცხენები გეძახიან.“
- „ადე, ღმერთი ქადებსა ჰყრის...“
- „აგე, მამაშენს მეორე გზობა ფიჩხი
მოაქ!“
- „ადე, ბიჰო, პური მაინც არ მოგშვი-
და?“
- „ადე, თორემ წყალს დაგასხამ.“
- „ადე, ბიჰო, მზე მოვადგა!“
- „ეს რა მოუვიდა, ეს რა ცეცხლში
ჩავევრდით...“

მერე ქალი ბოსტანს მარგლავდა. მზე
უფრო ზევით იწევედა. დედლები კაკა-
ნებდნენ და საბუღარში სხდებოდნენ.
ბბო ბლაოდა...

- ადე, ბიჰო, ადე!
- ბიჰი გაიზმორა. ზლაზვნით წამოვდა.
დაამთქნარა და თიხის ღოჭიდან ცივი
წყალი პირში ჩაიყუდა. უცებ გადაიკვა,
წალდი აიღო და ბილიკს დაადგა.
- როდის მიდიხარ კლდეკარში? —
გზიდან დამიძახა.
- ზვალე.
- გაციინა და წავიდა.

ამის მერე ნისლაური აღარ მინახავს.
იმ ღამეს კარგად მეძინა. დილაადრია-
ნად ტირილმა გამომალევიძა. ტირილი
ზემოდან ისმოდა. წამოვბტი. მივიხედ-

თამაზ ბიბილური
დიპლომატი ზამთრის ღამეში

მოვიხედე. შინ არავინ იყო. ბებრები ზემოთ გაქცეულიყვნენ.

უკაცრიელ სოფელში გავბოდი. გავბოდი და უფრო ცხადად მესმოდა ქალის ტირილი, ძაღლის ყეფა, ხბოს ბლავილი.

— წავიდა. — მითხრა ყორესთან მღვარმა ბერიკაცმა.

არაფერი მიტყვამს.

— დაბრუნდება? — მკითხა ბერიკაცმა.

არაფერი მიპასუხნია.

— თუ არ დაბრუნდა, ჩვენც წავალთ, აქ რაღა დაგვრჩენია...

ქალები ტიროდნენ.

მამა ბაკის ღობის იქით იღვა და ხესა თლიდა.

— თავხესა თლის, — ჩაილაპარაკა ბერიკაცმა და ხელი ჩაიჭნია. — რაღად უნდა...

მერე დაუძახა:

— გიორგი!

— ჰა? რა იყო? — გამოფხიზლდა გიორგი.

— თავი დაანებე, აბა რაღასა თლი? გიორგიმ თლა განაგრძო.

ქალები ჩაჩუმდნენ.



კლდეკარს რომ შევეუდექი, სოფლიდან ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. აღმართი ავიარე თუ არა, ის სოფელიც თვალს მიეფარა.

ცოტა ხანს ისევ იმათზე ვფიქრობდი. მერე კლდეკარზე დავიწყე ფიქრი.

ხვალ თეძამს ჩავივლი და რკონში ჩავალ.

შემოდგომის ფერი ექნება მყუდრო-ში გამოსულ ძველ ტაძარს.

„აქა ამოწყდა რკონი თავისი მრევლითა. იღვა გლოვა და ტირილი უზომო“...



მინაწერი ერთი წლის შემდეგ:

იმ გზაზე მივდიოდით. ორნი ვიყავით. კარავი თან არა გვქონდა და ღამის გათევა სოფელში გვერჩივნა. მივყევბოდით ბილიკს და არც კაცის ჭაჭანება ჩანდა, არც სულიერის ხმა ისმოდა. იმ სოფელს იმედი გვქონდა და დაღამებამდე ჩასვლას ვჩქარობდით.

მზე უკვე ჩავიდა.

ბოლოს ერთ ფერდობს თავზე მოვექეცით და ლოდზე ჩამოვჯექით.

— ესეც სოფელი!

ქვევით, ხეობაში, სოფელი გადაიშალა.

აღარსად მიგვეჩქარებოდა. ვისხედით და ვისვენებდით.

მერე ფერდობი სირბილით ჩავლიეთ და ბინდისას ბებრების სახლს მივადექით.

დავიძახეთ.

პასუხი არავინ გაგვცა.

ახლა მეორე სახლს მივადექით და იქაც დავიძახეთ.

პასუხი მაინც არავინ გაგვცა.

შუა სოფელში მეხნაკრავივით შეეჩერდით.

— მიტოვებული სოფელი!

ბინდში ეხლავდა შევნიშნეთ: ჭინჭარმოდებული ეზოები, მონგრეული ყორე-უკარფანჯრო სახლები, უკრამიტო კავეები. ჩატეხილი საყვავე, ბალახიანი ბაკი.

სოფელში არ ყეფდნენ ძაღლები. არ ყიოდა მამალი.



სოციალიზმი

ნოღარ გუჩაბანიძე

თანამედროვე ქორეოგრაფია და „კამერული ბალეტი“

საბჭოთა ბალეტში მრავალმხრივ საინტერესო მოვლენები ვითარდება. ლენინგრადის, მოსკოვისა და ნოვოსიბირსკის საბალეტო დასებში ნოვატორული ქორეოგრაფიული იდეები თანდათანობით და მტკიცედ იკვლევენ ახალ გზებს, ეს იდეები ჯერჯერობით მხოლოდ ყრუ და, უკეთეს შემთხვევაში, ისიც მოგვიანო გამოძახილს თუ პოულობენ სხვა დასებში. ეს მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ იყო დრო, როცა ახალი პლასტიკური სახეები, ახალი ქორეოგრაფიული პლასტები ცოცხლობდნენ სხვა, არა „ცენტრალურ“ თეატრებში.

ე. წ. „დრამბალეტმა“, რომელიც ერთადერთი მიმდინარეობა იყო მთელ საბჭოთა კავშირში და რომელმაც თავის დროზე ბრწყინვალე სპექტაკლები მოგვცა („ბახჩისარაის შადრევანი“, „რომეო და ჯულიეტა“, „მთების გული“), თანდათანობით ამოსწურა თავისი შესაძლებლობანი, გადაიქცა რა საკუთარი თავის ანტიპოდად. ამ სიუჟეტურ ბალეტში უპირატესობა ენიჭებოდა დრამატიული ბრძოლის გამოსახვას, მოქმედი პირების განცდას (აქ იგი ცდილობდა მეტოქეობა გაეწია, თვით „წმინდა“ დრამატიული თეატრისათვის); და თუმცა ცეკვა ერთადერთი ძირითადი საშუ-

ალება იყო გრძობათა გამოხატვისათვის, იგი მაინც არ იყო თავისუფალი, ყოვლისშემძლე, გაწმენდილი არასპეციფიკური დანაშრევისაგან. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა პანტომიმას, მიმს, წმინდა თეატრალურ (და არა საბალეტო) ქესტს, მოქმედება ხშირად ცვლიდა ცეკვას, თითქოსდა იგი უძღური ყოფილიყოს სრულყოფილად გამოესახა ადამიანის სულის განწყობილება. ოციანი წლების ნოვატორული ძიებანი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ფ. ლოპუხოვისა და კ. გოლიზოვსკის სახელებთან, და რომლებმაც თავის დროზე არ პოვეს მხარდაჭერა, მხოლოდ ახლახან ცოცხლდებიან და განხორციელებას პოულობენ ახალგაზრდა ბალეტმაისტერების შემოქმედებაში. ეს არის მოგვიანო რეაქტია დაკანონებული საბალეტო შტამების მიმართ. თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე სრული ჰეგემონი საბალეტო საშუაროში იყო ქორეოდრამა, სადაც ცეკვა თავისთავად კი არ გამოხატავდა გრძობასა და განწყობილებას, არამედ ახდენდა სიუჟეტის კომენტარს, იგი შიფრავდა ტექსტს, მაყურებელს უხსნიდა სიუჟეტს, მაშინ, როცა თვით ცეკვა არაპირდაპირი გზით, ქვეტექსტით, უფ-

რო უშუალოდ, თავისი მხატვრული გამომსახველობით აღწევს ამავე მიზანს.

პეტიპასა და ფოკინის კლასიკურმა ბალეტმა მსოფლიო სახელი მოუხვეჭა რუსულ ქორეოგრაფიულ სკოლას, ზახაროვისა და ლავროვსკის ქორეოდრამებში ახალი შინაარსი მიიღო კლასიკურმა ცეკვამ, მაგრამ საკმარისია თუ არა კლასიკური ბალეტის ენა თანამედროვე სტილის სპექტაკლის შესაქმნელად? რასაკვირველია, კლასიკური ბალეტის კონსერვირებული ფორმები, რომლებიც დადგმიდან დადგმამდე მერყობდნენ, არ იყო შესაფერი ნიადაგი ახალი ფორმების ძიებისათვის. დაუსრულებელი ვარიაციები სხვადასხვა თემაზე, თითქოსდა, გარეგნულად განსხვავებულ სურათებს ქმნიდა, მაგრამ არსებითად, საფუძველში ერთგვაროვან მოვლენასთან გვექონდა საქმე. ცეკვა იქცა ფუნქციად, ტყვედ და მას თავისუფლება ენიჭებოდა მხოლოდ პარალელური მოქმედების გამოსამქლავნებლად. ქორეოდრამის კანონები, მისი განვითარების გზები სწორედ აქეთვე უბიძგებდნენ ბალეტს — რასაც საბოლოოდ მისი დეკადანსი უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევ. ამგვარი ბალეტის შემქმნელებს არ შეიძლებოდა არ ეგარძნოთ ეს საშიშროება. მათ სურდათ ცეკვა დანაშატიდან ექციათ არსებითად, მაგრამ ქორეოდრამის, სიუჟეტის კანონები, რომლის ერთგულები ეს ბალეტმაისტერები იყვნენ, ამის საშუალებას არ იძლეოდნენ. მაშინ ცეკვის ემანსიპაცია ხდებოდა მეორეხარისხოვან სიტუაციებში, ვინაიდან სიუჟეტის განვითარება, მისი მისაწვდომობა შესაძლებელი იყო მხოლოდ სცენური მოქმედებისა და პანტომიმის მეოხებით. ამიტომ გაჩნდა ბალეტში „სიზმრები“, „მოგონებები“, რომლებიც, თუმცა უკავშირდებოდნენ სიუჟეტს, თავისუფალნი იყვნენ დრამატული მოქმედების აუცილებლობისაგან და მეტ საშუალებას იძლეოდნენ ცეკვის გასაშლელად (აქ არ დავასახელებ რუსულ ბალეტს, საკმარისია გაგისხნოთ ჩვენი სპექტაკლები: „მშვიდობისათვის“.

„დემონი“). ამგვარად, საბალეტო სპექტაკლი ერთ მთლიან, განუწყვეტელ სიმფონიური წყობის ნაწარმოებს კი არ წარმოადგენდა, არამედ ცალკეული სცენების კრებულს, ამიტომაც ესთეტიკური შთაბეჭდილება ერთობ ფრაგმენტული იყო.

„მართლაც, XX საუკუნის ქორეოგრაფის საერთო განვითარების ფონზე ბალეტი-პიესა თავისი კონკრეტული სახეებით უკვე აღარ წარმოადგენს ერთადერთ შინაარსიან და სპექტაკლის ერთადერთ მისაღებ ტიპს. საზღვარგარეთელი ქორეოგრაფების მიღწევების გაუთვალისწინებლობა უსიუჟეტო ბალეტ-სიმფონიებში, მას შემდეგ რაც ვავეცანით ჯ. ბალანჩინის შემოქმედებას, სხვა რომ არა იყოს რა, უბრალოდ წინდაუხედაობა იქნებოდა. მუსიკალური კონცეპციის ინტერპრეტაცია ამ პლანის საუკეთესო ნაწარმოებებში ატარებს ფილოსოფიურად განზოგადოებულ ხასიათს“, — წერს ბალეტისმცოდნე ე. ჩისტიაკოვა („Театр“, № 2, 1967 წ.). ამავე აზრს ადასტურებს ცნობილი ბალეტმაისტერი ბ. გუსევი: „ამჯერად მხოლოდ ჩვენ არა ვართ კლასიკური მეგვიდრობის მფლობელნი. რუსულმა საბალეტო სკოლამ ყველგან გაიმარჯვა და პროფესიულ-საბალეტო კადრების მოზადებაში სხვა ქვეყნები იყენებენ ჩვენსავე მეთოდებს და აქტიურ შეჯიბრში გვიწვევენ. ჩვენი ბალეტის სიუჟეტსა და მუსიკას ხშირად მიმართავენ. მაგრამ თანამედროვე თემის პლასტიკური ზორცემსხმისას ბალეტმაისტერულ ხელოვნებაში განა ჩვენ ყოველთვის წინ ვართ?“ („Советская культура“, 21/1, 1967 წ.).

რამ გამოიწვია, წლების მანძილზე, ქორეოდრამის, ანუ დრამბალეტის ამგვარი სიმტკიცე და შეუვალობა? ქორეოდრამა მიჩნეული იყო ერთადერთ რეალისტურ მიმდინარეობად საბალეტო ხელოვნებაში. ეს საბალეტო ესთეტიკა არსებითად გულისხმობდა ცხოვრებისეული სინამდვილისა და ცეკვის ენის დაახლოვებას, ყოფითი ქესტისა და საბა-

ლეტო ექსტის იდენტურობას, გრძნობის ილუსტრირებას. რასაკვირველია, ამგვარ ესთეტიკურ „პროგრამას“ სიტყვიერად და ოფიციალურად არავინ აღიარებდა, მაგრამ მთელი დადგმების მხატვრული სახე მხოლოდ ამ აზრს ადასტურებდა.

თანამედროვე ხელოვნების თითქმის ყოველ სფეროში მოხდა გამომსახველ საშუალებათა გადახალისება, მრავალი ფორმალური სიახლე განსაკუთრებული სიცხადით ავლენს მოვლენის აზრს. წარმოდგენელია; მაგალითად, რომ ჩვენი დროის უდიდესი კომპოზიტორი დ. შოსტაკოვიჩი ისეთნაირადვე წერდეს თავის სიმფონიებს, როგორც თავის დროზე წერდა პ. ჩაიკოვსკი. მაგრამ ის, რაც წარმოდგენელია მუსიკაში, მხატვრობაში, პოეზიაში, დრამატულ ხელოვნებაში და ა. შ. თურმე არათუ წარმოდგენელი, არამედ აუცილებელიცაა საბალეტო ხელოვნებაში. ფოკინის, პეტრის, ივანოვის კლასიკური ბალეტის სტილისტიკას არსებითი ხასიათის ფორმალური ცვლილებები არ განუცდიათ. ძირითადად ბალეტის ენა უცვლელი დარჩა. მართალია, საბჭოთა ბალეტმანისტერთა თაობამ საბალეტო სიუჟეტსა და მუსიკაში მრავალი ძირეული ცვლილება შეიტანა, მეტი სოციალური და მასშტაბური გაქანება მისცა მას, მაგრამ ამ ახალ სიუჟეტს ესადაგებოდა ძველი ფორმა. კ. გოლეიზოვსკის ფიქრით მ. ფოკინისა და ა. გორსკის რეფორმები იქიდან დაიწყო, რომ მათ განდევნეს სცენიდან „კაზიონური“ ბალეტი. „ისინი ეძიებდნენ მოქმედების აზრს, ახდენდნენ ცეკვის შინაარსის რეფორმას. რეფორმა მთავრდება მხოლოდ მაშინ, როცა ფორმა განახლდება. ამ მხრივ მე „გამადვილა“ მუსიკამ. იგი მთელი ცხოვრების მანძილზე მკარნახობდა ფორმას.“ („Tear“, № 4, 1967 წ.).

თუმცა საბჭოთა ბალეტში მოხდა შინაარსის რეფორმა, ეს რეფორმა არ შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს მთლიანად საბალეტო ქანში, ვინაიდან

მას არ მოჰყოლია რადიკალური ცვლილებანი ფორმის სფეროში.

კლასიკური საბალეტო ენის გამდიდრება ზღვებდა ფოლკლორის ელემენტების შეტანით (ზოგჯერ ამ გზას საგულისხმო წარმატებებისაკენ მივყავდით), ან ქანრული, სახასიათო, გროტესკული ნიშნების მიმატებით. ცხადია, ეს მანაც კომპრომისული გზა იყო. საბჭოთა ბალეტის განვითარებაზე მძიმე გავლენა იქონია ყალბად გაგებულმა რეალიზმმა, რომლის მიხედვით ყველაფერი იყო უარყოფითი, რაც მარტოოდენ ცხოვრების უშუალო ასოციაციებს არ ეყრდნობოდა, ის რაც ასევე უშუალოდ არ გამოხატავდა სიუჟეტს. სიუჟეტსა და შინაარსს შორის იგვეგობის ნიშანი იყო დასმული, თითქოსდა, უსიუჟეტობა უშინაარსობას ნიშნავდეს. თუ ამ აზრს დაეუჯერებთ, მაშინ უარსაყოფი ყოფილა მუსიკაში ყველაფერი, გარდა პროგრამული მუსიკისა. ცეკვა კი, რომელიც თავის სათავეს სწორედ მუსიკაშიღებულობს, თავისი ბუნებით, თავისი სპეციფიკით სრულიადაც არ არის ვალდებული ემორჩილებოდეს რაიმე სიუჟეტს. მას თავისი ენით, თავისი წყობით შეუძლია ადამიანის განწყობილების უსასრულო გამა განგვაცდევინოს, გადმოსცეს ძალიან ღრმა შინაარსი და დიდ ფილოსოფიურ განზოგადობას მიაღწიოს (ამის მაგალითია, როგორც აღინიშნა, ჯ. ბალანჩინის ქორეოგრაფია). სიუჟეტის ამ პირველადმა ხასიათმა განსაზღვრა მუსიკის მეორე პლანზე გადაწევა, რასაც, სრულიად კანონზომიერად, მოჰყვა, ცეკვის მნიშვნელობის დაკლება. ტერპსიხორას, ცეკვის ამ ქალღმერთს, ძალით გააგდებინეს პირველობის კვერთხი, რომელიც დაუყოვნებლივ აიღეს სხვა მუზეუმმა. ბალეტმანისტერი თავისი შთაგონების სათავეს, თავისი პლასტიკური ხილვების კონკრეტულ სახეებს ეძიებდა არა მუსიკაში, რათა შემდეგ ეპოვა მისი ქორეოგრაფი-

ნოდარ ზურაბანიძე

თანამედროვე კორეოგრაფია და „კამერული ბალეტი“



ული ანალოგი, არამედ სიუჟეტის ხე-
ულეობაში. ჭერ ისახებოდა სიუჟეტი, მე-
რე იწერებოდა მუსიკა. ზოლო მერე იქ-
მნებოდა ცეკვა. ამგვარად, მივიღეთ პა-
რადოქსული სურათი — ბალეტში ძი-
რითადი იყო არა ბალეტი, არამედ ლი-
ტერატურა. სხვათა შორის, თუ პარა-
ლელურს მივმართავთ, ასეთივე მდგომარე-
ობა იყო ერთ ხანს საბჭოთა ფერწე-
რაშიც, სადაც ფერს დაქვემდებარებულ-
ი მდგომარეობა ეკავა და „ემსახურე-
ბოდა“ სიუჟეტს. ამიტომ ყვავდა სიუ-
ჟეტური ანუ ლიტერატურული ფერწე-
რა. საბედნიეროდ, ფერწერა შედარე-
ბით განთავისუფლდა ამ გავლენისაგან.

ცხადია, ისე მრავალმხრივი გახდა
მხატვრის აღქმადობა, ისე ელასტიური
თვითეული ქანრის საზღვრები, რომ ხე-
ლოვნების სხვადასხვა დარგების ურთი-
ერთობა, ურთიერთგავლენა ბუნებრივი-
ცაა. თანამედროვე რუსულმა საბალეტო
აზრმა შენიშნა ის ვარემოევა, რომ კა-
სატკინასა და ვასილევის ბრწყინვალე
სპექტაკლი ი. სტრავენსკის „კურთხე-
ული ვაზაფხული“ აგებულია 20-იანი
წლების საბჭოთა ფილმების და კერძოდ
ს. ეიზენშტეინის ადრეული ფილმების
(„ძველი და ახალი“, „Безжизни луг“)
პრინციპის მიხედვით: ვარემოევა — ძა-
ლიან მკვეთრ რიტმულ კონტრასტებზე
და შინაგან ძალიან თანმიმდევრულ რიტ-
მულ დაძაბულობაზე (იხ. „Театр“, № 10
1965 წ.). მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ
ბალეტში მთავარი იყოს სიუჟეტი და
არა ცეკვა, კინემატოგრაფიული ხერხე-
ბი და არა პლასტიკურ-რიტმული სახე-
ები.

მუსიკისაგან ქორეოგრაფის მოწყვე-
ტამ გააღარიბა, შეზღუდა და უსახო გა-
ხდა ბალეტის ენა. სიუჟეტის ერთგუ-
ლება მას „ამიწებდა“, აკონკრეტებდა,
ნატურალიზმის სამოსელში ხვევდა, არ-
თქვებდა შინაგან თემას, შინაარსს,
რომელიც სცილდება სიუჟეტის ფარგ-
ლებს. მაშინ როცა ქორეოგრაფია თავი-
სი ბუნებით ზოგადი ხასიათისაა, აბს-
ტრაქტულია (რაც არ ნიშნავს იმას, რომ
მას რაიმე კონკრეტული გრძნობის გა-

მონატვა არ შეეძლოს), მისი ნახაზი გან-
ყენებულია, ისევე როგორც გეომეტრი-
ული ფორმები. იგი ეყრდნობა მუსიკა-
ლურ სახეებს, რიტმებს, მის განვითარ-
ებას, პაუზებს, პარამონიას, კადანსს;
ერთი სიტყვით, მთელ მუსიკალურ არ-
ქიტექტონიკას. რიტმი არ არის მარტო-
ოდენ კონსტრუქციული საწყისი (უპი-
რატესად ასე იყო ქორეოდრამაში), იგი
არის სახეობრივი საწყისი. პლატონი
შენიშნავდა, რომ რიტმი უმაღლესი გა-
მონატვულებაა ადამიანის სულის წესრი-
ვისა... იგი ისახება სხეულის მოძრაო-
ბით, მაგრამ შეიცნობა მარტოდენ ცეკ-
ვის საშუალებით.

ბერძნული ესთეტიკისათვის დამახა-
სიათებელი იყო მუსიკის საგნობრივი,
სხეულებრივი გაგება. ცეკვა იძლეოდა
სახეობრივ, შესაგრძნობ, ვიზუალურ
ექვივალენტს მუსიკისა. ამჟამადც ეს
აზრი თანამედროვე ბალეტის ყველა ძი-
ების ამოსავალი წერტილია. კერძოდ,
ახალგაზრდა ქორეოგრაფები (ო. ვინო-
გრადოვი, ნ. კასატკინა, ვ. ვასილევი,
ი. ბელსკი და უნიჭიერესი ი. გრიგო-
როვიჩი) სწორედ ამ მიმართულებით
ეძებენ თანამედროვე ბალეტის ფორ-
მებს.

პ. გუსევი — ნოვოსიბირსკის ოპერი-
სა და ბალეტის მთავარი ბალეტმაისტე-
რი, ახალგაზრდა ქორეოგრაფების ნამ-
დვილი მესიტყვე და დამწინაურებელი,
თავის წერილში Балеты, семинары,
сомнения... („Театр“, № 3, 1966 წ.).
რომელმაც დიდი გამოხმაურება პოვა
საბალეტო წრეებში, წერს: „რა საინ-
ტერესო ძიებანი აქვთ ახალგაზრდებს —
ვინოგრადოვს, კასატკინას და ვასილევს!
მათი განმასხვავებელი ნიშნებია — ში-
ნაარსის სიღრმეების წვდომა და არა
სიუჟეტის ვარემოევი სვლები. ლტოლ-
ვა დიდი თემებისა და დიდი მუსიკი-
სადმი, ღრმა რწმენა ცეკვის ძალისა. რა-
საკვირველია, საქმითა, რომ ისინი ეძი-
ებდნენ ახალ გამომსახველ საშუალე-
ბებს, რასაც ისინი აკეთებენ კიდევ-
ოლონდ ახალი გამომხატველი ხერხები
არა ნაკლებ დამარწმუნებელნი უნდა

იყვნენ, ვიდრე ძველი ხერხები იყო... შემდეგ: „გრიგოროვიჩი და ბელსკი ეძებენ სიახლეს შინაარსის უფრო ბრწყინვალე ფაქსნის გამო. მათთან აზრი განსაზღვრავს მათსავე საბალეტო ენას“.

კლასიკურ ბალეტს ორ საუკუნეზე მეტი დასჭირდა, რათა დაეწმინდა, დაეხვეწა თავისი შემოქმედებითი არსენალი. ახალი ქორეოგრაფია მხოლოდ ახლა იმუშავებს თავის ენას და დაწმენდის პროცესი, ცხადია, არ დაწყებულა. უმაღლეს არის დავროვების პროცესი, გარდამავალი პერიოდი, რომელმაც თვისობრივად ახალი ბალეტი უნდა მოგვეცეს. ახალმა ქორეოგრაფიამ ძირითადი გეზი აიღო მართოდენ ცეკვაზე, რაც დიდ სამ-ოთხმოქმედებთან ბალეტში მონოტონურ შთაბეჭდილებას ტოვებს. რასაკვირველია, პანტომიმის ხელაღებით უარყოფა დიდ ბალეტში შეუძლებელია, მხოლოდ ეს პანტომიმა უნდა იყოს წმინდა საბალეტო და არა დრამატული თეატრიდან ნასესხები. პანტომიმა ახალ ბალეტში აკრობატული ეტიუდით, პლასტიკური პოზებითაა შეცვლილი. პ. გუსევის აზრით, ახალგაზრდა ქორეოგრაფების ნაკლი მდგომარეობს არა მათი ქორეოგრაფიული ენის სირთულეში (მაგ. პ. კარპი ბელსკის შემოქმედებაში, მომეტებულ რაციონალისტურ საწყისს შენიშნავს. (იხ. „Звезда“, № 1, 1962), არამედ კლასიკური ბალეტის დიდი მონაპოვარის უგულვებელყოფაში, ზოგჯერ მისი ძლიერი მხარის მოძველებულ ფორმულად მიღებაში. ახალგაზრდებს უპირატესად მიდრეკილება აქვთ ტრადიციული მოტივებისაკენ (ბელსკის „ლენინგრადის სიმფონია“ — მოსტაკოვიჩის მუსიკის მიხედვით, და „იმედის ნაპირი“, გრიგოროვიჩის „ლეგენდა სიყვარულზე“, ვინოგრადოვის „რომეო და ჯულიეტა“) და თავიანთ ბალეტში თითქმის მთლიანად გამოორციხავენ მხიარულ, „ომპანთან“, სიცოცხლის სიხარულით აღსავსე ცეკვებს, სადაც ყველაფერი გაცისკროვნებულია, ანთებულია, სადაც დაგზნებულია სტიქიისა და ტემ-

პერამენტის ცეცხლი (გამონაკლისია გრიგოროვიჩის მიერ დადგმული გამოდევნების სცენა ბალეტში „ლეგენდა სიყვარულზე“), „ესმერალდას“ და „გედის ტბის“ მუსიკალური და ქორეოგრაფიული პარტიტურა ტრადიციული მუსიკითა და მოძრაობითაა გამსჭვალული. მაგრამ ამას მ. პეტიაპასთავის არ შეუშლია ხელი, „ესმერალდა“ ლირიულ-მხიარული საცეკვაო მოტივებით აღევსო.

ნიშანდობლივია, რომ პ. გუსევის წერილმა ორმხრივი გამოხმაურება ჰპოვა (საოცარია მხოლოდ, რომ ამ პრობლემურ წერილს დუმილით აუარეს გვერდი ქართული ბალეტის მესვეურებმა, მით უმეტეს, რომ ვ. ჭაბუკიანის მიმართ ძალიან სერიოზული კრიტიკული არგუმენტები იყო წამოჭრილი, ხოლო ზ. კიკალაიშვილი შერაცხული იყო იმ ეპიგონებში, რომლებიც ბრმად იმეორებენ ახალგაზრდა რუსი ქორეოგრაფების ძიებებს). კრიტიკული შენიშვნები ორი, დამამტრულად განსხვავებული პოზიციებიდან გაისმა. ერთი მხრივ მძაფრი კრიტიკით გამოვიდა ქორეოდრამის ცნობილი ოსტატი, ლ. ლავროვსკი — ავტორი გახმაურებული სპექტაკლისა „რომეო და ჯულიეტა“, რომელიც გენიალურმა გალინა ულანოვამ უკვდავყო, და ვ. ჩისტიაკოვა, რომელიც არსებითად იზიარებს პ. გუსევის მოსაზრებებს, მაგრამ ძალიან სერიოზულ კამათს უმართავს ფრიალ მნიშვნელოვან საკითხებზე.

ლ. ლავროვსკის წერილის „Давайте восстановим истину“ („Советская культура“, 27/IV, 1967 წ.). ძირითადი აზრი ასეთია. საბჭოთა ბალეტის ბუნებრივმა განვითარებამ უარყო 20-იან წლებში წარმოებული ძიებანი, (სხვათა შორის, ამავე აზრს იმეორებს მეორე ცნობილი ქორეოგრაფი რ. ზახაროვი თავის წერილში „То, что дорого сердцу“ „Советская культура“, 24/VI, 1967 წ.). რომ 30-იანი, 40-

ნოღარ გურაბანიძე

თანამედროვე ქორეოგრაფია და „ამბერული ბალიტი“

იანი და 50-იანი წლები, რომელთაც გუხვები პანტომიმურ ყოფითი „დრამბალეტის“ მოსაწყენი ერთფეროვნების პერიოდს უწოდებს, სინამდვილეში იყო საბჭოთა ბალეტის ნამდვილი აღმადგენის ხანა, საბჭოთა ბალეტში მოვიდა დიდი თემები კლასიკური ლიტერატურისა, აფიშებზე გამოჩნდა: პუშკინის, შექსპირის, გოტიეს, ბალზაის, ლერმონტოვის, გოგოლის, ეოზე სანდის, დიკენსის, ლაზე დე ვეგას, გოლდონის, ოსტროვსკის სახელები, მათი ნაწარმოებების თემებზე შეიქმნა სპექტაკლები, რომლებიც აფართოვებდნენ საბალეტო ენარის საზღვრებს. მკვეთრად შეიცვალა წარმოდგენა საბალეტო ხელოვნების შესაძლებლობათა გამო. სწორედ ამ წლებში შეიქმნა ნაწარმოებები, რომლებიც ამტკიცებდნენ საბჭოთა ბალეტის უდავო პრიორიტეტს სპექტაკლის იდეისა და მისი დრამატურგის გადაწყვეტის რეალისტურ მეთოდში. მხატვრული სახის რეალისტური გადაწყვეტის უპირატესობას კომპოზიტორის, ბალეტმასტერის, მხატვრის, მსახიობის შემოქმედებაში. კუშიარის მხატვრული აღმადგენის გვერდით იყო მიზნები მწარე სინანულისა, მაგრამ უცვლელი იყო მთავარი — განუხრელი და განუწყვეტელი ძიება გამოსახველი საშუალებებისა, რომლებიც აუცილებლად არიან იდეის უფრო ღრმა და სრული გამოვლენისათვის, იდეისა, რომელიც უპირველესად ნაწარმოების დრამატურგიაში ძვეს, იგი ხორციელდება, ერთი მხრივ, მუსიკაში — კომპოზიტორის მიერ, მეორე მხრივ, ბალეტის სახეების სცენურ ხილვაში — ბალეტმასტერის მიერ.

მკითხველისათვის, ვგონებ, ძნელი არ უნდა იყოს იმის შემჩნევა, რომ ლ. ლავროვსკი უპირატესობას აქ კვლავ დრამატურგიას (როგორც ენარის ცნებით, ისე არქიტექტონიკის თვალსაზრისით) ანიჭებს, რაც ფაქტობრივად უკან წევს მთელი ქორეოგრაფიის განვითარებას, ვინაიდან პროტაგონისტად დრამატურგის გამოცხადება, მისი სათავეში მოქცევა კვლავ გამოიწვევს იმ ხერხების და ფორმების აღორძინებას, რომლებიც ინფორმაციულ ხასიათს ანიჭებენ ცეკვას. მართალია, საბჭოთა ბალეტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ ენარის ამაღლებაში, მის იდეურ გააზრებაში, მაგრამ ოცდაათი-ორმოცი წლის მანძილზე შეიქმნა მხოლოდ რამდენიმე პირველხარისხოვანი ნიმუში ბალეტ-

პეისისა (აქ, ჩვენ მიერ ზემოხსენებულ ბალეტის, შეგვიძლია, მივუმატოთ „ლაურენსია“ და „პარიზის ალი“), მაშინ როცა უკანასკნელ ათწლეულში უკვე დაიდგა არანაკლები (თუ მეტი არა) ხარისხის რამდენიმე ნაწარმოები (მათ შორის „რომეო და ჯულიეტა“ ახალი ქორეოგრაფიული ვარიანტიც) რომელიც ფორმის ორიგინალით, მრავალმხრივობით, „ცეკვადობით“ და ფილოსოფიური სიღრმით წინ უსწრებს ადრეულ ნიმუშებს.

წარსული დროის თითზე ჩამოსათვლელი საუკეთესო ბალეტი, მხოლოდ ფენომენალური, ეგზემპლარული მოვლენა იყო, რომელმაც კანონზომიერების წონასწორობა ვერ შექმნა, ვინაიდან მის გვერდით არსებობდა და საბჭოთა საბალეტო სცენაზე დამკვიდრებული იყო სტრუქტურული ბალეტი, — უკვე კანონიზირებული ბალეტი, სადაც პანტომიმის მთელი სისტემა ბატონობდა და ცეკვას ჩრდილავდა. სამართლიანად, შენიშნავდა ი. კავანი (იხ. „Советская культура“, 6/VI, 1967 წ.). „ბალეტი ვერ ითმენს ნატურალიზმს. რეალისტური მხატვრული სახის სიმართლე საბალეტო სცენაზე ემორჩილება სხვა ნორმებს, ვიდრე დრამატულ სპექტაკლში. ამას, სწორედ ივიწყებდნენ 40-იანი წლების რეჟისორები და სცენაზე ჩნდებოდა სამშენებლო ამწეები და ინსტიტუტის აუდიტორიები. ბალეტის გმირები იცავდნენ საღალღობო პროექტებს და აგროტექნიკის საკითხებზე დაგობდნენ... რასაკვირველია, ყოველივე ამას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ქორეოგრაფიის, როგორც ხელოვნების, ბუნებასთან და, მას არ შეეძლო არ გამოეწვია დადგმოთი, ასევე საშემსრულებლო საცეკვაო ტრადიციების დაკარგვა“.

ლ. ლავროვსკის წერილის მიხედვით გამოდის, რომ ის, რაც ქორეოდრამის მიღმა დგას, ქორეოგრაფისათვის კანონგარეშედ უნდა გამოვაცხადოთ, ის, რაც არ ემორჩილება უნიფიცირებულ ფორმებს — განედევნოთ საბალეტო ლექსიკიდან. რას შეიცავს ამჟამად ეს ლექსი-

კა, რომლის წინააღმდეგაც იბრძვის ლაფროვსკი? „რთული პლასტიკური განზოგადობანი, საცეკვაო პოლიფონია, ანსამბლური აკომპანემენტის მრავალმნიშვნელობა და სოლისტიებისა და მასის კონტრაპუნქტი — ყველაფერი ეს შეადგენს საუკეთესო თანამედროვე ბალეტის უაღრესად მნიშვნელოვან მიღწევას“ (ი. კაგანი). მართლაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ის რეესტრი, რომელსაც ლ. ლაფროვსკი გვთავაზობს, მაგრამ მას შემდეგ, რაც თანამედროვე ბალეტმა უშუალოდ მუსიკალურ სამყაროს მიმართა, ნათელი გახდა, რომ მისი შესაძლებლობანი ჭეშმარიტად განუსაზღვრელი ყოფილა. ახლა მხოლოდ რაიმე სცენარზე დაწერილი მუსიკა კი არ იდგმება, არამედ ბახის, ბიუხეს, ჰენდელის, მენდელსონის, შოსტაკოვიჩის (უკვე განხორციელდა მისი „ლენინგრადის სიმფონია“ და „მეთერთმეტე სიმფონია“) ურთულესი მუსიკალური ქმნილებანიც. ისეთი ინტიმური და ნაკლებ ვიზუალური მუსიკაც კი, როგორც კამერული მუსიკაა, საბალეტო ენაზე ამეტყველდა. აღსანიშნავია, რომ თვით ლ. ლაფროვსკის „რომეო და ჯულიეტა“ ქორეოგრაფიაში სწორედ იმას უკიყინებდნენ, რომ იგი ამოდიოდა არა უშუალოდ ს. პროკოფიევის მუსიკიდან, არამედ შექსპირის დრამიდან.

გუსევის მოსაზრებებს, როგორც ვთქვით, ზოგიერთ მომენტში მისსავე პოზიციასზე მდგარი ვ. ჩისტიაკოვა დაუპირისპირდა. თერძოდ, იგი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ თანამედროვე ბალეტმა მსუბუქებელზე ვერ ახდენს ისეთ დიდ შთაბეჭდილებას, როგორსაც თავის დროზე „კოსარაი“, „ბაიადერკა“, „ღონ კიხოტი“ იმის გამო, რომ მათში ცოტაა ლირიკულ-ვირტუოზული ცეკვები. „ლეგენდა სიყვარულზე“, „რომეო და ჯულიეტა“, „მეთერთმეტე სიმფონია“ ვერ ჩაეტევა ლირიკულ-ვირტუოზული ბალეტის ვიწრო ჩარჩოებში, ვინაიდან აქ ლირიკული, სატრფიალო ემოციები ემორჩილება უფრო ყოვლისმომცველ და რთულ მოტივებს. „ადამიანური ურთიერთობის არსის გახსნას ბელსკი საყოველთაო ისტორიის მსოფლიო წესრიგის სოციალური

პერიპეტეიების თვალსაზრისით ცდილობს. ამავე დროს მისი აზრი ძირითადად ვითარდება კონფლიქტის ლოგიკური ავების სახით... გრიგოროვიჩი სამყაროს კანონზომიერებას, დროის პულსს თვისებს ადამიანურ შემეცნების ცოცხალ დიალექტიკაში და თვით ეს შეცნობის პროცესი მისი ჩაღრმავებული მხატვრული ანალიზის საფუძველია. სიმფონიური ქორეოგრაფიის შესაძლებლობათა და გამოშახველ ხერხთა სამყაროში ამ ბალეტმაისტერებს, შესაბამისად, სხვადასხვა რამ იზიდავს: გრიგოროვიჩს — სულიერი მოძრაობის პლასტიკური გამოხატვის ველობის მდიდარ შექმნაში, სუბიექტურ სფეროში ღრმა შეჭრა — სახეთა პოეტური ტევალობის შენარჩუნებით; ბელსკის — განზოგადების სფერო, სინთეზი, განსხვავებული საცეკვაო პლასტების ურთიერთომქმედება“. აქ ლეგენდებზე სათავეს გაშლილი კლასიკური ცეკვა, ქორეოგრაფიული ფორმების სიმფონიზაცია, უმძაფრესი კონფლიქტი და ხასიათების ღრმა ფსიქოლოგიური პორტრეტები. ამტომაც ლირიულ ცეკვებს სულ სხვა ელფერი ენიჭებათ ამ სპექტაკლებში, ვიდრე ეს იყო, ვთქვათ, „ღონ კიხოტი“.

თანამედროვე საბჭოთა ბალეტის გამო გამართულ ამ მძაფრ დისკუსიაში უფრო და უფრო ხშირად გაისმის ძალიან ახალგაზრდა ქორეოგრაფის, ლენინგრადის კონსერვატორიის ქორეოგრაფიული განყოფილების კურსდამთავრებულის გიორგი ალექსიძის სახელი. მის მიერ დადგმული კამერული ბალეტი — კამერულ მუსიკაზე, ერთხმად აღიარებულია, როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქორეოგრაფიულ სამყაროში. აზრთა ამ ქიდილში, თანამედროვე ბალეტის დამცველები, როგორც ძლიერ არგუმენტს, ისე იყენებენ გ. ალექსიძის დადგმებს. ამ კამათის კონტექსტში გ. ალექსიძის ქორეოგრაფიული იდეები მნიშვნელოვნად და საფუძვლიანად გამოიყურებიან, მათ განზოგადოებული მნიშვნელობა ენიჭებათ. ამიტომაც გ. ალექსიძის დადგმას ასე ფართოდ გამოეხმაურა საკავშირო და სპე-

ნოდარ გურაბანიძე
 თანამედროვე ქორეოგრაფია და
 „კამერული ბალეტი“



ციალური პრესა. ამას სპეციალური წერილები მიუძღვნა: „Театр“-მა, „Советская культура“-მ, „Ленинградская правда“-მ, „Смена“-მ, „Музыкальная жизнь“-მა, ინგლისურმა ჟურნალმა „Стеკვა და სასტეკვაო ხელოვნებამ“, „Soviet Weekly“-მ და სხვ. ჩვენ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ამ ქორეოგრაფზე და ქართველ მკითხველს შედარებით ფართოდ წარმოვუდგენთ მისი პირველი სპექტაკლების გამო დაწერილი წერილების ძირითად აზრს.

გ. ალექსიძის დებიუტი ამ რამდენიმე წლის წინ შედგა: მოცარტის „ღამის პატარა სერენადაზე“ დადგმული ბალეტით (რომელიც ლენინგრადის ტელევიზიამ შეიტანა თავის პროგრამაში), საყოველთაო აღიარება მოუპოვა — ი. ს. ბახის უმცროსი ვაჟის ი. ხ. ბახის (კვინტეტი), რამოს (Symphonies et Danses Air polonais) დებიუტის (სირინსკი — ფლეიტისათვის) ბრიტენის (ოთხი მეტამორფოზა ოვიდიუსის მიხედვით — პობოსათვის), მუსიკაზე დადგმულმა ბალეტმა ლენინგრადის ფილარმონიაში (კონცერტში მონაწილეობდნენ ლენინგრადის ფილარმონიის სასულე ინსტრუმენტების კვინტეტი და კიროვის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები).

კამერულ ბალეტს არა აქვს ისეთი დიდი და სახელოვანი ისტორია, როგორც კამერულ მუსიკას, თუმცა კომპოზიტორები და ბალეტმაისტერები დიდხანს ცდილობდნენ რაც შეიძლება დაეახლოვებინათ, ურთიერთგადაეწნათ ამ ორი ჟანრის საზღვრები, რათა ერთ მთლიან, მხატვრულ ქსოვილად ექციათ ისინი. კამერული მუსიკის გადაყვანა ქორეოგრაფიულ ენაზე განსაკუთრებულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, იგი ქორეოგრაფისაგან მუსიკალობას, მუსიკალური სამყაროს ღრმა წვდომას, გემოვნებას, სინატიფეს, უმცირესი ნიუანსების ფაჩო შეგრძნებას მოითხოვს, ზინაიდან ამ შემთხვევაში მუსიკა აკომპანემენტის როლში კი არ გამოდის, არამედ საფუძველია, შინაარსია, თუ

გნებავთ, ფორმაცაა ცეკვისა. ქორეოგრაფმა უნდა იპოვოს მუსიკალური ფრაზის პლასტიკური ექვივალენტი, მოძრაობაში უნდა ასახოს მუსიკის მთელი თავისებურება, მისი მელოდია, მისი ფაქტურა. ამ მიმართულებით უნიკალური მოვლენაა ჯ. ბალანჩინის „ქორეოსიმფონიები“, რომლებმაც საბალეტო ხელოვნებაში სრულიად ახალი პლასტიკა შექმნეს.

გ. ალექსიძის კამერული ბალეტისადმი მიძღვნილ სპეციალურ პროგრამაში აღნიშნულია: „გიორგი ალექსიძე უხუცესი საბჭოთა ბალეტმაისტერის, პროფ. ფ. ვ. ლოპუხოვის მოწაფეა. მისი ცდები კამერული ბალეტის ჟანრში — ეს პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯია, პირველი დიდი ნამუშევრებია. მიუხედავად ამისა, უკვე ნათლად ჩანს ის გზები, რომელსაც ახალგაზრდა ბალეტმაისტერი დადგომია. ალექსიძის ერთ-ერთი ძირითადი თვისება მისი ორგანული მუსიკალობაა. მთელი მისი ქორეოგრაფია, აზრობრივ-სახეობრივად და კონსტრუქციულად, წარმოქმნილია მუსიკისაგან. ამაში იგი ეყრდნობა ბალანჩინის ტრადიციებს. ქორეოგრაფიული აზროვნების მაღალი კულტურა, სტილის ნატიფი გრძნობა, ჩინებული გემოვნება, შემოქმედებითი ფანტაზიის თავისუფლება, ალექსიძის ნიჟისათვის დამახასიათებელი ეს ნიშნები, გვაფიქრებინებს, რომ კამერული ბალეტის სფერო შემდგომშიც ახლობელი იქნება მისთვის“.

უსიუჟეტო ბალეტი — ეს ახალი მიმართულება ქორეოგრაფიისა, სადაც მუსიკალური კონცეფციის გახსნა, მისი ინტერპრეტაცია ახალი შინაარსით, ჩვენი დროის ადამიანის ემოციური და ინტელექტუალური სამყაროს ნიშნებით უნდა იყოს გამსჭვალული, „დიდ განზოგადებათა სფეროში შეჭრა, რაც მიღწეულია საუკეთესო საბალეტო სიფონიებში, და ამავე დროს ფორმალური ექსპერიმენტებისაგან ვადაბრის შესაძლებლობა გვაძლევს უსიუჟეტო ბალეტის ჟანრს განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და სერიოზულობით

მოვეციდოთ. ამ დროს არ შეიძლება არ გვიხაროდეს ერთობ მუსიკალური გ. ალექსიძის წარმატება, რომლის ბრწყინვალე დებიუტი ლენინგრადის ფილარმონიის სცენაზე გაიმართა“ („Театр“ № 2, 1967). „ღრმა სახეობრივ აზრს შეიცავენ კასატკინასა და ვასილევის, ვინოგრადოვის, ალექსიძის, მარკარიანის ორიგინალური კომპოზიციები. ამ ქორეოგრაფთა სახელები დღეს განსაზღვრავენ თანამედროვე თეატრის ძიებას“ (გაზ. „Советская культура“, 6/VI, 1967 წ.).

კამერული ბალეტისა და კამერული მუსიკის კონცერტის პროგრამაზე გამოსახულია, როგორც ამ კონცერტის ემბლემა — მოცეკვავე ქალი და ავლოსზე დამკვრელი ქაბუკი (ეპიქტეტი, VI საუკუნენს ერამდე, ფერწერა ლარნაკზე). იგი აღნიშნავს მუსიკისა და ცეკვის განუყოფლობას, რასაც ძველი ბერძნები ქოროდიას უწოდებდნენ. ამ ემბლემას ისიც ამართლებს, რომ პროგრამაში ანტიკურ სიუჟეტზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებებიცაა (ბრიტენი — ოთხი მეტამორფოზა 1) პანი, სირინკსი გაურბის თხისფეხა პანს. სირინკსი გადაიქცევა ლერწმად, რისგანაც პანი ფლეიტას გამოთლის. 2) ნარცისი. 3) ნიობეა, 4) ვაკხი და დებიუსის სირინკსი, რომელსაც იგივე მითი უდევს საფუძვლად. სხვათაშორის ბრიტენი, როცა უკანასკნელად იყო ლენინგრადში, ალტაცებული დარჩა თავისი „მეტამორფოზების“ ახლებური განხორციელებით, ამ ფაქტს და სპექტაკლის შეფასებას სპეციალური წერილი უძღვნა „Soviet Weekly“-მ.

„მუსიკის არა ციტატობრივი წაკითხვის, არამედ ქვეტექსტების გარჩევის, პოეტობირების, კომპოზიტორთან ერთად მარად ცოცხალი მითოლოგიის განზოგადებული სახეების შეთხზვის ნიჭმა საშუალება მისცა ბალეტმაისტერს, შეექმნა ოთხი ბალეტი, მოკლე, როგორც ერთი ამოსუნთქვა, მაგრამ სავესე რთული და ღრმა შინაარსით. ალექსიძის ქორეოგრაფია გვაჯადოებს თავისი მუსი-

კალობით, გამომგონებლობით, პოეტური ენით. მუსიკის ხასიათმა ქორეოგრაფიულ ტექსტს კამერული გულითაღობა, ინტონაციური უშუალობა, ფერთა მსუბუქი თამაში მიანიჭა. ისევე როგორც ანტიკური ხელოვნების ძველ დროში, აქაც ცეკვა და მუსიკა მოქმედებდნენ ურთიერთგადაწნულნი. ამგვარად, პირველი ცდა არაჩვეულებრივად საინტერესო აღმოჩნდა. კამერული შემოქმედება, უეჭველია, საბალეტო ხელოვნების წინაშე ფართო ჰორიზონტს ხსნის“ („Театр“, № 1, 1967 წ.). „ახალგაზრდა ქორეოგრაფი მიმართავს ანტიკურ მოტივებს, რათა მარადიულში გაიხსნას თანამედროვეობა, თვითული მინიატურა — ადამიანური სამყარო“ („Музыкальная жизнь“, № 23, 1966 წ.).

ლენინგრადელი ხელოვნებათმცოდნე გ. დობროვოლსკაია აღნიშნავს, რომ „უანრებისა და ფორმების გაფართოების პროცესში, რაც უკანასკნელი ათწლეულის საბალეტო თეატრისათვისაა დამახასიათებელი, გ. ალექსიძის საკონცერტო საღამომ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა.

ძიებანი კამერული ბალეტის სფეროში საღლაე 20—30-იან წლების საზღვრებთან შეწყდა, ხოლო მისი უკანასკნელი მიღწევები დაკავშირებულია კ. გოლიზოვსკის სახელთან და მის ანსამბლთან — „კამერული ბალეტი“.

სამ ათეულ წელზე მეტია ექსპერიმენტები ამ მიმართულებით ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, მაშინ როცა კამერული ხელოვნება უზარმაზარ შესაძლებლობებს შეიცავს...

სუიტა რამოს ოპერა-ბალეტ „ვალანტური ინდოეთის“ მოტივებზე მან დადგა, როგორც პატარა ქორეოგრაფიული სიმფონია. მუსიკის შინაარსი ალექსიძემ გახსნა თანამედროვე კლასიკური ცეკვის საშუალებით. ნატიფი ვირტუო-

ნოდარ გურბანიძე

თანამედროვე კორეოგრაფია და „ამამედული ბალეტი“

ზული ცეკვა გაედენტოლია იმ ეპოქის არომბატი და გრაციოზული ზეიმურობით. თავისებურ ქორეოგრაფიულ სიმფონიებში ლაკონიზმი და სისადავე სპარბობს... ალექსიძის დადგმებში არის კლასიკური ხელოვნების სიმკაცრე, იგი დეტალურად ამუშავებს განწყობილებების უნატიფეს შუქჩრდილებს“. („Черный Ленинград“, 14/VI, 1966 წ.).

... „გ. ალექსიძე, როგორც ქორეოგრაფი, ფლობს არა მარტო პლასტიკურ გამომსახველობას, არამედ ცეკვის უსასრულოდ მდიდარ ინტონაციებს. ამიტომაც მის მიერ ისეა წაკითხული რამო, დებიუსი, ბრიტენი, რომ ჩვენ იქ ვერ აღმოვაჩენთ საცარიელებს, მექანიკურ მოძრაობებს, რომლებიც მხოლოდ დროს ავსებს ხოლმე“. („Ленинградская правда“, 18/VI. 1966 წ.).

მცირე ბიოგრაფიული ცნობები: გოგი ალექსიძე, ცნობილი ქართველი რეჟისორის, დიმიტრი ალექსიძის ვაჟია. დაამთავრა თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი. 1958 წლიდან სწავლობდა მოსკოვის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ცნობილი პედაგოგების ნ. ტარასოვისა და ა. მესესერის კლასში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ერთ ხანს ცეკვავდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. მაგრამ საკუთარი ქორეოგრაფიული იდეების განხორციელების წყურვილმა აიძულა პროფესია გამოეცვალა. იგი შევიდა ლენინგრადის კონსერვატორიაში და, როგორც ამბობენ ხოლმე, ბედმა გაუღობა — მოხვდა პროფესორ ფ. ლაუზოვის — ამ დღევნობელი მაიმედისა და უადრესად ერთდირებული ქორეოგრაფის კლასში. ა/წ. ეურნალ „Театр“-ის № 4-ში დაბეჭდილია მცირე ინტერვიუ ფ. ლაუზოვთან. — რა აზრისა ხართ გრიგოროვიჩზე?

— ო, გრიგოროვიჩი — ეს ცეკვის პოეტია... პოეტი თანამედროვე ცეკვისა. მისი ცეკვა თანამედროვეა, როგორც ძიებებით, ისე იდეებით, სახეებით და გამომსახველი საშუალებებით. გრიგოროვიჩისათვის ცეკვა უპირველესი რამაა, მისი პოეზიის წყაროა.

— რას იტყვით ალექსიძეზე?
აქ ქორეოგრაფი თავს ვერ იკავებს, ქაბუტური ცეცხლი ეაფობს მის თვალებში, სახეს ეშმაკური, გამოამცდელი ღიმილი უნათებს.

— თქვენ მოგწონთ იგი?
— ძალიან! გოგი — ისეთი ნატიფია...

ფიქრში შესული ამბობს:.. გოგიმ იპოვა თავისი თავი — მისი სტიქია კლასიკური ცეკვაა...“

მოცარტის მუსიკაზე დადგმულმა ქორეოგრაფიულმა პიესამ—ამ დებიუტმა, ორიგინალური ქორეოგრაფის სახელი მოუხვეჭა მას. ამას მოჰყვა კამერული ბალეტის დაღმო, რომლის იდეა დადი ხანია აწვადებდა ლენინგრადის ფილარმონიის სახელმძღვანელო კვინტეტის ხელმძღვანელს ვ. ბუჩანოვსკის. გ. ალექსიძის, ბუჩანოვსკის და ლენინგრადის კიროვის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის 14 მსახიობის მონაწილეობით განხორციელდა ეს პროგრამა. ბალეტისათვის ბრწყინვალე კოსტუმები შექმნას. ვირსალაძემ.


ამჟამად გ. ალექსიძე ლენინგრადის კონსერვატორიის პედაგოგია და საკუთარი კლასი ჰყავს. ასეთვე წარმატება ხვდა წილად ახალგაზრდა ლენინგრადელი კომპოზიტორის ი. ფალოის მუსიკაზე დადგმულ „მუშაოებს“ და დ. შოსტაკოვიჩის ადრეული საფორტეპიანო ციკლიდან აღებულ სამ აფორიზმს. „ქორეოგრაფმა „აფორიზმებში“ ამოიყნო ულორტები დ. შოსტაკოვიჩის მომავალი ოპერისა „კატერინა იზმაილოვან“, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ დაიწერა. ისევე როგორც პოეზიაში ღრმა და ნატიფი აზრი ზოგჯერ პატარა ლირიული ლექსის ან მკვეთრი, მახვილი ეპიგრამის ფორმას იღებს, ასევე ალექსიძესთან, ადამიანური ვნებების კორიანტელი გამოხატულია კოლორიტულ და სისხლსავსე ეპიგრამებში. ახალგაზრდა ქორეოგრაფი აქ ერთმანეთს უხამებს საცეკვაო პიერეტლას და მფრინავ, „შეატორცნილი“ ექსპრესიას, მძაფრ გროტესკს და ღრმა ფსიქოლოგიზმს.

დ. შოსტაკოვიჩის „აფორიზმებს“ საბალეტო სცენაზე გამომსახველი, პლასტიკური სიცოცხლე მიენიჭათ“. („გაზ. „Смена“, 6/IV, 1967 წ.).

ამ წერილს დავამთავრებ ფრანგი მუსიკათმცოდნის რენე დიუმენილის სიტყვებით, რომელსაც იმოწმებს გ. კრემ-შევსკაია. კამერული ბალეტის ავტორების შემოქმედებითი თავისებურების გარჩევისას: „ბოლოს და ბოლოს ეს ახალგაზრდები ისეთები არიან, როგორებიც იყვნენ და იქნებიან სხვა ახალგაზრდები, რომლებიც გრძნობენ, რომ მათ აქვთ აზრი, ჯერ გამოუთქმელი უფროსი თაობის მიერ, და რომ მათ შესწევთ ძალა გამოხატონ ეს აზრი ახალი საშუალებებით“.



გეგნიეზა



რედაქციისათვის

ოცნება ეტრუსკებისთვის

ვიდრე სათქმელს ვიტყვოდე, საჭიროდ მიმაჩნია მკითხველი გავაფრთხილო: ის, რასაც ამ წერილში ამოიკითხავთ, შესაძლოა აღგზნებული ფანტაზიის ნაყოფი გამოდგეს, აქ გამოთქმული მოსაზრებები და ვარაუდები შესაძლოა საფუძველს მოკლებულად მიიჩნიოს მეცნიერებამ. ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სათუბოა შეეხება არა ფაქტებს, არამედ მათი ახსნის ცდას, ერთიმეორესთან მათს დაკავშირებას. მოდი, დავარღვიოთ სამეცნიერო ტრადიცია და ჩვენს თავს უფლება მივცეთ მეცნიერების მიერ აღნუსხულ ფაქტებს მეოცნების მზერა მივაპყროთ.

* * *

ცეცა ჰია...
მალე ცეცა ჰია ეტნამ
ციხ ვაკლ აისვალე,
მალე ცეცა ჰია ტრინთ
ეტნამ ციხ ალე,
მალე ცეცა ჰია ეტნამ
ციხ ვაკლ ვილე ვალე,
სტაილე იტრილე
ჰია ციხ ტრინთასა...

ეს სალოცავი შეთხზულია ორი ათას ხუთასზე მეტი წლის წინათ და იმ იდუმალებით მოცულ ხალხს ეკუთვნის,

ვინც მაშინ მკვიდრობდა დღევანდელი იტალიის ტერიტორიაზე.

ვინ იყო ეს ხალხი? ეტრუსკები გახლდნენ — ქალაქ რომის დამაარსებელი და აპენინის ნახევარკუნძულზე პირველი ბრწყინვალე კულტურის შემქმნელი.

პეროდოტედან მოყოლებული არსებობდა ტრადიცია, რომლის თანახმადაც ეს ხალხი მცირე აზიიდან უნდა გადასახლებულიყო იტალიაში. ამ ტრადიციის მომხრენი ეტრუსკებს პელასგებთან აიგივებდნენ ზოლმე.

გაიხსენოთ, რომ, თავის მხრივ, პელასგები იმ ხალხად მიაჩნიათ, ვისი მატერიალური და სულიერი ფასეულობანიც შემდგომში ძველმა ბერძნებმა საფუძვლად დაუდვეს თავიანთ მაღალ კულტურას.

მკითხველთა უმრავლესობას ეს ყოველივე უჩემოდად კარგად მოეხსენება — ეს არის მეცნიერების მიერ დადგენილი და აღიარებული ფაქტები. ოღონდ ყოველივე ამის რაიმე მხრივ ქართველ ხალხთან ან მის წინაპრებთან დაკავშირება დღესდღეობით სარისკოდ იქცა...

მე ინტელიგენციის იმ თაობას ვე-

კუთვნი, ვისაც ბავშვობიდანვე უნერგავდნენ აზრს, რომ მის წინაპრებს დასაბამიდან საქართველოს მიწა-წყალზე კი არ უცხოვრიათ, არამედ საიდანღაც სამხრეთიდან გადმოსახლდნულან, ყოველ შემთხვევაში — ამ წინაპართა ძირითადი ბირთვი, კულტურის ძირითადი კერა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიას საკმაოდ ყოფილა დაშორებული.

„ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა — აზო, ძე არიან ქართველთა მეფისაჲ“, — ვკითხულობდით და ქრუანთელი გვივლიდა: ვინ იყო აზო, ვინ იყვნენ „არიან ქართველნი“ ან რას ნიშნავდა „არიან ქართლი“? საიდან ვართ მოსულნი?

და ამ კითხვებზე სავსებით გარკვეულ პასუხს გვაძლევდნენ:

„ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველს მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან. უძველეს ხანაში, ამ ზუთიექესი ათასი წლის წინათ, **ხეთურ-იბერული** გვარტომობის, ერთმანეთის მონათესავე, ხალხებს ვრცელი მიწა-წყალი ეჭირათ წინა აზიაში და, აქედან დასავლეთისაკენ გავრცელების შედეგად, აგრეთვე აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე და სამხრეთ ევროპაში. ევროპაში ამ გვარტომობის ხალხები წინ უსწრებდნენ შემდეგ მოსულ ინდოევროპელებს, რომელთაც დამხედური მოსახლეობისა და მისი განვითარებული კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს. ასე იყო პირენეს ანუ **იბერიის** ნახევარკუნძულზე, სადაც ძველი **იბერული** მოსახლეობის შთამომავალნი, **ბასკებად** წოდებულნი, დღემდე არიან შემორჩენილნი; ასევე მოხდა აპენინის ნახევარკუნძულზე, სადაც **ეტრუსკებმა** შექმნეს იტალიის უძველესი ცივილიზაცია, რომელმაც შემდგომ მძლავრი ზემოქმედება იქონია რომის კულტურაზე. დასასრულ, **ბალკანეთის** ნახევარკუნძულზე გვიან მოსულს ინდოევროპელ ბერძნებსაც **პელაზგების** პირვანდელი დაწინაურებული მოსახლეობა დახვდათ. ამ ხალხთა მიერ შექმნილ მძალადი კულ-


ტურის კერათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად წინააზიური კერები უნდა ჩაითვალოს... ეფრატისა და ტიგროსის აუზთა ქვემო ნაწილში **სუმერებმა** ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულში განავითარეს საქალაქო ცხოვრება, საფუძველი ჩაუყარეს სახელმწიფოს და გამოიგონეს მსოფლიოში უძველესი დამწერლობა — ჯერ იეროგლიფური, ხოლო შემდეგ ლურსმული... წინა აზიის მოსახლეობის სიმდიდრე ძველი დროიდანვე იზიდავდა უცხოელ ველურ ტომებს. ამ მეჯოგე ტომების შემოსევების წყალობით თანდათან შეიზღუდა მკვიდრი, ძველი მოსახლეობის სამფლობელო. მე-2 ათასწლეულის დამდეგს, ძველი წელთაღრიცხვით, წინა აზიის მკვიდრი ხალხებიდან ცნობილი იყვნენ **ხეთები** და **სუბარები**. ხეთები და სუბარები ქართველების წინაპრები არიან“ (ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია — „საქართველოს ისტორია“, 1946).

ჩვენს წინაშე გადაშლილი იყო უერცესი ჰორიზონტი — მესოპოტამიიდან ვიდრე ატლანტის ოკეანემდე — და მტკიცედ გვწამდა, რომ მომავალი მეცნიერული კვლევა-ძიება მოიპოვებდა შემერებთან, ხეთებთან, პელასგებთან, ეტრუსკებთან თუ ბასკებთან ქართველთა წინაპრების ახლო ნათესაობის სულ ახალსა და ახალ საბუთებს, რომელთა წინაშე ქედმაღალი ევროპელი სწავლულნიც კი ბოლოსდაბოლოს თავს მოკრძალებით მოიდრეკდნენ.

ამ აზრით ვიზრდებოდით. ეს ურყევად გვწამდა.

ეს რწმენა შემოგვრჩა იმათ, ვისაც ისტორია ჩვენს სპეციალობად არ გაგვიბღია, ვინც დღემდე მხოლოდ მოყვარულის თვალთ შეგყურებთ ამ მეცნიერებას. უბრალო მოყვარულს კი ვერავინ მოსთხოვს ამა თუ იმ მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა კურსში იყოს ნიადაგ.

და, აი, მოულოდნელად გაირკვა, რომ ბევრი რამ გამოგვრჩენია. ვიდრე ჩვენ ჩვენი საქმით ვიყავით გართულნი, სა-



მტრუსული
აკლდამა

ისტორიო მეცნიერებს მრავალი რამ გადაუსინჯავს, მრავალ საკითხზე შეუცვლია აზრი.

ამ სტრიქონების ავტორი პირველად მაშინ შეცბუნდა, როცა ხეთებისა და პელასგების შესახებ ძველებური პათოსით ჩამოუფგდო სიტყვა ერთ ახალგაომოცხვარ მეცნიერს და ამ უკანასკნელს იქედნურმა ღიმილმა გადაუსერა ბაგე. ყველაფერი იმას მეტყველებდა, რომ მეორე კურსის ასპირანტს მხოლოდ ზრდილობა და ასაკისმიერი მოკრძალება არ აძლევდა უფლებას მწარედ დაეცინა ცრუპატრიოტული შეხედულებებით დატვირთული თანამოსაუბრისთვის.

მალე დავრწმუნდი, რომ იმ ახალგაომოცხვარ მეცნიერს, თავის მხრივ, სრული საფუძველი ჰქონდა ჩამორჩენილ კაცად მივეჩნიე გულში. რადგანაც მას უკვე სხვა სახელმძღვანელოთი ასწავლეს ისტორია. ამ სახელმძღვანელოში კი აღარსად წერია, რომ „ხეთები და სუბარები ქართველების წინაპრები არიან“ და არც ისაა სადმე ნათქვამი, რომ ქართველთა მონათესავე ტომების

სამკვიდრებელი უძველეს ხანაში შუამდინარეთიდან პირენეს ნახევარკუნძულამდე იყო განფენილი. ახალ სახელმძღვანელოში ქართველები მიჩნეულნი არიან აბორიგენებად და მათ შესახებ ნათქვამია:

„უკვე ამ რამდენიმე ათასი წლის წინათ ქართველ ტომებს, ენობრივი თვალსაზრისით, უკვე ჰქონდათ საკუთარი სახე. მეგრულ-ქანური ტომები გავრცელებული იყვნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი სანაპიროს რაიონში. ქართვენი მათ მეზობლად, აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. ფართო ტერიტორია უნდა სჭეროდათ ძველად სვანებსაც, როგორც დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, ისე, ნაწილობრივ, აგრეთვე ბარშიც... სამხრეთიდან ქართველ ტომებს ემეზობლებოდნენ ურარტული, ხურიტული და ხეთური ტომები. ქართველ ტომთა უძველესი მეზობლები იყვნენ სომეხი ტომები“.

რევაზ თვახაძე
ოცნება მტრუსკამბისტების

ეს, როგორც ხედავთ, უკვე სულ სხვა თვალსაზრისია. „საქართველოს ისტორიის“ ამ სახელმძღვანელოს (1958 წ.) ავტორთათვის „საქართველო, და საერთოდ კავკასია, ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც მიმდინარეობს გაადამიანების პროცესი მიმდინარეობდა“ და ამ დროიდან მოყოლებული ცხოვრობდა აქ ხალხი, რომელიც შემდეგ ქართველ ტომებად ჩამოყალიბდა.

ეს — რაც შეეხება სახელმძღვანელოს. ხოლო რაც შეეხება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას, ჩვენთვის საინტერესო საკითხში მოპოვებული ახალი თვალსაზრისი ყველაზე სრული და საბოლოო სახით მოცემულია აკადემიკოს გ. მელიქიშვილის წიგნში „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის“. აქ ვკითხულობთ:

„ს. ჯანაშიას კონცეფციამ ძლიერი გავლენა იქონია ქართველ ისტორიკოსებზე, არქეოლოგებზე, ეთნოგრაფებზე, ენათმეცნიერებზე. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრება იწყო მის მიერ შემოტანილმა ტერმინებმა: „ხეთურ-იბერული ხალხების ჯგუფი“ (პირენეის იბერები, ეტრუსკები აპენინის ნახევარკუნძულზე, ბალკანეთის პელაგები, შუმერები, ხეთები და სუბარები (ხურიტები), ურარტუ, მუშქები და თაბალი, ქართველები და სხვა კავკასიელი ხალხები და სხვ.) და ა. შ... დილეტანტების ხელში „ხეთა-სუბარეთი“ და „საქართველო“ სინონიმები ხდებოდა და ამა რა საძებნი იქნებოდა საქართველოს და მისი მეზობელი მხარეების უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა, ან აქ მომხდარი ეთნიკური ძვრები. ქართველთა წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით ს. ჯანაშიას ზოგი მოსაზრება, როგორც ადრეც გვქონდა აღნიშნული, მოკლებულია სათანადო დამაჯერებლობას... ზოგი მოსაზრება კი ბუნდოვანია და ხშირად ამის გამო არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველი ხდება. ასეთია, მაგალითად, აკად. ს. ჯანაშიას კონცეფციაში მოსაზრება ხე-

თურ-იბერული გვარტომობის ხალხთა შესახებ, რომელიც წარმოდგენილია, კერძოდ, საქართველოს ისტორიის საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში. ეძახის რა ხეთებსა და სუბარებს ქართველთა წინაპრებს, აკად. ს. ჯანაშია არ განმარტავს, რომ შესაძლებელია ვიმსჯელოთ მხოლოდ ენობრივ მონათესაობაზე ქართველი ხალხისა მახლობელი აღმოსავლეთის ამ ხალხებთან (გ. ი. პროტოხეთებთან, ხურიტებთან და ა. შ.), რომ ქართველ ტომებს სამხრეთში ხეთურ-ხურიტული სახელმწიფოების არსებობის ხანაში უკვე გააჩნდათ თავისი საკუთარი ენობრივი, ეთნიკური ინდივიდუალობა, რომლითაც ისინი განსხვავდებოდნენ მონათესავე ტომებისა და ხალხებისაგან. ამიტომ შეიძლება შეიქმნას არასწორი წარმოდგენა, თითქმის ქართველი ტომების ენებსა და სხვა ეთნიკური ნიშნების უშუალო წინაპრებია ხეთურ-სუბარული ცივილიზაციის შემოქმედის ხალხების ენები და სხვა ეთნიკური ნიშნები, რომ უკანასკნელთაგან შეიძლება პირველების უშუალო გამოყვანა“.

აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი ხსენებულ წიგნში ბასკების, ეტრუსკებისა და პელასგების საკითხს თითქმის აღარც ეხება და ეს ბუნებრივია: დღევანდელ ევროპულ მეცნიერებაში კარგა ხნის დამკვიდრებულია აზრი, რომ ხეთებიც (პროტოხეთების გამოკლებით), პელასგებიცა და ეტრუსკებიც ინდოევროპულ ენებზე მეტყველებდნენ, ხოლო ქართული, როგორც მოგვხსენებთ, ინდოევროპულ ენად არაა მიჩნეული.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართველ ისტორიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობა ასევე სკეპტიკურად უყურებს ხეთებთან, პელასგებთან, ეტრუსკებთან ქართველთა ნათესაობის საკითხს, იმ ზომამდე, რომ ამ საკითხით დაინტერესება და მის გამო სერიოზული მსჯელობა მათ თვალში მეცნიერის რენომეს დაკარგვის ტოლფასოვანია. როგორც ჩანს, მსგავსი თვალსაზრისი მალე საბოლოოდ გაბატონდება აგრეთ-

ვე ენათმეცნიერთა შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალი თაობების ინტერესთა სფეროდან დიდი ხნით გამოირიცხება სამხრეთ ევროპისა და წინა აზიის უძველესი ხალხებისა და ქართველთა წინაპრების კავშირის საკითხი.

მაგრამ ვითომ უეჭველად ამგვარად წარიშართება ყოველივე? ვითომ არაფერი შეიცვლება, როგორც პრავაღების შეცვლილა მეცნიერებაში? ისტორია ხომ მათემატიკა არაა (მადლობა ღმერთს!), რომ მისი ყველა პოსტულატი ერთგულ და სამუდამოდ დადგენილად მივიჩნიოთ! იქნებ უახლოესმა მომავალმა სულ სხვა სურათი დაგვიხატოს უშორესი წარსულისა, იქნებ გაირკვეს, რომ ქართული არც იმდენად დაშორებული ყოფილა ევროპულ ძველ ინდოევროპულ ენებს და ეს მისი „არაინდოევროპულობა“ არც ისეთ დიდ დაბრკოლებად წარმოგვესახოს? იქნებ მოგვევლინოს მეცნიერი, რომელშიც შერწყმული იქნება ივანე ჯავახიშვილის დიდი ერუდიცია (დროის შესაბამისად), პავლე ინგოროყვას გასაოცარი ინტუიცია და ესპანეთს გასაჭრელად ამგზავრებული იოანე ათონელის მგზნებარება? („...განიზრახა ნეტარმან მამამან ჩვენმან იოვანე, რაჟთა აღიღოს ძე თვისი და რავდენნიმე მოწაფენი და ივლტოდის სპანიად... რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესაენი და ერნი მკვიდრ არიან მუნ“).

ვინ იცის!

მანამდე კი ისლა დაგვრჩენია, ვერწმუნოთ ჩვენს ისტორიკოსებსა თუ ენათმეცნიერებს, ან კიდევ იმ ევროპელ სწავლულებს, რომლებსაც საყვედუბრო ქართულის ცოდნა საკმარისად მიაჩნით უაღრესად კატეგორიული დასკვნების გამოსატანად.

* * *

მაგრამ ზოგჯერ ძნელია თავის შეკავება. მეტად დიდია ზოლმე ცდუნება, სხვასაც გაუზიარო ნაფიქრი, ნაოცნებარი და ნაგზნები, იმ იმედით, რომ იქნებ ვისიმე გულში კვლავ გაღვივდეს



სპილოს ძვლის თასი
ძვ. წ. VII საუკუნე

ჩასაქრობად გამეტებული ცეცხლი; რა ვუყოთ — ზოგ-ზოგნი დილეტანტად მოგნათლავენ, სხვანი — პროვინციელად. ყველაზე დიდი პროვინციელობა ხომ იმის შიშია — პროვინციელად არ ჩამთვალონო. არაერთი მინახავს ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთაგან — ოღონდ კი პატრიოტობა (რაც პროვინციელობის სინონიმად იქცა) არ დასწამოს ტურისტად ამგზავრებულმა ევროპელმა სწავლულმა!..

* * *

რატომაა, რომ ზემოთ დამოწმებული ეტრუსკული სალოცავი უცნაურ გრძობებს აღუძრავს ქართველ მკითხველს (ყველას ალბათ არა — ღმერთმა დაგიფაროთ)? რატომ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ქართულის, მეგრულისა და სვანურის რაღაც ფანტასტურ ნახავს ეცნობით! რა არის ეს „ცეია“, „მალე“, „ციზ“, „აისვალე“, „ალე“ („ალე“ სვანურად ნიშნავს „ეს“), „იტრილე“, „ტრინთასა“?

რატომ რეკავს ასე უღმერთოდ „მითბულურის“ ინტონაცია, თითქმის აღექვა-

რევაჲ თჳარაჲჲ
ოცნება ებრუსჳაჲისთჳის

ტური მეტრულ-რიტმული სტრუქტურა?

აბა დაუვიკრდით:

მაღე ცეია ჰია ეტნამ...
ცილი ვლესე და ვერ გავლესე...
თიბა გავიდეს ჩარგალელნი...
კოჭნი არ დამკრნა, სძაგელო...
უქმი იძახა დათეიამა...

იქნებ გვეჩვენება, თუ ნამდვილად რითმა ჟღერს? ..აისვალე-ალე-ვალე“!

...თფაალკი ლათუნიაკი თანია...

ავილს სას ამცე უბლეს... კაპემუკათესა კაპეს სლი... ლიმატის ენე კავირე ვემატი ტურესა... თუი არასა თენტმასე მენათა... აღბან მენახე... ზიხნე სეტირუნე... არა რატუმ აისნა ლეიტრუმ ზუთევა ცალ ესიკ ტი ჰალხზა... თანა ლეკნე ამთინაღ რენინე... საღ კუს ელუცე... ეტნამ ათუმეკა თლუთკვა...

ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები თუ სიტყვათშეხამებანი ამოღებულია ეტრუსკული ტექსტებიდან.

არც ისე ძნელი საქმე ყოფილა ამ ტექსტების წაკითხვა: ეტრუსკებს საკუთარი დამწერლობა არ გააჩნდათ — ოღნავ სახეცვლილ ბერძნულ ანბანს იყენებდნენ.

უძნელესი საქმე აღმოჩნდა ამ ტექსტების გაშიფრვა: უგამოჩენილესი მეცნიერნი ამაოდ დაშვრენ, მაგრამ თითქმის ვერაფერი გაუგეს ეტრუსკულს.

წარწერა კი იკითხება, ოღონდ სიტყვების მნიშვნელობა და აზრი გაუგებარი რჩება — ეტრუსკული ენა დაყინებით ინახავს თავის საიდუმლოს.

რომელ ენასთან თუ ენათა ოჯახთან არ სცადეს ეტრუსკულის დაკავშირება — არაინდოვერობულთან, ინდოევროპულთან, ჰამიტურთან, მცირეაზიულ ენებთან, იტალიკების ენებთან, ძველიბერძნულთან (ბასკურთან), ფინურუნგრულთან, კავკასიურთან, აფრიკულთან, ლათინურთან, უმბრიულთან, ბერძნულთან, ალბანურთან, ზეთურთან, სლავურთან, სომხურთან, ილირიულთან, პელასგურთან, ტასმანიურთან, მალგაშურთან, ტუნგუსურთან, ქართულთან... ერთი პირობა იმასაც ფიქრობდნენ —

მსოფლიოში ცნობილ არც ერთ ენასთან არ უნდა ჰქონდესო კავშირი.

ეტრუსკულის გასაღები ვერ იქნა და ვერ მოიძებნა.


იმპერატორმა კლავდიუსმა (ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნე) ეტრუსკების წარმომავლობისა და მათი ენის საკითხს ოცტომიანი შრომა მიუძღვნა. ეს შრომა ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში ინახებოდა და მასთან ერთად დაიღუპა. დიონისე პალიკარნასელი (ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნე) მიუთითებდა ეტრუსკული ენის უნიკალურ ხასიათს: არც თავიანთი ენით და არც ზნე-ჩვეულებებით ეტრუსკები არც ერთ სხვა ხალხს არ ჰგავდნენო. XV საუკუნიდან მოყოლებული რიგრიგობით წამოაყენეს თეორიები ეტრუსკთა ამერიკული, სემიტური, კელტური, სლავური, უგრო-ფინური, სომხური, ალბანური, ბერბერული, შუმერული წარმომავლობისა.

საიდუმლო ღღემღე საიდუმლოდ რჩება...

ეტრუსკული დამწერლობის ზოგიერთ თავისებურებას მეცნიერებმა მაინც აუღეს ალო. უწინარეს ყოვლისა, ნასესხები (ოღნავ სახეცვლილი ბერძნული) ანბანი ეტრუსკული ფონეტიკურ თავისებურებებს არ შეესატყვისებოდა, მისთვის ნამდვილ პროკრუსტეს სარეცელს წარმოადგენდა; შესაძლოა ამის გამოც, ზოგიერთი ბერძნული ვადმოსაცემად ეტრუსკები ხან ერთ ასოს ხმარობდნენ, ხან მეორეს; ამასთან, ხმოვანს ზოგჯერ გამოტოვებდნენ ზოლმე; გადამწერლები ტექსტს საკმაოდ თავისუფლად ეკიდებოდნენ — ვისაც როგორ მოეგუნებებოდაო; ტექსტები ხშირად გაბმულად იწერებოდა და ახლა ჭირს კიდევ დადგენა — სად იწყება და სად მთავრდება ესა თუ ის სიტყვა.

ყოველივე ამის შედეგია ზოგიერთი მეცნიერის მხრივ ტექსტის ძალზე თვითნებური ინტერპრეტაცია.

(რატომ არ მასვენებს ფიქრი: ამ ტექსტებს რომ ჩაუჯდებოდეს ქართველური ენების სრულყოფილად მცოდნე



სიმაგრის კედელში
დაბანებული იუპიტერის
პარიკმა. ძვ. წ.
III საუკუნე

და ორგანულად განმცდელი მეცნიერი, რომლის გონებაც წინასწარ არ იქნება კასტრირებული სკეპსისით თუ პატრიოტობის აჩრდილის წინაშე ძრწოლით!

„ხალხი, რომელსაც ტურსკებს, ტუსკებსა და ეტრუსკებს უწოდებდნენ, თავისი წარმოშობით ნაწილობრივ უკავშირდება ტურშას მეომარ ტომს, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის XIII და XII საუკუნეებში ლიკიელებთან და სხვა მონეტიალურ ტომებთან ერთად კადნიერდებოდა ზღვის მხრიდან თავს დასხმოდა ფარაონთა ეპოქის ეგვიპტეს. შემდგომში, ხუთი-ექვსი საუკუნის მერე, ტურშას ტომი მომავალი ეტრურის მიდამოში დაემკვიდრა...“

„შეუძლებელია გადაჭარბებით შევაფასოთ ეტრუსკული კულტურის მნიშვნელობა და მისი გავლენა ძველი ლაციუმის (რომის) კულტურაზე. ცოტაა იმის თქმა, რომ თავად სახელწოდება Roma ეტრუსკული წარმოშობისა უნდა იყოს... უნდა ვიფიქროთ, რომ უძველესი რომაული სახელმწიფო წესები, წოდებები, თანამდებობები, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო და სამართლებრი-

ვი ნორმები, რომლებიც წმინდა რომაულად მიაჩნდათ, ეტრუსკული ნიშნის მიხედვით ჩამოყალიბდა. ყოველივე შედარებით წერილმანებიც კი — მტერზე გამარჯვების შემდეგ ტრიუმფის ჩვეულება ყველა აქსესუარიურთ, ტოგა, საციკო თამაშები, თეატრალური სანახაობანი — ეს ყოველივე რომაელებმა ეტრუსკებისგან, ყოველ შემთხვევაში — მათი მეშვეობით შეითვისეს.“

„ეტრუსკული იყო ენა ეტრურის თორმეტი ტომისა — ძღვეამოსილი ხალხისა, რომელსაც შეადგენდნენ მკლავმოუღლეი მიწის მუშები, გულოვანი მეზღვაურები, მეომარნი და ვაჭარნი, დახვეწილი ხელოსანნი და ხუროთმოძღვარნი, რომელნიც აგებდნენ ტაძრებს, კამხალებს, სიმაგრეებს, აშენებდნენ დიდ-დიდ ქალაქებს. ამ ხალხმა თავის სამკვიდროში ჭაობები ამოაწრო, პოს წყალი არხებში მიუშვა, ვაზი გააშენა და ლითონების დამუშავებას მი-

რეზა თხარაძე
ოცნება ებრუსკაბისთვის

ჰყო ხელი... ეტრუსკულიდან წარმოდგება მრავალი სიტყვა, რომლებიც დღესაც იხმარება მრავალ ენაში... ეტრუსკებმა ჩაუყარეს საფუძველი იტალიის რელიგიურსა და პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომის სამხედრო მანქანას, რომელსაც ხელოვნებას. იტალიაში სალიტერატურო და სამეცნიერო საქმიანობისთვის დასაბამის მიმცემი ეტრუსკები პირველობას მხოლოდ ბერძნებს უთმობდნენ...”

„საგარეო ვაჭრობის მხრივ ეტრუსკებმა მოიცივეს იმდროინდელი ცივილიზებული მსოფლიოს ოთხივე კუთხე, ეგვიპტიდან და ურარტუდან დაწყებული თვით ბალტიისპირეთამდე...”

ეტრუსკული ქალაქები მშვენიერი იყო, საცხოვრებლად მარჯვე და მოსახერხებელი, ფართო, მოკირწყლული ქუჩებით, კანალიზაციით აღჭურვილი. „როდესაც რომაელთა ჯარებმა ბოლოსდაბოლოს აიღეს ქალაქი ვეია, ეს ქალაქი — დარბეული და სანახევროდ გადაშვარი — მაინც იმდენად მშვენიერი იყო რომთან შედარებით, რომ რომაელთა ნაწილმა იქ დასახლება მოიწადინა. ახალგაზრდა რომაელი პატრიციები იძულებულნი შეიქნენ მდაბიორთა უბნებისთვის მიეშურებინათ და ხალხისთვის ექადაგათ — ნუ მიატოვებთო წინაპართა მიწა-წყალს...”

„იტალიაში გზებიცა და არხებიც, უწინარეს ყოვლისა, ეტრუსკების ხელით იყო ნაგები...”

„ცნობილია, რომ ოქროსთასმიანი სანდლები, რომლებითაც ფიდიუსმა ათენას ქანდაკება შემოსა, „ტირენულად“ (ეტრუსკულად) იწოდებოდა, ხოლო რომაელმა სენატორებმა ლუკუმონთა ფეხთსამოსი გადაიღეს...”

„რომაელთა სამება — იუპიტერი, იუნონა, მინერვა — რომაელებს ეტრუსკებიდან მოეღვინათ... ღმერთქალ ფორტუნას კულტი რომში ეტრუსკთა მეფემ დაამკვიდრა... რომაელთა უზუნესი ქურუმნი ეტრუსკთა ტრადიციების მემკვიდრენი იყვნენ... მათგანვე გადაიღეს

რომაელებმა თეატრიცა და პანტომიმის კულტურა...”

ასე წარმოგვისახავს ეტრუსკების ვინაობას თანადროული მეცნიერება.

* * *

ვინ იყო ეს ხალხი — ერთსადაიმავე დროს შემმართებელიც და მეოცნებეც, გულოვანიც და გულჩვილიც, სიცოცხლის მოტრფიალაც და სიკვდილის არად ჩამგდებიც, ფილოსოფიური განსჯის მოყვარულიც და თავდავიწყებული დროსტარების, ღვინის სმის მოთაყვანეც, რთული ფსიქიკის მქონეც და მიაშიტიც, მკაცრიც და ჰუმანურიც?

„მათ სურდათ, რომ მათი ტაძარი ღირსეული ყოფილიყო. ესაა მთელი საქმე. ჯა ხომ არ არის შემთხვევით ეს ამბავი ეტრუსკული საიდუმლოს გასაღები? ეს ღირსება, რომლითაც ერთიმეორის პირისპირ მსხდარი ლუკუმონები სახელმწიფო საქმეთა გამო ბჭობენ, ეს ღირსება, რომლითაც თავიანთ მარმარილოს საწოლებზე მშვიდად მომღიპარი ცოლ-ქმარნი მონაწილეობენ მარადიულ ნადიმში, ეს ღირსება, რომლითაც უხეში ეტრუსკი გლეხი თავის ცოლითურთ კავს მისდევეს, ღირსება, რომლითაც მოხელე გადახსნის მის მიერ ქალაქისთვის გაწეული სამსახურის ნუსხას, — ეს ხომ არ არის ეტრუსკული ხასიათის ერთი ძირითადი თვისებათაგანი? ეს გულმარტივი ხალხი თავისი ღირსების დაცვას ესწრაფვოდა. არც მეტი და არც ნაკლები. მათში ნატამალიც არ იყო თავიანთ უფალთა ფერხთით მიწის ამბორმყოფელ ეგვიპტელთა და ასირიელთა ქედმოდრეკილობისა... მათ სურდათ შეენარჩუნებინათ ღირსება. ხოლო როდესაც მძლეველებმა (რომაელებმა) ამ ღირსების წართმევა დაუპირეს, მიხედნენ — განწირულნი ვართო დასაღუბად“.

და, ამავე დროს, ამ ხალხს მიმადლებული ჰქონდა იუმორის იშვიათი გრძნობა, უაღრესად დახვეწილი უნარი ადამიანის ფსიქიკის ნიუანსთა წვდომისა. ვინ იყო ეს ხალხი, ვინც წარწერებ-

ში ჯერ დედას მოიხსენიებდა და შემდეგ მამას, ვისი ოჯახიც ცოლქმრის ურთიერთსიყვარულს ვფუძნებოდა?

„ეტრუსკი ქალი სიყვარულითა და პატივისცემით იყო გარემოსილი. ბერძნული ჩვეულებისგან განსხვავებით, ეტრუსკებში დიასახლისს ნებადართული ჰქონდა სადღესასწაულო სუფრას მისჯდომოდა და, როგორც თანასწორს, მონაწილეობა მიეღო ნადიმში“.

და ამავე ხალხში, ზოგიერთი ჩვენთვის ნაცნობი ხალხის არ იყოს, ფალოსის კულტი დიდი პატივისცემით სარგებლობდა თურმე.

ვინ იყო ეს ხალხი, ვინც ქალაქები თალოვანი კარიბჭეებით და აკლდამები თალოვანი კარებით დაამშვენა? ვინც „ღარბაზის“ ტიპის დედაბოძიანი ნაგებობა შექმნა?

ვინ იყო ეს ხალხი, ვინც ახალ სამკვიდროში (აპენინის ნახევარკუნძულზე) მოსვლისას სიმბოლური საფლავი გათხარა და შიგ ჩააბნია თავდაპირველი სამშობლოდან წამოღებული მიწა?

ვინც ამის შემდეგ ახალ სამკვიდროში, უწინარეს ყოვლისა, ვაზი გააშენა და ნაყოფიერების წყაროდ მიიჩნია? ვინც ვაზა ტიკის სახედ გამოძერწა? ვინც, სანადიმო სუფრას რომ მიუჭდებოდა, უეჭველად წინამდგომს (თამადას) ირჩევდა? „სუფრის დიქტატორის (!) თანამდებობა თუმცა დროებითი იყო, მაგრამ ერთობ მნიშვნელოვანი, რადგან სწორედ ის განსაზღვრავდა, თუ (შეინახეთაგან) ვის რამდენი უნდა შეესვა“.

ხალხი, რომელსაც იმ ზომამდე იტაცებდა კრივი და ჭიდაობა, რომ ფრესკებზეც გადაჰქონდა? ამასთან, ფრესკებს იმგვარი ოსტატობით ხატავდა, რომ ნატურალიზმს ხარკს არ უხდიდა? ვინც კადნიერდებოდა ფრესკებითვე გამოესახა ბერძნულ თქმულებათა სიუჟეტები (ვთქვათ, მშვენიერი ელენე), ოღონდ იუმორისტულ პლანში, პაროდიალად გარდაქმნილი!

აი, ეტრუსკული ფრესკა. ჰაბუქს ორი



ძვ. წ. VI საუკუნის ნაგებობა.

ქალიშვილი მიახლებია. მათს თავთან გამოყვანილი წარწერები მათსავე სათქმელს გვაუწყებს. ერთი ამბობს: **თრამა მლითუნს. მეორე: რე მიისმეთუმეს.**

რა ენაზე მეტყველებენ ეს ქალიშვილები?

აი კიდევ მეორე ფრესკა — ეს უკვე ტავერნაა. შემთვრალი ეტრუსკები ერთიმეორეს გასძახიან: **პელლოუო, ლარგენა, დალიუს...**

* * *

ეს უკანასკნელი წარწერა რომ წავიკითხე, მართალი გითხრათ, შევშინდი. არც მეტი, არც ნაკლები, ჩემთვის ეს სიტყვები ასე აქლერდა: **პეი, ლარგენა, დალიე!** (არ დავივიწყოთ, რომ ტავერნასთან და მოქეიფეებთან გვაქვს საქმე; არ დავივიწყოთ, რომ ეტრუსკები წარსაწერ ტექსტს საკმაოდ ლაღად ეკიდებოდნენ; არ დავივიწყოთ, რომ ეს წარ-

რეზაუ თვარაძე
ოცნება ეტრუსკებისთვის

წერა, ისევე როგორც ყველა სხვა, ამ წერილში ზემოთ და ქვემოთ მოტანილი, ჭერ ბერძნული ნაზნანითვე დაიბეჭდა ტექსტების კრებულში, შემდეგ ეს ტექსტი ფრანგმა მეცნიერმა ლათინური ტრანსკრიპციით გადაწერა თავის ნაშრომში, ეს ნაშრომი რუსულად ითარგმნა და ტექსტმა მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოაღწია თბილისს).

ნუთუ შესაძლოა ამგვარი რამ? თუ ეს ყველაფერი უბრალო დამთხვევაა? გამახსენდა, როგორ სკვპტიკურად უყურებენ ენათმეცნიერნი ამგვარ დამთხვევებს — ყველაფერი შემთხვევითობას მიეწერება ხოლმე.

აღბათ ასევე შემთხვევითობას უნდა მიეწეროს, რომ -არ ეტრუსკულშიც და სვანურშიც მრავლობითობას აღნიშნავს (ეტრუსკულად: კლან — ვაჟი, კლან-არ — ვაჟები; სვანურად: ღვაჟ — ვაჟი, ღვაჟ-არ — ვაჟები), რომ ს ეტრუსკულშიც მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რომ იგივე სუფიქსი -არ ეტრუსკულში აგრეთვე პროფესიის, ხელობის აღნიშვნელია (შეადარეთ: მწიგნობ-არ-ი, მკურნ-ალ-ი, მზატე-არ-ი...). რომ ე ეტრუსკულშიც და ქართულშიც აორისტის მაწარმოებელია (დაწერ-ე, ამოიკითხ-ე...), რომ ტ (თ) სახელთა მრავლობითობის მაწარმოებელია, რომ ეტრუსკული თვლის სისტემაშიც ოცობითია...

ისიც შემთხვევის ამბავია აღბათ, რომ ეტრუსკულ რიცხვით სახელთა შორის გვხვდება ჰუთ (ჰუთის — მეხუთე); რომ ნაცვალსახელი მი ნიშნავს მე-ს, ხოლო მეი — იმავე მე-ს ნათესაობითს ბრუნვაში, რომ ეტრუსკული ტომონიმია ყოველ ფეხის ნაბჯზე წარმოგვიდგენს სახელებს -ისხა დაბოლოებით (ლარ-ისხა, ტურ-ისხა...), რომ ქალის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელი ეტრურიაში იყო თანია (შეადარეთ: თანიაშვილი) ან კიდევ ანაია (ამ ფორმით!), ხოლო ეტრუსკულ ღვთაებათა პანთეონში ვხვდებით ამგვარ სახელებს: ანი, კულსუ, თუფლოა, ტინ (თუ თინ? — ეტრუსკულში ტ და თ მონაცვლეობენ),

ტარკუ-ტარკონ, ცერი, ვანთ, მალახე და, ბოლოს, აის (ცის ღმერთი)...

...რომ ეტრუსკული ტექსტები საესეა ჭერაც გაუშიფრავი თუ ევროპელ მეცნიერთაგან თავისებურად გაშიფრული ამგვარი სიტყვებით: თაურა, ეტერა, ცეხანერი, კვერ, კლა, სალ (შესაძლოა ერთს, ცალს ნიშნავდესო!), არხატე, კარათ (გადაღობილს უნდა ნიშნავდესო!), ელუცი, იტბრანი, კი, ლუთკვა, ლუს (ლოცვას ნიშნავსო!), ნუნა (ღედაო!), რანინუმ, რახ (რტყმევასო!), რუ, სკუ, სლი (შლას ნიშნავსო!), უფლი, ნაკნუვა (ნა — ჩვენ, კნუ — შეგქმნა, ვა — ნამყო ღრთის სუფიქსიო!), ართ (მოსვლას ნიშნავსო!), მატი (შესაძლოა „დიდს“, „ბევრს“ ნიშნავდესო!), კალე (ქალს ნიშნავსო!), ზახრი (სისხლს უნდა ნიშნავდესო. შეადარეთ ქანური ზისხირი — სისხლი), სეტირუნეკ, რეპინეკ, ავიღერეკ, რკუ, საკნი, პეთერენი, სკარა, მულახ, არათინაკნა, თუ, ესერა, თუმსა (ნიშნავსო: „შეიძლება ითქვას, რომ...“), რენეთი...

* * *

ზემოთ უაეტოროდ დამოწმებული ციტატები, აგრეთვე თითქმის ყველაცნობა, ფაქტი თუ ტექსტი ამოწერილი მაქვს ფრანგი მეცნიერის ზ. მაიანის წიგნიდან „ეტრუსკები ამეტყველდნენ“, რომელიც შარშან რუსულად გამოიცა მოსკოვს.

მაიანის ამ ბრწყინვალე (ვანსაკუთრებით სტილის თვალსაზრისით) შრომაში გატარებულია აზრი, რომ ეტრუსკულის ამოხსნა შესაძლოა აღბანური ენის შემწეობით. აეტორს საეჭვოდ აღარც კი მიაჩნია ეს ამბავი, იმდენად მრავალი პარალელი, დამთხვევა, შეპირისპირება მაქვს თავის წიგნში. ზოგიერთი მათგანი რომ წაგაიკითხათ, ჩემს მიერ ზემოთ წარმოდგენილი პარალელები ნაძალადევად, გულუბრყვილოდ თუ სასაცილოდ არ მოგეჩვენებოდათ.

ეს წიგნი რომ ხელში ჩამივარდა და გავიგე მისი აეტორის მიზანი — ეტრუსკული აღბანურთან დაეკავშირები-

ნა, უმაღლესად კითხვა: კი მაგრამ ალბანელები ხომ პელასგების შთამომავლებად მიაჩნია ზოგიერთ მეცნიერს: ამის თაობაზე წერილში აღარაფერი ვთქვი, რადგან ალბანური ინდოევროპულადაა მიჩნეული. რაღა თქმა უნდა, ისიც შემეძლო მეფიქრა, რომ ეს დაბრკოლების ლოდი — ქართულის არაინდოევროპულობა — ოდესმე შესაძლოა გადაილახოს კიდევ და ქართულ-ალბანური პარალელებიც მოიძებნოს-მეთქი (საამისოდ საჭირო მასალას საკმაოდ წააწყდებით მიაინის წიგნში¹). მაგრამ აღარ ღირდა ამ საკითხის გამოდევნება, მრავალ მეცნიერს ალბათ ისედაც გააღიზიანებს ამ წერილში გამოთქმული

მოსაზრებები, რომლებიც ალბათ შეეფერება დილეტანტისა და მოყვარულის ერუდიციას.

ჩემდა სანუგეშოდ, მაინისავე წიგნში ამოვიკითხე ამგვარი რამ:

„ეტრუსკოლოგიისადმი საყოველთაო სიმბატიის სათავეები სულაც არ ამოწურულა. „მოყვარულნი“ ხელს ვერ შეუშლიან ეტრუსკოლოგთა მუშაობას, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებშიც არავის უშლიან ხელს. მათ მიერ გამოწვეული შემთხვევითი აღგზნება მეოცე საუკუნის ადამიანის ყოველდღიური საზრდოა. ყოველ შემთხვევაში, არქეოლოგებს მაინც უნდა ახსოვდეთ, რომ ანტიურობის შესწავლაში გამწვევტი შემობრუნება „მოყვარულ“ შლიმანის ინიციატივის წყალობით მოხდა. პირველად სწორედ მას დაებადა იდეა ისტორიული ადგილები გაეთხარა. მანამდე გათხრები მხოლოდ ბიბლიოთეკებსა და არქივებში წარმოებდა“.

¹ უხომო იყო ჩემი ვაოცება (რბილად რომ ვთქვათ!), როდესაც მაინის წიგნის რუსული გამოცემის წინასიტყვაში ამოვიკითხე: „ზ. მაინის წიგნის რუსულ თარგმანში ზოგი რამ შემოკლებულია უმეტესწილად მისი დასკვნითი ნაწილის ხარჯზე, რომელშიც ავტორი ძველ ალბანურს აკავშირებს კავკასიურ ენებთან, აგრეთვე სხვა ძველსა და ახალ ენებთან“.



წიგნების საკუთრება

შოთა ქიქიძე

ქართული ენის პრობლემები XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ ევროპის ფილოლოგიურ მაცნეებში

ქართული ენის პრობლემები დიდი ხანია აღძრულია დასავლეთ ევროპის სამეცნიერო მწერლობაში. დიდძალი მასალაა გაბნეული გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ და ესპანურ ენებზე; ამ მასალის თავმოყრა და სისტემატიზაცია დროული და აუცილებელია.

ამ დარგში მოგვეპოვება ფუნდამენტალური მნიშვნელობის ნაშრომები, როგორცაა: პროფ. ალ. ცაგარლის „О грамматической литературе грузинского языка“ (1875, პეტერბურგი), პროფ. მ. ნემიროვსკის „Из прошлого и настоящего кавказской лингвистики“ (1928, ვლადიკავკაზი), აკად. ივ. ჯავახიშვილის „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (შესავალი ნაწილი, 1937), პროფ. არნ. ჩიქობავას „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ (1965).

დიდი ხანი არ არის, რაც გამოვიდა ნატალია ორლოვსკაიას წიგნი „Грузия в литературе Западной Европы

XVII-XVIII веков“, რომლის მეორე ნაწილი ეთმობა დასავლეთ ევროპის სამეცნიერო ლიტერატურაში აღძრულ ქართული ენის საკითხებს.

ეს არის ნაშრომი, სადაც თითქმის ამომწურავი სისრულით დახასიათებულია ქართველური ენათმეცნიერების საკითხები მეჩვიდმეტე-მეთერთმეტე საუკუნეების ფილოლოგიური მეცნიერების მიხედვით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნ. ორლოვსკაიას ნაშრომი წინ გადადგმული ნაბიჯია ამ დარგში და სრულიად ახალი დებულებების შემკველი. ჭერ-ერთი, აქ განხილულია და შეფასებული მრავალი ისეთი გამოკვლევა, რომლებსაც არ იცნობს პროფ. ა. ცაგარელი (ნ. ორლოვსკაიამ გამოავლინა ავტორები, გავაცნო მეტად მნიშვნელოვანი შრომები, შემონახული ხელნაწერების სახით). მეორეც, უფრო ვრცლად და დეტალურად არის გაანალიზებული ზოგიერთი ფუძემდებლური ნარკვევი და, ბოლოს, ზოგ ნაშრომს ახალი გააზრება და გაშუქება აქვს თანამედროვე ლინგ-

ვისტური მეცნიერების დონის მიხედვით. ნ. ორლოვსკაიას გამოკვლევა იძლევა XVII-XVIII საუკუნეთა ქართველოლოგიური კვლევის სრულ სურათს და იგი საპატიო ადგილს დაიჭერს ქართველური ენების შესწავლის ისტორიის კვლევა-ძიებაში.

ნ. ორლოვსკაიას წიგნში შემდეგი საკითხებია დასმული: 1. ევროპულ ფილოლოგიურ ლიტერატურაში ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ არსებული ცნობების გავრცელების გზები, 2. სხვა ქვეყნების მეცნიერულ ლიტერატურაში მიღებული შედეგების გამოყენება, 3. ქართული ენის სახელმძღვანელოები, შედგენილი ევროპელი ავტორების მიერ, 4. ქართული ენის კვლევა ორიენტალისტიკაში, 5. ქართული ენის საკითხები სპეციალურ ენათმეცნიერულ ნაშრომებში, სახელდობრ: ქართული დამწერლობის საკითხები, ქართული ენის ლექსიკური მასალები, ცნობები ქართველურ ენათა შესახებ (იგულისხმება, გარდა საკუთრივ ქართულისა, მეგრულ-ჭანურ და სვანურის), ქართული ენის წარმოშობის საკითხი XVII-XVIII საუკუნის ავტორებთან.

ასეთია ის პრობლემატიკა, რომლის გადაწყვეტა შეადგენს ნ. ორლოვსკაიას ნაშრომის მიზანს.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩვენ ვხვდებით პირველ ცნობებს ქართული ენის შესახებ დასავლეთ ევროპაში. ინტერესი ჩვენი ენისადმი გამოწვეული იყო სხვადასხვა მოსაზრებით. უწინარეს ყოვლისა, ქართველი ხალხი, როგორც ერთ-ერთი უძველესი ეთნოლოგიური ერთეული მსოფლიო ისტორიაში, ყუბრაღების ღირსი იყო თავისთავად. იმდროინდელი ავტორები ასე თუ ისე მაინც იცნობდნენ ანტიკური ხანის ისტორიკოსების (პეროდოტეს, სტრაბონის და სხვ.) გამონათქვამებს ქართველი ტომების შესახებ. ამასთანავე, მათს განკარგულებაში იყო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურთა ჩანაწერები, ხელნაწერები, ნაბეჭდი წყაროები. რუსეთში ქართული კოლონიის წევრთა მწიგნობ-

რული მუშაობა, შემდეგ სტამბის და-არსება, ქართული ბიბლიის მოსკოვეური გამოცემა და სხვა წარმოადგენდა მნიშვნელოვან მასალას, რომლის საფუძველზე დასავლეთ ევროპის მეცნიერებს საშუალება ეძლეოდათ ემსჯელოთ ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ. იმ ხანებში მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციის საკითხებითაც იყვნენ დაინტერესებული და ამ კრილში, ბუნებრივია, ქართული ენა, როგორც ენა უძველესი ხალხისა, ცხოველ ინტერესს იწვევდა. არ შეიძლება გამოვირიცხოთ წმინდა პრაქტიკული მიზნებიც, რამაც განსაზღვრა ლტოლვა ქართული ენის შესწავლისადმი. მისიონერული მუშაობის ფართოდ გაშლა, ბუნებრივია, ვერ ასცდებოდა ამ გზას, და აქედან გასაგებია ზრუნვა, რასაც იჩენდნენ დასავლეთში პრაქტიკული ხასიათის გრამატიკებისა და ლექსიკონების შედგენისადმი.

ნ. ორლოვსკაია სწორი გზით მიდის, როდესაც თავიდანვე ასეთ საკვანძო საკითხებს აყენებს: 1. რა საშუალებები და ხერხები არსებობდა საზღვარგარეთ უშუალო კონტაქტებისა საქართველოს მოსახლეობასთან, ქართველობასთან, რომლებიც ფლობდნენ ქართულ ენას; 2. რა მასალები არსებობდა ევროპაში ქართული მწიგნობრობის ძეგლების შესახებ; 3. მეჩვიდმეტე-მეთრამეტე საუკუნის ევროპელი მეცნიერები რა წყაროებით სარგებლობდნენ საქართველოს შესახებ, რომლებიც მიმდინარეობდნენ სხვა ქვეყნებიდან?

წიგნში, ამ კითხვების გაშუქებისას ჩვენ ვეცნობით მრავალ ახალ მომენტს, რომლებიც ან არ იყო გაშუქებული ლიტერატურაში ანდა მეტად ზერეულად და ზოგჯერ, მცდარადაც. ამავე დროს, აქ შეჯამებულია და სისტემაში მოყვანილი ყოველივე ის, რაც კანტიუნტად თუ გაბნეულად მოცემული იყო სხვადასხვა ხასიათის წყაროებში, — ეს წყაროები

ზოთა კივიზაძე
ქართული ენის პროფესორი XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ ევროპის ფილოლოგიურ მცოდნეობაში.



კი ნაირნაირია და მეტად დაქუცმაცუბული. აქ ვეცნობით ევროპის ბიბლიოთეკებში არსებულ უძველეს ქართულ ხელნაწერებს, მოგზაურების ჩანაწერებს, არქივებს, პროფესორ ალტერის, პროფესორ ადელუნგისა და სხვათა გამოკვლევებს, რუსეთის კოლონიის მასალებს, სომხურ, ბერძნულ წყაროებს, რომში დაფუძნებული ქართული სტამბის ამბებს და სხვა. სავსებით გასაგებია, რომ ჩვენს ავტორს უხვ მასალას მიაწოდებდა აკად. გიულდენშტეტისა და აკად. პალასის მიერ შეგროვილი მასალა, რომელსაც კარგად იცნობდნენ დასავლეთ ევროპაში საქართველოთი და, საერთოდ, კავკასიით დაინტერესებული პირები.

განსაკუთრებით ფართო გამოხმაურება პოვა ევროპაში პალასის შედარებითმა ლექსიკონმა, რომელიც შეიცავს მსოფლიოს 200 ენის მასალას (გამოიცა პეტერბურგში) და კარგად გამოხატავს მე-18 საუკუნის მეცნიერთა მიზან-ამოცანებს და კვლევა-ძიების იმდროინდელ პრინციპებს ენათმეცნიერებაში.

უნდა აღინიშნოს, — და ამ გარემოებას გახაზავს ავტორი, — რომ ქართველოლოგიური კვლევა-ძიების აქტიუზაცია ევროპაში იწყება XVIII საუკუნის ბოლოდან, როდესაც საფუძველი ეყრება სისტემატურ მუშაობას, საერთოდ, ორიენტალისტურ მეცნიერებაში და ახალი მეთოდების გამოყენებას. პირველი ქართული წერილობითი ძეგლები ევროპაში ჩნდება უკვე 1714-1715 წლებიდან მოყოლებული, რაღაც ორიოდე წლის შემდეგ. რაც თბილისში დაარსდა სტამბა, აქ დაბეჭდილი წიგნი ხელთ ჩაუვარდა დევიდ უილიკსს. მოსკოვში გამოქვეყნებულმა ქართულმა ბიბლიამაც დიდი ყურადღება დაიხაზა ევროპელი მეცნიერების წრეებში და, ამრიგად, ერთგვარად გაცხოველდა ინტერესი ქართული სიძველეებისადმი. აქამომდე არც თუ სხვა აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის მიმართ იჩენდნენ დიდ ინტერესს. XVIII საუ-

კუნის ბოლომდე არ იყო ფართოდ ცნობილი აღმოსავლეთის ხალხთა ენებისა და მწერლობის მასალები, თარგმანები და სხვა. დამახასიათებელია, რომ დიდროს ცნობილი ენციკლოპედია არ გვაწვდის მასალებს აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის შესახებ, მათ შორის — აქ არც ქართული სინამდვილეა ასახული. პარიზის სააზიო საზოგადოებაში საგრძნობლად წინ წასწია ქართველოლოგიური კვლევა-ძიება. 1823 წელს ამ ავტორიტეტულ საზოგადოებაში მკვეთრად დაისვა საკითხი ქართული გრამატიკისა და ლექსიკონის შედგენისა (უმთავრესად აკადემიკოს კლაპროთის მასალების საფუძველზე).

ევროპის განვითარებასთან დაკავშირებით და დიპლომატიურ ურთიერთობათა შედეგად ევროპაში დაისაზა აუცილებლობა ენების პრაქტიკული შესწავლისა. ამას დაერთო, საერთოდ, ლინგვისტური კვლევის პერსპექტივების გაშლა და ევროპულ მეცნიერთა მისწრაფება უცნობი ენების გაცნობისა და დაუფლებისაკენ. უკვე XVII საუკუნიდან იწყება მსოფლიოს ენათა გრამატიკებისა და ლექსიკონების გამოცემა წმინდა პრაქტიკული მოთხოვნის გამო დასაკმაყოფილებლად. ამ საერთო მისწრაფებათა და ზრახვათა შედეგია, რომ ჯერ კიდევ 1629 წ. რომში იცემა ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ქართული ანბანი, ხოლო 1643 წ. — გრამატიკა, რომის გამოცემები სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი და შესწავლილი; ამით აიხსნება, რომ ის, ორიოდეწიასი წიგნში მათზე მხოლოდ მოკლედ და სქემატურად არის მსჯელობა.

მსოფლიოს ლინგვისტური მეცნიერების ისეთმა კორიფემ, როგორც იყო ავსტრიელი აკადემიკოსი და პროფესორი ჰუგო შუხარდტი, ჯერ კიდევ 1896 წელს შენიშნა, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში ბერნარდო მარია ნეპოლიელს შეუდგენია ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული ლექსიკონები. ლექსიკონში ყურადღებას იქცევს

ზმნის უღლების ფორმებიც, განსაკუთრებით აორისტის ფორმების ანალიზი. შუხარდტი აღნიშნავს, რომ ავტორი გაცილებით უკეთ ერკვევა ქართული ენის აღნაგობაში, ვიდრე რომში დაბეჭდილი და ფილოლოგიურ სამყაროში ფართოდ გახმაურებული ქართული გრამატიკის შემქმნელი — მაჯო. ამის თაობაზე დიდმა ავტორიტეტმა (იგულისხმება ჰუგო შუხარდტი) სტატია გამოუგზავნა თბილისში „ივერიას“ და იგი დაიბეჭდა კიდევაც (1896 წელი, № 90). საუფლისხმოა, რომ პროფ. ცაგარელი და მიქელ თამარაშვილი, რომლებიც ეხებიან ბერნარდო ნეაოლელის არქივს, ამგვარი შრომის არსებობაზე, მართალია, მიუთითებენ, მაგრამ არ იცნობენ მას მთელი სიგრძე-სიგანით და ამიტომ არ არკვევენ ლექსიკონის შედგენილობასა და პრინციპებს.

კარგი იქნებოდა, რომ ნ. ორლოვსკაისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო ხსენებული ლექსიკონი და მოეცა მისი დეტალური განხილვა.

სამაგიეროდ, ნ. ორლოვსკაია ავსებს ჩვენს ცოდნას და გვაწვდის დაწვრილებით ცნობებს სხვა უცნობი მასალის შესახებ. ასეთია, მაგალითად, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცული XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართული გრამატიკისა და ქართულ-იტალიური ლექსიკონის სრული აღწერილობა და მეცნიერული ანალიზი. როგორც სარეცენზიო წიგნის ავტორი ფიქრობს, ეს წიგნები წარმოშობით დაკავშირებულია აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკურ ცენტრებთან. ნ. ორლოვსკაია ვერცლად განიხილავს გრამატიკულ საკითხებს, რომლებიც წამოჭრილია ამ ხელნაწერში. დიდად საყურადღებოდ მიმაჩნია ის გარემოება, რომ, დისკრეტანტის სიტყვით, შრომაში აღძრულია ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმის პრობლემა; ამასთანავე, საინტერესოა, რომ უცხოელ ავტორს შეუნიშნავს, რომ ქართულ ენაში არის ქვემდებარის (სუბიექტის) სამი ბრუნვა (სახელობითი, მოთხრობითი და მიცე-

მითი) და არა ერთი, როგორც ეს ახასიათებს ევროპულ ენებს.

უთუოდ საინტერესოა ზემოხსენებული ნაშრომის გრამატიკული ნაწილის შედარება რომში დაბეჭდილ მაჯოს გრამატიკასთან. ავტორი სრულ სურათს იძლევა და დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ, მართალია, ეს ორი გრამატიკა მრავალ პუნქტში ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ მათ შორის არის ფუნდამენტალური მნიშვნელობის სხვაობაც. გარდა იმისა, რომ აქ გასწორებულია მაჯოს მცდარი ინტერპრეტაციები, წამოყენებულია ახალი თეორიული მოსაზრებები და, რაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, აღძრულია სინტაქსის საკითხები, მაშინ როდესაც მაჯოსთან სინტაქსი სუსტადაა წარმოდგენილი. ამავე დროს, ქართული ნიმუშები უფრო სწორად არის თარგმნილი იტალიურად.

რაც შეეხება იტალიურ-ქართულ ლექსიკონს, როგორც გვარწმუნებს ნ. ორლოვსკაია, იგი შედგენილია იმდროინდელი ლექსიკოლოგიური პრინციპების მკაცრი დაცვით და მასალის სკრუპულოზური ანალიზის ჩატარებით. ასევე საჭმის ცოდნითაა დახასიათებული ის სხვა უცხოელი ავტორები, რომელთა შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ან არაფერია ნათქვამი, ანდა მოგვეპოვება ძუნწი ცნობები.

როგორც ირკვევა, ეს ავტორები რიგიანად ფლობდნენ ქართულ ენას. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ XIX საუკუნის დასაწყისში პარიზის სააზიო საზოგადოებას გადაუწყვეტია, ერთ-ერთი ძველი გრამატიკა გამოუყენებინა და გამოეცა ფრანგულ ენაზე. წიგნში ნაჩვენებია, რომ ამ გრამატიკულმა ნაშრომებმა, რომლებსაც თავის დროზე პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, საგრძნობლად შეუწყვეს ხელი შემდგომ ხანებში ევროპაში თეორიული ქართ-

შოთა ძინიავარი

გართული ენის პროლაზიები XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ ევროპის ფილოლოგიურ მიმდინარებაში.

ველოლოგიური ძიების გაღრმავებასა და ფართოდ გაშლას.

ამის შემდეგ ნ. ორლოვსკაიას ნაშრომში სრულიად ბუნებრივად ჩნდება ახალი ასპექტი: დაახასიათოს ლინგვისტური გამოკვლევები, სადაც აღძრულია ქართული ენის გენეზისისა თუ მსოფლიოს სხვა ენებთან მიმართების საკითხები.

თანდათანობით ქართული ენა შედის ზოგადი ხასიათის საკვლევადიებო ორბიტში. ეს ის ხანაა, როდესაც ევროპელი მეცნიერები მოწოდებულნი არიან შეისწავლონ სხვადასხვა ხალხის ენები ისტორიულ ასპექტში, იმ მასალების საფუძველზე, რომლებიც მოპოვებული იყო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების გზით, გაიზიარონ და სისტემაში მოიყვანონ ადრე დადგენილი ემპირიული ფაქტები და მოვლენები. ნ. ორლოვსკაიას სრულიად ნათლად აქვს წარმოდგენილი მის წინაშე მდგარი ამოცანა და თავდაპირველად ჩვენს გულისყურს წარმართავს იმ ორიენტალისტური ნაშრომებისაკენ, რომლებიც მიზნად ისახავენ აღმოსავლეთის ქვეყნების აღწერასა და გამოკვლევას. ნაშრომის სპეციალური თავი ეძღვნება აღმოსავლეთ-მცოდნეობითს შრომებში ქართული ენის შესახებ არსებული ცნობების სისტემატიზაციას. ეს ის ეთნოგრაფიული ისტორიული ხასიათის ნაშრომებია, რომლებშიც ცნობები ქართული ენის შესახებ თავის კუთვნილ ადგილს პოულობს. ამ გამოკვლევებში ჭერ კიდევ არ არის დიფერენცირებული ორიენტალისტური დისციპლინები, მხოლოდ ზოგად პლანშია დახასიათებული აღმოსავლეთი სამხარეთმცოდნეო, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ისტორიული და, ბოლოს, ლინგვისტური მასალის საფუძველზე. ნ. ორლოვსკაია გვაცნობს მე-17 საუკუნის ჰოლანდიელი გეოგრაფოსის — ოლფერტ დაპერის ნაშრომებს. თავის წიგნში „აზია“ დაბერის საქართველოს აღწერას სპეციალურ თავს უთმობს და აქვე იძლევა ცნობებს ქართული ენისა და ქართული ალფაბე-

ტის შესახებ. ასევე დახასიათებულია 1723 წელს ნიურბერგში გამოქვეყნებული წიგნი აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ, სადაც გამოყენებულია დაბერის მიერ მიღებული შედეგები. წიგნში ასევე შესწავლილია ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, პოლანდიელი და სხვა ავტორები, რომლებიც თავის ნუმეზმატიკურ, ისტორიულ, ეთნოგრაფიულ თუ სხვა ხასიათის შრომებში გარკვეულ ადგილს უთმობენ ქართული ენისა და აზიანის საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ნაშრომში ვიტზენის დიდად მნიშვნელოვანი „ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონის“ ღრმა და ვრცელი ანალიზი. ეს ლექსიკონი სრულიად დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და, როგორც ნ. ორლოვსკაია ამტკიცებს, იგი არ არის დამოკიდებული პაოლინის ლექსიკონზე, რომელიც წარმოადგენდა დიდად გახმაურებულ შრომას იმდროინდელ დასავლეთში.

საგანგებო თავი ეძღვნება ნ. ორლოვსკაიას ნაშრომში ქართული ენის მასალების ანალიზს სპეციალურ ენათმეცნიერულ გამოკვლევებში.

მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში გაბატონებული იყო რაციონალური ანუ ფილოსოფიური გრამატიკის პრინციპები. ეს ის დროა, როდესაც ენათა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევა პერსპექტივაშია მოცემული და გრამატიკა ვაგებულისა, როგორც ლოგიკური კატეგორიების გამოხატულება. ქართული ენის ფაქტები ამ ეპოქაში მოცემული იყო აღმოსავლურ ენათა გრამატიკებში, ალფაბეტების კრებულებში, სხვადასხვა ტიპის ლიტერატურაში, ენციკლოპედიებში, მრავალრიცხოვან ლექსიკონებში და ენობრივი ტექსტების კრებულებში, ცალკეულ სტატიებში თუ ზოგადენათმეცნიერულ შრომებში.

ნ. ორლოვსკაიას შრომაში მკითხველი ეცნობა ამ დიდძალ მასალას, კერძოდ, ძალიან საინტერესოა ქართული აზიანის გენეზისის თაობაზე მკვლევართა აზრთა სხვადასხვაობა. დიდად საყუ-

რადღებოა, ამასთანავე, მეგრულ-ჭანურ-სვანურის შესახებ არსებული შეხედულებების ანალიზი.

წიგნში გადმოცემულია და კრიტიკულად განხილული თეორიები ქართული ენის გენეზისის თუ მსოფლიოს ენებთან მიმართების თაობაზე.

ეს თეორიებია: 1. კოლხურის წარმომავლობა ეგვიპტურისაგან, 2. დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერიის კავშირითიერთობა, 3. ზენდურ ენასთან ქართულის ურთიერთობა, 4. ქართულის დაკავშირება ევროპის ენებთან.

ავტორი დაწვრილებით არჩევს ადელუნგის, პერვარსის, პოსტელისა და სხვათა შეხედულებებს. ვრცლად ჩერდება დისერტანტი ცნობილი ფილოსოფოსის ლაიბნიცის ქართველოლოგიურ ნააზრევზე.

გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა:

1. პროფესორ ფრანც ალტერის შრომის შეფასებისას საჭირო იყო ავტორს ხაზი გაესვა იმ გარემოებისათვის, რომ ალტერის წიგნი ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში ითვლება პირველ ნაშრომად, სადაც აღძრულია ქართული ცოცხალი მეტყველების საკითხები. მან, პირველმა, მოგვცა ქართული დიალექტების კლასიფიკაცია, თუმცა ნაკლოვანი, არასრული. ამდენად, მის გამოკვლევას ისტორიული მნიშვნელობა აქვს (იხ. შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბილ. უნივ. შრომები, III, 1936; მისივე, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954).

2. ზოგიერთი გრამატიკული ნაშრომის გარჩევისას ცალკეულ დებულებებს კონკრეტულობა აკლია. მაგალითად, როცა ნ. ორლოვსკაია ხელნაწერთა ინსტიტუტში დატული გრამატიკის ანა-

ლიზს იძლევა აღნიშნავს, რომ უცხოელ ავტორს აღძრული აქვს ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმის საკითხიო. როგორც ვიცით, ქართული ზმნის ეს თვისება გვიან შენიშნეს გრამატიკოსებმა; აქ კი თურმე ლაპარაკია მრავალპირიანობაზე, მაგრამ ნაშრომიდან არ ჩანს, რა მასალის საფუძველზე და როგორ არის კონკრეტულად ეს საკითხი გადაჭრილი მე-18 საუკუნის უცხოელი გრამატიკოსის ნააზრევში (გვ. 291).

3. ესპანელი მკვლევრის პერვარსის შრომის დახასიათებასაც აკლია სისრულე და კონკრეტულობა. მაგალითად, 273-ე გვერდზე ნათქვამია, რომ პერვარსის ნაშრომებში უფრო უხედადა მოცემული ცნობები ქართული დიალექტების შესახებ, შედარებით ადელუნგის გამოკვლევასთან. ეს საინტერესო საკითხი აქ მიფუჩეჩებულია და ზოგადი განცხადებით შემოფარგლული. ამით შეიძლება დავამთავროთ.

საერთო დასკვნა ზემოთქმულიდანაც ნათელია: ნ. ორლოვსკაიას ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ქართული ენის კვლევის ისტორიას, დიდად მნიშვნელოვანია მეცნიერებისათვის. მკვლევარს შეუწყვავლია დიდძალი მასალა, გამოუვლენია ბევრი, დღემდის უცნობი, ავტორი, ღრმად და საფუძვლიანად გაუანალიზებია მათი ნააზრევი, კრიტიკულად დაუფასებია ეს ფრიად საგულისხმო გრამატიკული ლიტერატურა. ნ. ორლოვსკაიას მიერ მიღებული დასკვნები და კვლევის შედეგები გასაზიარებელია და თანამედროვე ლინგვისტური მეცნიერების თვალსაზრისით სავსებით მისაღები. ქართველურ ენათა მეცნიერული შესწავლის ისტორიაში სარეცენზიო შრომა უთუოდ სპატიო ადგილს დაიჭერს.



პარლო კობერიძე

პაკგუე თაკგენილი პაკგი მოთხრობები

ჩვენმა მკითხველმა კიდევ ერთი აფხაზი მწერალი — ალექსი გოგუა გაიცნო, — გამოვიდა მისი მოთხრობების კრებული: „თეთრი ცხენი“. ეს უფრო იმიტომაა სასიამოვნო, რომ ახალგაზრდა, ნიჭიერ შემოქმედთან გვაქვს საქმე. სამწუხაროდ, აფხაზური ენა არ ვიცით და ვერც დედნის ავკარგიანობაზე ვიტყვი რამეს, მაგრამ თუ თარგმანის მიხედვით ვიმსჯელებთ, წიგნი უდავოდ ყურადღების ღირსია.

სარეცენზიო კრებულში ოთხი მოთხრობაა შესული: „თეთრი ცხენი“, „ჩაუქრობელი ცეცხლი“, „ორნი ქვეითად“ და „თაქარას თვალები“. ოთხივე საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან: მოქმედ გმირთა ხასიათებით, თხრობის ტონალობით, გამომსახველობითი ხერხებით... და მაინც ერთი თემა აერთიანებს: სოფელი. ავტორი კარგად იცნობს თანამედროვე სოფელს, კარგად ვერკვევა გლეხკაცის ფსიქოლოგიაში, ღრმად სწვდება სოფლელი ბიჭის სულს, და ეს ყველაფერი მთლიანობაში მიმზიდველ, დამაჩერებელ სურათს ქმნის. სოფლის პეიზაჟის ვადმოსაცემად საოცრად სიტყვაძუნწობს და ამ სიტყვაძუნწობაში გამოცდილი ოსტატის თვალი და ხელი ჩანს; მხოლოდ ორიოდ სიტყვით ვადმოსცემს აფხაზეთის სოფლის სურათს და ეს სურათი დიდხანს რჩება ჩვენს მეხსიერებაში.

კრებული იხსნება მოთხრობა „თეთრი ცხენით“. არ შეიძლება კაცმა აუ-

ღელვებლად, დამშვიდებით წაიკითხოს ეს მშვენიერი ნაწარმოები. ომის სუსხი ჩვენც მოგვწვდა, ჩვენც მოგვამსხვრია მალლა-მალლა საფრენი ფრთები. დღევანდელმა, ოცდაათ წელს გადაცილებულმა ახალგაზრდამ იმ მძიმე დღეების წინაშე თავისებურად მოიხადა ვალი: უმამობით, დედის ცრემლებით, მეტნაკლები შიმშილ-სიშიშვლით, ყდამოცვეთილი სასკოლო სახელმძღვანელოების თრევითა და ფარღალა საკლასო ოთახებში ჯდომით. ამ მოთხრობაში სწორედ იმ წლებზეა ლაპარაკი: მამა-შვილი ერთად წაეიდნენ ომში, მამა დაბრუნდა, შვილი კი, დედისერთა ბიჭი, — ველარ დაბრუნდა. მისმა უკვე მოხუცმა დედ-მამამ კარგად იციან, აღარ დაუბრუნდებათ და მაინც ელიან. ეს თავისებური ამბავი თავისებური დღეობითაა ვადმოცემული, გარეგნულად კი ცოლ-ქმარი დამშვიდებული ჩანს. არსანს არ უნდა ცოლის დარღისაგან ჩაღრმავებულ თვალებს შეხედოს.

„ბებერ თხმელზე შავი იზაბელა უკვე დამწიფდა. ვეება მტევენები მკრეფელს ეძახიან, ახრა, დად!

არსანა თვალებზე ხელს იფარებს, იქნებ როგორმე თავიდან მოიშოროს ეს მოლანდება.

ახრა, დად! იძახიან თხმელიდან შავი

მტყეუნები... საქორწილო თასებს ღვინო სწყურიათ“.

ამ მოთხრობის წაიკითხვისას არ შეიძლება არ გაგახსენდეთ ქართული ანდაზა: „მგელი ცხვარში ვაერია, ვი ერთის პატრონსაო“. ხალხი საოცრად განიცდის ღვინოს ერთის დაღუპვას, რაჟი მის მშობლებს შეიღო აღარ რჩება ამ ქვეყანაზე, — რაც უბედურებათა შორის ყველაზე დიდი უბედურებაა. დარჩა მოხუცი ცოლ-ქმარი ფიქრებისა და ოცნების ამარა. მაგრამ მათ ასულდგმულებთ თეთრი ცხენი, — მას ეალურსებიან, ეფერებიან, ისღა მათი იმედი.

„იმ საღამოს, როდესაც ისინი ომში მიდიოდნენ, თეთრა დიდი კაკლის ძირში ბალახობღა. ახრამ კვიცს კისერზე ხელში მოხვია და მის თავს ლოყა მიადო, მერე შუბლზე აკოცა და წავიღა. კვიცმა ჭიხვინი დაადევნა.

იმ დღის შემდეგ თეთრა არავის იკარებღა, გატყუარღა, ხშირად მთელი კვირა მინდორ-ვეღად დაშლივინობღა...“

ღრო თანდათან გაიპარა და ცხენიც დაბერღა, მაგრამ ისევ ისეთივე უკარება დარჩა. და, აი, ერთხელ შეამჩნიეს: ვიღაცას თეთრასთვის ფაფარი საგანგებოდ დაეწწა. არსანას მორწმუნე ცოლს ჰგონია, ეშმაკებმა დაუწწესო და ეს შევიღდაკარგული დეღა რაღაც კიდეე უფრო ცუდ ამბავს მოელის, პირიქით კი ახღა: ცხენის დასახეღად წასული არსანა მოულოდნეღად პატარა ბიჭს ნახავს, რომელიც ამ უკარება ცხენს ეფერება, ეალურსება. გოაცებული ბერიკაცი ერთხანს თვალს არ უჯერის, მერე ახლოს მივა, გამოელაპარაკება პატარა ბიჭს და შეიტყობს: თურმე მეტყვევის შეიღია და ეს თეთრი ცხენი ჩემიღო, ამბობს. ბერიკაცი პატარა ბიჭს აკვირდებღა და ახრას პატარაობღა ახსენდებღა. ისიც სწორედ ასეთი იყო... არა მარტო ჰგავს, ახრაც ჰქვია. ბერიკაცი საბოლოოდ დარწმუნდებღა, რომ მისი შეიღიშვიღია. აკი ბიჭიც გულუბრყვიღოდ უდასტურებს:

„... მე და ჩემი დეღა ყოველდღე მოვ-

ღვიართ მასთან და სიმიდს ვაქვიეო, დეღასაც ძალიან უყვარს ეს ცხენი. ერთს ძალიან გულად კაცს უყვარღო... მერე დაჯღა და ტირიღი დაიწყო! მე არ მიტირია!...“

არსანა ფიქრებში გაეხვია, წარსულს გადაავღო თვლი და ერთბაშად აღმოაჩინა, რომ ნაშვირი ჰყოღია: შეიღის დაკარგვით განადგურებული მოხუცი ცოლ-ქმრის ცხოვრებაში იმედის სხვიე შეიჭრა, ნათელი, ჩაუქრობელი სხვიე.

ამ მშვენიერ მოთხრობას არანაკლებ მშვენიერი ფინალი აქვს:

„არსანა ახუბას სახლიდან წასული სტუმარი სანამ სერს გადაივღიდეს, მაღლიდან გაღმოხეღავს მასპინძელის კარ-მიღამოს.

მოავონდებღა იმ სახლში მიღებულთ პატივისცემა, ორი ტკბიღი მოხუცი და პატარა ბიჭი, რომელსაც ოდესღაც განთქმული მოჯირითე არსან ახუბღა ცხენზე ჯღომას დასწავღის“.

კვიითუღობთ ამ მოთხრობას და თვალნათღევ ვხეღავთ ბედნიერ ოჯახს, მზით მოფენიღ ეზო-ყურეს და იმ პატარა ბიჭს, უსაზღვრო ბედნიერებად რომ შეიჭრა ორი სიცოცხლეგამწარებული მოხუცის ცხოვრებაში.

ასევე კარგი მოთხრობაა „თაქარას თვღლები“, მშვენიერად არის გაღმოცემული მწყემსი ბიჭისა და ძაღლის მეგობრობღა. ძნელზე ძნელია თხების მწყემსეღა, და სწორედ თხების მწყემსავია პატარა ბიჭი ნური. პირდაპირ აწამებენ თხები, აღმა-ღაღმა დაარბენინებენ, ქარის ამოღებას არ აცღიან. და აი, ამ ღროს გამოჩნდებღა მეზობღის ძაღღი თაქარა.

ნური ობოღია — მამა ომში დაეკარგა. ზაფხუღის არღადაგებზე თავისი ექვსი თხა და სოფელღების თხები დაუღღის ჭღალში. რა თქმა უნღა, ცოტაოდენ გასამრჯელღოს უხღიან, — ამით ეხმარება ოჯახს. ერთხელ ნურიმ ბეგერს უცეცხლო თაფღი ჭამა, ავად გახღა, კინა-

კარლო კოზაბრიძე
აარზად თარგმნიღი კარგი მოთხრობები

ლამ წყალში დაიხრჩო და თავიარამ გადაარჩინა; ერთხელ კი თავიარა გახდა ავად.

ავადმყოფობით მიკნავებული თავიარა ნურის ველარ დაყვებოდა ქალა-ტყეში, ღობის ძირში ეგდო. ერთ დღეს თავიარას პატრონს სტუმრები ეწვივნენ, წასვლისას თავიარა დაინახეს და უსაყვედურეს დიასახლისს, ამ ძაღლის შემხედვარეს ლუკმა ყელში როგორ გადაუვაო, როდის აქეთ გახდი წუწურაქიო. სტუმრები რომ წავიდნენ, საერთოდ უქმური ხასიათის დიასახლისმა თოფი გამოიტანა სახლიდან, ნურის მიაწოდა, — მოკალი ძაღლი და თოფი შენი იყოო. ნური სულ თოფზე ოცნებობდა. კარგია თოფი, მაგრამ... თავიარა სასიკვდილოდ არ ემეტებოდა. ბოლოს, ასე იყო თუ ისე, ძაღლს თოფი დასცა ნურიმ. თოფი რომ დასცა, მერე გამოერკვა, ძაღლს თვალეზში ჩახედა: ის თვალეზი ისეთი სიყვარულით უცქეროდნენ, თითქოსდა აქ არაფერი მომხდარაო. ნურიმ თოფი მოიქნია, მიწაზე დააწეთქა, გატრიალდა და წავიდა.

ეს ამბავი ტურგენევის ცნობილ მოთხრობას „მუმუს“ რომ ჰგავს, დიდი მიხვედრა და მტკიცება არ უნდა. იქაც ზუსტად ასეა: უხასიათო ქალბატონის დაჟინებული მოთხოვნის თუ ბრძანების გამო, მუმუ წყალში დაიხრჩო გერასიმე, მერე ქალბატონის სახლ-კარიც მიატოვა. აქ კი: ნურიმ ძაღლს თოფი დასცა — დიასახლისს სურვილი შეუსრულა — მერე აღარც ის თოფი ისურვა და აღარც მისი თხები წაიყვანა მოსამწყემსად, — კუთვნილი გასამრჯელოც არაფრად ჩაავდო.

საბედნიეროდ, ალექსი გოგუას მოთხრობას აქ არ უზის წერტილი. ამ ამბავიარა მსგავსებას მოთხრობის დასასრული აბათილებს:

„იმ დღეს სოფლის ორღობეში მივიდიოდი. სადღაც ეზოდან ლამაზი ლეკვი გამოვარდა, ყეფა დამიწყო. ხან წინიდან შემომირბინა, ხან კიდევ ზურგიდან მომეტანა.

მე ჩუმი ვიგერიებდი და ვცდილობდი, მისი თვალეზი არ დამენახა, არც ის მინდოდა, რომ ლეკვი შემჩვეოდა და დანდობილი შემხვედროდა ამ გზაზე გავლისას.

დაე, მიყეფოს ასე ბრაზიანად, ასე სჯობია“.

„ჩაუქრობელ ცეცხლში“ მოშობილურა სოფლის სიყვარულზე, სასიამოვნოდ გასახსენებელ დღეებზე გვესაუბრება ავტორი. კეთილი თვალით დანახულ ამბავს ჩვენც კეთილად განვიცდით. დამაჯერებლადაა გახსნილი ორი კეთილი ბერიკაცის ამბავი („ორნი ქვეითად“). ბერიკაცები უერთმანეთოდ ვერ ძლებენ, ხანდახან ერთმანეთს უსამველოდ ეტრაბახებოდნენ... ახლა გზას ადგანან მუქარით: ვინც ისინი მოატყუა, სულ ერთია, კომბალი უნდა გადაამტერიონ თავზე, ასეთ რამეს როგორ შეარჩენენ, მუხლი არ ერჩით თუ ღონე?.. მაგრამ პატარა ბავშვებივით ქებით უღობობენ გულს და ხელცარიელს ისტუმრებენ.

საერთოდ, ალექსი გოგუას მოთხრობები კარგი საჩუქარია ჩვენი მკითხველისათვის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს: ამ წიგნს ქართული სიტყვის სურნელი იმდენად მკვეთრად დაჰკრავს, თითქოსდა გვეიმევენება კიდევ, რომ თარგმანთან გვაქვს საქმე. მერი ნიუჟარძეს პასუხისმგებლობის გრძნობით, სიყვარულით უთარგმნია ეს მოთხრობები და აკი ნაყოფიც მოვიმკეთ — ამ წიგნით განცდილ სიამოვნებაში მისი დიდი წვლილია.



სიჭაბუკის სათქმელი

რუსი კრიტიკოსი ქალი ელენე ნიკოლაევსკაია შარშან „ლიტერატურნია გაზეტას“ ფურცლებზე მორის ფოცხიშვილის ლექსების შესახებ წერდა: „პოეტის აზრი და გრძნობა მუდამ სიმართლის, ცხოვრების აზრის, ადამიანის წინაშე აღმართულ წინააღმდეგობათა და სირთულეთა გადალახვის გზების ძიებაშია. ზოგჯერ იგი ლაპარაკობს მკაცრი რეალობისა და ოცნების ურთიერთშეტაკებაზე, ოცნებაზე, რომლის დაფრთხობაც არ შეიძლება, ლაპარაკობს სილამაზეზე, რომელიც უმადლეს რეალობად უნდა იქცეს. პოეტი დაძაბულად ფიქრობს სულისა და ცხოვრების დიალექტიკაზე, დროთა წინააღმდეგობებზე და „ცხოვრების ეტლზე“, იმაზე, რომ ჩვენ მუდამ წინ მივდივართ, ეჩერდებით და კვლავ წინ მივისწრებით“:

ამ რამდენიმე ფრაზით რუსმა კრიტიკოსმა ქალმა ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრა და დაახასიათა პოეტის შემოქმედებითი თავისებურებანი. ამ მიმართულებით საუბრის გასაგრძელებლად დიდძალ მასალას იძლევა პოეტის ახლახან გამოსული კრებული „ზმა“. ამ წიგნში პოეტმა თავი მოუყარა თავისი შემოქმედების ახალგაზრდულ პერიოდს.

ქუჩაში გდია პურის ნატეხი, —
ერთ ღროს სამი ღდის სიცოცხლის სხივი,
ჩაივლის ხალხი...
და პურის ნატეხს
უბერავს ქარი ფიქრით ცივი.

ქუჩაში გდია პურის ნატეხი,
რომელსაც ვიღაც გიყვივით უშვებს.
მივა, აიღებს როგორც ღილილოს,
ფრთხილად შემოსდებს საღდაც თაროზე...
ო, მისი სევდა ვინ გამომხილოს
აქ, ამ ღუმელის სასაფლაოზე.
რად უციმციმებს თვალებში გზნება,
ვინ ახსენდება
ან რას შესტირის?!

მიღის და ხის ფეხს ქუჩაში რჩება
უთქმელი ღარღის მრავალწერტილი...

„პურის ნატეხი“ — ასე ჰქვია ამ კარგად გააზრებულ და დაწერილ ლექსს. ადამიანი, რომელიც ყოფილა ომში და ბრძოლებში ფეხი დაუკარგავს, გიყის თვალებით უშვებს ქუჩაში დაგდებულ პურის ნატეხს. რის თქმა სურს პოეტს ამ დეტალით? ნომარ კაცს გაახსენდა სანგრები, როცა მშვიდრიც კი ებრძოდა მტერს, როცა პურის ერთი ნამცეცი ძილშიც კი ეზმანებოდა. ახლა აგერ, ქუჩაში გდია პურის ნატეხი და მას სიმამღრის მტკერი ეყრება. ომგამოვლილ კაცს აქვს მკაცრი მეხსიერება, მას ახსოვს ბევრი რამ და ამიტომაც ისევე ფრთხილად ჰკიდებს პურს ხელს, როგორც ღილილოს მოჰკიდებდა. ასევე ფრთხილად შემოსდებს თაროზე და მიღის კაცი...

მიღის და... ხის ფეხს ქუჩაში რჩება
უთქმელი ღარღის მრავალწერტილი...

რა არის ეს უთქმელი ღარდი, ასე ფერწერულად რომ მიგვანიშნებს პოეტი? ხომ არ არის ეს ნაღვლიანი დაფიქრება ადამიანების უყურადღებობაზე, ადამიანებისა, რომლებსაც მიავი-

წყდათ დიდი ტყვილები? იმდენად მია-
ვიწყდათ, რომ ქუჩაში პურის ნატეხსაც
ვერ ამჩნევენ? შეიძლება ასეც იყოს.
ომგამოვლილი კაცის ფსიქიკისათვის ეს
მომენტი ძალზე მძაფრი იქნება და მო-
რის ფოცხიშვილმა კარგად გაითვალის-
წინა ეს გარემოება. ამ ლექსში პოეტი
იყენებს კონტრასტის ხერხს, რაც დიდ
ემოციურ და აზრობრივ დატვირთვას
აძლევს ლექსს.

მორის ფოცხიშვილი ქართული პოე-
ზიის ახალი და უკვე საკმაოდ მომძლავ-
რებული ნაკადის წარმომადგენელია.
იგი ბევრი რამითაა დავალებული ამ ნა-
კადისაგან, ისევე როგორც მისი კოლე-
გები — მისგან, მორის ფოცხიშვილის
ლექსების ლირიკული გმირი ხაზგასმუ-
ლად კეთილი და სიკეთეზე დაფიქრე-
ბული პიროვნება (მორის ფოცხიშვილს
ჰქონდა ერთი განმასხვავებელი ნიშანიც,
რაც არ ლაპარაკობდა მისი პოეტური მა-
ნერის უპირატესობაზე. ქართული ახალ-
გაზრდული პოეზიის მოწინავე ფრთისა-
გან განსხვავებით, მორის ფოცხიშვილი
მოჭარბებულად მიმართავდა ხალხურ
ინტონაციებს, უზომოდ ენდობოდა მისი
ემოციური ზემოქმედების ძალას. ამის
გამო პოეტის ლექსებში არც თუ იშვი-
ათად შეიპარებოდა ხოლმე პრიმიტიუ-
ლობის ნიშნები). მისი პოეტური ფიქრი
მუდამ აღამიანთა ამ კეთილშობილ თვი-
სებას დასტრიალებს თავს. მორის ფოც-
ხიშვილისათვის ეს არ არის პოზიორო-
ბა, არც საკუთარი თავის „კეთილმო-
სურნე მქადაგებლის“ პოზიზმი ჩაყენების
სურვილი. ეს თვისება ორგანულია მი-
სი, როგორც პიროვნების, შოკალაქეობ-
რივი მრწამსისათვის. უფრო მეტიც,
პოეტის მიერ სიკეთის ასეთი ქადაგება,
კეთილისადმი ლტოლვა შეიძლება მის
საბრძოლო იარაღადაც კი ჩაითვალოს.
მორის ფოცხიშვილს სიკეთე არ ესმის
როგორც განყენებული ცნება, როგორც
მხოლოდ მორალის კატეგორია. პოეტი
აღამიანებში დაეძებს სიკეთეს, იბრძვის
მისთვის. ამავე დროს იგი ებრძვის სი-
ყალბეს, ებრძვის ყოველივე იმას, რა-
საც მეშინობას ვეძახით. პოეტი ერთ-

გვარი შეფარული ირონიითა და მხი-
ლების პათოსით ამბობს:

არ ფიქრობენ და ლაპარაკობენ...
ლაპარაკობენ მარლზე, წყალზე,
ლაპარაკობენ იისფერ გზაზე,
ფულზე, ბაზარზე, ქურჭზე.
არ ფიქრობენ და ლაპარაკობენ...
კიდევ ამკობენ საღღაც სამკობელს,
ყური ყველაფერს უძღებენ...
ისე უგულოდ ლაპარაკობენ
გავლისებულ გულზე...

შეიძლება პოეტის ეს თვისება არც
იყოს ხაზგასმული, მაგრამ თუ გავიხსე-
ნებთ დღეს დაწერილი ლექსების ერთ
ნაწილს, დაგვრწმუნდებით, რომ, სამწუ-
ხაროდ, პოეტებს ზოგჯერ პოეტის
უპირველესი მოვალეობა ავიწყდებათ.
ცხოვრებისეულ მოვლენათა ფართო
პლანით დანახვა ცუდი როდია, მაგრამ
პოეტმა უნდა ჩაიხედოს აღამიანის
სულში, ყური დაუგდოს აღამიანის „გა-
გულისებულ გულს“ ფეთქვას, თო-
რემ ზოგჯერ რა გამოდის: პოეტი აღ-
წერს სახლს, ოჯახს და არც კი ცდილობს
შეიხედოს ამ ოჯახში, დაინახოს ამ ოჯა-
ხის ცხოვრება, იგრძნოს მისი დიდი თუ
პატარა ტკივილები და სიხარული. იქ-
ნებ სულაც ამგვარი ზერელე სტრიქო-
ნების ავტორზე ამბობდეს პოეტი:

ლაპარაკობენ ისეც და ასეც,
კიდევ ჯერობენ თითქოს, —
ლაპარაკობენ, რა შეუძლია
ტელესკოპსა და მიკროსკოპს...

ყოველივე ეს დიმილის მომგვრელი-
ცაა და დამაფიქრებელიც. გააჩნია, ვინ
როგორ გაიგებს, ვის როგორ ენიშნება.
ყოველ შემთხვევაში, პოეტს ძალზე
მტკივნეულ საკითხად მიაჩნია და სად-
ღაც სიბრაზის ინტონაციებიც კი ისმის
ბოლო სტრიქონებში:

მე კი ვდგავარ და ვუდი,
რას იტყვის
კაცი, რომელიც ფიქრობს.

კარგია, როცა პოეტი დელავს, როცა
იგი ხმაშედილად ლაპარაკობს, საზოგადოე-
ბა აღელვებულ პოეტს უფრო უსმენს,
ვიდრე დამტკბარი შაირებისა თუ ბაია-
თების ავტორს.

ამ პრობლემას ეხმიანება ლექსი „მაიშინი“. პოეტი პუბლიცისტიკისათვის დამახასიათებელ ინტონაციებს უფრო იყენებს, უკვე ცხადად ისმის პოეტის ბრაზიანი ხმა, იგი ხმამაღლა ლაპარაკობს (ოღონდ ისე კი, რომ არსად არ დალატობს საკუთარ თავს) ზოგიერთი ადამიანის სიმდაბლეზე, გულის და სულის სიპატარავეზე. იქნებ ვინმემ ჩათვალოს, თითქოს ისეთი ხმის და მანერის პოეტისათვის, როგორც მორის ფოცხიშვილია, დამახასიათებელი არ იყოს ასეთი სტრიქონები:

კაცი იყავ და... ვინ იცის, ბოლოს არაკაცობა ირჩევ მაინც, —
 იქნებ შეგპირდნენ ხატულა სოროს,
 იქნებ შეგპირდნენ ბროლივით მარლის,
 იქნებ სხვა იყავ, როდესაც ლოშნა,
 დაუწყე სხვათა მუხლებს და შურით,
 შენ შეაფასე შენი მძა გროშად
 და მერე ეშმაკს მიპყიდე სული...

შეიძლება ამ ლექსში პოეტი, მართლაც, უფრო ხმამაღლა ლაპარაკობდეს, ვიდრე მას სჩვევია საერთოდ და ამით ისადაც წიგნის საერთო ინტონაციაც ირღვეოდეს, მაგრამ ამ სტრიქონებში ჩაქსოვილი სულისკვეთებით მორის ფოცხიშვილი კვლავ ერთგული რჩება თავისი თემისა, იგი კვლავ სიკეთის იმ მორალურ-ეთიკურ პრობლემას ამუშავებს, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ამავე საკითხს ეხმიანება ლექსი „რაც არ მინახავს“. მხოლოდ ეს კი არის, რომ ამ ლექსში პოეტი ალგორითულ ფორმას უფრო იმარჯვებს და ისე გველაპარაკება ადამიანებში არსებულ დათვურ ბუნებაზე, ადამიანებზე, რომლებიც არც თუ ისე იშვიათად მახეს უგებენ ერთმანეთს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ადრე მორის ფოცხიშვილი ჰარბად მიმართავდა ხალხურ ინტონაციებს. ამ წიგნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დღეს პოეტი სულ სხვაგვარად უყურებს ამ საკითხს და ხალხურ ინტონაციებს თუ მიმართავს, უფრო დახვეწილად ვადმოაქვს იგი პოეზიაში. ყოველ პოეტს შეუძლია და, ვფიქრობთ, სასურველიცაა მიმართოს

ხალხური საუნჯის ამ ფასდაუდებელ სალაროს. მაგრამ აქ ზომიერების დაცვაა საჭირო. მკითხველს არ უნდა გაუჭირდეს სამანის დადება ხალხურ პოეზიასა და პოეტის ნაოსტატარს შორის. არ უნდა დიკარგოს პოეტის ხელწერა და ის მთავარი ნერვი, რისთვისაც მან ხელი მოჰკიდა ამა თუ იმ ხალხურ მოტივს. მორის ფოცხიშვილი კვლავ მიმართავს ხალხური პოეზიის საუნჯეს, მაგრამ ხალხური პოეზიის მოტივებზე (ტრებულში უმთავრესად ქალაქური პოეზიის ინტონაციები ისმის) აგებული მისი ლექსები ამჯერად გაცილებით რაფინირებულია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა წიგნში შესული ბალადები „აღმოსავლური ბალადა“, „ქანონიერი რწმუნის ბალადა“ და ცალკეული ლექსები. რადგან ბალადებზე ჩამოვარდა სიტყვა. არ შეიძლება აქვე არ მოვიხსენიოთ „ჩაძირული ხომალდის ბალადა“.

მაგრამ ბოლოს პოეტის ყველა თემა, ყველა მოტივი თავს იყრის ნაწარმოებში, რომელსაც „ფიქრები კეთილ კაცზე“ ჰქვია. იგი მორის ფოცხიშვილის ნამდვილ გამარჯვებულ შეიძლება ჩათვალოს. ეს არის ლირიკული აღსარება, მართალი სიტყვა ადამიანზე, რომელიც სიკეთის ეკლიანი გზით დადიოდა ცხოვრებაში და თავისი სიკეთის გამო ბევრი ტანჯვაც გამოიარა. მორის ფოცხიშვილმა ამ ერთ ადამიანში მოუყარა თავი საკუთარ წარმოსახვაში არსებული კეთილი ადამიანის თვისებებს. მან შექმნა თავისი პოეტური იდეალის მატარებელი პიროვნება და აღფრთოვანებით უმღერა მას. უმღერა ცოტა პათეტურად, მაგრამ მთელი არსებით ეს ნაწარმოები დიდი შინაგანი ექსპრესიითაა დაწერილი. სარეცენზიო წიგნით მორის ფოცხიშვილმა ერთგვარად შეაჯამა განვლილი შემოქმედებითი გზა; თავი მოუყარა ყველაფერს, ერთად თქვა მთელი სიკაბუკის სათქმელი და თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მეორე, მნიშვნელოვან პერიოდს გაუწოდა ხელი, გაუწოდა მხნედ და დაჯერებულად.



სსრკ

სსსტრიბ

კ ი ნ ო თ ე პ ა ტ რ ი ს ვ ტ ო მ ა მ უ რ ტ ო ლ ო გ ი ა მ ო ს ო მ ო ს

ერთ-ერთი დასავლეთგერმანული ფირმა ავსტრიაში აგებს პირველ კინოთეატრს ავტომატურტელევიზიისათვის. კინოთეატრში, რომლის ფართობია 40.000 კვ მ, მოთავსდება 1.150 ავტომაწანა. ეკრანის ზომია 525 კვ მ. წინასწარი გაანგარიშებით, მშენებლობა და სათანადო აღჭურვილობა 10 მლნ შილინგი უნდა დაჯდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ხარჯთაღრიცხვა საგრძნობლად გაიზარდება.

არაბეთის ბაერთინანბული რისპუბლიკა

ათასწლოვანი ბაქტერიები ბაცოცხლად

ქაიროს უნივერსიტეტის მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა. ამას წინათ მიმდინარებდა რამდენიმე ათასი წლის წინანდელი ტაძრის გათხრა. მკვლევარებმა ყოვლად სტერილურ პირობებში გათხრების აღვლიდან აიღეს ღორღი, დაფშვნის და მასაზრდოებელ არეში გამოხდა, მეცნიერებმა მიკროსკოპის მეშვეობით დაინახეს ორი სახის ბაქტერიები, რო-

მელნიც კვლავ გაცოცხლდნენ. მეცნიერთა გაანგარიშებით, ღორღთან ერთად დღემიწის ზედაპირზე ამოტანილი და გაცოცხლებული ეს ბაქტერიები სულ ცოტა, 3.000 წლისა მაინც იქნებოდნენ.

ა უ ზ

ნ ო მ ა ლ ი ს პ რ მ ი მ ა ს ო მ ს ო რ ბ ა მ უ მ დ ე მ ს

ამერიკელმა სოციოლოგმა, პროფესორმა ქალმა პარიეტ ცუკერმანმა (კოლუმბიის უნივერსიტეტი), განაცხადა, რომ ნობელის პრემიის მინიჭება არასასურველ გავლენას ახდენს ლაურეატთა შემდგომ სამეცნიერო მოღვაწეობაზე. მან გამოკვლეა ამერიკაში მცხოვრები 61 ლაურეატის სამეცნიერო მოღვაწეობა ნობელის პრემიის მინიჭებამდე და მინიჭების შემდეგ ნ-წლის მანძილზე და დაადგინა, რომ დაჯილდოებულთა სამეცნიერო მოღვაწეობის დონემ საგრძნობლად იკლო. ამის მიზეზი, მისი აზრით, გახლავთ შეტისმეტი პოპულარობა — მთ მოსვენება აღარა აქვთ: უნდა ჩაატარონ საუბრები, წერონ სტატიები, გამოვიდნენ რადიოხდა ტელევიზიაში, წინანდელთან შედარებით უფრო სწორად მონაწილეობენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაშიც კი და შეხამებლობა აღარა აქვთ გულისყურით მოყვიდონ თავიანთ სამეცნიერო მუშაობას.

ოკეანოგრაფია — მომავლის მეცნიერება

სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ოკეანოგრაფიას, რომელსაც ამერიკაში „მომავლის მეცნიერებას“ უწოდებენ და რომლის პრაქტიკული მნიშვნელობა, მათი აზრით, უფრო დიდია, ვიდრე კოსმოსის გამოკვლევა. ამერიკელმა მეცნიერებმა ოკეანოგრაფიის დარგში შეიმუშავეს ორი დიდი პროექტი: მოინახოს ძვირფასი ლითონები ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე, სადაც ასეთ ლითონებს წააწუდნენ ამ ასი წლის წინათ, და მოეწყოს ფლორიდაში (მაიამში) დიდი ოკეანოგრაფიული ლაბორატორია 300 თანამშრომლით.

„მანქანური მითი“

ამერიკელმა ფილოსოფოსმა და თანამედროვე ცივილიზაციის ისტორიკოსმა ლუის მეშფორდმა დაწერა წიგნი — „მანქანური მითი“. ამ წიგნში ავტორი მკითხველს ესაუბრება იმ საშიშროებაზე, რასაც სამანქანო ტექნოლოგია უქმნის აღამიანის სასიცოცხლო ვარემოს. სხაური, გაიმძღვრებული ჰაერი, მწვანე ნარგავების გაქრობა და ქალაქების ზრდა, მემფორდის აზრით, მეტად ძვირი საფასურია სწრაფი ტექნიკური პროგრესისათვის. მას ტექნოკრატიული ცივილიზაციის მორალური დეფორმაციის დადსტურებად მიაჩნია



ამერიკის ომი ვიეტნამში. მემფორდი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ღია წერილით მიმართა პრეზიდენტ ჯონსონს და პროტესტი განაცხადა ამერიკის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის გამო.

სტამბოლი — ფილიანტროპი

სახელგანთქმულმა ღირსიურმა ლეოპოლდ სტაჟოვსკიმ, რომელსაც უკვე 82 წელი შეუძრავდა, ნიუ-იორკის საავადმყოფოებში კონცერტები გამართა ომის ვეტერანებისა და ინვალიდებისათვის. კონცერტები უფასო იყო და სტაჟოვსკიმ, რაკი ვერ პოვა მდიდარი მეცენატი, ვინც ამ მიზნისთვის ფულს გაიმეტებდა, 28 მუსიკოსს თვითონ გადაუხადა გასამარქველი — 4.000 დოლარზე მეტი.

მიუხედავად ამისა, მოხუცი ღირსიური მზადაა კვლავ განაგრძოს ეს კეთილშობილური საქმიანობა. „ჩემი გასამარქველი ისაა, რომ ავადმყოფები შევხვას გრძობენ, როცა მუსიკას ისმენენ“, — განაცხადა მან.

მსოფლიოში უდიდესი სარკოსოები

1975 წელს კალიფორნიის ქალაქ ლოს-ანჯელესში აშენდება მსოფლიოში უდიდესი აეროპორტი, რომელიც წელიწადში 57,5 მლნ მგზავრს მოემსახურება. აეროპორტს ექნება მიწისქვეშა ხაღვამი 30.000 მსუბუქი მანქანისათვის და საგანგებო ასაფრენი მოედნები ვერტმფრენებისა და მცირე ზომის თვითმფრინავებისათვის. აეროდრომის ასაფრენი გზები ამთავითვე გათვალისწინებულია ზესმოვანი და გიგანტური სატრანსპორტო რაკეტული თვითმფრინავებისთვის, რომლებშიც 500-ზე მეტი მგზავრი ჩაეტევა. აეროპორტის მშენებლობა 500 მლნ დოლარი ღირსებს.

33060

აზრიპული მედიცინის ინსტიტუტი

გვინეაში იხსნება აფრიკული მედიცინის ინსტიტუტი, რომელიც შეისწავლის და განავითარებს სამამულო მედიცინის ტრადიციებს. დასავლეთაფრიკული სამედიცინო წრეები მიესაღებენ გვინეის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას, ვინაიდან ესოდენ განვითარებული სამედიცინო მეცნიერებაც კი ბევრ რამეს იხსნავს აფრიკელებისგან, განსაკუთრებით ტროპიკული სამკურნალო მცენარეულობისა და მათი შედეგების შესწავლის მხრივ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

მინის კარამიკა

კომპანიამ „ტექნიკური მინა“ გამოიმუშავა მინის ახალი სახეობა — მინის კერამიკა, რომელსაც ორივე მასალის თვისება აქვს: იგი გამჭვირავია, არ ტყდება, უძლებს ტემპერატურის ყოველგვარ ცვლილებას რამდენიმე ასეული გრადუსის ფარგლებში (ცელიუსით). ფირმა იმედოვნებს, რომ შესაძლებელი იქნება ასეთი მინის გამოყენება კოსმოსის გამოსაკვლევად. — უწინარეს ყოვლისა, ტელესკოპებისათვის, რომლებიც ხელმოწერილი თანამგზავრებივით იტრიალებენ კოსმოსში.

ქალები და ლეიბაქური რომანები

გოლდმანის გამომცემლობა ყოველწლიურად მართავს საუკეთესო ლეიბაქური რომანის კონკურსს. წელს კონკურსში მონაწილეობდა 200-მდე ავტორი, მათ შორის 80 პროცენტამდე — ქალი, ავტორების მიმდევრები. ამიტომ

გასაოცარი არაა, რომ გამარჯვებაც ქალებს ჰქონდათ. პირველი პრემია — 3.500 მარკა — მიიღო ირენ როდრიგაზი წიგნისთვის „იკვდილი სან-პაულოში“. მეორე პრემია წილად ხვდა ირმარად ვაგნერს, რომლის რომანი ეხება დიპლომატიური წრეების ცხოვრებას, ხოლო მესამე პრემია მიეკუთვნა ფრიდა ფონ შტაელებერგს სპირიტისტული სენსის დროს მომხდარი მკვლელობის ირგვლივ შექმნილი ურთულესი კვანძისთვის.

მარაუი

უკველანი სანტო ჩანაწერი

ბელგიელმა მუსიკისმცოდნე ქალმა, დ-რმა დიუსენ-გიმენმა ერასუმი, ქ. ნილურას მუზეუმში აღმოაჩინა თიხის ფირფიტა, რომელიც ამ საუკუნის დამდეგს იპოვნეს მესოპოტამიაში. ფირფიტა დაფარულია ვერტიკალურად დაწერილი ციფრების სვეტებით და თუშქა კარგა ხანია დევს მუზეუმში, ყურადღება არავის მიუქცევია, რადგან ფიქრობდნენ, უბრალო საანგარიშო ჩანაწერი უნდა იყოსო. მაგრამ ბელგიელმა მუსიკისმცოდნემ დაადგინა, რომ ციფრები აღნიშნავს მუსიკალური საკრავის სიმბოლურ შორის არსებულ ტონების მანძილს. მისი ვარაუდით, ასირიელებისათვის ცნობილი იყო ოქტავა და შვიდტონაღორი გემა, რაც დღემდეც არსებობს მუსიკაში.

მენდელსონის კუნძული

ინგლისელი ბერნარდ ფირმანი 10.000 გირანვა ქტრფინგად ყოიის გერბილის ერთ-ერთ პატარა კუნძულს — სტეფის. ამ კლდოვანმა კუნძულმა ერთ დროს შთააგონა კომპოზიტორს მენდელსონი და დააწერიან „გერბილული უფრტიანი“. ჰამბურგულმა გაზეთმა „ველტმა“ მკითხველებს შესთავაზა



დაწესდეს მენდელსონის საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც შეისყიდის კუნძულ სტიფის. კუნძულზე არის საუცხოო აკუსტიკის გამოკვამული, სადაც შესაძლო იქნებოდა ყოველწლიურად ფემინათ მენდელსონის ვატიცვალი.

იტალია

**იტალიის
ბაღასარჩინაღ**

მილანში გაიხსნა გამოფენა, რომელმაც საზოგადოებრიობის ღვიდი ინტერესი გამოიწვია — გამოფენა დღესუბნტური ფოტოსურათებით ცხადყოფს, თუ რა უბოდიშოდ ეკიდებიან იტალიაში ზოგიერთ იშვიათ არქიტექტურულ ძეგლს. თვით მილანში რენესანსის ეპოქის ტაძარ ესპედალეს თავს დაჰყურებს უშნო, ახმახი ცათამბკენი; წმ. მიქელეს ტაძარი ფერარაში გარაჟად გადაქცევილია; რომაული ხანის აპოლო გზა დამახინჯებულია ელექტრობაზეთის ბოქებით. გამოფენა, რომელიც მოეწყო ახალგაზრდა არქიტექტორის რენატო ბაქონის ინიციატივით, იტალიის 27 ქალაქს მოივლის.

ფილმნი პუჩინიში

იტალიელმა კინორეჟისორმა ლუკინო ვისკონტიმ განაცხადა, რომ მისი შემდგომი ფილმი მიეძღვნება კომპოზიტორ პუჩინის ცხოვრებას. მთავარ როლს შეასრულებს მარჩილო მასტროიანი. ეს იქნება ფსიქოლოგიურ-მუსიკალური ფილმი.

საფრანგეთი

1990 წლის პარიზი

საუბეთესო არქიტექტორებმა პრეზიდენტ დე-გოლის და-

ვალდებით შექმნეს პარიზის რეკონსტრუქციის გეგმა — ეს გაზღავთ ჩვენი ეპოქის ყველაზე უფრო გაბედული, ფანტასტიკური გეგმა. პროექტი იმუშავება იმ ვარაუდს, რომ 1990 წელს პარიზის მოსახლეობის რიცხვი 14 მლნ-ს მიაღწევს. ამის შესაბამისად არქიტექტორებმა დაგეგმეს გიგანტური ქალაქის მოსახლეობის მომსახურების უყველა სფერო — სკოლები, საავადმყოფოები, კინოთეატრები, გარეუბი, პარკები, უნივერსიტეტები... ამ გრანდიოზული პროექტის ამას წინათ გამოქვეყნებული მასალები, რაც დღემდე საიდუმლოებით იყო მოცული, გაჩვენებს, რომ ფრანგ არქიტექტორებს შეუძენიათ განსაცვიფრებელი გაქანების, გაბედული იდეების, ფანტასტიკური აზროვნების, მათემატიკური სიზუსტის გეგმა, რომელიც თავს უყრის ყველა ადრინდელ გამოცდილებასა და ცოდნას. უკვე 1980 წლისათვის მზად იქნება ბანკებისა და სადაზღვევო საზოგადოებების შენობები, აგრეთვე ბანკის მონოპოლიები. ყოფილი ბაზრის ადგილას, ახალი რაიონის გასაშენებლად 1968 წლიდან დაიგრევა შენობათა სივრცობის ბულვარი და რამდენიმე ისტორიული ობიექტი. ალუმინის ტიტანური კოშკები, ე. წ. პლიტილის კოშკები, დაიბევენ 10.000 მცხოვრებს, რომელთაც ამ ფანტასტიკური შენობის ყოველ სართულზე აიყვანს 48 ლიფტი; განათლების სამინისტროს უცნაური, 180 მ სიმაღლის შენობა, რომლის ზედა სართულიდან გადაიშლება ახალი ქალაქის ულამაზესი ხედი, ახალი ხიდები, ქალაქის ტრანსპორტისთვის ვერტმფრენების გამოყენება — აი მხოლოდ ზო-

გიერთი ობიექტი ამ განსაცვიფრებელი პროექტისა.

**ბსბსრბტშული
დოსტოშვისანი**

პარიზის სარა ბერნარის თეატრმა დადგა დოსტოევის „მეხი კარამაზოვი“. ინსცენირების ავტორმა უ. პ. ლარინმა რომანს ჩამოაშორა ყველა დრამატული ელემენტი და ბსბსრბტშული სცენარ დადგამაში სცენაზე სამი საათი ლაპარაკობენ დემეტრე, ეშმაკე და ადამიანის გულზე. კრიტიკოსები ირწმუნებიან, დოსტოევისკისთან ეს შეხვედრა წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჩეხოსლოვაკია

**სინჰარულში
უფრო მშენი**

სლოვაკელმა კომპოზიტორმა მირო ბაზლიკმა დაწერა ოპერა „პიერი და ლუჩი“ რომენ როლანის ნოველის სიუჟეტზე. თუმცა ლიბრეტისტი შეეცადა ოპერის მოქმედებათა დრამატიზირებას, მაგრამ ბაზლიკის ნაწარმოები წარმოადგენს ლირიკულ ოპერას წმინდა და ამაღლებულ სიყვარულზე. ოპერა პირველად დადგა ბრატისლავის საოპერო თეატრში ბრანისლავ კრიშკამ, რომელმაც ყველა მოქმედება ზერეალურ სიბრტყეში გადაიტანა და შექმნა ლირიკული მოთხრობა წმინდა სიყვარულზე. მხოლოდ გაწამებულ ადამიანთა, დაჭრილ ჭარბსაკეთა აჩრდილები არღვევენ ამ საოცნებო იდილიას და უქმნიან მას პროზაულ და უღმობელ კონტრასტს, რომელიც მოგვაგონებს, რომ ცხოვრება ვაცილებით უფრო მეტი რაშაა, ვიდრე თუნდაც უსაფრგო სიყვარული.



ჟურნალ „სისკარის“ 1967 წლის ნომერების შინაარსი

რომანი, მოთხრობა, პიესა, ნოველა, ლიბრეტო, ზღაპარი

- ავალიანი გიორგი — „ბუბა ქაქუჩელა“ (ლეგენდა), № 10.
- ბაქანიძე გიორგი — პური (ნოველა); პირველი, მეორე, მესამე (მოთხრობა), № 8.
- ბაჩო იანოშ — სად ვაჭრა პიტლერი? (წიგნიდან „რა ხდებოდა კელისებს მიღმა“), თარგმნა შ. თევზაძემ, № 6.
- ბიბილური თამაზ — დილოგები ზამთრის დამეში. მოთხრობა, № 12.
- გეწაძე აკაკი — ყინულის სარკე (მოთხრობა), № 2, 3.
- გვაზავა-სანაძე ლამარა — ვაცნობა (მოთხრობა), № 3.
- გოდერძიშვილი თამაზ — თეთრი კუნძული (მოთხრობა), № 6.
- დმიტრიძევა ოლგა — შაბათი, 17 (მოთხრობა), თარგმნა ზ. ჭაფარიძემ, № 2.
- დოჩინაშვილი გურამ — გამსვლელი პაიკი (მოთხრობა), № 2; შენი მწვანე და (მოთხრობა), № 9.
- ელიოზიშვილი მერაბ — გადამთიელი (მოთხრობა), № 1; (მოთხრობები), № 4.
- იოსელიანი ოტია — იყო ერთი ქალი (რომანი), № 5, 6, 7, 8.
- კეკელიძე ნოდარ — მეზურე (მოთხრობა), № 7.
- კეჭელაძე გიორგი — ჩემი პატარა ლანი (რომანი), № 11, 12.
- კუპრიანი ალექსანდრე — (მოთხრობები), თარგმნა ვ. ძღვინძამ, № 7.
- ნესინი აზიზ — როდის დაიბადა შერმენდი (ნოველა), თარგმნა თ. ჭავჭავაძემ, № 6.
- პეტარაქას წერილები, თარგმნა ა. კაპარავამ, № 5.
- რატი რიჩარდ — მოახლე (მოთხრობა), თარგმნა გრ. ჩიქოვანმა, № 3.
- სულაიაური არჩილ — სალამურას თევზადისავალი (ზღაპარი), № 2, 3, 4.
- სხირტლაძე გურამ — ბებერი ცაცხვი (მოთხრობა), № 8.

- ტიხონოვი ნიკოლოზ — ალკადრის დამე, თარგმნა გ. თითომერიაშ, № 8.
- ფანჯიციძე გურამ — მეშვიდე ცა (რომანი), № 1.
- შაონერი პეტრე — მიწის კარიბჭესთან (ნოველა), თარგმნა რ. ინანიშვილმა, № 6.
- შატერვაშვილი ზორის — შეხვედრა (მოთხრობა), № 10.
- ჩეხური მოთხრობები — თარგმნა გ. ბუხნიკაშვილმა, № 5.
- ჩინი პიტერ — პეკოსის ოლქის შერიფი (მოთხრობა), თარგმნა ვ. კობერიძემ, № 1.
- ჩხიციძე ოთარ — სახალწლო საუბარი, № 1; აღმართ-დღამართი (რომანი), № 12.
- ცვაიგი შტიფან — სახლი ზღვის პირას (პიესა), თარგმნა რ. მარგინამ, № 9, 10.
- წულეისკირი ნოდარ — მოთხრობები, № 8.
- ჭეიშვილი რეზო — მოთხრობები, № 4.
- ჭილაძე თამაზ — თეთრი კვამლი (მოთხრობა), № 10.
- ჭიქინაძე ამირან — ჩემი დღე (მოთხრობა), № 9.
- ჭაფარიძე რევაზ — ვერცხლის აბლაბუდა (მოთხრობა), № 4.

ლექსები, კომედიები

- აბაშელი ალექსანდრე — გამარჯვებათა ვხედავ მწვერვალებს, № 7.
- აბაშიძე გრიგოლ — ლენინი სამგორში, № 5; დღემლის სხონებაში მაქვს ჩარჩენილი, № 11.
- აბულაშვილი ანზორ — მოამსვლელი, № 7.
- ალიგერი მარგარიტა — შეცდომებს მე არ მაპატებენ, თარგმნა ვ. ჭავჭავაძემ, № 5.
- ამისულაშვილი შალვა — ლექსები, № 7.
- ამოლინერი ვიომ — ლექსები, ფრანგულიდან თარგმნა გ. გიგეჭკორმა, № 8.
- ასათიანი ლადო — ლენინის ტომი, № 2, 11.
- აფხაძე შალვა — ლექსები, № 12.
- ბოლქვაძე ზაურ — ლექსები, № 6.
- ბუკოვი ემელიან — ჩვენი მეგობრობა, თარგმნა ვ. გორგანელმა, № 11.
- გაბრიჩიძე ნელი — ლექსები, № 10.
- გაჩეჩილაძე დავით — ახალი წიგნიდან (ლექსები), № 4.



გელოვანი მირზა — სამშობლოს, № 11.
 გილაში ანტალ — მიყვარს ზაფხული, თარგმნა ტ. ჰანტურიაძე, № 9.
 ემინი გევორჯ — მე ყველა ზალხის ენა მიყვარს, თარგმნა გ. ძნელაძემ, № 11.
 ზაბოლოცი ნიკოლოზ — მე მზრდიდა მკაცრი დედა-ბუნება, თარგმნა ვ. ჯავახიძემ, № 5.
 იბერი ვერა — ხუთი დღე-ღამე, თარგმნა ი. ქემერტელიძემ, № 5.
 ისაკიანი ავექტი — დავიწყებული, უსახელო, მიუსაფარი..., თარგმნა კ. ლორთქიფანიძემ, № 2; წიგნიდან „სიმღერები და ჭრილობები“ (ლექსები), თარგმნა გ. შანაზარმა, № 9.
 კალანდაძე ანა — ჭაუბებისკენ (ლექსები), № 2; ლენინის ქული, № 3.
 კალაძე კარლო — ლექსები, № 12.
 კაპახიძე გიორგი — სამოცი წელი (ლექსები), № 3.
 კახიძე მედეა — ლექსები, № 7.
 კვიციანიშვილი ემზარ — ლექსები, № 9.
 კილახონია ნაზი — ახალი ლექსები, № 3.
 ლასკოვი ივანე — ცოცხალი ხმები (პოემა), თარგმნა გ. ძნელაძემ, № 9.
 ლეონიძე გიორგი — ლენინის მავზოლეუმში, № 5.
 ლუკონინი მიხეილ — ზამთარი, თარგმნა ვ. ჯავახიძემ, № 5.
 მარგიანი რევაზ — ჩემი სიმღერა, № 11.
 მარტინოვი ლეონი — მეშვიდე გრძნობა, თარგმნა ვ. ჯავახიძემ, № 5.
 მაქსიმოვიჩი დესანკა — ლექსები, თარგმნა მ. კახიძემ, № 3.
 მაჭავარიანი მუხრან — ვლადიმერ ლენინი, № 8.
 მებურიშვილი ტაგუ — ლექსები, № 12.
 მეფელიძისი იდურაძე — ლექსები, თარგმნა გ. ძნელაძემ, № 4; ხელები, თარგმნა ვ. ჯავახიძემ, № 11.
 ნარსია ნოდარ — ლექსები, № 6.
 ნაფეტვარიძე გიორგი — ნახვამლის, № 11.
 ნონეშვილი იოსებ — ასე რომ ეხვდებით შხის ყოველ მოსვლას, № 11.
 ორჭონიკიძე იზა — ლექსები, № 7.
 პეტრევი შანდორ — სამშობლოსი, თარგმნა გრ. აბაშიძემ, № 9.
 უსუოვსკი ვასილ — ივანე ბატონიშვილი და რუხი მგელი (პოემა-ზღაპარი), თარგმნა ხ. ბერუღაძემ, № 3.
 სალუქვაძე ანზორ — ლექსები, № 8.
 საჩაია ალექსანდრე — სამშობლო ჩვენია, № 11.
 სვანური პოეზია — დაამუშავა დავით წერეთლიანი, № 10.
 სულაკაური არჩილ — ლექსები, № 8.
 ტახიძე ვალაკტიონ — კავშირი გულთა შორის, № 11.
 ტანკი მაქსიმ — მეგობრობის სადღეგრძელო, თარგმნა შ. ნიშნიანიძემ, № 11.

ტიხონოვი ნიკოლოზ — ცისარტყელა სიგურამოში, თარგმნა კ. ნადირაძემ, № 11.
 ტინჩა პავლო — მაღალი გრძნობა მძუღრი ოჯახის, თარგმნა მ. ლენინიძემ, № 11.
 ტოქტოვალი — რა დედამ შობა ისეთი შეილი, როგორც დიდი ლენინი არის, თარგმნა თ. ჯანგულაშვილმა, № 11.
 ფორჩიძე შალვა — ლექსები, № 10.
 ქემერტელიძე იორამ — იმედის წყარო (ლექსები), № 1.
 ქვლივიძე მიხეილ — ლენინი, № 5.
 ყულივიცი ყაისინ — მთაწი მალაქო (ლექსები), თარგმნა შ. ნიშნიანიძემ, № 4.
 შანაზარია სანდრო — დედისერთა ლენინთან, № 4.
 შიმონი იშტვან — აკაციის ყვავილები, თარგმნა ე. კვიციანიშვილმა, № 9.
 შინკუა ბაგრატ — გატაცება (ნაწყვეტი პოემიდან), თარგმნა შ. ნიშნიანიძემ, № 4.
 ჩარკვიანი ჩანსულ — ამ ოქტომბერში, № 11.
 ჩაჩავა ნიკოლოზ — ოთხი ლექსი, № 3.
 ჩიქოვანი სიმონ — ორი ლექსი, № 4.
 ჰანტურია ტარიელ — ლექსები, № 9.
 ჰილაძე ოთარ — ლექსები, № 12.
 ხედელიძე ნოდარ — ლექსები, № 5.
 ჯავახიძე ვახტანგ — ლექსები, № 2.
 ჯამბული — ხალხთა ძმობა, თარგმნა შ. ნიშნიანიძემ, № 11.
 ჯანგულაშვილი თეიმურაზ — მიწისძვრა (პოეტის რეპორტაჟი), № 5.
 ჯგუბურია მურმან — ლექსები, № 7.

ნარკვევები, მოგონებები

აფხაძე შალვა — ის დღეები შენ წაიღე გოგლა..., № 2.
 აკნაძე ვასილ — სანდრო ახმეტელის უცნობი სტრიქონები, № 3.
 რადიანი შალვა — ჩვენი ვალაკტიონი, № 1.
 სანადირაძე გიორგი — ტაძრისის მაღალი მთები, № 10; ენგური, სექტემბერი, № 11.
 ქელბაქიანი გენო — ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა, № 1.
 შამათია პეტრე — ბრძოლაში ნაწრთობი სტრიქონები, № 5.
 ხუციშვილი სოლომონ — ვაგისენოთ ადანი, № 2.

მისალმებები, მილოცვები

მოგესალმებით ძვირფასო უნგრელი სტუმრებო, № 9.
 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, № 6.
 სსრ კავშირის მწერალთა IV ყრილობას, № 6.
 საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა იუბილეს ულოცავს პოეტ გიორგი კაპახიძეს. № 3.



„ცისკარი“ ულოცავს აკადემიკოს გიორგი ახვ-
ლედიანს, № 6.
„ცისკარი“ ულოცავს კარლო კალაძეს, № 4.
„ცისკარი“ ულოცავს ბაგრატ შინკუბას, ივანე
პაპასკერს, № 4.

კრიტიკა, კვლევები

ალანია ნოდარ — ფასდაუღებელი წეილი,
№3; ახალი რომანი დიდი სამამულო ომის
თემაზე, № 10.
ასათიანი გურამ — გალაკტიონ ტაბიძის პოე-
ტიკა, № 8.
ბათიაშვილი გურამ — სიკაბუკის სათქმელი,
№ 12.
ბარამიძე გივი — ლაპარაკობს „ხოვანის მინ-
ღია“, № 5.
ბარდაველიძე ბუენა, ებანოიძე თამაზ — მეც-
ნიერი და აღმზრდელი, № 4.
ბაქრაძე აკაკი — ოქროს თევზი, № 1.
ბერიძე ფილიპე — მხატვრული ფერისცვალე-
ბა, № 7; პოეტური დღევა გრძელდება, № 10.
ბულია პლატონ — საჭირო ვანმარტება, № 7.
გასვიანი გერონტი — წიგნი სვანეთზე, № 7.
გვერდწითელი გურამ — წმინდა პური არსო-
ბისა, № 4; მიხეილ ჭავჭავაძის, № 6, 7.
დოლიძე გიორგი — სიმღერასავით ტიკვი-
ლი..., № 9.
ვასაძე აკაკი — ტრადიციულობა და ნოვატო-
რობა, № 3.
ჯამბახიძე ვლადიმერ — „დაბრუნებული ღმი-
ლი“, № 2.
თითურია ჭუმბერ — „ხახვივით შერაჟა“, № 4.
იმნაიშვილი ივანე — ბედნიერ ვარსკვლავზე
დაბადებული, № 5.
კალანდაძე გიორგი — კვლავ შენთან შოველ...,
№ 4; ოქროს ფრინველი, № 7.
კანკავა გურამ — პრობლემა უწინარეს ყოველი-
სა, № 9.
კინწურაშვილი კორნელი — კეთილი ასპარე-
ზი, № 5.
კობერიძე კარლო — კარგად თარგმნილი კარგი
მოთხრობები, № 12.
კომბაი ვალერი — პირველი რუსი რომანის-
ტი — „თერგდაღებული“, № 5.
ლომაშვილი ჭიბო — „საქმე ექმენ საკომანენ-
ბი“, № 5.
ლუკაშვილი ერთკლე — ვინ იყო „არსენას ლექ-
სის“ ავტორი?, № 1.
მიმინოშვილი რომან, ბოგომოლოვი იგორ —
საქართველო მოძვე ხალხთა ლიტერატურა-
ში, № 11.
მიშველიძე რევაზ — „ცოდვილი“, № 7.
ონიანი შერმაღინ — ქართული ენის მეცნიერ-
ლე, № 5.
პაქოკია ოტია — როცა წიგნი დაგაფიქ-
რებს..., № 3.

ქორდანი აპოლონ — ცხოვრების განთიად-
ზე, № 6.
რომანოვსკია იადვიგა — ის შენც გიმღეროდა
საქართველოზე, № 7.
სიღამონიძე გაბრიელ — „იყო ერთი დღეაბე-
რი...“, № 3.
სიხარულიძე ელვარდ — ქართული ფელეტო-
ნი 900-იან წლებში, № 7.
სურამელი ივანე — მოძვე ხალხი და დღევან-
დელიობა, № 3.
ჩაჩიბაია არჩილ — მენტორულ-ლიტერატურული
ლიტერატურა და საბავშვო მწერლობა, № 6.
ჩერქეზია ოთარ — ჩვენი სოფლის ახალგაზრ-
დობა ვენახებზე და ბაღებზე, № 4.
ჩხეიძე ირმა — კონსტანტინე გამსახურდია, № 1.
ჩხენკელი ზურაბ — ე. ბორჰერტის ახალი წიგ-
ნი და დასავლეთის კრიტიკა, № 8.
ძიძიგური შოთა — გიორგი ახვლედიანი, № 6;
ქართული ენის პრობლემები XVII-XVIII
საუკუნეების დასავლეთ ევროპის ფილოლო-
გიურ მეცნიერებაში, № 12.
წერეთელი ნუგზარ — ინტერნაციონალიზმი და
ქართული ახალგაზრდული მწერლობა, № 5;
ოქტომბერს უმღეროდნენ, № 11.
წიკლაური მამუკა — გავყვეთ იდრისს..., № 9;
რუსო მამუკელის ახალი წიგნი, № 10.
ჯიბლაძე გიორგი — რუსთაველის ეპოსის ქარ-
თული ქრონიკა, № 4, 6.
ჭიჭიშვილი ნათელა — ავწონ-დავწონოთ ყოვე-
ლი სიტყვა, № 1.
ხარანაული ბესიკ — „სასწაული“, № 10.
ხერხეულიძე გრიგოლ-გიორგი ლეონიძე, № 8.

მეცნიერება

აბაშაძე ვახტანგ — დავით აღმაშენებლის პო-
ლიტიკური მოძღვრებანი, № 7.
ახვლედიანი გივი — ამორტალები ერთ ძველ
ქართულ ძეგლში, № 9.
ენუქაშვილი სამსონ — ქართული არეობაგი-
ტიკის რამდენიმე საკითხი, № 2.
თვარაძე რევაზ — ოცნება ეტრუსკების-
თვის, № 12.
კაკაბაძე დავით, ლორთქიფანიძე გურამ — ან-
ტიკური ხანის მონეტები ვანის ნაქალაქარი-
დან, № 8.
კვარაცხელია გუჩა — სტილის კვლევა მათემა-
ტიკური მეთოდით, № 8.
მაქარაძე ვალერიან — ეგვიპტელი მამულქე-
ბი, № 7.
საყვარელიძე გიორგი — „უმისამართო წერი-
ლები“, № 4.

ხელოვნება

გურაბანიძე ნოდარ — თანამედროვე ქორეო-
გრაფია და „კამერული ბალეტი“, № 12.
მიქაძე ლიანა — ქართველი მხატვრები რევო-
ლუციის უძღვნიან, № 11.

დიალი 50 წელი



აბაშიძე ირაკლი — მოგილოცეთ დღესასწაულს, № 11.
აგიაშვილი ნია — ოქტომბრის თანატოლები, № 11.
არაბული შოთა — ბერდიშვილების სტუდარი (დოკუმენტური მოთხრობა), № 11.
აფრიდონიძე შოთა — ხალხთა ლენინური მეგობრობის ბრწყინვალე ფურცელი, № 10.
ბახტაძე თამარ — ძმის გახსენება, № 9.
გიგაური გიორგი — წარწერა ხეზე, № 11.
გოგიძე შალვა — წერილები ლენინთან, № 2.
ეგორივი ლუარსაბ — ეასილ მასლოვსკი, № 11.
თევზაძე დავით — ოქტომბერი და ქართული მწერლობა, № 3.
ირემაძე აკაკი — ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიიდან, № 8.
მგელაძე ნარჯიზა — ერთი აბაშელი ბიჭი, № 11.
მეტრეველი როინ — ოქტომბერი და ახალგაზრდობა, № 11.

მიქოიანი ანასტას — მეთერთმეტე არმია ბაქოში მიღის, № 11.
წვერავა სიმონ — იმ ბოზოქარ დღეებში, № 11.
ჭანგულაშვილი თეიმურაზ — ისინი ოქტომბრის მონაპოვარს იცავენენ, № 11.
ჭიჭია აკაკი — კავკასიელი არწივი, № 11.

სატირა და იუმორი

მიშველაძე რევაზ — ახალი წელი იცინის, № 1;
არამოდერნიზებული მოთხრობები, № 10.

სამრბი

მდივანი ვლადიმერ — სპორტსმენი და ღვაწლმოსილი ადამიანი, № 8.

თვითდას თვითდა

ჩვენი რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების ქრონიკა, № 1, 2, 4, 6.

უცხოელი მხრიდან

უცხოეთის ქრონიკა, № 4, 6, 9, 11, 12.



ფარკეანი და ტიტული ოთარ ჭიშკარიანისა

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პარკი. № 91.

ტელეფონები: რედაქციის — 5-08-75, 3/მგ. მდივნის — 5-08-86. განყოფილებების: პოეზიის, კრიტიკისა და ზეზლოვების — 5-08-85, პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/X 1-67 წ. ფიზიკურ ფორმატით რაოდენობა 10. პირობით ფორმატით რაოდენობა 13,7. შეკვ. № 4091. უფ. 02327. ქალაქის ს.ზ.მ. 70X108. ტირაჟი 13.600.

საქ. კვ. ცკ-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

მკითხველთა

საყუარდლებოდ!

1968 წელს შურნალ „ცინსკარში“ დაიბეჭდება:

ოთარ ჩხვიძის „აღმართ-დაღმართი“. რომანი.

გურამ რჩულიშვილის „ბავრი ბაგვში ერთად“. კინო-მოთხრობა.

რეზო ბერიშვილის „მთვარის ბარდაცვალება“. რომანი.

ნოდარ წულუისკიძის „თუთარქალა“. რომანი.

ვახუა ამირაშვილის „დათა თუთაშხია“. რომანი.

დემანა შენგელაიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, სერგო კლდიაშვილის, არჩილ სულაბაურის, ნოდარ დუმბაძის, თამაზ ზილაძის, ელიჯარ ყიფიანის, რეზა ინანიშვილის, ვერაზ ელიოვიშვილის, გურამ ფანჯიკიძის, გურამ სხირტლაძის და სხვათა მოთხრობები.

ბლაკბირნი ტაბიძის, გიორგი ლიონიძის და სიმონ ჩიქვანიის გაგონებებები ნაწარმოებები.

ირაკლი აბაშიძის, ანა კალანდიაძის, მუხრან მამავერიანის, მურმან ლეზანიძის, ოთარ ბილაძის, შოთა ნინიაშვილის, ბელა ახმადუღინას, ევაგენი ევტუშენკოს, ბულატ ოკუჯაბას, ივან ღრაჩის, ვიტალი კოროტიჩის, ენილ ლობიანუს და სხვათა ლექსები.

შურნალში შემოღებულია რუბრიკა „უცხოური ნოველა“. ტრადიციულად დაიბეჭდება ღამწუხვამ აბტორთა ნაწარმოებების „პაუნიკი“.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებაში გამოკვეთილება სინტაქსურ წერილები, სტატიები და რეცენზიები როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთის თანამედროვე ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალურ და სინტაქსურ საკითხებზე.

ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტის ანდრო შორენიას ვრცელი მოგონებებით დაიწყებს შურნალი საქმიან საუბარს სპორტის საინტერესო საკითხებზე.

კვლავაც დიდ ადგილზე დაეთმოვა უცხოეთის კულტურული ცხოვრების ქრონიკას.

648/224



ՅՆՆՈ ԵՈ ԶՅՅ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

издательство

«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕВА»

ИНДЕКС 76236